



Norwegian Ministry  
of Foreign Affairs



## **ქალაქობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება და მისი პრევენცია:**

სახელმძღვანელო საუკეთესო  
საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ



Norwegian Ministry  
of Foreign Affairs



# ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება და მისი პრევენცია:

სახელმძღვანელო საუკეთესო  
საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ

**იდეენ ქოული**

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის პრინციპებს.

ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით, საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი ნერგავს ოთხნობიან მრავალპრიან პროგრამას - „ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება“. ამ დღემდე, აღნიშნულმა პროგრამამ წარმოადგინა გამოყენებადი შემეცნებითი პროდუქტი და სახელმძღვანელო მასალები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და პრევენციის სხვადასხვა საკითხებზე. ეს მასალები მოიცავს როგორც სახელმძღვანელოებს მედია-სექტორისთვისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის, ასევე - შესავლით სახელმძღვანელოს ძალადობრივი ექსტრემიზმთან გამკლავებისა და მისი პრევენციის კონცეფციების, პროგრამის შემუშავების და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრმა დაწერა და უხელმძღვანელა ძალადობრივი ექსტრემიზმთან გამკლავების და პრევენციის უნარების განვითარების პროგრამას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, სამოქალაქო მოხელეების და მედია-სექტორის განვითარებას გულისხმობდა.

სახელმძღვანელო შემუშავებული იქნა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და მონიტორინგის მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიისთვის (CNCS), რათა მოხდეს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების და მისი პრევენციის პოლიტიკის კოორპირაციული შემუშავება

სფეროში, სადაც ნარატივების, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების და მისი პრევენციის მიდგომების შესახებ საკმაოდ დიდი რაოდენობის დოკუმენტაციაა არსებობს, აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს მკითხველის ყურადღების გამახვილება კონტრ-ტერორიზმის, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების და მისი პრევენციის საუკეთესო გამოცდილებაზე, არამხოლოდ საერთაშორისო, არამედ - ევროპულ დონეზეც. ამასთანავე, სახელმძღვანელო საშუალებას აძლევს სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე პრაქტიკოსებს ხელი შეუწყონ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და პრევენციის შესახებ არსებული ცოდნის გაფართოებას და გაზარდონ ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ საკითხებთან გამკლავების უნარიანობა ქართულ საზოგადოებაში. სახელმძღვანელო ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც სასწავლო მიზნით, ასევე დაინტერესებული მხარეების მიერ, რომლებიც მოწოდებული არიან გააძლიერონ საკუთარი შესაძლებლობა იმ პროექტების განხორციელებაში, რომლებიც მიზნად ისახავს ძალადობრივი ექსტრემიზმის გაგებასა და მისგან მომავალი საფრთხეების შემცირებას.

შესავლის სახით, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ტერორიზმის ევოლუციის განხილვის შემდეგ, სახელმძღვანელო ყურადღებას ამახვილებს როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოებში არსებულ გამონწვევებზე ტერორიზმის კუთხით, ასევე ეფექტური კონტრტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის კანონიერ და პოლიტიკურ ასპექტებზე. შემდეგ, სახელმძღვანელო კონკრეტულ თემატურ საკითხებს მიმოიხილავს, რომელთა შორისაა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების და პრევენციის ინსტრუქციონალური ჩარჩო, თანამშრომლობა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, რადიკალიზაციის პრევენცია, უცხოელი ტერორისტი მებრძოლებისა და მათი ოჯახების რეპატრიაცია და უფრო ყოვლისმომცველი კონტრტერორიზმის, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების და პრევენციის საკომუნიკაციო გამონწვევები. ექსკლუზიური მასალების შემუშავებასა და სხვადასხვა რელევანტური და მარტივად ხელმისაწვდომი საუკეთესო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გარდა, სახელმძღვანელოს მიზანი თითოეული თავის ფარგლებში არის ერთიანი საზოგადოების მიდგომის მნიშვნელობის ხაზგასმა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და პრევენციის ფარგლებში.

ტერორიზმთან თანაარსებობის ორმოცდაათწლოვანი გამოცდილების მიუხედავად, დღესაც კი, დემოკრატიული საზოგადოებები სტრატეგიული და ადგილობრივი ტერორიზმით გამოწვეული სხვადასხვა რისკის წინაშე დგანან. მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის ტალღები სხვადასხვა ფორმით ვლინდება, ისევე როგორც მმართველობას მოკლებული და სადავო ტერიტორიები ხშირად ხელს უწყობენ კარგად ორგანიზებულ და დაფინანსებულ ტერორისტულ თუ აჯანყებულ დაჯგუფებებს, ასევე სოციალური და ტექნოლოგიური პროგრესის მქონე საზოგადოებებშიც კი მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი რისკები, რომლებსაც მცირე ტერორისტული მოძრაობები ან ბლოკები ქმნიან. ამ საფრთხეებთან გასამკლავებლად, კანონიერი და პოლიტიკური ჩარჩო კონტრტერორიზმისა და კონტრექსტრემიზმის პროგრამის შემუშავების ფარგლებში განაგრძობს განვითარებას, რათა ხელი შეუშალოს ტერორისტთა ინტერნეტსივრციდან რეკრუტირებას, კომუნიკაციას და რადიკალიზაციის აქტივობებს და ასევე შეზღუდოს საერთაშორისო სამგზავრო ქსელებით ტერორისტთა გადაადგილება. ამ კონტექსტში, თითოეული დემოკრატიული საზოგადოება დგას დიქტომური გამოწვევის წინაშე: შეინარჩუნოს მზადყოფნა ტერორისტულ საფრთხეებთან ბრძოლის კუთხით და მოახდინოს მისი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და პრევენციის მიდგომების ადაპტაცია, რათა შეაკავოს ახალი ან მუდმივი ტერორისტული საფრთხეები.

ამავდროულად, საქართველო, ისევე როგორც სხვა ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოები, რჩება კონტრტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გამოწვევებით გათვალისწინებული რისკების წინაშე. საქართველოს საერთაშორისო ტერორისტული ქსელის მიმართ დაუცველობის შემცირების, ეფექტური კონტრ-ტერორისტული პოლიტიკის შექმნის, ეფექტური ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და პრევენციის გამოცდილების უზრუნველყოფისა და საქართველოს თანამშრომლობითი უსაფრთხოების გაძლიერება მოითხოვს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების და პრევენციის უნარიანობის გაძლიერებას. სახელდობრ, არსებითი ინსტიტუციონა-ლური და დაინტერესებულ მხარეთა მრავალმხრივი მიდგომის გაძლიერებით ტერორიზმისა და რადიკალიზაციისაგან მომავალი საფრთხეების წინააღმდეგ. ამის გათვალისწინებით, საქართველო გააგრძელებს წვლილის შეტანას ევროპულ და საერთაშორისო უსაფრთხოების განვითარებაში.

# სარჩევნი

პირველი თავი: პოლიტიკური ძალადობა, ტერორიზმი, ძალადობრივი ექსტრემიზმი, რადიკალიზაცია...	5
მეორე თავი: კონტრტერორიზმის გამონწვევები დემოკრატიულ სახელმწიფოში.....	19
მესამე თავი: ინსტიტუციური ჩარჩოები.....	35
მეოთხე თავი: რადიკალიზაციის პრევენცია.....	47
მეხუთე თავი: სახელმწიფოსა და საზოგადოების თანამშრომლობა ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასადამისწინააღმდეგბრძოლაში.....	59
მეექვსე თავი: რეპატრიანტები.....	69
მეშვიდე თავი: კომუნიკაცია.....	80

# პირველი თავი: პოლიტიკური ძალადობა, ტერორიზმი, ძალადობრივი ექსტრემიზმი, რადიკალიზაცია

## შესავალი

ტერორიზმის აქტები ამ კავშირის საფუძველში მდებარე ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის უნივერსალური ღირებულებების, ასევე, ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობის უხეში ხელყოფაა. ეს ქმედებები ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საფრთხეს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებისთვის, რომლებსაც იზიარებს ყველა წევრი სახელმწიფო და რომლებსაც ეყრდნობა ეს კავშირი<sup>1</sup>.

ევროპის პარლამენტისა და ევროპული საბჭო 2017 წლის 15 მარტის ევრო-კავშირის დირექტივა 2017/541 ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მუხლი 2 (Article 2 EU Directive 2017/541 of the European Parliament and of the European Council of 15<sup>th</sup> March 2017 on Combating Terrorism)

ტერორიზმი, იმ ფორმით, რომლითაც დღეს ვიცნობთ, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა. 1867 წელს ლონდონის ქლერქენველის ახალი საპყრობილის (Clerkenwell's New Prison) გარეთ ბომბის აფეთქებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ირლანდიელმა რესპუბლიკელებმა 1881-1885 წლებში განახორციელეს აფეთქებების კამპანია დინამიტების გამოყენებით სამხედრო და საპოლიციო ყაზარმებზე, სკოტლანდ იარღზე, ლონდონის მეტროს პირველ სადგურებსა და მატარებლებზე, გაზეთ „თაიმზსა“ და სპეციალური სამსახურის (Special Branch) შტაბბინაზე. უფრო აღმოსავლეთით, 1880 წელს, ზამთრის სასახლეში აფეთქებისა და საიმპერიო მატარებელზე წარუმატებელი თავდასხმის (დინამიტის გამოყენებით) შემდგომ, „ნაროდნაია ვოლიას“ წევრმა რუსმა ნიჰილისტებმა 1881 წელს რუსეთის ცარი ალექსანდრე II, რომელიც ეტლით ბრუნდებოდა ზამთრის სასახლეში, ბომბით ააფეთქეს.

საუკუნის ბოლოსკენ, ნიჰილისტი პეტრ კროპოტკინი რევოლუციონერის მემუარებში წერდა:

„ტერორიზმის გაჩენა განაპირობა კონკრეტულ ისტორიულ მომენტში არსე-ბული პოლიტიკური ბრძოლის შედეგად შექმნილმა განსაკუთრებულმა გარე-მოებებმა. მან იცოცხლა და მოკვდა. შეიძლება ისევ გამოცოცხლდეს და გაუჩინარდეს“<sup>2</sup>.

კროპოტკინის დაკვირვება დღემდე აქტუალურია. ამ ჩანაწერებიდან 25 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან ამ და უფრო ფართო პოლიტიკურ გამოწვევებზე საპასუხო რეაგირების შედეგებმა იმპერიულ რუსეთსა და გაერთიანებულ სამეფოში, 1905 წლის ზამთრის სასახლის [სისხლიანი კვირისა] და 1916 წლის აღდგომის აჯანყების შედეგად, 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუცია და ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს ჩამოყალიბება გამოიწვია.

1 Directive (EU) 2017/541 of the European Parliament and of the Council of 15<sup>th</sup> March 2017 on combating terrorism and replacing Council Framework Decision 2002/475/JHA and amending Council Decision 2005/671/JHA, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://data.europa.eu/eli/dir/2017/541/oj> და <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32017L0541>

2 Peter Kropotkin, *Memoirs of a Revolutionist*, Chapter 12, (Cosimo, 2009), p. 297. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://books.google.ch/books?id=9nvlvIXnMSkC&printsec=frontcover&hl=de&source=gbs\\_ge\\_summary\\_r&cad=0#v=onepage&q=terrorism&f=false](https://books.google.ch/books?id=9nvlvIXnMSkC&printsec=frontcover&hl=de&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q=terrorism&f=false)

ეს თავი აღწერს და განმარტავს თანამედროვე ტერორიზმის წარმოშობას და ძირითად მახასიათებლებს, განიხილავს ტერორიზმის ევოლუციას 1970-იანი წლებიდან 2000-იანი წლების ჩათვლით და დეტალურად ასახავს თანამედროვე ტერორისტულ გამოწვევებს. შემდგომ აღწერილია სტრატეგიული ტერორიზმის ძირითადი გამოწვევები და განსაზღვრულია ძირითადი ელემენტები იმისა, რა შეიძლება შეფასდეს ტერორიზმად ან ტერორისტულ აქტივობად.

საერთო ჯამში, საუკუნეზე მეტი გავიდა, თუმცა მეცხრამეტე საუკუნის ტერორიზმის მახასიათებლები - მაღალი პროფილის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და ბიზნესსამიზნეებზე თავდასხმა, კომუნიკაციის მოშლა, სამოქალაქო მსხვერპლი და მკვლევლობები უცვლელად შენარჩუნდა. იმავდროულად, კროპოტ-კინის დაკვირვებაც ვალიდურია: ზოგიერთი ტერორისტული ქსელი შეიძლება აყვავდეს და შემდგომ გაუჩინარდეს ისევე სწრაფად, როგორც გამოჩნდა, ხოლო ეს გაუჩინარება ხშირად განპირობებულია ტერორიზმზე სახელმწიფოს რეაგირების ხასიათით.

### ტერორიზმის განსაზღვრება

ტერმინი „ტერორიზმი“ გამოიყენება იმ კონკრეტული ძალადობრივი აქტების აღსანიშნად, რომლებიც ვერ კატეგორიზდება, როგორც კონვენციური ან შეზღუდული ომის, ან დაბალი ინტენსივობის კონფლიქტის ხანგრძლივი საბრძოლო მოქმედებები, როგორებიცაა, მაგალითად, სახალხო წინააღმდეგობების მოძრაობების მიერ გამო-ყენებული პარტიზანული ბრძოლები სახელმწიფოს ძალების წინააღმდეგ. 1980-იანი წლების შუაში პროფესორმა პოლ უილკინსონმა მარტივად განმარტა ტერორიზმი, როგორც:

„მკვლელობის, დაზიანებისა და ნგრევის აქტების ან მუქარის სისტემატური გამოყენება ტერორის კლიმატის შესაქმნელად, რაც ემსახურება მათი საქმიანობის მიზნის გასაჭაროებას, ფართო (სამიზნე) აუდიტორიის დაშინებას და იძულებას ტერორისტების მიზნების შესრულებისთვის<sup>3</sup>.“

2000-იანი წლებში პროფესორებმა პეტერ ნოიმენმა და მაიკლ სმითმა უფრო დახვეწეს ეს განმარტება და მოკლედ აღწერეს ტერორიზმი, როგორც:

„შიშის გრძნობის გამიზნულად გამოწვევა, როგორც წესი, ფიზიკური ძალა-დობის სიმბოლური აქტების გამოყენებით ან მათი გამოყენების მუქარით, კონკრეტული სამიზნე ჯგუფის პოლიტიკურ ქცევაზე ზემოქმედების მიზნით<sup>4</sup>.“

ეს განმარტება ეყრდნობა ტერორიზმის სამ განმასხვავებელ მახასიათებელს: ტერორიზმის აქტების უმრავლესობის ძალადობრივი ბუნება; ტერორიზმის აქტში გამოყენებული ძალადობის ბუნება; და ძალადობის აქტის სიმბოლური ხასიათი.

უპირველეს ყოვლისა, ტერორისტული აქტების უმრავლესობის ძალადობრივი ხასიათი გამოარჩევს ტერორის პროგრამას არაძალადობრივი პროპაგანდის ან უშუალო მოქმედების სხვა ფორმებისგან, როგორებიცაა: მასობრივი დემონსტრა-ციები ან პროტესტები, ბროშურების გავრცელება და სხვადასხვა პროფესიაში დასაქმებული მუშახელის გაფიცვები. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ზოგჯერ განიცდის შიშსა და მღელვარებას ფიზიკური ზიანის საფრთხის არსებობის გარეშე, ცხადია, რომ ტერორის გამოწვევის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ფიზიკური ძალადობის ფორმები ან, უბრალოდ, განურჩეველი ძალადობის მსხვერპლად ქცევის საფრთხე.

3 Paul Wilkinson, 'Terrorism and the Rule of Law', Harvard International Review, May/June 1985, p. 12, cited in: Paul Wilkinson, 'International Terrorism: the Changing Threat and the EU's response', EU-ISS, Chailot Paper, No. 84, October 2005, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.iss.europa.eu/content/international-terrorism-changing-threat-and-eu%E2%80%99s-response>

4 Peter Neumann and M. L. R. Smith, 'Strategic Terrorism: The Framework and its Fallacies', Journal of Strategic Studies, Vol. 28., No. 4., August 2005, p. 574.

მეორე, ძალადობის ბუნება თავად განარჩევს ტერორიზმს კონფლიქტის სხვა ფორმებისგან. ნოიშენისა და სმიტის განმარტება ეყრდნობა თორნთონის ფრაზას, რომელიც აღწერს ძალადობას, როგორც „ექსტრანორმალურს“, რაც გულისხმობს, რომ ორგანიზებული პოლიტიკური ძალადობის გარკვეულ დონეს ტერორიზმი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ მაშინ, როცა ძალადობა სცდება ძალადობრივი პოლიტიკური აგიტაციის აღიარებულ ნორმებს კონკრეტულ საზოგადოებაში. ძალადობის ეს დონე, ისევე, როგორც ძალადობის საშუალებები ატიპური და არანორმალურია ცივილიზებული საზოგადოებისთვის.

მესამე, ძალადობის აქტებს სიმბოლური ხასიათიც აქვს. ტერორის აქტი ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე კონკრეტული განხორციელებული აქტის უშუალო შედეგები: ძალადობის შედეგად გამოწვეულ ზიანი, არეულობა, გარდაცვალებები და / ან დაზიანებები შეზღუდული რელევანტურობისაა იმ პოლიტიკური გზავნილისთვის, რომლის გადაცემასაც ტერორისტი იმედოვნებს ეროვნული თუ საერთაშორისო მედით, სოციალური მედით თუ საკუთარი შიდა საკომუნიკაციო არხებით. აქედან გამომდინარე, ტერორისტული აქტი გაიაზრება მისი სიმბოლური შინაარსის ან „გზავნილის“<sup>5</sup> შეფასებით, რაც განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც განვიხილავთ „ძალადობრივი ხატის“ ფუნდამენტურ როლს სოციალური მედია-არხების საშუალებით წარმოებულ ტერორისტულ პროპაგანდაში.

ეს ბოლო პუნქტი ხაზს უსვამს ტერორიზმის ძირითად ელემენტს, რომელიც, თავისი არსით, ფსიქოლოგიური ომის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს - „ნებათა ბრძოლა, რომელიც ადამიანის გონებაში თამაშდება“<sup>6</sup>. შიშის დათესვით მოსახლეობასა თუ სამიზნე ჯგუფში, ტერორიზმი, ისევე, როგორც ორგანიზებული პოლიტიკური ძალადობის სხვა ფორმები, გამოიყენება ხალხის კონკრეტულ რაოდენობაზე ზემოქმედებისათვის, რაც პოლიტიკური ამოცანების მისაღწევად არის საჭირო: ტერორიზმი იძულების ძალადობრივი მცდელობაა<sup>7</sup>.

სუბიექტური თვალსაზრისით, არსებობს ბუნდოვანება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს შიშის დონე. ექსტრემალურ გარემოებებში ხალხს შეუძლია აღქმულ საფრთხეებთან ადაპტაცია, მაგრამ ყოველდღიური არეულობა, რომელიც გამოწვეულია დამატებითი უსაფრთხოების ზომების შემოღებით, საზოგადოებასა და მთავრობას მზარდ ხარჯებს აკისრებს და ცვლის ქცევებს, გასაკუთრებით მანამდე სტაბილურ, მშვიდ და კანონმორჩილ საზოგადოებაში. ტერორის ან შიშის დონე შეიძლება შემცირდეს ან განელდეს ტერორისტული კამპანიის დასრულების ან მისი დიდი ხნის განმავლობაში არსებობის შემთხვევაში. თუმცა, თუ ეს მოხდება, ტერორისტებს შეუძლიათ მარტივად შეინარჩუნონ დაუმორჩილებლობის ატმოსფერო შიშისა და მღელვარების ნაცვლად<sup>8</sup>. ტერორისტების სტრატეგიული უნარი, მოერგონ ცვალებად პოლიტიკურ და სოციალურ გარემოებებთან, ასევე, საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობა, განხილული იქნება ქვემოთ მოცემულ ნაწილებსა და თავებში.

საერთო ჯამში, ეს პუნქტები ხაზს უსვამს ტერორიზმის გავლენას საზოგადოებაზე, როგორც მთლიანობაზე; სათანადო პრევენციული ზომების მისაღებად საჭიროა არა მხოლოდ ერთიანი სამთავრობო მიდგომა, არამედ, ასევე, ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომა, რათა შეიზღუდოს საზოგადოების მოწყვლადობა ტერორისტული აქტები-სადმი. ტერორიზმის მუდმივ გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტერორისტულ ინციდენტებზე სახელმწიფო რეაგირების ბუნებას შეუძლია განსაზღვროს გრძელ-ვადიანი პოლიტიკური შედეგები და საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოაქციოს სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმურობა.

5 T. P. Thornton, 'Terror as a Weapon of Political Agitation', in Harry Eckstein (ed.), *Internal War: Problems and Approaches*, (New York: Free Press 1964), pp. 71–99, cited in: Neumann and Smith, 'Strategic Terrorism', p. 575.

6 Gerard Chaliand, *Terrorism: From Popular Struggle to Media Spectacle*, (London: Saqi Books, 1987), pp.107–12, cited in Neumann and Smith, 'Strategic Terrorism', p. 576.

7 Neumann and Smith, 'Strategic Terrorism', p. 576.

8 Neumann and Smith, 'Strategic Terrorism', p. 575.



## ევროპული განმარტებები

ტერორიზმის ზუსტი განმარტებები, რომლებიც აღწერილია წინა ნაწილში, ასახულია იმ თანამედროვე კანონმდებლობისა და საერთაშორისო სახელმძღვანელო ინსტრუქციების პრაქტიკულ განმარტებებში, რომლებიც ასაზრდოებს ეროვნული მთავრობების პოლიტიკასა და პრაქტიკას. ევროკავშირის (EU) ამჟამინდელ პრაქ-ტიკაზე დაინტერესებული მხარეების ორიენტირების მიზნით, ეს ნაწილი მოკლედ მიმოიხილავს ევროკავშირში არსებულ მდგომარეობას და აღწერს კონსენსუსს იმის თაობაზე, თუ რა წარმოადგენს ტერორისტულ აქტივობას სხვა რელევანტური ცნებების განსაზღვრებების განხილვამდე. ზემოხსენებული განმარტებები, ასევე, განხილული იქნება მეორე თავში, პოლიტიკისა და სამართლებრივი გამონკვევების კონტექსტში.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები თავდაპირველად შეთანხმდნენ მინიმალურ განმარტებაზე 2002 წლის „ევროკავშირის ჩარჩო გადაწყვეტილებაში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ (EU Framework Decision on Combating Terrorism), ხოლო ტერორისტული შეტევის ჰარმონიზებული განმარტება, რომელიც პირველ მუხლშია მოცემული, წარმოადგენს შემდგომი გადაწყვეტილებებისა და რეგულაციების ქვაკუთხედს. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის მიზნით, განსაზღვრება მოიცავს განზრახ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების ჩამონათვალს – დანყებული მკვლელობით, ადამიანის გატაცების, ტრანსპორტის გატაცების, ინფრასტრუქტურაზე თავდასხმებისა და ნებისმიერი ასეთი ქმედების ჩადენის მუქარის ჩათვლით - რომლებიც უნდა განიხილებოდეს, როგორც ტერორისტული აქტები, თუ მათ აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილ ამოცანათაგან ნებისმიერი:

- მოსახლეობის სერიოზულად დაშინება;
- ძალის გადამეტებით მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს კონკრეტული მოქმედება ან თავის შეიკავოს გარკვეული ქმედებისგან;
- ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური სტრუქტურების სერიოზული დესტაბილიზაცია ან ნგრევა<sup>9</sup>.

ქვემოთ მოცემულ მუხლში „ტერორისტული ჯგუფის“ განმარტება ასახავს, რომ ტერორისტული ჯგუფები ან დანაყოფები ხშირად მცირე მოცულობითა და დროში შეზღუდულ ხანგრძლივობით ხასიათდებიან:

„ორზე მეტი ადამიანისგან შექმნილი სტრუქტურული ჯგუფი, რომელიც ყალიბდება გარკვეული პერიოდის მანძილზე და მოქმედებს შეთანხმებულად ტერორისტული თავდასხმების განხორციელების მიზნით“<sup>10</sup>.

ტერმინის - „სტრუქტურირებული ჯგუფის“ - მოქნილი განმარტება, ასევე, ფორმული-რეზული იმგვარად, რომ გულისხმობდეს ტერორისტულ ჯგუფს:

„რომელიც არ არის შემთხვევითად ფორმირებული უშუალოდ კონკრეტული თავდასხმის განხორციელებისთვის და რომელსაც შეიძლება არ ჰქონდეს ოფიციალურად განსაზღვრული წევრობის ხანგრძლივობა, განვითარებული სტრუქტურა ან ფუნქციები თავისი წევრებისთვის“<sup>11</sup>.

2017 წლის დირექტივა მიემართება ტერორისტული მუქარის სწრაფ ევოლუციას ბოლო ათწლეულის განმავლობაში, განიხილავს რა „უცხოელი ტერორისტი მებრძოლები“, უმეტესწილად მოქალაქეების,

9 EU Council Framework Decision of 13 June 2002 on combating terrorism, (2002/475/JHA), OJ L 164, 22/06/2002, Art. 1(1), ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32002F0475>

10 EU Council Framework Decision of 13 June 2002 on combating terrorism, Article 1.

11 EU Council Framework Decision of 13 June 2002 on combating terrorism, Article 2.

მგზავრობასა და დაბრუნებას, უფრო ყოვლის-მომცველი ზომების შემოღებას სხვადასხვა ტიპის ტერორისტული დაფინანსებისა და უკანონო ტრეფიკინგის წინააღმდეგ, შუამავლების როლს ტერორისტული ჯგუფებისთვის მომსახურებების მიწოდებაში, ტერორისტული დანაშაულის ხელშემწყობი ონლაინ მასალების ნაშლას და ტერორიზმის მიზნებისთვის ხალხის რეკრუტირებისა და წვრთნის წინააღმდეგ მოქმედებას<sup>12</sup>. მაშინ, როცა ჩარჩო გადანაცვების დროს ჰარმონიზებულია მინიმალური ზღვარი იმ დანაშაულისთვის, რომელიც შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც ტერორისტული [დანაშაული], ის არ უშლის ხელს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შეიმუშაონ და შეიტანონ ტერორიზმის უფრო ამომწურავი განმარტებები ეროვნულ კანონმდებლობაში.

მსგავსად ზემოთქმულისა, მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის „ევროსაბჭოს კონვენცია ტერორიზმის პრევენციის შესახებ“ არ განსაზღვრავს ტერორიზმს, მან მოითხოვა წევრი სახელმწიფოებისგან სისხლის სამართლის ახალი დანაშაულებრივი კონცეფციის ფორმულირება, რომელიც მოიცავს ტერორისტული დანაშაულის ხელშემწყობ ან მის გამომწვევ საქმიანობას, როგორც განერილია ტერორიზმის შესახებ გაეროს ხელშეკრულებებსა და პროტოკოლში. კონვენციის თანახმად, წევრი სახელმწიფო ვალდებულია ექსტრადიცია ან სამართლებრივი დევნა წარმართოს კონვენციის შესაბამისად შექმნილი დანაშაულის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ტერორისტული საქმიანობისთვის მზადებას, რაც ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტიანი თანამშრომ-ლობის ძირითადი ელემენტს წარმოადგენს.

კონსენსუსის არსებობა იმის შესახებ, თუ რა შეადგენს ტერორიზმს, ნებისმიერი მთავრობისთვის ცხად გზამკვლევს წარმოადგენს, რომელიც მას პრევენციული ზომებისა და სამართლებრივი დევნის საშუალებას აძლევს. კონსენსუსი, ასევე, ერთიანად ასახავს წინა თაობების მიერ ნასწავლ გაკვეთილებს. ის სპეციფიკური ზომები, რომლებიც მთავრობამ და ფართო საზოგადოებამ შეიძლება მიიღოს ტერორიზმთან ბრძოლისას, შემდეგ თავებში იქნება განხილული. წინამდებარე თავის მომდევნო ნაწილები კი აღწერს ძირითად ცნებებს, სახელმწიფოების გამოცდილებას ტერორიზმთან მიმართებით და ტერორისტული ჯგუფების სტრატეგიებს, რაც ხელს შეუწყობს იმ ფართო ჩარჩოს კონტექსტუალიზაციას, რომელშიც ეფექტური კონტრტერორიზმი უკეთ გაიზრება.

## ძირითადი ცნებები

2000-იან წლებში საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მხოლოდ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, ტერორიზმის პრევენციაც მოექცა. მსგავსი და ხანდახან იდენტური მნიშვნელობის ტერმინოლოგია გამრავლდა, რომლებიც ერთსა და იმავე ცნებებს აღწერს. ეს ცნებები კვლავ მნიშვნელოვანია, რამდენადაც ისინი ერთობლივად აღწერს პრევენციის საუკეთესო პრაქტიკას, რომელსაც დიდი მხარდაჭერა აქვს, დანყებული გაეროდან ევროპული (ევროსაბჭო, ევროკავშირი და ეუთო) და სახელმწიფოებრივი დონეების ჩათვლით. ძირითადი ცნებების აღწერისთვის სტრუქტურულ ფორმატში შესაძლებელია ეუთოს სახელმძღვანელო ინსტრუქციების გამოყენება, რომლებიც ნათლად ასახავს კონსენ-სუსს საერთაშორისო და რეგიონულ საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით.

რწმენა, რომ „რადიკალიზაციის“ პროცესი, რომლის საშუალებითაც ინდივიდისთვის მისაღები ხდება ძალადობის, როგორც პოლიტიკური მიზნის მიღწევის ლეგიტიმური საშუალების გამოყენება, არასწორხაზოვანი და მრავალი მიზეზით განპირობებულია, საფუძვლად უდევს იმ აქტივობებთან გამკლავების უფრო პრაქტიკულ სტრატეგიებს, რომლებსაც ეუთო ერთობლივად აღწერს, როგორც „ტერორიზმის გამომწვევ ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციას“ (VERLT). მაშასადამე, ნებისმიერი მიდგომა, რომელიც ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის აღმოფხვრას ეძიებს, უნდა იყოს არსობრივად ჰოლისტური. ამგვარი გააზრება მთელ მსოფლიოში ხშირად ფორმულირდება, როგორც ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება (CVE) და, ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია (PVE), რომელიც უპირისპირდება ტრადიციულ, უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ მკაცრ და უხეშ, კონტრ-ტერორიზმის

12 Directive (EU) 2017/541 of the European Parliament and of the Council of 15<sup>th</sup> March 2017 on combating terrorism and replacing Council Framework Decision 2002/475/JHA and amending Council Decision 2005/671/JHA, Articles 8-19, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://data.europa.eu/eli/dir/2017/541/oj> and <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX-%3A32017L0541>

(CT) სახელით ცნობილ მიდგომას, რომელიც ძირითადად ფოკუსირდება უსაფრთხოების [უზრუნველყოფის] სტრუქტურების ტექნიკური შესაძლებლობების

ანალოგიურად, ეუთო ხაზს უსვამს ტერორიზმის საკითხებში პრევენციული ზომების უპირატესობას რეაქციულთან შედარებით. პრევენციული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ტერორიზმის ძირეულ მიზეზებზე, ასევე, სტრუქტურულ ფაქტორებზე, რომლებიც მისი ხელშეწყობისა და განხორციელებისთვის ხელსაყრელ კლიმატს ქმნის. ამ კონტექსტში ეუთო ფოკუსირდება როგორც ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის რელევანტურ ინიციატივებზე, ასევე, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სპეციფიკურ ინიციატივებზე. ამ ორ ფაქტორს შორის განსხვავება მიზნად ისახავს ძალადობრივი ექსტრემიზმის სტრუქტურული განმაპირობებლების აღმოფხვრაზე ორიენტირებული მოქმედებების (მაგ., ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის რელევანტური ინიციატივები, როგორცაა ადამიანის უფლებების ტრენინგი უსაფრთხოების სტრუქტურებისთვის) გამიჯვნას უშუალოდ ძალადობრივი ექსტრემიზმის ან მოწყვლადი ინდივიდების წინააღმდეგ მიმართული აქტივობებისგან (მაგ. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის სპეციფიკური ინიციატივები, როგორცაა კონფერენციები, სადაც განიხილება ციხეებში ტერორისტული რადიკალიზაციის პრევენციის საუკეთესო პრაქტიკა<sup>13</sup>).

შედეგად, ეუთო – სხვა რეგიონული ორგანიზაციების მსგავსად – ფოკუსირდება ძირითადად იმ „განმზიდველ ფაქტორებზე“ (push-factors), რომლებიც ინდივიდს ძალადობის ჩადენისკენ უბიძგებს და არა „მიმზიდველ ფაქტორებზე“ (pull-factors), რომლებიც განაპირობებს ინდივიდის ჩართვას ძალადობრივ ექსტრემისტულ ქსელში<sup>14</sup>. „განმზიდველი ფაქტორები“ ორიენტირებულია უკმაყოფილებისა თუ გაჭირვების ცნებებზე (როგორც რეალური, ისე წარმოსახვითი), როგორცაა: სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური ან კულტურული უსამართლობა და დისკრიმინაცია, ხოლო „მიმზიდველი ფაქტორები“ ძირითადად ეხება ჯგუფებისა და ინდივიდების ფსიქოლოგიურ მოტივაციას - მიზნის თუ იდეოლოგიის მსახურების ან სოციალური მიკუთვნებულობის სურვილი.

ზემოთ აღწერილი ტერმინოლოგია გამოყენებული იქნება მთელ სახელმძღვა-ნელოში, რაც განსაკუთრებით ეხება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება/ პრევენციას.

### ტერორიზმი უახლეს ისტორიაში

ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში ტერორიზმის ძირითადი მახასიათებლების უმეტესობა უცვლელი დარჩა ტერორისტების მიერ თავიანთი ტაქტიკის, სტრატეგიისა და ტექნოლოგიის ადაპტაციის მიუხედავად. ეს ნაწილი მიმოიხილავს ტერორიზმის რამდენიმე ძირითად მამოძრავებელ ფაქტორს და თანამედროვე „სტრატეგიული ტერორიზმი“ საფუძვლებს.

### 1970-იანი – 1990-იანი წლები

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, მასობრივი წინააღმდეგობებისა და რევოლუციური მოძრაობების მრავალფეროვნებამ დააჩქარა აფრიკასა და აზიაში დეკოლონიზაციის პროცესები, თუმცა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში საშინაო ტერორისტული კამპანიები არ იწარმოებოდა. თუმცა, 1970-იან წლებში ტერორიზმი ხელახლა გამოჩნდა. ტერორისტული კამპანიების თავდაპირველი განმაპირობებელი ფაქტორები ასახავდა სხვადასხვა სახის უკმაყოფილებასა თუ გაჭირვებას, რომლებმაც შეინარჩუნა და, ზოგიერთ შემთხვევაში, გაამწვავა ტერორისტული ძალადობა.

13 Eden Cole and Richard Steyne, Mapping Study on ‘Strengthening OSCE’s Role in Central Asia: Combatting Violent Extremism by Applying Human Security Measures’, (Geneva: August 2017), p. 7. ასევე იხილეთ Peter Neumann, ‘Countering Violent Extremism and Radicalisation that Lead to Terrorism: Ideas, Recommendations, and Good Practices from the OSCE Region’, OSCE, CIO.GAL/189/17, (September 2017) p. 38, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/chairmanship/346841>

14 Cole and Steyne, ‘Mapping Study’, p. 7.

ჩრდილოეთ ირლანდიაში პროტესტანტი უმრავლესობის მიერ კათოლიკე უმცირესობის წინააღმდეგ მიმართულმა დისკრიმინაციამ სამოქალაქო უფლებების თვალსაზრისით (რაც მოიცავდა ხმის უფლებას, მომსახურებებზე წვდომას, დასახლებასა და სამუშაო შესაძლებლობებს) გამოიწვია სახალხო პროტესტი და თანმდევი წინააღმდეგობის მოძრაობა გვიან 1960-იან წლებში. კათოლიკეებზე თავდასხმისა და საცხოვრებელი სახლებიდან მათი გამოყრის შედეგად აღძრულმა მღელვარებამ გამოიწვია ისეთი უკანონო სამხედრო დანაყოფების ფორმირება, როგორც იყო „ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმია“ (Provisional IRA - PIRA).

დასავლეთ გერმანიაში პოლიტიკურად აქტიური და ხელისუფლებით უკმაყოფილო სტუდენტების თაობა რადიკალიზდა რევოლუციური იდეოლოგიის, ვიეტნამის ომისა და ეროვნული პოლიტიკის შედეგად, ხოლო ირანის შაჰის ვიზიტის დროს ბერლინის პოლიციის მიერ პროტესტანტის მკვლელობამ გამოიწვია აქტივისტების მცირე რაოდენობის გაერთიანება გარე საპარლამენტო ოპოზიციაში საგანგებო ჯგუფებში თანამშრომლობის მიზნით, რამაც შექმნა „2 ივნისის მოძრაობა“, რევოლუციური დანაყოფები და მათ შორის ყველაზე მეტი სისასტიკით ცნობილი „წითელი არმიის ფრაქცია“ (RAF).

შუა აღმოსავლეთში განვრთნილმა ტერორისტებმა ასევე წამოიწყეს კამპანიები ევროპის მასშტაბით, „პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტი“ (PFLP) ორიენტირებული იყო თვითმფრინავების გატაცებაზე. იყვნენ სხვა ჯგუფებიც, რომლებმაც 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე თავდასხმა განახორციელეს (შავი სექტემბერი); ასევე, 1975 წელს მძევლების აყვანა „ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის“ (OPEC) შეხვედრაზე ვენაში („არაბული რევოლუციის ფრთა“). ტერორისტული ქსელებიც საერთაშორისო მასშტაბის ხდებოდა: „იაპონიის წითელი არმიისა“ და „გერმანიის წითელი არმიის ფრაქციის“ წევრები წვრთნებს „პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტის“ ბანაკებში გადიოდნენ. იმავე პერიოდში „იაპონიის წითელმა არმიამ შემოიტანა „კამიკაძე“ თავდასხმების - ე. წ. თვითმკვლელი აფეთქების ცნება ტერორისტული ძალადობის აქტებში.

სტრატეგიულ მიზნებზე თავდასხმის შესაძლებლობის განვითარების გარდა, „ირლანდიის დროებითმა რესპუბლიკურმა არმიამ“ გაიუმჯობესა ტაქტიკური და ტექნიკური კომპეტენცია: 1979 წელს თვრამეტი ბრიტანელი ჯარისკაცი დაიღუპა ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის ორმაგი დისტანციური დეტონაციისა და ცეცხლსასროლი იარაღით ბრძოლისას უორენპოინტში, რაც დღეს ცნობილია, როგორც „კომპლექსური თავდასხმა“. 1987 წლისთვის „ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმია“ უკვე დახელოვნებული იყო სატვირთო ავტომობილში დამონტაჟებული ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობებით პოლიციის ბაზებზე სისტემატური შეტევების განხორციელებაში, რასაც მოსდევდა ქვეითების თავდასხმა. ეს ტენდენ-ცია მოგვიანებით შესუსტდა დაზვერვის ინფორმაციის შეგროვებისა და გადამწყვეტი სამხედრო ინტერვენციების შედეგად. „ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმია“ ყოველთვის ეფექტურად ახერხებდა საზღვარგარეთიდან რესურსებისა და მხარდაჭერის მოპოვებას, ისე, რომ 1987 წელსაც კი [საფრანგეთის საზღვაო ძალებმა] დააკავეს ირლანდიისაკენ მიმავალი 150 ტონაზე მეტი იარაღითა და საბრძოლო მასალით დატვირთული გემი<sup>15</sup>.

„წითელი არმიის ფრაქცია“ ოსტატურად ახერხებდა ფინანსების მოძიებას ბანკების ძარცვის, პარტნიორული ხელშეკრულებების და, განსაკუთრებით, ეფექტური პროპაგანდისა და „ბრენდინგის“ საშუალებით, რომელიც ასახული იყო „ურბანული პარტიზანული მოძრაობის კონცეფციის“ მანიფესტში<sup>16</sup>. მიუხედავად იმისა, რომ „წითელი არმიის ფრაქციის“ პირველი თაობის ყველა ლიდერი დაპატიმრებული ან დაკავებული იყო 1972 წლის ივნისისთვის, მათი გახანგრძლივებული სასამართლოს მიმდინარეობისას „წითელი არმიის ფრაქციის“ წევრების მეორე და მესამე თაობამ მაინც მოახერხა 1975 წლის თებერვალში შვედეთში გერმანიის საელჩოს დაკავება, ფედერალური პროკურორის მკვლელობა (1977 წლის აპრილი), დრეზდენის ბანკის მმართველის მოკვლა (1977 წლის ივლისი), ესკორტისთვის ცეცხლის გახსნა და გერმანიის დასაქმებულთა ასოციაციის პრეზიდენტის გატაცება (1977 წლის სექტემბერი).

15 See, Associated Press, 'Irishmen Charged in Seizure of Tons of Weapons', 5<sup>th</sup> November 1987, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://apnews.com/article/b68cae02660499af1a766c27a4e46e60>

16 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://socialhistoryportal.org/sites/default/files/raf/en/0019710501%252520EN\\_2.pdf](https://socialhistoryportal.org/sites/default/files/raf/en/0019710501%252520EN_2.pdf)

შუა აღმოსავლეთში განვითარებულ ორ მოვლენას ასევე გრძელვადიანი შედეგები მოჰყვა. 1983 წელს მცირე „ისლამური ჯიჰადის“ მოძრაობის წევრები ახორციელებდნენ მომაკვდინებელ თავდასხმებს დანალმული „თვითმკვლელი სატვირთოებით“ გაეროს მიერ ავტორიზებული მრავალეროვნული ძალების წინააღმდეგ ლიბანში, რამაც იმსხვერპლა 241 ამერიკელი და 58 ფრანგი სამხედრო მოსამსახურე ერთ დღეში. 1980-იან წლებში აბდალა აზამი, პალესტინელი სასულიერო პირი დასავლეთ სანაპიროს (West Bank) სოფლიდან, მოხალისედ წავიდა ავღანეთში საბრძოლველად და შემდგომ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჯიჰადის მოძრაობის ინტერნაციონალიზაციაში თანამოხალისე ოსამა ბინ ლადენთან ერთად<sup>17</sup> მაქთაბ ალ-ხიდამათის შექმნით („ავღანური ძალების ბიურო“), არაბი და სხვა ეროვნების მოხალისეების რეკრუტირებისა და მათი კონფლიქტში ჩართვის მიზნით.

ცივი ომის დასრულება და საბჭოთა ბლოკის მიერ ტერორისტული ჯგუფების სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტა ტერორისტული კამპანიების დასასრულის ნიშნად მიიჩნეეს. 1990-იან წლებში განხორციელებული რამდენიმე თავდასხმა მომდევნო ათწლეულების ძალადობის ტალღის პრელუდიას წარმოადგენდა და ძალადობის დონის მნიშვნელოვან ზრდაზე მიანიშნებდა. ძველი ტერორისტული კამპანიების ახალი აქტების პარალელურად (ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებებს ჩრდილოეთ ირლანდიაში წინ უძღოდა აფეთქებები დაუნიგ სტრიტზე სპარსეთის ყურის პირველი ომის ზენიტში და მოგვიანებით დანალმული სატვირთოებით განხორციელებული თავდასხმები ლონდონის სიტიში) განხორციელებული სხვა თავდასხმები მიუთითებდა ტერორიზმის გეოგრაფიული არეალის გაფარ-თოებაზე. 1993 წელს დანალმული სატვირთოების გამოყენებით განხორციელებული თავდასხმა ნიუ იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის დანგრევის პირველი მცდელობა იყო. ალჟირში 1994 წელს Air France-ის კუთვნილი თვითმფრინავის გატაცება შეტყვევებდა ტერორისტებს სამგზავრო თვითმფრინავების გატაცების მიმდინარე შესაძლებლობაზე. იმავე წელს „აუმ შინრიკიოს კულტმა“ მაცუმოტოში განახორციელა მცირემასშტაბიანი აქტი ზარინის აეროზოლის გამოყენებით, რაც წინ უძღოდა 1995 წელს ტოკიოს მეტროს სამ ხაზზე ზარინის გაშვებით მოწყობილ მასობრივ თავდასხმას, რომლის შედეგადაც გარდაიცვალა 13 და დაშავდა 6500 ადამიანი. ოკლაჰომაში ალფრედ პ. მარას სახელობის ფედერალური შენობის აფეთქებამ 1995 წელს იმსხვერპლა 168 ადამიანი და იმ დროისთვის აშშ-ის ისტორიაში შიდა ტერორიზმის ყველაზე სისხლიანი აქტი იყო. ამის შემდგომ, 1998 წელს, ერთდროული აფეთქებების შედეგად აშშ-ის საელჩოებში - კენიასა და ტანზანიაში - დაიღუპა 224 და დაშავდა 4500 ადამიანი. ეს აფეთქებები მალევე დაუკავშირდა ალ-კაიდას ქსელს.

ზემოხსენებულ თავდასხმებს შორის აღსანიშნავია 1994 წლის შობის ღამეს Air France-ის თვითმფრინავის გატაცება ალჟირში, რამდენადაც გამტაცებლებს არ გამოუქვეყნებიათ რაიმე სახის მოთხოვნები, არც მძევლებზე მოლაპარაკებები დაუწყიათ. ამის ნაცვლად გამტაცებლებმა მოითხოვეს, რომ მათთვის საფრანგეთში ჩაფრენის ნება მიეცათ. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამტაცებლებმა სამი მძევალი მოკლეს. თუმცა, თვითმფრინავს სანჯავი შევსებული არ ჰქონდა, რის გამოც მოახერხა მხოლოდ ხმელთაშუაზღვის გადაფრენა და მარსელამდე ჩაღწევა, სადაც ეროვნული ჟანდარმერიის ინტერვენციის ჯგუფმა (GIGN) მძლავრი შეტევა განახორციელა თვითმფრინავზე. ამის შემდგომ საფრანგეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ გამტაცებლებს განზრახული ჰქონდათ თვითმფრინავის გამოყენება პარიზზე თვითმკვლელი შეტევის განსახორციელებლად<sup>18</sup>. ეს თავდასხმა განსაზღვრავდა ახალ ერას, რომელშიც საჭირო გახდა იტალიაში 2001 წლის ივლისში გამართული დიდი რვიანის კონფერენციისთვის საპაერო თავდაცვის ძალების მობილიზება.

რეკრუტირების პროცესები, ასევე, საერთაშორისო ხასიათს იღებდა. მაქთაბ ალ-ხიდამათის ბიუროს მსგავსად, რომელიც საერთაშორისო რეკრუტებს ავღანეთში იწვევდა (მათ შემდგომში განაგრძეს ოპერაციების კონსოლიდაცია-გაფართოება ალ კაიდას ეგიდით), ლონდონის ფინსტერის პარკის მეჩეთიც რადიკალიზაციის ახალ ცენტრად იქცა, რომელიც აკავშირებდა რეკრუტირების პროცესებს ალჟირში, ჩეჩნეთსა და იემენში და ავრცელებდა პროპაგანდისტულ მასალებს თითოეული ქვეყნიდან<sup>19</sup>.

17 Thomas Hegghammer, *The Caravan: Abdallah Azzam and the Rise of Global Jihad*, (CUP: 2020).  
18 Peter Taylor, 'The Age of Terror', BBC World Service, May 2008. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://www.bbc.co.uk/worldservice/documentaries/2008/05/080617\\_age\\_of\\_terror\\_three.shtml](https://www.bbc.co.uk/worldservice/documentaries/2008/05/080617_age_of_terror_three.shtml)  
19 იხ., მაგალითად, Jason Burke, 'All eyes on Britain as terror war accelerates', *The Observer*, 26<sup>th</sup> January 2003, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.theguardian.com/uk/2003/jan/26/terrorism.immigrationpolicy>

ალკაიდას მიერ ნიუ-იორკის მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის დანგრევა ახლა კარგად დოკუმენტირებულია, თუმცა სამართალდამცველი სამსახურების უუნარობამ, რომ ემოქმედათ საეჭვო აქტივობის შესახებ დაზვერვის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, გაეთვალისწინებინათ სხვადასხვა ქვეყნის დაზვერვის მიერ მოპოვებული მონაცემები გადანყვეტილებების მიღების პროცესებში და შეენარ-ჩუნებინათ მინიმალური ევროპული უსაფრთხოების სტანდარტები აეროპორტებში, შექმნა ისეთი გარემო, რომლის გამოყენებაც ადვილად შეეძლოთ ამბიციურ ტერორისტულ ქსელებს.

ამ პერიოდში სახელმწიფოები იძულებულიები გახდნენ შეემუშავებინათ ტერორი-სტულ საფრთხეებთან გამკლავების კომპეტენცია, რამდენადაც თავდასხმების პოტენციური მასშტაბი ბევრად აღემატებოდა მანამდე არსებულს, რაც აისახა კომერციული თვითმფრინავების, ინფრასტრუქტურისა და მსხვილი სატრანზიტო ცენტრების წინააღმდეგ წარუმატებელი თუ ჩაშლილი სცენარების რაოდენობაში. დონორების მიერ უხვად დაფინანსებულმა ალ კაიდამ ხელი შეუწყო და წაახალისა შვილობილი ტერორისტული ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო მასშტაბით აფეთქებების სერიების განხორციელება, მათ შორის, ბალიში 2002 წელს (204 გარდაცვლილი), მადრიდში 2004 წელს (191 გარდაცვლილი) და ლონდონში 2005 წელს (56 გარდაცვლილი). მიუხედავად იმისა, რომ მოხალისეებს აღარ შეეძლოთ ავღანეთში გამგზავრება ალ კაიდას მეთაურებთან (მაღალი რანგის პირებთან) შეხვედრის, თავდასხმების დაგეგმვისა და წვრთნის მიზნით და იმის გათვალისწინებითაც, რომ ზოგიერთი მოხალისე ერაყში გადავიდა და აბუ მუსაბ ალ-ზარკავის ორგანიზაციას („ალ კაიდა ორი მდინარის ქვეყანაში“) შეუერთდა, ალ კაიდას საერთაშორისო ქსელების გავლენის შესუსტებას კიდევ დაახლოებით ათი წელი დასჭირდა.

საერთაშორისო ტერორისტული ძალადობის საბოლოო მიზნების მიღწევითვის, შემდეგი ფაზის სამიზნე ევროპაში მცხოვრები მარგინალიზებული ახალგაზრდობა გახდა. ალ-ზარკავის სიკვდილიდან ოთხი წლის შემდეგ ხელმძღვანელობა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის ხელში გადავიდა, რომელმაც ორგანიზაციას სახელი შეუცვალა და „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ (IS), დაეწო უწოდა. ალ-ბაღდადიმ სწრაფად გააფართოვა ოპერაციების მასშტაბები სირიასა და ერაყში და გამოეყო ალ კაიდას 2013 წლისთვის. სოციალური მედიის არხების საშუალებით, დაეშმა დაიწყო რეკრუტების აქტიურად გადაბირება ევროპიდან და აზიიდან და მათი დასახლება მის მიერ კონტროლირებად ფართო ტერიტორიებზე. მოხალისეები - ბავშვების ჩათვლით - ბელგიიდან, საფრანგეთიდან, ინდონეზიიდან, მალაიზიიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, გაერთიანებული სამეფოდან და ბევრი სხვა სახელმწიფოდან კომერ-ციული ფრენებით ჩაფრინდნენ თურქეთში და, შემდეგ, ადვილად გადალახეს საზღვარი.

ამ მოხალისეებმა დასხვა გულშემატკივრებმა, რომლებიც ინტერნეტის საშუალებით რადიკალიზდნენ, აწარმოეს მნიშვნელოვანი ტერორისტული ოპერაციები მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის, ახალი თავდასხმები ევროპაში - 2015 წლის იანვარში (12 გარდაცვლილი) და 2015 წლის ნოემბერში (137 გარდაცვლილი) პარიზში, ბრიუსელში 2016 წლის მარტში (35 გარდაცვლილი), და ნიცაში 2016 წლის ივლისში (87 გარდაცვლილი). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაემის შვილობილებმა შეაღწიეს შუა აღმოსავლეთს მიღმა - კავკასიაში, აღმოსავლეთ აზიაში, მოზამბიკში, საჭელსა და დასავლეთ აფრიკაში. მათი აგრესიული უნარები კარგად გამოვლინდა ბუნებრივი აირის ობიექტებისა და იქ მყოფი პერსონალის განადგურებაში (ალჟირი და მოზამბიკი), ბავშვების მასიურ გატაცებებში (ნიგერია) და აშშ-ის განსაკუთრებული დანაყოფების განადგურებაში (ნიგერი).

ამ გარემოში თანამედროვე ტერორისტები სარგებლობენ დაშიფრული კომუნიკაციე-ბით, პროპაგანდისთვის ხელმისაწვდომი ფართო ონლაინ აუდიტორიით, სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ სალაფიტური/ვაჭაბიტური ჟიჰადისტების ჯგუფების უხვი დაფინანსებით, საერთაშორისო დონეზე კომპეტენტური კადრის სიმწირით და დაემის შვილობილების წინააღმდეგ სახმელეთო ძალებით გადამწყვეტი ჩარევის განხორციელებისადმი ინტერესის არარსებობით. ყოველი ახალი ჯგუფი ეყრდნობა მათი წინამორბედების მიერ 1970 - 80-იან წლებში ჩაყრილ საფუძვლებს და ასე გაგრძელდება, სანამ ერთი ან მეტი სახელმწიფო არ გადანყვეტს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენოს ტერორისტების აქტივობებსა და მათ ხელთ არსებულ შესაძლებლობებს.

## თანამედროვე ტერორიზმის ძირითადი მახასიათებლები – ორგანიზაციული სტრატეგიები

ეფექტურ და მდგრად ტერორისტულ ჯგუფებს აქვთ სტრატეგიული მიდგომა სხვადასხვაგვარი ოპერატიული გამოწვევისადმი, რასაც 1990-იანი წლების მიწურულს სათანადოდ ვერ აფასებდნენ. წინამდებარე ნაწილი აღწერს იმას, რასაც შეიძლება ეწოდოს ტერორისტული ჯგუფების მენეჯმენტის სტრატეგიები, სანამ განვიხილავდეთ ტერორისტების სტრატეგიულ ამოცანებს მომდევნო ნაწილში.

### სამხედრო სტრატეგია

უმთავრესად 1990-იან წლებში ჩატარებულმა დეტალიზებულმა კვლევამ წარმოაჩინა, თუ როგორ მოახერხა „ირლანდიის დროებითი რესპუბლიკურმა არმიამ“ (ალბათ გასაკვირიც არ იყო ირლანდიის რესპუბლიკის არმიის სამხედრო საბჭოს ხანგრძლივი ტრადიციის გათვალისწინებით), ჰქონოდა ყოვლისმომცველი სამხედრო სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა დაძაბულობას სხვადასხვა წევრის იდეოლოგიურ შეხედულებებს შორის, პოლიტიკას, სტრატეგიულ კომუნიკაციებსა და, ასევე, ორგანიზაციის შიგნით კონტრტერორისტული ოპერაციების შედეგად გაჩენილ სისუსტეებს<sup>20</sup>. ეს სტრატეგია განსაზღვრავდა წარმართული ოპერაციების ტიპებსა და მათ სიხშირეს, ასევე, ხელს უწყობდა ადაპტაციას, რაც საჭირო იყო დიდი ბრიტანეთის კუნძულზე აფეთქებების კამპანიების განსახორციელებლად და მოიცავდა მზარდი რაოდენობის კომპლექსურ თავდასხმებს 1980-იანების შუაში სოფლების პოლიციის განყოფილებებზე, სამხედრო ავტოკოლონაზე 1970-იანი წლების ბოლოს მოპოვებული თავდაპირველი წარმატების შემდგომ; ტერორისტების სამიზნე მოიცავდა ლოგისტიკის ჯაჭვს, პატრულირების მარშუტებსა და ფორმატებს, ასევე, მაღალი დონის პოლიტიკურ ფიგურებს. [სახელმწიფოს] სამხედრო სტრატეგია ადაპტირდა - შეიზღუდა სხვადასხვა სამხედრო ოპერატიული აქტივობა სამართალდამცველების ხელშეწყობის მიზნით ნაცვლად იმისა, რომ თავად განხორციელებინათ სამართალდაცვითი საქმიანობა, რომლისთვისაც არც განვრთნილები იყვნენ და არც შესაბამისად აღჭურვილნი.

### ტექნიკური სტრატეგია

მეორე, ნებისმიერი ეფექტური ტერორისტული ჯგუფი ქმნის ორგანიზაციის შიდა ტექნიკურ კომპეტენციებს, რაც ხელს შეუწყობს ტერორისტული თავდასხმების დაგეგმვასა და განხორციელებას. შეიარაღების სისტემებზე, ტექნიკაზე, კონტრაბ-ვერვასა და ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის განთავსების საქმეში წვრთნის კომპეტენცია დიდი ხანია არსებობს სხვადასხვა ტიპის ბომბის, ფურცლოვანი ჯავშნის სანინააღმდეგო კუმულაციური მუხტისა და შენიღბული ნაღმების შექმნისთვის საჭირო ინოვაციური უნარების დახვეწის პარალელურად. გაერთიანებულ სამეფოსა და დასავლეთ ევროპაში „ირლანდიის დროებითი რესპუბ-ლიკური არმიის“ კამპანიები ზემოთქმულის ნათელი დადასტურება იყო, თუმცა, ისლამურმა სახელმწიფომ ინოვაცია ახალ დონეზე აიყვანა სპეციალურად გამოყოფილი ბიუჯეტითა და დროებით მიერ ტრანსპორტირებადი ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების (DBIED) დამზადების მასწარმოების ხაზით, კომპეტენცია, რომელიც განვითარდა ტრანსპორტში განთავსებული ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების (VBIED)<sup>21</sup> მასწარმოების პარალელურად. მნიშვნელოვანი ლოგისტიკური გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით მომარაგებასა და მის შენახვას, ასევე, ახალი ასაფეთქებელი საშუალებების შექმნა მოითხოვს სპეციალურად ფორმირებულ შიდა ტექნიკურ უნარებს, მაშინაც კი, თუ ტერორისტულ ჯგუფს სახელმწიფო დონის მომწოდებლები ჰყავს.

20 M. L. R. Smith, *Fighting for Ireland? The Military Strategy of the Irish Republican Movement*, Routledge, 1995.

21 ტერორისტული ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომი ტექნოლოგიური საშუალებების ზოგადი მიმოხილვისთვის, იხილეთ, მაგალითად, Afzal Ashraf and Anastasia Filippidou, *Terrorism and Technology*, NATO Centre of Excellence Defence Against Terrorism, 2017, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.tmmm.tsk.tr/research.html>

## ფინანსების მოზიდვის სტრატეგია

მესამე, ტერორისტების მიდგომა ფინანსების მოზიდვისადმი მრავალმხრივია. სახელმწიფო დაფინანსების პირობებშიც კი, ტერორისტული ჯგუფი დახელოვნებულია გარე ფინანსების მოძიებაში (Noraid ჩრდილოეთ ამერიკაში „ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმიისთვის“ ისინი ქმნიან საკუთარ კაპიტალს კონტრაბანდული და ტრეფიკინგის ოპერაციების კონტროლით (დიზელის სანჯავი და სიგარეტი „ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმიისთვის“ ირლანდიაში, ალ-შაბაბის ნახშირის კონტრაბანდა სომალში), გადასახადის (ან შეწირულობის) გამოძალვით მოსახლეობისგან (ალ შაბაბი სომალში) ან ბანკის ძარცვით (ბოლშევიკების მიერ განხორციელებული „ქონების ჩამორთმევა“ (კონფისკაცია) ჰელსინკსა და თბილისში<sup>22</sup>, „წითელი არმიის ფრაქცია“ - დასავლეთ გერმანიაში). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მოსახერხებელია ტერორისტული ჯგუფების დაფინანსება ავსხნათ მათი „სამენარმო“ აქტივობის, შესაძლებლობისა და საშუალებების განვითარებითა თუ რეკრუტირების ზრდით, არასასურველი რეალობა ისაა, რომ სახელმწიფო დაფინანსება კვლავ კრიტიკული მნიშვნელობის ფაქტორია ძირითადი ტერორისტული ჯგუფების გადარჩენისა და ტერორისტული მოძრაობების გაფართოებისთვის და ბევრად უფრო ფართო რევოლუციურ და სახელმწიფო / საემირო მოძრაობებად ჩამოყალიბებისთვის 1970-იანი წლებიდან მოყოლებული. ეფექტური ტერორისტული ჯგუფები ყოველთვის სარგებლობდნენ სახელმწიფოს მხარდაჭერით („ირლანდიის დროებითი რესპუბ-ლიკური არმია“ ლიბიისგან, „ირლანდიის რესპუბლიკის ოფიციალური არმია“ (OIRA) საბჭოთა კავშირისგან, „წითელი არმიის ფრაქცია“ აღმოსავლეთ გერმანიისა და საბჭოთა ბლოკისგან) ან საერთოდაც სახელმწიფოს მითითებებით მოქმედებდნენ. ზოგიერთმა ტერორისტულმა ჯგუფმა ისარგებლა მსხვილი კერძო ფულადი შეწირულობებისგან, რომლებიც სახელმწიფო მხარდაჭერის ტოლფასია (ალ კაიდა, თალიბანი, ლაშქარ-ე-თაიბა)<sup>23</sup>.

## ტერიტორიული სტრატეგია

ტერორისტები ხშირად ცდილობენ ტერიტორიის გაკონტროლებას, იქნება ეს ქუჩა, რაიონი თუ რეგიონი. იქნება ეს გაცხადებული პოლიტიკა - როგორცაა მაგალითად დაეშის მიერ შარიათის კანონის თავისებური ვერსიის აღსრულება ყოფილ საამიროში - ან სივრცის გაკონტროლების დემონსტრირების სავარჯიშოები - როგორც მაგალითად სადამსჯელო ცემის ან „მუხლებში სროლის“ გამოყენება ახალგაზრდებს შორის ნარკოტიკების გამსაღებლებისა და სხვა წვრილმან კრიმინალების წინააღმდეგ ჩრდილოეთ ირლანდიაში - ტერორისტებს შეუძლიათ იქცნენ დე ფაქტო ხელისუფლებად იქ, სადაც მათ წინააღმდეგობას ვერ უწევენ. როგორც ზოგიერთი კრიმინალური ჯგუფის შემთხვევაში, კონტროლის მსგავსი ფორმის გამოყენება შესაძლებელია საპატიმრო დაწესებულებებშიც. ზოგჯერ შენობის ან შენობების კონტროლი საკმარისია არარეგულირებული სივრცის შესაქმნელად, რომელშიც რადიკალიზაცია და დაგეგმარება შეიძლება წარიმართოს ერთ ან მეტ ქვეყანაში განსახორციელებელი ოპერაციებისთვის, როგორც მოხდა ლონდონის ფინსბერის პარკის მეჩეთის შემთხვევაში. ზოგიერთი ტერორისტული ჯგუფის მიერ კონტროლირებული სივრცეები შეიძლება მცირე იყოს, მაგრამ მათი კონტროლი მთავრობას საშუალებას ართმევს უზრუნველყოს სხვადასხვა მომსახურება და აღასრულოს კანონი. ნებისმიერი სივრცე, რომელშიც ტერორისტები არ ექვემდებარებიან ზედამხედველობას - იქნება ეს ავღანეთი, სირია თუ სანკრთნელი ბანაკები შუა აღმოსავლეთში 1970-იან წლებში - ხელს უწყობს ტერორისტული შესაძლებლობების დაჩქარებულ განვითარებას.

## კომუნიკაციების სტრატეგია

ეს მიდგომები ასაზრდოებს დანარჩენ სტრატეგიულ ელემენტებს - კომუნიკაციასა და რეკრუტირებას. ტერორისტულმა ჯგუფებმა დაამტკიცეს, რომ კარგად გამოსდით პროპაგანდის შექმნა, იქნება ეს პამფლეტების („წითელი არმიის ფრაქციის“ „ურბანული პარტიზანული დაჯგუფებების კონცეფცია“),

22 საინტერესოა, რომ თბილისში ბოლშევიკების მიერ 1907 წელს ბანკის ძარცვის შემთხვევის აღწერისას „ნიუ იორკ თაიმზის“ თანამედროვე სტატია ახსენებს სიტყვას „ტერორისტები“ და არა „ბანკის მძარცველები“. იხილეთ: <https://www.nytimes.com/1907/06/27/archives/bomb-kills-many-170000-captured-missile-thrown-by-terrorists-at-a.html>

23 იხილეთ, მაგალითად, 'Wikileaks: Saudis 'chief funders of Sunni militants'', BBC News, 5<sup>th</sup> December 2010, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.bbc.com/news/world-middle-east-11923176>



პატიმრების პოლიტიკური სტატუსის აღიარებისთვის გამართული კამპანიების (1981 წელს „ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმიის“ მიერ მოწყობილი შიმშილობა) ან უბრალოდ იმის საშუალებით, რასაც „ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმია“ და მათი პოლიტიკური ფრთა სინ ფეინი (Sinn Fein) „სანახაობებს“ (spectaculars) ეძახდნენ: უზარმაზარი ბომბები, რომლებიც ანგრევდა არასამხედრო მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურას, იქნებოდა ეს ღირსშესანიშნავი ნაგებობები თუ კომერციული ცენტრები. ტერორისტულ ჯგუფებს, ასევე, შეუძლიათ გამოიყენონ სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სახის გადამეტებული რეაქცია პროპაგანდის მიზნებისთვის, იქნება ეს სამოქალაქო პირების სიკვდილი პროტესტების დროს, არაადამიანური წამება თუ დამამცირებელი მოპყრობა პატიმრობაში ან დაკავება სასამართლოს გარეშე.

მდგრადი და მარტივი ხატოვანების თვალსაზრისით, ტერორისტული ჯგუფების კედლის გამოსახულებები ჩრდილოეთ ირლანდიაში ახლა ტურისტული სანახაობაა<sup>24</sup>. ამისდა მიუხედავად, ძალადობრივი სურათები ყოველთვის იყო ტერორისტული აქტივობების ცენტრალური ელემენტი 1970-იანი წლებიდან მოყოლებული: იქნება ეს საჯარო მოხელეების მკვლელობის, გატაცებების, სამგზავრო თვითმფრინავების აფეთქების თუ განადგურებული ტრანსპორტის ამსახველი მასალა. აგრესიული ძალადობის სხვადასხვა ხატი ახლა დომინანტურია ტერორისტების კომუნიკაციასა და სოციალური მედიის არხებში და, იმისდა მიუხედავად, თუ როგორი ინტერპრეტაცია ექნება ამას - ნედლი პროპაგანდის თუ მომხრეების გადმოხიზებაზე და ტერორისტულ საქმიანობაში მათ აქტიურად ჩართვაზე გათვლილი სტრატეგიული გზავნილების - პირდაპირ კვებას რეკრუტირების პროცესებს.

## რეკრუტირების სტრატეგია

რეკრუტირების თვალსაზრისით, ზოგჯერ, განსაკუთრებით ტერორისტული მოძრაობის დაწყებისას, ტერორისტებისთვის უფრო ადვილი იქნება მოხალისეების მოზიდვა ნებისმიერ მარგინალიზებულ, უფლებანართმეულ, პოლიტიკური თუ ხმის უფლებების არმქონე ან უმუშევარი ხალხის ჯგუფებიდან. სახელმწიფოს მოქმედებებს ამ პროცესის დაჩქარება შეუძლია. სხვადასხვაგვარ კავშირებს, იქნება ეს სათემო, ოჯახური, ეთნიკური თუ რელიგიური - შეუძლია ხელი შეუწყოს რეკრუტირებას. როგორც წესი, ასეთი კავშირები ადგილობრივი ან რეგიონულია, მაგრამ, ასევე, შეიძლება გულისხმობდეს ზოგიერთ მხარდამჭერსა თუ თანამოაზრეს დედაქალაქისა თუ საერთაშორისო დონეებზე.

თუმცა დღეს, მიზნობრივმა ონლაინრადიკალიზაციამ, სოციალური მედიის გამოყენებით, ბევრად უფრო ფართო საერთაშორისო საზოგადოებასა და პოტენციური, განსაკუთრებით ახალგაზრდა რეკრუტების მზარდ რაოდენობაზე მოიპოვა წვდომა. ონლაინრეკრუტირებასა და სამიზნე მოწყვლადი ჯგუფების და ინდივიდებისადმი გზავნილების ფორმირებაში საკმაოდ დიდი დრო და რესურსები იდება, რაც ემსახურება მათი უკმაყოფილების გამწვავებას და ამბიციების ხელშეწყობას; თანამედროვე რადიკალიზაციის უგულებელყოფილი განზომილებაა დაემის ზოგიერთ რეკრუტის არამხოლოდ მატერიალური, არამედ ფსიქოლოგიური მოტივაცია: ქალი ბრიტანელი რეკრუტები ხაზს უსვამდნენ ქვრივობის მატერიალურ სარგებელს, როდესაც მეუღლე იყო „წამებული“<sup>25</sup>. ონლაინრეკრუტირების წარმატება კარგად ჩანს იმ ფაქტშიც, რომ ევროკავშირის 3000-დან 5000-მდე მოქალაქე გაემგზავრა სირიაში 2015 წლის იანვრისთვის<sup>26</sup>, ხოლო ეუთოს სახელმწიფოების 10000 მოქალაქე წავიდა სირიაში 2017 წლისთვის<sup>27</sup>.

24 Rachel Hall, “‘Troubles Tourism’: Should Derry be celebrating its political murals?”, The Guardian, 12<sup>th</sup> August 2019, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.theguardian.com/cities/2019/aug/12/troubles-tourism-should-derry-be-celebrating-its-political-murals>

25 Nabeelah Jaffer, ‘The secret world of Isis brides: ‘U dnt hav 2 pay 4 ANYTHING if u r wife of a martyr’’, The Guardian, 24<sup>th</sup> June 2015, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.theguardian.com/world/2015/jun/24/isis-brides-secret-world-jihad-western-women-syria>

26 Piotr Bakowski and Laura Puccio, ‘Briefing: ‘Foreign Fighters’ – Member States’ responses to EU action in an international context, European Parliamentary Research Service, February 2015, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.europarl.europa.eu/EPRS/EPRS-Briefing-548980-Foreign-fighters-FINAL.pdf>

27 იხილეთ, მაგალითად, United States Mission to the OSCE, ‘Response to OSCE Chairperson-in-Office Sebastian Kurz, Special Representative of the Chairperson-in-Office on Countering Radicalization and Violent Extremism Professor Peter Neumann, and OSCE Secretary General Thomas Greminger, As delivered by Acting Deputy Chief of Mission Michele Siders to the Permanent Council, Vienna’, 29<sup>th</sup> September 2017, p. 2., ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/files/f/documents/a/d/351106>.

ტერორისტული ჯგუფებიც საგულდაგულოდ იკვლევენ რეკრუტებს, რადგან ყველას ერთნაირი უნარები არ აქვს: ალ კაიდა მაშინდელი სამხედრო მეთაურის, მოჰამედ ატეფის, მიერ რეკრუტირებული მოჰამედ ატა, რომელიც 9/11-ის თავდასხმებში მთავარი მოქმედი პირი იყო, ოსამა ბინ ლადენს წარუდგინეს ავღანეთში 1999 წელს. ბინ ლადენმა და ატეფმა იცოდნენ, რომ მათ ჰყავდათ რეკრუტი, რომელსაც შეეძლო მსხვილმასშტაბიანი ოპერაციის მართვა და მაშინვე გაგზავნეს ატა 9/11-ის სცენარის ორგანიზატორ ხალიდ შეიხ მოჰამედთან კარაჩიში. მასობრივი ონლაინრეკრუტირება დღესდღეობით ეფექტურ ტერორისტულ ჯგუფებს განვითარების დაჩქარებისა და მთელი ორგანიზაციის მასშტაბით უნარებისა და შესაძლებლობების დივერსიფიცი-ცირების საშუალებას აძლევს, ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე 20 წლის წინ იყო შესაძლებელი.

ონლაინრადიკალიზაციამ, ასევე, გამოიწვია ტერორისტების ინდივიდუალური ან მცირე დანაყოფების სპონტანური გამოჩენა, რაც არეულობას და მღელვარებას იწვევს ცივი თუ ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობის მიყენების შემთხვევებით, სატრანსპორტო საშუალებების შეჯახებით განხორციელებული თავდასხმებითა და აფეთქებებით, როგორცაა მანჩესტერ არენაზე თავდასხმა 2017-ში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კომპლექსური სცენარი ჯერ კიდევ მოიცავს პირისპირ შეხვედრებს ჯგუფებსა და რეკრუტებს შორის, თანამედროვე მემარჯვენე ნეონა-ცისტური რეკრუტირება კვებავს გაუცხოებისა და ილუზიების მსხვერვის შეგრძნებებს - მაგალითად, ავსტრალიელი ტერორისტის შემთხვევა, რომელიც შთააგონა ინტერნეტში არსებულმა ექსტრემისტულმა ფორუმებმა ორ მეჩეთზე თავდასხმის-თვის ახალ ზელანდიაში 2019 წელს.

### თანამედროვე ტერორიზმის სტრატეგიული ამოცანები

ისტორიულად, ტერორისტული მოძრაობების უმეტესობას ეროვნული ფოკუსი ჰქონდა. სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მდებარე ტერორისტულ დანაყოფებს შორის დროებითი ან ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაყრდნობით შექმნილი ალიანსი იშვიათი იყო და, როგორც წესი, მიზნად ისახავდა საერთო მიზნისაკენ სვლას ან ტექნიკური ცოდნა-გამოცდილების გაზიარებას. ალ კაიდას, შემდეგ კი დაეშისა და მისი თვითაღიარებული ფრანშიზული წარმონაქმნებისა და შვილობი-ლების<sup>28</sup> გამოჩენასთან ერთად ცხადი გახდა, რომ ზოგიერთი ტერორისტული დაჯგუფება ცდილობს მთელ მსოფლიოზე წვდომის მოპოვებას უფრო სწრაფად, ვიდრე ეს შესაძლებელი ჩანდა.

თანამედროვე ტერორისტების სხვადასხვა სტრატეგიული ამოცანის განხილვისას და თავად სახელმწიფოების შესაფერისი კონტრტერორისტული სტრატეგიების განხილვის მიზნით, შესაძლებელია მათი ზოგადი თვისებების - როგორც გამოწვევების, ასევე, საპასუხო რეაქციების მოკლედ შეჯამება „სტრატეგიული ტერორიზმის“ კონტექსტში - ფორმატი, რომლის ფარგლებშიც ტერორისტები ცდილობენ აგრე-სიულად დააჩქარონ კამპანიები ცნობადობისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რაც მათი მიზნების შესრულებისთვის გადამწყვეტია. ეს თანამედროვე მცდელობა ეყრდნობა წინა ტერორისტული კამპანიების გამოცდილებას.

თანამედროვე „სტრატეგიული ტერორიზმი“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც ჯგუფის ძალისხმევა, გამოიყენოს ტერორიზმი, როგორც სტრატეგიის ქვაკუთხედი („სტრატეგიული ტერორისტები“), რათა გვერდი აუაროს როგორც მასობრივ აგიტაციას, ასევე, დაჯგუფებებისა და რევოლუციური ომის თეორიის სამხედრო ელემენტებს იმ პრინციპით, რომ მხოლოდ სიმბოლური ძალადობის გამოყენება - და მისი ფართო გავრცელება მასმედიაში - საკმარისი იქნება სასურველი პოლიტიკური ამოცანების მისაღწევად<sup>29</sup>.

[pdf](#)  
28 დაეშის ფრანშიზული წარმონაქმნების სწრაფი განვითარების თაობაზე, იხილეთ, მაგალითად, Patrick Tucker, 'Mozambique Is Emerging As The Next Islamic Extremist Hotspot', Defense One, 6<sup>th</sup> July 2020, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.defenseone.com/threats/2020/07/mozambique-emerging-next-islamic-extremist-hotspot/166638/> ალ კაიდასა და დაეშის მიერ შექმნილი საერთო საფრთხის თაობაზე ფრანშიზული წარმონაქმნების კონტექსტში, იხილეთ, მაგალითად, Colin Clarke and Jacob Zenn, 'ISIS and Al-Qaeda's Sub-Saharan Affiliates Are Poised for Growth in 2021', Defense One, 26<sup>th</sup> February 2021, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.defenseone.com/ideas/2021/02/isis-and-al-qaedas-sub-saharan-affiliates-are-poised-growth-2021/172313/>

29 Neumann and Smith, 'Strategic Terrorism', p. 576.

ტერორისტების ოპერატიული ამოცანები ვითარდება სამ ეტაპად: დეზორიენტაცია; მიზნობრივი რეაგირება; ლეგიტიმურობის მოპოვება. დეზორიენტაციის ამოცანაა ხელისუფლების გაუცხოება მისი მოქალაქეებისგან და მოსახლეობის თვალში მთავრობის უუნაროდ წარმოჩენა. ხელისუფლებას საზოგადოება აღიქვამს, როგორც არასაკმარისად უნარიანს მზარდად ქაოტურ სიტუაციასთან გამკლავების თვალ-საზრისით.

მეორე, მიზნობრივი რეაგირების მხრივ, ტერორისტების ამოცანას წარმოადგენს აიძულონ ან წაახალისონ მთავრობა ისეთი საპასუხო მოქმედების განხორციელებაზე, რომლებიც ხელს უწყობს ამბოხებულთა მიზანს. ასეთ დროს, როგორც წესი, ხდება მთავრობის პროვოცირება ისეთი ქმედებების ჩადენისკენ, რომლებიც უკანონო ან ითვლება რეპრესიულ ან გადამეტებულ რეაგირებად და ძირის უთხრის პოლიტიკურ ზომიერებას.

მესამე, იმისთვის, რომ მოიპოვონ ლეგიტიმურობა გაუცხოებულ ან უკმაყოფილო სოციალურ, ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებში, ტერორისტები ძალადობრივი აქტის ემოციურ ზემოქმედებას იყენებენ, რაც ალტერნატიული პოლიტიკური გზავნილის შემოტანასა და მხარდამჭერების მოზიდვაში ეხმარებათ, ხშირად მედიის ან პოლიტიკური ფრონტის ორგანიზაციების საშუალებით<sup>30</sup>. ამ თვალსაზრისით, განმზიდველი და მიმზიდველი ფაქტორები გამოიყენება ტერორისტების მიერ რეკრუტირების დაჩქარება-წახალისებისთვის.

ეს არის ის კონტექსტი, რომელშიც ეს სახელმძღვანელო განიხილავს შიდა და საერთაშორისო ტერორისტულ საფრთხეებს. მომდევნო თავები აღწერს ეფექტური სახელმწიფოს ბუნებას - და ერთიან საზოგადოებრივ პასუხს ამ საფრთხეებზე.

---

30 Neumann and Smith, 'Strategic Terrorism', p. 590.

# მეორე თავი: კონტრტერორიზმის გამონვევები დემოკრატიულ სახელმწიფოში

## შესავალი

ტერორიზმთან ბრძოლა და საბოლოოდ მისი დამარცხება შეუძლებელი იქნება, თუ საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად გამოყენებული საშუალებები არ თანხვდება ადამიანის უფლებების სტანდარტებს... ამგვარი მიდგომა არ გულისხმობს თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაბალანსებას და არ მოიაზრებს, რომ თავისუფლებისა თუ მის გარკვეული ასპექტების დათმობა შეიძლება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად... კონტრტერორიზმის ტაქტიკა, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებების შესახებ კანონს, შეიძლება საბოლოოდ გამოცხადდეს უკანონოდ, რამდენადაც იგი გამოიწვევს დაუსაბუთებელ ბრალდებებსა და განაჩენის შეცვლას. კონტრტერორიზმის ინსტრუმენტები, რომლებიც არ თანხვდება ადამიანის უფლებებს, მაშასადამე, უნდა გამოცხადდეს არაეფექტიანად<sup>31</sup>.

გამომდინარე იქიდან, რომ დემოკრატიული ქვეყნები ღია საზოგადოებას წარმოადგენენ, ავტომატურად მოწყვლადები არიან მრავალი სახის ტერორისტული აქტივობის წინაშე. ლოგიკურია, რომ ტერორიზმი გარკვეულ გამონვევებს უქმნის დემოკრატიულ ქვეყნებს არა მხოლოდ ტერორიზმის რისკის არიდების, მართვისა და შეზღუდვის, არამედ ყველა სახის ტერორისტული აქტივობისადმი შესაფერისი დემოკრატიული რეაგირების განსაზღვრის თვალსაზრისითაც.

ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის არიდებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის უნარის განვითარებისას, დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა უნდა სცადონ, გასცდნენ სამართალდამცველი, უსაფრთხოების სამსახურებისა და შეიარაღებული ძალების მიერ უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული უნარების განვითარებას. ამის ნაცვლად, ტერორიზმის პრევენციისა თუ მასთან ბრძოლის პროცესში მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს არაორაზროვანი პოლიტიკა, სტრატეგიული და საკანონმდებლო ჩარჩოები ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ზედმინვენით განსაზღვროს სამინისტროებისა და სამთავრობო უწყებების ფართო სპექტრის ფუნქციები და ამოცანები და მიმართოს ერთიან სამთავრობო და ერთიან საზოგადოებრივ მიდგომებს პრევენციისადმი.

ეს ბოლო ეტაპი მოიცავს დაინტერესებული მხარეებისა და პრაქტიკოსების ფართო და ყოვლისმომცველი ქსელის ჩამოყალიბებას კონტრტერორისტული და ძალა-დობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროგრამების ფართო სპექტრის კოორდინირებისთვის. ისევე, როგორც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა გამონვევების შემთხვევაში, აუცილებელია, რომ საზოგადოებამ გამოიყენოს ტერო-რიზმთან ბრძოლისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის მრავალგანზომილებიანი მიდგომა. ეს თავი აღწერს რამდენიმე ძირითად საუკეთესო პრაქტიკას, რომელთა დანერგვაც შესაძლებელია დემოკრატიულ საზოგადოებებში კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის მრავალ გამონვევასთან გასამკლავებლად.

ტერორიზმი და დემოკრატიული სახელმწიფო - სისუსტეები და შესაძლებლობები

სახელმწიფო არსობრივად მოწყვლადია ტერორისტული ჯგუფებისა თუ ტერორისტი რეკრუტერების

31 OSCE ODIHR, Countering Terrorism, Protecting Human Rights, 2008, p. 20.

წინააღმდეგ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სიტყვის, გადაადგილების, ასოცირებისა თუ პირადი სივრცის ხელშეუხებლობის დემოკრატიული თავისუფლება შეიძლება ბოროტად გამოიყენონ ტერორისტულმა ჯგუფებმა, როგორც უკვე გამოიყენება საშინაო თუ საერთაშორისო კრიმინალური ქსელების მიერ. ამ სიტუაციას ამწვავებს დაბალბიუჯეტური საერთაშორისო მგზავრობის ვრცელი ქსელები, გამარტივებული სავიზო რეჟიმები ზოგიერთ სამგზავრო ცენტრში და დაძვირებული კომუნიკაციების გავრცელება, განსაკუთრებით მობილური აპლიკაციების საშუალებით. სახელმწიფომ, ასევე, წინასწარ უნდა განსაზღვროს ტერორისტების ტექნოლოგიური ინოვაციები და შეინარჩუნოს სათანადო კომპეტენცია უსაფრთხოების პრობლემების თავიდან ასარიდებლად.

სახელმწიფოები მარტივი დილემის წინაშე დგანან. თუ სახელმწიფო არ არის აქტიური / არ მოქმედებს ან, უბრალოდ, პასიურია ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ, ტერორისტებს შეუძლიათ სწრაფად გამოიყენონ სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცე თავიანთ სასარგებლოდ და განაგრძონ გაფართოება სახელმწიფოს რეაგირებამდე. იმავდროულად, სახელმწიფოები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან, თუ ისინი გადაჭარბებულ რეაგირებას გამოიჩინენ ტერორისტულ საფრთხეზე: ეჭვმიტანილებისადმი [შეუფერებელი] მოპყრობა, სასამართლოს გარეშე დაკავება, სამართლებრივი პროცესის არარსებობა, კომუნიკაციის არასანქცირებული მეთვალყურეობა, ცენზურა და სოციალური თუ ეთნიკური ჯგუფების მარგინალიზაცია შეიძლება იწვევდეს მწვავედ ნეგატიურ რეაქციას არა მხოლოდ იმ ჯგუფებისგან, რომლებიც საკუთარ თავს მთავრობის პოლიტიკის სამიზნედ ან მსხვერპლად აღიქვამენ, არამედ, ასევე, უფრო ფართო საზოგადოებისგანაც. სახელმწიფოს ხელთ არსებული ძალებისა და რესურსების გამოყენების ნაცვლად და, ასევე, იმისთვის, რომ ტერორიზმისადმი სტრატეგიული მიდგომის სწორად მართვა მოხდეს, მთავრობის გადაჭარბებული რეაგირება ხშირად იწვევს დუპლიკაციური და წინააღმდეგობრივი უფლებამოსილებებისა და კომპეტენციების შექმნას საფრთხეებზე საპასუხოდ.

„სტრატეგიული ტერორიზმის“ ძირითად მახასიათებლებს თუ გავიხსენებთ, ტერორისტები ხშირად ცდილობენ ფართო საზოგადოებაში სახელმწიფო პოლიტიკისა და პრაქტიკისადმი უარყოფითი რეაგირების გამოწვევას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის განხეთქილების შექმნას, დეზორიენტირებას და ამგვარად იძენენ ლეგიტიმურობას საზოგადოების ერთ ან მეტ სეგმენტში. სახელმწიფო უნდა იყოს უფრო მომზადებული, რათა ხელი შეუშალოს ტერორისტებს მათთვის სასურველი შედეგების მიღწევაში.

ნებისმიერი მთავრობა, განსაკუთრებით ევროპულ დემოკრატიებში, ასევე, მოწყვლადია სამართლებრივი საფრთხის კონტექსტში: რეგიონული ნორმების, კონვენციებისა თუ ხელშეკრულებების ნებისმიერ დარღვევას შეიძლება ჰქონდეს არაპირდაპირი სამართლებრივი თუ პოლიტიკური შედეგები, ასევე, კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, თუ სტანდარტები არ არის დაცული. მოვლენათა განვითარების ზოგიერთ უარეს სცენარში ერთ ქვეყანაში კანონის უზენაესობის შელახვამ შეიძლება ხელი შეუშალოს ინფორმაციისა და დაზვერვის მონაცემების გაზიარებას დემოკრატიულ ქვეყნებს შორის, როგორც, მაგალითად, სასამართლოსთვის მიუღებელია უკანონო მოქმედებების (მაგალითად, წამების) საშუალებით მოპოვებული სამხილი.

სისუსტეები - სახელმწიფოს გადაჭარბებული რეაქცია ტერორისტულ საფრთხეებზე

სახელმწიფოების გადაჭარბებულ რეაქციას ტერორისტულ საფრთხეებზე იდენტური მახასიათებლები აქვს, რაც ახლა კარგად არის დოკუმენტირებული. ამცუდი პრაქტიკის თავიდან ასარიდების საშუალებით, სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ კონტრტერორისტული და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროგრამების სანდოობა და ლეგიტიმურობა.

ტერორისტულ საფრთხეებზე რეაგირების პროცესში ზოგიერთმა სახელმწიფომ შემოიღო ზომები, რომლებმაც უკანონოდ შეზღუდა გამოხატვის, შეკრების და ასოცირების თავისუფლება, რამაც, საერთო ჯამში, გამოიწვია პროტესტის კრიმინალიზაცია, საჯარო დებატების ჩახშობა და საზოგადოების ბრაზი რეპრესიული ზომების გამოყენების ფაქტებზე. ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებული ზემოქმედების ქვეშ მოექცა თავშესაფრისა და ლტოლვილთა შესახებ კანონი და პრაქტიკა, მოხდა რა ინდივიდების უკანონო დეპორტაცია და ლტოლვილების საჩივრების არასათანადოდ განხილვა. ასევე, მოხდა რასობრივი პროფილირების დისკრიმინაციული

გამოყენება. ამგვარი ზომები, საერთო ჯამში, ტერორისტული საფრთხის შემცირების ნაცვლად, პირიქით, დიდი ხნის განმავლობაში არსებული პრობლემების გამწვავებითა და, იმავდროულად, დემოკრატიული ღირებულებების, კანონის უზენაესობისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის ძირის გამოთხრით დასრულდა<sup>32</sup>.

საშინაო საქმეთა სასამართლოების პრევენციული სამართალი, საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების, ასევე, გაეროს მექანიზმების მუშაობა დოკუმენტურად აღწერს, თუ როგორ გამოიწვია ზოგიერთმა კონტრტერორისტულმა ღონისძიებამ:

- დაკავება, ზოგჯერ გაჭიანურებული ვადით, ბრალდების გარეშე;
- დაკავების კანონიერების ეჭვქვეშ დაყენების უფლებაზე უარი;
- სამართლებრივ წარმომადგენლობაზე წვდომის უარყოფა;
- ადვოკატთან / იურისკონსულტანტთან კონფიდენციალური საუბრის მონიტორინგი;
- საიდუმლო დაპატიმრები კომუნიკაციის უფლების გარეშე; ასევე, ცუდი მოპყრობა, დაკავებული ხალხის წამებაც კი; პატიმრობის არაადამიანური და დამამცირებელი პირობები;
- გატაცება (ზოგჯერ ცნობილი, როგორც გადაცემა) სხვა ქვეყნისთვის.

აღსანიშნავია, რომ გადაცემის პროცესებში ევროპული სახელმწიფოების ჩართულობამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ოდენობის ზარალის ანაზღაურების აუცილებლობა მსხვერპლებისადმი, როცა შესაბამისი ვალდებულება განისაზღვრა სასამართლო პროცესის შედეგად<sup>33</sup>.

ისეთ გარემოებებში, რომლებშიც პოლიციის ან უსაფრთხოების ნებისმიერი სხვა სამსახურის მიერ ძალის გამოყენება შეიძლება განხეთქილების მიზეზი აღმოჩნდეს ადგილობრივი თემების დონეზე, ასევე, სხვა შემთხვევებშიც, როგორებიცაა პროტესტები, უსაფრთხოების სექტორის ერთი ან მეტი წარმომადგენლის მხრიდან განხორციელებულმა ნებისმიერმა საკამათო აქტმა შეიძლება, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, სავალალო შედეგების წინაშე დააყენოს. რამდენადაც სახელმწიფოს საერთო რეაგირება ტერორისტულ საფრთხეებზე გავლენას ახდენს უკმაყოფილების დონეზე და განსაზღვრავს საზოგადოების ნდობას სახელმწიფოსადმი, აუცილებელია დეტალურად დაიგვეგმოს ტერორიზმზე რეაგირების ზომიერება. სახელმწიფოს კონტრტერორისტული პოლიტიკისა და პრაქტიკის ფართო სპექტრის სტანდარტიზაცია ძირითადად არის მეთვალყურეობის, ტრენინგისა და განათლების საშუალებით რისკის მართვის შედეგი.

სისუსტეები – უსაფრთხოების შეზღუდული მეთვალყურეობა, კონტრტერორისტული და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პოლიტიკა

ევროპაში დემოკრატიული ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხრიდან კონტრტერორისტული და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პოლიტიკის არასაკმარის მეთვალყურეობას უკავშირებენ გადაჭარბებულ რეაგირებას ტერორისტულ საფრთხეებზე. მაგალითად, ეროვნულ დონეზე საფრანგეთს ზომიერი რეაგირება ჰქონდა 1980-იან წლებში და 1990-იანი წლების შუაში მომხდარ ტერორისტული აქტებზე. ამისდა მიუხედავად, ბოლო დროს ქვეყანას ადანაშაულებენ, რომ მან ზურგი აქცია საკუთარ ესკულარულ საფუძვლებს „ანტიტერორისტული რესპუბლიკის შენებისთვის“. ეს არგუმენტი ფორმულირებულია არასაკმარისი კოლექტიური მეთვალყურეობის კონტექსტში:

32 იხილეთ OSCE, Countering Terrorism, Protecting Human Rights, pp. 20-21.

33 იხილეთ, მაგალითად, ლიბიის მოქალაქე აბდულ ჰაკიმ ბელჰაჯის ამბავი, რომელსაც ოფიციალურად მოუბოდიშა გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ. მან უარი თქვა კომპენსაციაზე, თუმცა მისმა ცოლმა მიიღო კომპენსაცია, რამდენადაც იგი ფეხმძიმედ იყო, როდესაც ქმართან ერთად ჩაბარდა. 'Belhaj rendition: UK apology over Libyan dissident treatment', BBC News, 10<sup>th</sup> May 2018, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.bbc.com/news/uk-44070304>. ბრიტანეთის მთავრობამ საბოლოო ჯამში 11 მილიონი ფუნტი დახარჯა ბოდიშისა და კომპენსაციის, ასევე, სამთავრობო კადრის გასამართლების შესახებ მოთხოვნებზე უარის გაცხადების მცდელობებში, საიდანაც 4.4 მილიონი ფუნტი მთავრობის ადვოკატებზე დაიხარჯა, ხოლო 6.9 მილიონი ფუნტი - აბდულ ბელჰაჯის იურიდიული მომსახურების ხარჯებზე. Owen Boycott, 'UK spent GBP 11m of public money fighting Libya rendition case', The Guardian, 25<sup>th</sup> April 2019, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.theguardian.com/world/2019/apr/24/uk-public-money-fighting-libya-rendition-case-abdel-hakim-belhaj-fati-ma-boudchar>

„ფრანგულ მიდგომაში ცვლილება განსაკუთრებით ცხადი გახდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში და ეს არ ჯდება დემოკრატიული პროცესის ფარგლებში. საზოგადოებრივი აზრი ვერ პოულობს დასაყრდენს ისეთი მასალის სახით, რომელიც მას ანტიტერორისტულ პოლიტიკასთან დაკავშირებით მტკიცე და გონივრული შეხედულების ჩამოყალიბებაში დაეხმარება - ვერც მედიაში, რადგან ის ძირითადად დაინტერესებულია მხოლოდ იმ აუდიტორიით, რომელსაც ძალადობა იზიდავს - ვერც საპარლამენტო დებატებში, შესაფერისი ცოდნისა და ინტერესის ნაკლებობის გამო არჩეული წარმომადგენლების მხრიდან. ფაქტობრივად, ეს ცვლილება, რომელიც ჩვეულებრივი თავდასხმების თანმდევი ხმამაღალი და მაყურებელზე გათვლილი გამოძახილების მიღმა იმალებოდა, ნელა და შეუმჩნეველად შემოიპარა“<sup>34</sup>.

ეს კონკრეტული სისუსტე, რომელიც, ასევე, აშკარად შეიმჩნევა სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში, შეიძლება გამოსწორდეს ეფექტური, მრავალი დაინტერესებული მხარის მომცველი მეთვალყურეობითი ჩარჩოს საშუალებით, რომელიც მომდევნო ნაწილში იქნება განხილული.

შესაძლებლობები - ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის და კონტრტერორიზმის საუკეთესო თანამედროვე პრაქტიკა

დემოკრატიული ქვეყნებისთვის ხელსაყრელია სიტუაცია, როდესაც კონტრტერორიზმის სახელმძღვანელო ინსტრუქციებზე ფუნდამენტური სამუშაოს დიდი ნაწილი დასრულებულია. მაგალითად, ვრცელი სახელმძღვანელო ინსტრუქციები, რომლებიც მოცემულია „ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ჩარჩოში“ (‘The International Framework to Combat Terrorism’) კვლავ აქტუალურია ახალი პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისა და კონტრტერორიზმის საკითხებში<sup>35</sup> ორიენტირებისთვის. მომდევნო თავები განიხილავს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგება სახელმწიფო ადამიანის უფლებების დაცვისას კონტრტერორისტულ კონტექსტში.

„რადიკალიზაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრის“ (ICSR) ახალი პოლიტიკის დოკუმენტი / ავსტრიის უეთოს მოქმედი თავმჯდომარეობის ანგარიში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის შესახებ აერთიანებს სხვადასხვა საკითხსა და სტანდარტს, რომლებიც ზემოქმედებს უეთოს სივრცეზე და მარტივად აღწერს საუკეთესო პრაქტიკას თითოეულ თემატურ სფეროში<sup>36</sup>, მათ შორის, ეროვნული სამოქმედო გეგმებს, ციხეებს, პოლიციის საქმიანობას, ახალგაზრდობას, განათლებას, რელიგიას, ინტერნეტს, ქალებს, ლტოლვილებს, ინტერვენციებსა და რეპატრიანტების პრობლემებს.

სახელმწიფოები ამჟამად ნერგავენ სტრატეგიულ მიდგომას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისა და კონტრტერორიზმისადმი. პოლიტიკის დოკუმენტები აერთიანებს როგორც ერთიან სამთავრობო, ასევე, ერთიან საზოგადოებრივ მიდგომებს, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებისადმი. ევროსაბჭოს სახელმძღვანელო ინსტრუქცია წარმოადგენს ორიენტირს, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია სამი მთავარი პრიორიტეტის გარშემო სტრატეგიული კონსენსუსის შემუშავება შემდეგი მიზნებით:

ტერორიზმის პრევენცია: სისხლის სამართლისა და სამართალდაცვითი ღონისძიებების

34 Francois Thuillier, ‘A Strange War’, AboutIntel.eu, 27<sup>th</sup> July 2020, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://aboutintel.eu/france-anti-terrorist-republic/>

35 იხილეთ, ‘Chapter 4: The International Framework to Combat Terrorism: An Overview’, in OSCE ODIHR, Countering Terrorism, Protecting Human Rights: A Manual, 2008, pp. 34-42, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/odihr/29103>

36 იგივე დოკუმენტი ხელმისაწვდომია ორ ფორმატში გვერდების ოდნავ განსხვავებული დანომვრით: Peter Neumann, ‘Countering Violent Extremism and Radicalisation that Lead to Terrorism: Ideas, Recommendations, and Good Practices from the OSCE Region’, OSCE, CIO.GAL/189/17, (September 2017) p. 38, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/chairmanship/346841>; და, ასევე, Peter Neumann, ‘Countering Violent Extremism and Radicalisation that Lead to Terrorism: Ideas, Recommendations, and Good Practices from the OSCE Region’, ICSR, September 2017, <https://icsr.info/2017/09/29/release-director-peter-neumanns-osce-report/>

საშუალებით, რომლებიც გამიზნულია თავდასხმების ან მათი მზადების ჩასაშლელად; ასევე, მრავალმხრივი გრძელვადიანი ზომების საშუალებით, რომლებიც მიზნად ისახავს რადიკალიზაციის პრევენციას, რაც მოიცავს რეკრუტირებასთან, წვრთნებთან, ტერორისტულ იდეოლოგიასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან წინააღმდეგობას;

ტერორისტების სამართლებრივი დევნა: იმის უზრუნველყოფა, რომ ევროპაში თუ მის ფარგლებს გარეთ ჩადენილი ტერორისტული თავდასხმები გამოძიებული იქნება მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტიანად შესაძლებლობის ფარგლებში, ეფექტური სასამართლო და საერთაშორისო თანამშრომლობის საშუალებით; დამნაშავეები წარდგებიან მართლმსაჯულების წინაშე და პასუხს აგებენ თავიანთი მოქმედებებისთვის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპის შესაბამისად;

წვერი სახელმწიფოების ტერიტორიებზე მყოფი ყველა ადამიანის დაცვა ტერორიზმიდან, ხალხის უსაფრთხოების და ტერორისტული თავდასხმის პოტენციური სამიზნეების დაცვის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურასა და საჯარო სივრცეებს; დახმარების უზრუნველყოფა და მხარდაჭერის შეთავაზება ტერორიზმის მსხვერპლებისთვის<sup>37</sup>.

პრევენციის, სამართლებრივი დევნისა და მოსახლეობის დაცვის ამ მარტივი სტრატეგიული მიდგომის მიღმა, სახელმწიფოების წინაშე მდგარი ფუნდამენტური გამოწვევები მოიცავს სამთავრობო და უსაფრთხოების სექტორებში საუკეთესო პრაქტიკის წარმატებით განხორციელებასა და ადაპტაციას. ორიენტირების გარდა, ტრენინგის, კოორდინაციისა და განხორციელების სამმაგი გამოწვევა მოიცავს მთავრობისა და საზოგადოების პასუხისმგებელი პირების ორგანიზებას კონტრტერორიზმის საკითხებზე. კონტრტერორისტული და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის კოპერენტულობა დამოკიდებული იქნება მთავრობის პასუხისმგებელი პირის უნარზე, გაუძღვეს ბევრ დაინტერესებულ მხარეს ერთი და იმავე მიმართულებით. მთავრობისთვის, სამართალდამცავი, უსაფრთხოების სამსახურებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის შესახებ სპეციფიკური ინსტრუქციების ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ამ მნიშვნელოვანი გამოწვევის მოგვარებას. ამ უკანასკნელთა ინტეგრირებას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისადმი მთავრობის სტრატეგიულ მიდგომაში შეუძლია მაქსიმალურად გაზარდოს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროგრამების დადებითი ზემოქმედება. ამ სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში გამოყენებულია სათანადო მასალები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის შედეგიანი პროგრამების შექმნის შესაძლებლობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.

მომდევნო ნაწილი აღწერს კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისადმი სტრატეგიული მიდგომის შემუშავების პროცესში დემოკრატიული სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევების მოგვარების ზოგად საშუალებებს. მომდევნო ნაწილებში მოცემულია დამატებითი გამოსავლები, რომლებიც, ასევე, საფუძვლად უდევს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისადმი ეფექტიან ინსტიტუციურ მიდგომებს, რომელთაგან ზოგიერთი უფრო დეტალურად მომდევნო თავებში იქნება განხილული.

პოლიტიკა და სამართლებრივი გამოწვევები

ადამიანის უფლებები და კონტრტერორიზმი

დემოკრატიული სახელმწიფოებისა და კონტრტერორიზმის საკითხის, კონკრეტულად კი, პოლიტიკური და სამართლებრივი გამოწვევების ზოგადად განხილვის მარტივი გზა არის ამ პროცესში ადამიანის უფლებების პერსპექტივის გამოყენება, რაც გულისხმობს მოქალაქეებისა და საზოგადოების დაცვას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს მიდგომა შესაბამისია ევროსაბჭოს

37 Council of Europe Counter-Terrorism Strategy (2018-2022), ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectId=09000016808afc96](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016808afc96)



ყველა წევრი ქვეყნისთვის, რომლებშიც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა და პრაქტიკა - სათემო დონიდან დაწყებული სტრატეგიულის ჩათვლით - განისაზღვრება ადამიანის უფლებების შესახებ ევროპული კონვენციით, რომელთან შესაბამისობაც სავალდებულოა ყველა ხელმომწერისთვის<sup>38</sup>. გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა „ტერორიზმთან ბრძოლის პროცესში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობისა და დაცვის“ საკითხებზე მხარი დაუჭირა იმავე მიდგომის გამოყენებას.<sup>39</sup>

პოლიტიკის ამოსავალ პრინციპად ადამიანის უფლებების დაცვის პოზიტიური ვალდებულების მოაზრებით, აღვილდება ექსტრემიზმის არიდებისა თუ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისადმი ერთიანი სამთავრობო და ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომების განმარტება, შემუშავება თუ ლეგიტიმაცია. აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ამავე სტანდარტების ინტეგრირება უსაფრთხოების არსებულ პოლიტიკასა და პრაქტიკაში, არა მხოლოდ სტრატეგიული უსაფრთხოების პოლიტიკის დონეზე, არამედ, ასევე, პოლიტიკის განხორციელების საკანონმდებლო ჩარჩოში და საზოგადოებასთან უშუალო ურთიერთობის მქონე მომსახურე პერსონალისთვის მთავრობისა და უსაფრთხოების სამსახურების მიერ შემუშავებულ შესაბამის სახელმძღვანელო ინსტრუქციებში.

ყველა სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს მოქალაქეების დაცვა სხვადასხვა საფრთხისგან, ტერორიზმის ჩათვლით. ადამიანის უფლებების სტანდარტები სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებს, უზრუნველყონ სიცოცხლის უფლება, წამებისგან დაცვა, პირადი სივრცის ხელშეუხებლობა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების და, ასევე, სამართლიანი სასამართლოს უფლება. ერთი სიტყვით, ტერორიზმის ნებისმიერი აქტი ხელყოფს ყველა უფლებას, რომელთა დაცვაც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა.

ეს არ ნიშნავს, რომ ტერორიზმის აქტი ავტომატურად უნდა განიხილებოდეს, როგორც მთავრობის მხრიდან მოქალაქეთა დაცვის აბსოლუტური უუნარობა. თუმცა, თუ დემოკრატიული სახელმწიფო ვერ ახერხებს მიიღოს ადეკვატური და შესაფერისი ზომები მოქალაქეთა უფლებების დასაცავად, სახელმწიფო თავად ხდება ნაწილობრივ პასუხისმგებელი დარღვევაზე. მაშასადამე, ეფექტური კონტრტერორისტული სტრატეგიის შემუშავება შეიძლება განხილული იყოს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვის საერთო ვალდებულების ნაწილად, მოქალაქეების დაცვის სახელმწიფოს ფუნდამენტური როლის ელემენტად, ასევე, სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტად სამინისტროებისთვის, უსაფრთხოების სამსახურებისა და შესაბამისი სამთავრობო უწყებებისთვის.

სტრატეგიული სახელმძღვანელო ინსტრუქციების შემუშავებისას, ევროსაბჭოს „ადამიანის უფლებებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელო ინსტრუქციები“ რელევანტურია, რამდენადაც მასში შეჯერებულია უსაფრთხოების ინტერესები ფუნდამენტურ თავისუფლებებსა და, ასევე, სახელმწიფოს ვალდებულებასთან, დაიცვას ადამიანის უფლებები. პოზიტიური ვალდებულებების გარდა, ამომწურავი ჩვიდმეტი ინსტრუქცია აკონკრეტებს შემდეგის საჭიროებას:

- დისკრიმინაციისა და ძალაუფლების გადამეტების აკრძალვა;
- წამების აკრძალვა;
- თვალთვალის რეგულირება;
- სათანადო სამართლებრივი პროცედურის უფლება;
- სიკვდილით დასჯის აკრძალვა;
- იურიდიულ წარმომადგენლებთან დაკავებულის კომუნიკაციის მეთვალყურეობის /

38 „ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის“ (ECHR) ეროვნულ უსაფრთხოებაზე გავლენის შესახებ ზოგადი ისტორიის ამსახველი მასალისთვის იხილეთ, მაგალითად, Cameron, National Security and the European Convention on Human Rights, (Uppsala: Uppsala University, 2000); ასევე, Iain Cameron, 'National Security and the European Convention on Human Rights – Trends and Patterns', in Stockholm International Symposium on National Security and the European Convention on Human Rights, (Stockholm: Commission on Security and Integrity Protection, 2008).

39 Martin Scheinin, Report of the Special Rapporteur on the promotion and protection of human rights and fundamental freedoms while countering terrorism, 'Ten areas of best practices in countering terrorism', Human Rights Council, A/HRC/16/51, 22<sup>nd</sup> December 2010; ხელმისაწვდომია (განახლებული ტექნიკური სახელმძღვანელო ინსტრუქციებით) შემდეგ ბმულზე: <https://www.ohchr.org/en/issues/terrorism/pages/annual.aspx>

ამ სახელმძღვანელო ინსტრუქციების დაცვისას სახელმწიფოს შეუძლია თავი აარიდოს სამართლებრივ თუ პოლიტიკურ სისუსტეებს, რომლებიც თან ახლავს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას ან [საქმიანობის] არაეფექტურ განხორციელებას. შედეგად, ადამიანის უფლებების ეს სტანდარტები უშუალოდ რელევანტურია კონტრტერორისტული და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სტრატეგიების შემუშავებისას, ასევე, იმ უკმაყოფილებისა თუ პრობლემების პრევენციისა და აღმოფხვრისთვის, რომლებიც განაპირობებს და ხელს უწყობს ძალადობრივ ექსტრემიზმს. პარალელურად, ისინი, უშუალოდ რელევანტურია უფრო ფართო უსაფრთხოების პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავებისთვის. მომდევნო ნაწილი აღწერს, თუ როგორ შეიძლება კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებისა და მიდგომების ინტეგრირება არსებული პოლიტიკის შემუშავების, მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესებში.

უსაფრთხოების დემოკრატიული ზედამხედველობა, კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პოლიტიკა

უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული ზედამხედველობა, როგორც კარგად ფესვგადგმული ევროპული და საერთაშორისო პრინციპი, კვლავ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა უსაფრთხოების პოლიტიკისა პრაქტიკის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების და, შესაბამისად, მისადმი საზოგადოების ნდობის უზრუნველსაყოფად<sup>41</sup>. ეს ვრცელი ჩარჩო, რომლის პრიორიტეტად მოიაზრება საზოგადოების უსაფრთხოება, ეფექტური უსაფრთხოების პოლიტიკა და პრაქტიკა, რესურსების ეფექტური მართვა<sup>42</sup> და კარგი მმართველობის ძირითადი მახასიათებლები,<sup>43</sup> მოიცავს მარტივ საშუალებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საუკეთესო პრაქტიკის მთლიანად ინტეგრირება უფრო ფართო საზოგადოებრივ პოლიტიკასა და პრაქტიკაში; იგი, ასევე, მოიცავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებთან მიდგომის დადგენილ ჩარჩოს.

ზედამხედველობის პროცესმა შეიძლება, ასევე, დააჩქაროს დემოკრატიულ ინსტიტუტებს (ძირითადად პარლამენტებს), უფრო ფართო სპექტრის სამთავრობო უწყებებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიას შორის თანამშრომლობისა და ნდობის გაძლიერება. ფართო საკონსულტაციო მექანიზმებისა და უკუკავშირის ციკლის დანერგვა (თითქმის ისეთივე პრინციპით, როგორც სათემო საპოლიციო საქმიანობის პოლიტიკა და პრაქტიკა სარგებლობს თემის პლურალიზმის საპოლიციო საბჭოების უკუკავშირის საშუალებით და როგორც საპარლამენტო საქმიანობაში შეაქვს წვლილი უსაფრთხოების, საპოლიციო საქმიანობის, ადამიანის უფლებებისა და სხვა საკანონმდებლო კომიტეტებს). ზედამხედველობის ეს ფორმატი შეიძლება, მართლაც იყოს გამოყენებული კონტრტერორისტული და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პოლიტიკის, პრაქტიკისა და კანონმდებლობის ინტენსიური შემუშავებისთვის - ან უბრალოდ ადაპტაციისა და განხორციელებისთვის.

ამისდა მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს გარკვეულ კონტრტერორისტულ და ძალადობრივ

40 Council of Europe, 'Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on human rights and the fight against terrorism adopted by the Committee of Ministers on 11 July 2002 at the 804th meeting of the Ministers' Deputies', pp. 35-38, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://edoc.coe.int/en/terrorism/7544-protection-of-victims-of-terrorist-acts.html>. ასევე, იხილეთ 'Additional Protocol to the Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism', CETS No. 217, 2017, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/217>

41 იხილეთ, მაგალითად, Eden Cole, Philipp Fluri, and Simon Lunn (eds.), Oversight and Guidance: Parliaments and Security Governance, (DCAF & NATO PA: 2015), ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://www.academia.edu/20827428/Oversight\\_and\\_Guidance\\_Parliaments\\_and\\_Security\\_Sector\\_Governance](https://www.academia.edu/20827428/Oversight_and_Guidance_Parliaments_and_Security_Sector_Governance)

42 Eden Cole, 'Democratic Oversight of Defence and Security Institutions', in Cole, Fluri, Lunn (eds.), Oversight and Guidance, p. 44-45.

43 'The role of good governance in the promotion of human rights', UNCHR Res. 2000/64, UN Doc. E/CN.4/RES/2000/64, p. 277. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.un.org/en/terrorism/pdfs/2/G0014048.pdf>

ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებზე სპეციალიზებული ზედამხედველობის კომპეტენციის განვითარების საჭიროება. ამის ერთი პრაქტიკული მაგალითია გაერთიანებული სამეფოს მიერ „ტერორისტული კანონმდებლობის დამოუკიდებელი მიმომხილველის“ სპეციალური თანამდებობის შექმნა 1970-იანებში, რომლის ფარგლებშიც არჩეული იურისტი ანგარიშს წარუდგენდა პარლამენტსა და მთავრობას თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში. ამ თანამდებობის კიდევ ერთი ძირითადი ელემენტი არის მედიასთან, სამართლებრივ საზოგადოებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პასუხისმგებლობა რაღაც თვალსაზრისით წინააღმდეგობრივია, ცხადი ინსტრუქციების მუდმივმა აქტუალობამ შეინარჩუნა მიმომხილველის თანამდებობა დღემდე<sup>44</sup>. უფრო ზოგადად, გაეროს მიერ 2005 წელს „ტერორიზმთან ბრძოლის პროცესში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებში სპეციალური მომხსენებლის“ თანამდებობის შემოღება მეტყველებდა გლობალური სახელმძღვანელო ინსტრუქციების არსებობის საჭიროებაზე, რომლის ინტეგრირებაც შესაძლებელი იქნებოდა გლობალურ პოლიტიკასა და პრაქტიკაში უწყვეტ რეჟიმში<sup>45</sup>. მომდევო ნაწილები და თავები უფრო დეტალურად აღწერს, თუ როგორ შეუძლიათ დაინტერესებულ მხარეებს ერთად მუშაობა ზედამხედველობისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პოლიტიკის ძირითად საკითხებზე კონსტრუქციულ და დინამიკურ ფორმატში.

### რეკრუტირებისა და უკმაყოფილების ციკლის შეწყვეტა

ნებისმიერი ტერორისტული ქსელის გავლენის შეზღუდვისთვის აუცილებელია ერთ ან მეტ სოციალურ ჯგუფში უკმაყოფილებების ციკლის შეწყვეტა, რომელიც ექსტრემისტული რეკრუტირების ერთ-ერთ ძირითად გამომწვევ ფაქტორს წარმოადგენს. ამ მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პოლიტიკისა და პრაქტიკა შესაბამისობა საუკეთესო პრაქტიკასთან, მომხმარებელსა თუ საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტში მყოფი პერსონალის სრულად დატრენინგება, ორიენტირება და ტერორიზმის პრევენციისა და მასთან ბრძოლისთვის მიღებული ნებისმიერი აქტივობის ლეგიტიმურობა, მართლზომიერება, აუცილებლობა და არადისკრიმინაციულობა<sup>46</sup>.

ამ მარტივ მიდგომაში ადამიანის უფლებების დაცვა პრიორიტეტად მოიაზრება საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. თუ შეიზღუდება ადამიანის ერთ ან მეტ უფლებაში ჩარევის ხარისხი, ავტომატურად იზღუდება საზოგადოების კონკრეტულ სეგმენტში ანტაგონისტური განწყობის მასშტაბიც. ამისდა მიუხედავად, ამ მიდგომის სიმარტივე დამოკიდებულია დემოკრატიული საზოგადოების ტოლერანტულობაზე, პლურალიზმსა და ფართო თვალსაზრისზე. ეს ყოველივე კი შესაძლებელს ხდის უმცირესობებთან სამართლიან მოპყრობას.

### უკმაყოფილების არიდება ყოველდღიური მომსახურების უზრუნველყოფისას

პრაქტიკული თვალსაზრისით, ყოველდღიური ცხოვრება, რომელიც მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ფართო საზოგადოებისა და რადიკალიზაციის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფებისთვის, მოიცავს თანაბარ წვდომას მომსახურებებზე და საფრთხეებისგან დაცვას. ეს ზოგადი მოთხოვნა გულისხმობს, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ თანაბარი წვდომა ჰქონდეთ სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკურ მომსახურებებზე, რაც მოიცავს ადმინისტრაციულ, დასახლების, სამედიცინო, სამართლებრივ და საგანმანათლებლო მომსახურებებს. ეს მოთხოვნა თავისთავად გულისხმობს, რომ მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი წვდომა დაცულობასა და უსაფრთხოების სერვისებზე, ძირითადად, სამართალდამცველი სამსახურების მეშვეობით.

ეს ფართო მიდგომა ხელს უშლის განმზიდველ და მიმზიდველ ფაქტორებს რომლებიც ძალადობრივ ექსტრემიზმს განაპირობებს.

აქედან გამომდინარე, მთავრობასა და უსაფრთხოების სექტორს შეუძლია განახორციელოს მართლზომიერი ღონისძიებები ექსტრემისტული აქტივობების საწინააღმდეგოდ. ისტორიულად,

44 <https://www.gov.uk/government/organisations/independent-reviewer-of-terrorism-legislation>

45 იხილეთ სპეციალური მომხსენებლის ანგარიშები შემდეგ ბმულზე: <https://www.ohchr.org/en/issues/terrorism/pages/annual.aspx>

46 იხილეთ OSCE ODIHR, Countering Terrorism, Protecting Human Rights, pp. 68-70 & p. 80.

უკმაყოფილების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი განმაპირობებელი, საჯარო მომსახურებებზე წვდომის არარსებობის გარდა, იყო სასამართლოს გარეშე დაკავება, შევიწროვება და უსაფუძვლო ძალადობა უსაფრთხოების სექტორის პერსონალის მხრიდან. არსებობს ამომწურავი სახელმძღვანელო ინსტრუქციები უკმაყოფილების რისკის შესასუსტებლად სამართალდამცველების ყოველდღიურ აქტივობებში<sup>47</sup>, გამოძიების წარმართვისას<sup>48</sup> ან დაზვერვის სპეციალისტების მიერ ტერორისტების აქტივობისა და კომუნიკაციას მეთვალყურეობისას<sup>49</sup>. უფრო ფართოდ, უკმაყოფილების ციკლის შეწყვეტის შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციები უკვე ინტეგრირებულია სამოქალაქო საზოგადოებაში<sup>50</sup> და ერთიან საზოგადოებრივ მიდგომებში ექსტრემიზმის პრევენციისთვის<sup>51</sup>. განათლება კიდევ ერთი ელემენტია, რომელიც უკმაყოფილებისთვის რელევანტურია: მიუხედავად იმისა, რომ იგი, როგორც წესი, განიხილება ონლაინრადიკალიზაციის პრევენციის კონტექსტში, განათლებაზე წვდომის უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, სხვა მომსახურებებზე უფრო ეფექტიანი წვდომისა და, მეორე მხრივ, მიკუთვნებულობისა და იდენტობის დადებითი შეგრძნების<sup>52</sup>, ასევე, კანონის უზენაესობის<sup>53</sup> გამყარების საშუალებას იძლევა.

## ტერორიზმის მსხვერპლი

უკმაყოფილების ფაქტორის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიულმა სახელმწიფომ, ასევე, უნდა უზრუნველყოს ტერორიზმის მსხვერპლთა დაცვა. ევროსაბჭოს კონტექსტში, „ტერორისტული აქტის მსხვერპლთა დაცვის შესახებ შესწორებული სახელმძღვანელო ინსტრუქციები“<sup>54</sup> განიხილავს სხვადასხვა საკითხს, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებს მსხვერპლზე, მათ შორის, გადაუდებელი დახმარების საჭიროება, გამოძიება და გასამართლება, ეფექტური წვდომა კანონსა და სამართალზე, მართლმსაჯულების აღსრულება და კომპენსაცია<sup>55</sup>. ამის მსგავსად, სისხლის სამართლის საქმისწარმოების დროს მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობა თანაბრად ეხება ტერორისტული აქტის მსხვერპლსაც. კანონმდებლობა სავალდებულოა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის და განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: კომპენსაცია, წვდომა სასამართლოზე და მოწმის დაცვა. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა, ასევე, მოიცავს მსხვერპლსაც, რომელიც არ არის უშუალოდ იმ ქვეყნის მცხოვრები, სადაც ტერორისტული ინციდენტი ხდება<sup>56</sup>.

47 OSCE and OSCE ODIHR, Preventing Terrorism and Countering Violent Extremism and Radicalization that Lead to Terrorism: A Community-Policing Approach, 2014, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/secretariat/111438>

48 OSCE and OSCE ODIHR, Human Rights in Counter-Terrorism Investigations, A Practical Manual for Law Enforcement Officers, 2013, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/odihr/108930>

49 Martin Scheinin, Compilation of good practices on legal and institutional frameworks and measures that ensure respect for human rights by intelligence agencies while countering terrorism, including on their oversight, Human Rights Council, A/HRC/14/46, 17th May 2010, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.ohchr.org/EN/Issues/Terrorism/Pgages/Issues.aspx>. ასევე, იხილეთ: Aidan Wills, 'Democratic and effective oversight of national security services', Council of Europe, Issue Paper, May 2015, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/1680487770>

50 OSCE, The Role of Civil Society in Preventing and Countering Violent Extremism and Radicalization that Lead to Terrorism: A Guidebook for South-Eastern Europe, August 2018, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://www.osce.org/files/f/documents/2/2/400241\\_1.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/2/2/400241_1.pdf)

51 OSCE, A Whole-of-Society Approach to Preventing and Countering Violent Extremism and Radicalization that Lead to Terrorism - A Guidebook for Central Asia, January 2020, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://polis.osce.org/wholeofsociety-approach-preventing-and-countering-violent-extremism-and-radicalization-lead>

52 იხილეთ, UNESCO, 'Strengthening the Rule of Law through Education: a guide for policymakers, UNESCO: 2017, p. 12, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000247764>

53 იხილეთ, მაგალითად, UNESCO, 'Strengthening the Rule of Law through Education', და სხვა მასალები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://en.unesco.org/themes/gced/rule-law>

54 Council of Europe, 'Revised Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on the protection of victims of terrorist acts adopted by the Committee of Ministers at its 127th Session, Nicosia, 19 May 2017', pp. 5-10, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://edoc.coe.int/en/terrorism/7544-protection-of-victims-of-terrorist-acts.html>

55 OSCE, Countering Terrorism, Protecting Human Rights, p. 28.

56 EU Council Framework Decision of 15 March 2001 on the standing of victims in criminal proceedings (2001/220/JHA), OJ L 082/1, 22/03/01, pp. 1-4.

## რეკრუტირების ციკლის შეწყვეტა – ფართო საზოგადოება

უკმაყოფილების ციკლის შეწყვეტის ღონისძიებები, რომლებიც წინა ნაწილში იყო აღწერილი, რელევანტურია რეკრუტირების ციკლის შეწყვეტისთვისაც. საზოგადოების ყველა სექტორისთვის მომსახურებებზე უწყვეტი წვდომის უზრუნველყოფა და უსაფრთხოების დაცვა ინდივიდების ან ჯგუფების გარიყვის გარეშე სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს პირველ რიგში იმისთვის, რომ უკმაყოფილო ინდივიდები რადიკალიზებულ ჯგუფებში არ გაერთიანდნენ. ინდივიდის უფლებების განმეორებადმა დარღვევამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ექსტრემისტების თანამოაზრე და მხარდამჭერი ხალხის რაოდენობა - მათ შორის იმ ინდივიდების ჩათვლით, რომლებიც დაუცველად გრძნობენ თავს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისადმი ნდობის ნაკლებობის გამო, რაც წარმოქმნის შეუქცევად ბზარს სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის. იმავდროულად, მთავრობამ და სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა შეუშალოს ხელი და ებრძოდოს ტერორისტული რეკრუტირების ნარატივებს, კონკრეტულად, კონტრნარატივების შექმნის საშუალებით, რომლებიც ხაზს უსვამს ტერორისტული აქტივობების საზღაურს - ადამიანურ მსხვერპლს.

## რეკრუტირების ციკლის შეწყვეტა – რადიკალიზაცია ციხეებში

დღესდღეობით, პენიტენციალური დაწესებულებები ერთ-ერთი ყველაზე მაღალრისკიანი ადგილებია რადიკალიზაციის თვალსაზრისით. ციხის მმართველობამ უნდა უზრუნველყოს, რომ პატიმრები - ისინიც კი, ვინც რადიკალიზაციის დაბალი რისკის ქვეშაა, არ დაექვემდებარებიან რეკრუტირებას იმ ინდივიდების მიერ, რომლებიც სასჯელს იხდიან ტერორისტული დანაშაულისთვის, იქნება ეს ძალადობის აქტები თუ მხარდაჭერის უზრუნველყოფა ტერორისტული ჯგუფებისთვის.

ციხის კარგი სტანდარტების შენარჩუნება, რომელთა მიხედვითაც პატიმრობის პრაქტიკა პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და ირიდებს უკმაყოფილებას, წარმოადგენს აუცილებელ პირველ ნაბიჯს რადიკალიზაციის პრევენციის უზრუნველსაყოფად<sup>57</sup>. მართვის სხვადასხვა სტრატეგია ხელმისაწვდომია რადიკალიზაციის სპეციფიკური რისკების სამართავად, მათ შორის, ტერორისტული დანაშაულისთვის ბრალდებული პატიმრების გაფანტვა ან მათი კონცენტრირება ერთ დაწესებულებაში და ყოფილი ექსტრემისტების რეაბილიტაცია. ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა შეფასებისა და კლასიფიკაციის სისტემები „რისკის ქვეშ“ მყოფი პატიმრების იდენტიფიცირებისთვის, ასევე, შეიძლება გამოყენებული იქნას ციხის ბინადრების რადიკალიზაციის პრევენციისთვის<sup>58</sup>, ისევე, როგორც ციხის პერსონალის დატრენინგებისთვის, რომ შეძლონ ძალადობრივ-ექსტრემისტული ქცევის საწყისების გამოვლენა. პერსონალმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ტერორისტი დამნაშავეები არ უჭერენ მხარს ტერორისტულ ქსელებს საპატიმრო დაწესებულების გარეთ და არც თვითონ იღებენ მხარდაჭერას ამ ქსელებისგან<sup>59</sup>.

## რეკრუტირების ციკლის შეწყვეტა – დაპატიმრების გარეშე რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია

ციხის გარემოში რადიკალიზაციის ასარიდებლად, ასევე, შემუშავდა სახელმძღვანელო ინსტრუქციები ციხეებს გარეთ რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებზე და, ასევე, განისაზღვრა არასამთავრობო აქტორების როლები<sup>60</sup>. ტერორიზმის მზარდმა შევიწროვებამ

57 იხილეთ მოკლე ინსტრუქციები: Council of Europe, Guidelines for prison and probation services regarding radicalisation and violent extremism, 2<sup>nd</sup> March 2016, pp. 2-3, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/16806f3d51> ; და Council of Europe, Council of Europe Handbook for Prison and Probation Services Regarding Radicalisation and Violent Extremism, 1<sup>st</sup> December 2016, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/16806f9aa9>

58 Penal Reform International, Preventing Radicalisation in Prisons: Developing a Coordinated and Effective Response, December 2015, p. 4., ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/02/PRI-Radicalisation-briefing-paper-V2.pdf>

59 Radicalisation Awareness Network, 'Dealing with radicalisation in a prison and probation context, RAN Working Group on Prison & Probation', Practitioners Working Paper, 2018, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/networks/radicalisation\\_awareness\\_network/ran-papers/archive/ran-pp-practitioners-working-paper\\_en](https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/networks/radicalisation_awareness_network/ran-papers/archive/ran-pp-practitioners-working-paper_en)

60 OSCE, Non-custodial Rehabilitation and Reintegration in Preventing and Countering Violent Extremism and Radicalization That Lead to Terrorism: A Guidebook for Policymakers and Practitioners in South-Eastern Europe, January 2020, ხელმისაწვდომია

გამოიწვია პატიმრობაში მყოფი ძალადობრივ ექსტრემიზმთან ასოცირებული ინდივიდების ზრდა, რომელთაგან ბევრს საბოლოოდ გამოუშვებენ საზოგადოებაში, როგორც წესი, შედარებით ახალგაზრდა ასაკში. ამის ნაცვლად, რეაბილიტაციის და რეინტეგრაციის ინიციატივებმა, რომელშიც მრავალი სხვადასხვა აქტორია ჩართული, შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს ტერორიზმთან დაკავშირებული რეციდივიზმის მინიმუმამდე დაყვანაში. ასეთმა ინიციატივებმა შეიძლება მოიცვას ინდივიდების მზარდი რაოდენობა, ხშირად ქალები და ბავშვები, რომლებიც კონფლიქტის ზონებიდან ერაყსა და სირიაში ბრუნდებიან და რომლებიც შეიძლება რადიკალიზებულიები ყოფილიყვნენ ძალადობით ან იმ ოჯახების მიერ, რომლებშიც გაიზარდნენ.

## რეკრუტირების ციკლის შეწყვეტა – ახალგაზრდობის რადიკალიზაცია

დაემის მიერ რეკრუტირების ბოლო ათწლეულმა ცხადჰყო, რომ დასავლეთ ევროპული ახალგაზრდობა განსაკუთრებით მოწყვლადია რეკრუტირებისადმი. ეს არა მხოლოდ მოიცავს სკოლებს, არამედ ონლაინ „გადაბირებას“ და რეკრუტირებას სოციალური მედიაარხების საშუალებით. ამ არხების გამოვლენა, მონიტორინგი და მოშლა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა რადიკალიზაციის თავიდან ასარიდებლად. უფრო მეტიც, განათლება და წვდომა სანდო ინფორმაციაზე არის „ციფრული მოქალაქეების“ შექმნისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი, რომლებსაც ადვილად შეუძლიათ დეზინფორმაციისა და ექსტრემისტული პროპაგანდის გამოვლენა. განათლებაზე დამატებითი მასალა განხილულია მეოთხე თავში, ასევე, ქვემოთ მოცემულ ნაწილში - „გამოვლენა და მონიტორინგი“.

## დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები

როგორც აღნიშნული იყო „პოლიტიკისა და სამართლებრივი გამოწვევების“ ნაწილში, ყველა სახელმწიფო დგება დაცვის გაფართოებასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე. ამ გამოწვევების მოგვარების ძირითადი ელემენტი არის აქტიური და ყოველისმომცველი მიდგომა ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენციისადმი საზოგადოებაში, უფრო კონკრეტულად - რადიკალიზაციის რისკის ქვეშ მყოფი ინდივიდებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების დაცვის ძალისხმევის პარალელურად.

დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანის დიდი ნაწილი უკვე ეკისრება მთავრობასა და მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტში მყოფ სამსახურებს (ე. წ. „წინა ხაზის“ სერვისებს), ხოლო საჯარო უსაფრთხოების ვალდებულება - სამართალდამცავ უწყებებს. დაცულობის თვალსაზრისით, ასევე, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ მოქალაქეებს სჭირდებათ წვდომა დამოუკიდებელ და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ მართლმსაჯულების სისტემაზე, რომელიც მოქალაქეთა საჭიროებებს პასუხობს. თუმცა, კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის კონტექსტში აუცილებელია სპეციალიზებული კომპეტენციის / სამსახურის შექმნა. ექსტრემიზმისაგან დაცვის ძირითადი საშუალებაა საზოგადოებაში მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება და რადიკალიზაციის ყველაზე დიდი რისკის ქვეშ მყოფებზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებზე, ფოკუსირება.

უსაფრთხოების უზრუნველყოფაში არსებული ხარვეზების, ასევე საზოგადოების სხვადასხვა სექტორში მოწყვლადობის გამოვლენის მიზნით სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზი, იქნება ეს დაუცველ სოციალურ-ეკონომიკურ თუ ეთნიკურ ჯგუფებთან, მომსახურების უზრუნველყოფასთან, მონიტორინგის კომპეტენციაში არსებულ სტრუქტურულ სისუსტეებსა თუ ტექნიკურ-ინფრასტრუქტურულ ხარვეზებთან მიმართებით, შეიძლება პირველი ნაბიჯი აღმოჩნდეს რელევანტური პრევენციის პოლიტიკისა და შესაბამისი კომპეტენციების განვითარების საჭიროებების ფორმულირებისთვის ყოვლისმომცველ სტრატეგიულ დოკუმენტში. ამას გარდა, მთავრობა უნდა გასცდეს ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეზე არსებულ სისუსტეებს და ეცადოს მსგავსი რისკების გამოვლენას რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეებზე.

შემდეგ ბმულზე:

<https://polis.osce.org/noncustodial-rehabilitation-and-reintegration-preventing-and-counteracting-violent-extremism-and>

უკვე არსებული რესურსების შესავსებად საჭირო დამატებითი რესურსების იდენტიფიცირება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. დაცულობასთან დაკავშირებული გამოწვევების გადწყვეტისა თუ მართვის პროცესი განხილულია ქვემოთ მოცემულ ნაწილებში „რესურსების მართვისა“ და „დებინფორმაციის“ საკითხების შესახებ.

## რესურსების მართვა და სპეციალურ კომპეტენციებთან დაკავშირებული გამოწვევები

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროცესში სახელმწიფო და საზოგადოება რესურსების მართვასა და სპეციალური უნარების განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე დგანან, თუმცა ეს გამოწვევები, ძირითადად, მოიცავს კოჰერენტული პოლიტიკის, სტრატეგიისა და კომპეტენციების შემუშავებას, ხოლო შემდეგ მათი თანმიმდევრული განხორციელების უზრუნველყოფას. სადაც შესაძლებელია, მთავრობის პერსონალის დიდ ნაწილს შეუძლია ორმაგი ფუნქცია იტვირთოს და იმოქმედოს ტერორიზმის საკითხებთან მიმართებით ისევე, როგორც იმოქმედებდა კრიმინალური რისკების, მომსახურების უზრუნველყოფისა თუ საჯარო უსაფრთხოების გამოწვევების საკითხებთან მიმართებით, რომლებთან გამკლავებაც ყოველდღიურად უწევთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას.

ამისდა მიუხედავად, ტერორისტული საფრთხეების მონიტორინგის, პრევენციის, გამოძიებისა და მათთან ბრძოლისათვის სპეციალური კომპეტენციების შექმნა მოითხოვს კონტრტერორისტული და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროგრამირების ერთიანი ეროვნული ბირთვის შექმნასა და შენარჩუნებას. ეს ბირთვი შემდეგ ქმნის კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ერთიან სამთავრობო, ინსტიტუციურ და ერთიანი საზოგადოებრივი პროგრამის ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს საჯარო უსაფრთხოების საკითხების ფართო სახესხვაობაზე მომუშავე პრაქტიკოსებსა თუ დაინტერესებულ მხარეებს. ამგვარი მრავალფეროვანი ჯგუფის შექმნის შემდგომი გამოწვევაა უახლესი მოვლენების შესახებ ინფორმირებულობის, კოორდინაციისა და ტრენინგის ჩარჩოების შექმნა ამ კომპეტენციის შესანარჩუნებლად. მოცემული ნაწილი აღწერს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისთვის საჭირო კონკრეტულ უნარებსა და კომპეტენციებს, რაც სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს მოითხოვს.

## სამართლებრივი და პოლიტიკური კომპეტენცია

აუცილებელია კანონმდებლობის უწყვეტ რეჟიმში გადასინჯვა ადამიანის უფლებების სტანდარტებთან თანხვედრის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო პროფესიონალებსა და, ასევე, ფართო საგანმანათლებლო თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ იურიდიულ ექსპერტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ [ამ პროცესში] თავიანთი პროფესიული ცოდნა-გამოცდილების შესაბამისად, კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებასთან / პრევენციასთან დაკავშირებული სპეციფიკური სამართლებრივი და პოლიტიკური ცოდნა-გამოცდილების ბირთვის შენარჩუნება (ეროვნული თუ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გამოყენების მიზნით) აუცილებელია ცვალებად საფრთხეებთან სახელმწიფოს ადაპტირების პროცესში.

## გამოვლენა და მონიტორინგი – რადიკალიზაციის ნარატივები და რეკრუტირების აქტივობა

აუცილებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და მედიასაშუალების მონიტორინგი რადიკალიზაციის პროცესის გამოსავლენად. „ყოველდღიური“ მონიტორინგის სათემო დონეზე, სამართალდამცავმა, საგანმანათლებლო და სათემო ჯგუფებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება რადიკალიზაციის აქტივობების თუ ექსტრემისტული პროპაგანდის ან ნებისმიერი სხვა აქტივობის ნიშნებზე. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სამსახურების ხელმისაწვდომობასა და ხილვადობას, რომლებიც უნდა ჩანდნენ და ხელმისაწვდომები იყვნენ ადგილობრივი თემებისთვის. პარალელურად, ასეთი ხელმისაწვდომობა ეწინააღმდეგება ფართო საზოგადოებისგან „გაუცხოების“ ნებისმიერ ფორმას ან რომელიმე ტერიტორიის კონტროლს იმ ორგანიზაციის მიერ, რომელიც სამთავრობო ინსტიტუციას არ წარმოადგენს.

არსებობს, ასევე, ონლაინმონიტორინგის ფორმები, რომლებიც პასიურია და უშუალო ჩარევას არ გულისხმობს. სოციალური მედიის არხების ტერორისტების მიზნებისთვის გამოყენების პარალელურად, არსებობს „სიძულვილის ენის“ ავტომატურად გამოვლენის შესაძლებლობები, რომლებიც რადიკალიზაციის პროცესებში გამოიყენება. ზოგიერთ მეთოდს 80%-ზე მეტი სიზუსტე ახასიათებს<sup>61</sup>. 2016 წლის მაისისთვის, ტექნოლოგიური კომპანიები, რომლებიც უნებლიე, თუმცა მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სიძულვილის ენის გავრცელებაში - მათ შორის, „ფეისბუქი“ (Facebook), „გუგლი“ (Google), „მაიკროსოფტი“ (Microsoft), და ტვიტერი (Twitter) - ერთობლივად დაეთანხმნენ „ევროკავშირის ქცევის კოდექსს“ და ინტერნეტში უკანონოდ გავრცელებული სიძულვილის ენის წაშლას მისი გამოჩენიდან 24 საათის ვადაში<sup>62</sup>. ამავე სფეროში მოღვაწე „ტერორისტული შინაარსის ანალიტიკის პლატფორმა“ (TCAP)<sup>63</sup> ხელს უწყობს ტექნოლოგიურ კომპანიებს გაუმკლავდნენ ტერორისტების მიერ ინტერნეტის გამოყენების პრობლემებს, ხოლო „ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური ინტერნეტ ფორუმი“ მოიცავს ამომწურავ სახელმძღვანელო ინსტრუქციებს განვითარებადი ტენდენციების შესახებ<sup>64</sup>.

კიდევ ერთი უახლესი მოვლენა, რომლისგანაც შეიძლება ისარგებლოს კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სფეროში მომუშავე პროფესიონალმა არის ღია საგამოძიებო ორგანიზაციებისა და სპეციალისტების არსებობა, რომლებიც მეთვალყურეობენ სოციალური მედიის სხვადასხვა არხს კონფლიქტის ზონებში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოიცავს ზოგიერთ ინდივიდს, რომლებიც სახელმწიფოების აქტივობაზე ფოკუსირდებიან<sup>65</sup>, არიან სხვებიც, რომლებიც დეტალურად და რეალურ დროში ადევნებენ თვალს რადიკალიზაციასა და ექსტრემისტულ ქსელებს<sup>66</sup>.

ზოგიერთმა ქვეყანამ შემოიტანა მონიტორინგის პროგრამები განათლების სფეროში, თუმცა მნიშვნელოვანია მათი ეფექტურად ადაპტირება. როგორც წესი, მონიტორინგისთვის სხვა სახის პოტენციურად ანტისოციალური ან კრიმინალური ქცევაც მსგავსი მნიშვნელობისაა. ეს საკითხი მეოთხე თავში იქნება განხილული.

#### გამოვლენა და მონიტორინგი – კრიმინალური აქტივობა

მონიტორინგი უკვე არის სამართალდამცველი უწყებების იმ საგამოძიებო სამსახურების საქმიანობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კრიმინალური საქმიანობის გამოვლენაზე. ცეცხლსასროლი იარაღით, სანჯავით, ნარკოტიკებით, სიგარეტით, გაყალბებული საქონლითა და კულტურული მნიშვნელობის ობიექტებით უკანონო ვაჭრობა, ასევე, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), შანტაჟი და გამოძალვა ტერორისტული ჯგუფებისთვის დაფინანსების მოპოვების სარფიან საშუალებებად იქცა. ასეთი აქტივობების მონიტორინგის საშუალებით, სამართალდამცველებს უკვე შეუძლიათ სხვადასხვა ექსტრემისტული აქტივობის გამოკვეთა ტერორისტული ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გამოვლენა და მონიტორინგი – კომუნიკაციების მეთვალყურეობა და კომუნიკაციის ინფორმაციის მოპოვება (თვალთვალი / ფარული მოსმენა) და მონაცემთა ავტომატური შეგროვება

ჩარევის უფრო მაღალი ხარისხის მომცველი მონიტორინგი მომცველი ფორმების კონტექსტში, რომლებიც უკავშირდება ინდივიდის ტერორისტულ აქტივობაში ჩართულობის ეჭვს, თვალთვალის

61 Tom De Smedt, Guy de Pauw, and Pieter Van Ostaeyen, 'Automatic Detection of Online Jihadist Hate Speech', Computational Linguistics & Psycholinguistics CiIPS Technical Report Series, CTRS 007, February 2018, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://www.academia.edu/36127816/Automatic\\_Detection\\_of\\_Online\\_Jihadist\\_Hate\\_Speech](https://www.academia.edu/36127816/Automatic_Detection_of_Online_Jihadist_Hate_Speech)

62 Alex Hern, 'Facebook, YouTube, Twitter and Microsoft sign EU hate speech code', The Guardian, 31<sup>st</sup> May 2016, <https://www.theguardian.com/technology/2016/may/31/facebook-youtube-twitter-microsoft-eu-hate-speech-code>

63 <https://www.terrorismanalytics.org/about>

64 <https://gifct.org/>

65 იხილეთ, მაგალითად, <https://www.bellingcat.com> და <https://www.atlanticcouncil.org/programs/digital-forensic-research-lab/>.

66 იხილეთ, მაგალითად, [https://twitter.com/p\\_vanostaeyen](https://twitter.com/p_vanostaeyen), და <https://twitter.com/ajaltamimi>.



ნებისმიერი კომპონენტი უნდა შეესაბამებოდეს წინა, პოლიტიკური და სამართლებრივი გამონვევების ნაწილში აღწერილ საუკეთესო პრაქტიკას. [იმის საჭიროება, რომ] კომუნიკაციის შინაარსის მოპოვების აუცილებლობა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული, ზომიერი და დროში შეზღუდული, უცვლელია. კომუნიკაციის შინაარსის ხელში ჩაგდება ნებისმიერი ფაქტის ლეგიტიმურობის უზრუნველყოფა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ნებისმიერი კონტრტერორისტული დევნის ოპერაციისთვის, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვმარტავთ. იმავდროულად, არსებობს თვალთვალის ტექნიკური და ადამიანური კომპეტენციების საჭიროება, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს სამართალდამცველი უწყებების უკვე არსებული საგამოძიებო სამსახურების მიერ, თუმცა, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი სპეციფიკური კომპეტენციის შექმნა სპეციალიზებული კონტრტერორისტული გამოძიებებისთვის. ზოგადი სახელმძღვანელო ინსტრუქციების სახით, არაკომერციული Stiftung Neue Verantwortung-ის ინიციატივა 'about:intel'-ში შეჯერებულია თვალთვალის შესახებ კანონების სხვადასხვა თანამედროვე სახელმძღვანელო ინსტრუქცია, იქნება ეს მონაცემთა ავტომატური შეგროვება თუ კომუნიკაციის შინაარსის ხელში ჩაგდება<sup>67</sup>.

## ანალიტიკური კომპეტენცია

გამოვლენასა და მონიტორინგთან დაკავშირებული ზემოთ ჩამოთვლილი ჯამური გამონვევების ფონზე, სახელმწიფოს სჭირდება ექსტრემისტულ აქტივობაზე ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის კომპეტენცია. შეიძლება არსებული კომპეტენციების გამოყენება ტერორისტებისთვის რელევანტური ინფორმაციის აღრიცხვისა და გამოკვეთისთვის, თუმცა სპეციალიზებული ანალიტიკოსების არსებობა აუცილებელია ინფორმაციის ინტერპრეტირებისა თუ შეფასებისთვის უფრო ფართო - ხშირად გასაიდუმლოებული - ინფორმაციის კონტექსტში, რომელსაც ერთმანეთს უზიარებენ საერთაშორისო პარტნიორები, ასევე, იმ ინფორმაციის, რომელიც სანქცირებული გზით მოიპოვება (კომუნიკაციის შინაარსის სანქცირებული მოპოვება). სახელმწიფოს „შერწყმის ცენტრებს“ ('fusion centres') შეუძლიათ კრიტიკული როლის შესრულება მთავრობის სხვადასხვა უწყებიდან მონაცემების შეგროვება-შეჯერებაში. ეს აუცილებელია ყველა წყაროდან მომავალი საფრთხეების შეფასებისთვის, რაც საფუძვლად უდევს პოლიტიკისა და პრაქტიკის დროულ ჩამოყალიბებას<sup>68</sup>.

ანალიტიკურ კომპეტენციას უნდა ჰქონდეს პრედიკატიული ელემენტი. სახელმწიფომ წინასწარ უნდა განსაზღვროს ტერორისტების სტრატეგიული და ტექნოლოგიური ინოვაციები იმისთვის, რომ თავიდან აირიდოს უსაფრთხოებაში არსებული ხარვეზები და შეინარჩუნოს ახალი ინოვაციების პრევენციისა და მათი დაძლევის უნარი. ტერორისტების ინოვაცია ხშირად პროგნოზირებადია<sup>69</sup> და აუცილებელია ზომების შემუშავება ახალი შეიარაღების თუ აფეთქების სისტემების წინააღმდეგ ბრძოლისა და თავდაცვისთვის. დროების ტექნოლოგიის შეიარაღებაში გამოყენების თანამედროვე ტენდენცია იაფფასიანი, სტანდარტული (ადვილად ხელმისაწვდომი) კომპონენტების გამოყენებით მოითხოვს ღონისძიებების შემუშავებას ასეთი მოწყობილობების სხვადასხვა კონტექსტში დაძლევისთვის.

## კოორდინაციის კომპეტენცია

კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებში დამატებითი კოორდინაციის უნარის საჭიროება არსებობს სამ დონეზე: პირველ რიგში, სახელმწიფოში „კოალიციური ცენტრის“ არსებობა, რომელიც ეყრდნობა უსაფრთხოების სექტორის უწყებების მონიტორინგის არსებულ კომპეტენციებს; მეორე, ერთიანი სამთავრობო და ერთიანი საზოგადოებრივი ჯგუფების არსებობა, რომლებიც აგროვებს პროფესიონალებსა და დაინტერესებულ მხარეებს საზოგადოებიდან, მომსახურების მიმწოდებლებისა და უსაფრთხოების

67 იხ., <https://aboutintel.eu/>

68 Belgian Standing Committee I, Fusion Centres Throughout Europe: All-Source Threat Assessments in the Fight Against Terrorism, (Intersentia, 2010). იხილეთ, მაგალითად, Renske van der Veer, Walle Bos, Liesbeth van der Heide, 'Fusion Centres in Six European Countries: Emergence, Roles and Challenges', ICCT Report Series, February 2019, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://icct.nl/app/uploads/2019/02/ICCT-VanderVeer-Bos-VanderHeide-Fusion-Centres-in-Six-European-Countries.pdf>

69 Andrew Silke and Anastasia Filippidou, 'What drives terrorist innovation? Lessons from Black September and Munich 1972', Security Journal, Volume 33, June 2020, pp. 210-227, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://dspace.lib.cranfield.ac.uk/handle/1826/14221>

სექტორიდან ექსტრემისტული აქტივობის შესახებ პოლიტიკისა და პრაქტიკის გადასინჯვის, ასევე, ასეთ აქტივობებზე ინფორმაციის გაზიარების მიზნით. მესამე, მთავრობისა და უსაფრთხოების სექტორის პასუხისმგებელ პირებს უნდა ჰქონდეთ საერთაშორისო მასშტაბით კოლეგებთან ოფიციალური ინტერაქციის წარმოების, მესამე მხარისგან მიღებული ინფორმაციის გაზიარებისა და ანალიზის შესაძლებლობა / კომპეტენცია.

### სამხილების შეგროვება

ზოგიერთი ტერორისტული საქმე მოითხოვს სამხილების შეჯერებას დიდი ხნის განმავლობაში; შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი სასამართლო ექსპერტიზა დანაშაულის ადგილიდან დეტალური სამხილების შესაგროვებლად და ამ სამხილების შესასწავლად სერტიფიცირებულ ლაბორატორიებში. მსგავსადვე, დამატებითი თვალთვალი შეიძლება აუცილებელი იყოს კომუნიკაციის შინაარსის კანონიერი გზით მოპოვების მიზნით ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეებზე. ამის განხორციელებისთვის სპეციალური კომპეტენციის შექმნა (სამართალდამცველი და საგამოძიებო დანაყოფების არსებული კომპეტენციების გარდა) ნებისმიერი მთავრობისთვის რესურსების მართვის ძირითადი საკითხია.

### სამართლებრივი დევნა

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევაა ტერორისტებისა და მათი ხელშემწყობი პირების სამართლებრივი დევნის შესაფერისი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება. იმის უზრუნველყოფა, რომ არსებული სისხლის სამართლის კოდექსი ასახავს ევროპულ საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც „პოლიტიკური და სამართლებრივი გამოწვევების“ ნაწილში იყო აღწერილი, უფრო ფართო და ამომწურავი მიდგომის შემუშავების საშუალებას იძლევა ტერორისტების მხარდამჭერებისა და თავად მოქმედი ტერორისტების სამართლებრივი დევნისადმი.

როგორც ზემოთ სამხილების შეგროვებასთან დაკავშირებით იყო აღნიშნული, სამხილების სისტემატური და სანქცირებული მოპოვების კომპეტენციის არსებობა, რაც ზრდის დასაბუთების სანდოობას, წარმოადგენს ეჭვმიტანილის წინააღმდეგ ბრალდების დამაჯერებლობის უზრუნველყოფისა და ეჭვმიტანილების პირველივე შემთხვევაში დაკავების აუცილებელი კომპონენტს. ეს ამომწურავი მიდგომა, ასევე, ეხმარება უკანონო მოქმედების რისკების შემცირებას, რაც ხელს უწყობს ტერორისტების მიერ რეკრუტირებას (ძირითადად, უსაფუძვლო დაკავება და ტერორიზმში ეჭვმიტანილების დაუსაბუთებელი დევნა). სანდო და დამაჯერებელი სამართლებრივი დევნის შედეგად შექმნილი დადებითი იმპულსი რადიკალიზაციის განმზიდველ და მიმზიდველ ფაქტორებთან გამკლავების, უკმაყოფილების ციკლის შეწყვეტისა და ტერორიზმის სხვა სტიმულების (მაგალითად, მომსახურებებზე წვდომის არარსებობა) აღმოფხვრის საშუალებას იძლევა.

### ადამიანური და ფინანსური რესურსები

ზემოთ მოცემულ ჩამონათვალში დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ შეიძლება იქნას გამოყენებული არსებული და ბიუჯეტით გათვალისწინებული კომპეტენციები ინფორმაციის შემუშავება-გაზიარებისთვის ანტიტერორიზმის პროფესიონალების ბირთვის შექმნის საჭიროების პარალელურად. არსებული სამართალდამცველი, საგამოძიებო და სადაზვერვო სამსახურები ზღუდავს კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისთვის საჭირო ხარჯს. არსებული რესურსების გამოყენებით, ადვილდება ამ ბირთვის დამატებითი კომპეტენციისა და კოორდინირების ხარჯის შეფასება. ზოგიერთი დამატებითი კომპეტენცია შეიძლება საჭირო გახდეს საფრთხეების დრამატულად ზრდის შემთხვევაში, თუმცა, სექტორში მანამდე მომუშავე პროფესიონალების გამოყენება წარმოადგენს ასეთ საჭიროებასთან გამკლავებისა და ხარჯების შეზღუდვის ერთ-ერთ საშუალებას.

## ინფორმაციასა და დეზინფორმაციასთან დაკავშირებული გამოწვევები

ინფორმაციასა და დეზინფორმაციასთან დაკავშირებული გამოწვევები საზოგადოებაში მოიცავს სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, პოლიტიკის ამოცანების სიცხადის, პრაქტიკის არანაწილდებობის, დეზინფორმაციულ ნარატივებთან ბრძოლისა და მთავრობის მიერ კრიზისულ სიტუაციაზე სანდო ინფორმაციის გამოყენებით რეაგირების საჭიროებას.

როგორც ინფორმაციასთან, ასევე, დეზინფორმაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავების უმთავრესი ელემენტია ეროვნული მედია-სექტორის დამოუკიდებლობის და მათ მიერ სანდო ინფორმაციის გაზიარების უზრუნველყოფა. სათანადო უფლებამოსილებითა და კომპეტენციით აღჭურვილი მედია, რომლის რეპორტაჟები დაბალანსებული და ინფორმატიულია, აძლიერებს საზოგადოების ნდობასა და სიახლეების დამაჯერებლობას. დამოუკიდებელი რეგულატორების არსებობა ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა.

ამის მსგავსად, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ მედიას მიენოდება სანდო ინფორმაცია. ეს მოთხოვნა ინფორმაციის დამაჯერებლობის ძირული ფაქტორია. ნებისმიერი საეჭვო ან უსაფუძვლო ინფორმაცია სწრაფად უთხრის ძირს ნდობას მთავრობისადმი.

მთავრობამ, ასევე, უნდა იმოქმედოს პროაქტიურად კომუნიკაციის პროცესში, განსაკუთრებით, სტრატეგიული კომუნიკაციების შემთხვევაში. ტერორისტული საფრთხეების ბუნების იდენტიფიცირებით, რისკების აღწერითა და ტერორიზმზე მთავრობის სტრატეგიული რეაგირების ნათელი გეგმის შემუშავებით შესაძლებელია პრობლემის მოგვარებისადმი მთავრობის პროაქტიული მიდგომისადმი ნდობის უზრუნველყოფა. ნებისმიერი სახის ბუნდოვანება ან კომუნიკაციის ნაკლებობა ქმნის ინფორმაციულ ვაკუუმს, რომელშიც საზოგადოების ნდობა ადვილად სუსტდება.

მთავრობამ უნდა პროაქტიურად გამოავლინოს და გამოკვეთოს დეზინფორმაცია. დეზინფორმაციისა და რადიკალიზაციის ნარატივების წყაროების მონიტორინგით, განსაკუთრებით, სოციალური მედიის არხებში, მთავრობას ექმნება შესაძლებლობა ადრეულ ეტაპზე გამოკვეთოს დეზინფორმაცია და განაპირობოს საზოგადოების რეაგირება, რომელიც ამ არხის ეფექტურობას შეასუსტებს. მთავრობის ამ პროაქტიური მიდგომის კიდევ ერთი ელემენტია მსოფლიო ინტერნეტ-პლატფორმებზე შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირება. ზოგიერთი პლატფორმა ფოკუსირდება კრიზისის მართვაზე სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ერთად, რათა რეალურ დროში აღმოფხვრან ტერორისტების მიერ პირდაპირ ეთერში წარმოებული ჩართვები თუ გადაცემები. პლატფორმებს მაინც უჭირთ ჩანაწერების წაშლა, ხოლო ზოგიერთი პლატფორმა ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ფარგლებს გარეთ კვლავ იძლევა პროპაგანდისა და ომის დანაშაულის ამსახველი მასალის თავისუფლად გავრცელების საშუალებას.

იმავდროულად, მთავრობამ უნდა აარიდოს თავი ავტორიტარული ცენზურის შესახებ ბრალდებებსაც. შესაფერისი ბალანსის შენარჩუნება შეიძლება რთული იყოს ექსტრემალურ გარემოებებში, მაგრამ ეს გამოწვევაც არსობრივად იგივეა, რაც კრიზისული სიტუაციის მართვის სხვა შემთხვევებში. არსებობს გარკვეული საშუალებები, როგორცაა დროში შეზღუდული ცენზურა, რომელიც შეიძლება აუცილებელი იყოს ძალიან შეზღუდულ გარემოებებში. მაგრამ ცენზურა ხშირად ცუდად უბრუნდება მთავრობას, განსაკუთრებით, ტერორისტების მხარდამჭერებისგან. ამის ნაცვლად, კონტრტერორისტული სტრატეგიის ეფექტურობა ზოგადად და, უფრო კონკრეტულად, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის მიზნით წარმოებულ კომუნიკაციებში გამორიცხავს მკაცრი და სასტიკი ცენზურის ზომების გატარების უშუალო საჭიროებას.

# მესამე თავი: ინსტიტუციური ჩარჩოები

## შესავალი

მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოს სჭირდება ამომწურავი ინსტიტუციური მიდგომა კონტრტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისადმი. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სტრატეგიის გრძელვადიან ეფექტურობას ხელს უწყობს ერთიანი სამთავრობო და ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომები, რომელთა ფარგლებშიც ინსტიტუტები არა მხოლოდ სისტემატურად ასრულებენ მათთვის განსაზღვრულ როლებს, არამედ, ასევე, დინამიკურად თანამშრომლობენ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან სახელმწიფოს დასახული მიზნების მისაღწევად.

ამ ამოცანის შესასრულებლად, კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისათვის აუცილებელია მკაფიო სტრატეგიული ჩარჩოს შემუშავება, კოლექტიური და ინდივიდუალური ინსტიტუციური მიზნების განსაზღვრა, ინსტიტუციური კომპეტენციების განვითარება და შენარჩუნება და სათანადო რაოდენობის რესურსების გამოყოფა კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის / პრევენციისთვის სპეციალიზებული უნარებისთვის / კომპეტენციებისთვის.

ეს თავი ფოკუსირდება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებთან გამკლავების ინსტიტუციურ ჩარჩოებზე, განიხილავს საერთო მიდგომას პოლიტიკის შემუშავებისადმი და, შემდეგ, ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუტების ინდივიდუალურ გამოწვევებსა და საჭიროებებზე. ინსტიტუტებზე ორიენტირებული სუბსტანციური პოლიტიკის სტრუქტურის ანალიზის საშუალებით წინამდებარე თავი განიხილავს პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს, ეფექტური თანამშრომლობის ფორმატებსა და ცალკეული ინსტიტუტების წინაშე მდგარ კონკრეტულ გამოწვევებს ექსტრემისტული აქტივობების მონიტორინგის, მათთან წინააღმდეგობისა თუ მათი აღმოფხვრის თვალსაზრისით.

## სამართლებრივი განზომილებები

კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის დადგენილი ევროპული ჩარჩო აყალიბებს სათანადო პოლიტიკის სტრატეგიების შემუშავების კონტექსტს, განსაზღვრავს განხორციელების ჩარჩოებსა და ღონისძიებებს. როგორც პირველ და მეორე თავში მოცემულ სახელმძღვანელო ინსტრუქციებში განიმარტა, აქ განხილულ სამართლებრივ განზომილებებს პირდაპირი წვლილი შეაქვს ინსტიტუტებისთვის პოლიტიკის სახელმძღვანელო ინსტრუქციების ფორმულირებაში.

სწორედ ამგვარი სამართლებრივი სტანდარტები უნდა ჩართოს სახელმწიფომ უსაფრთხოების არსებულ პოლიტიკასა და პრაქტიკაში, არა მხოლოდ სტრატეგიული უსაფრთხოების პოლიტიკის დონეზე, არამედ, ასევე, პოლიტიკის განხორციელების საკანონმდებლო ჩარჩოსა და იმ სახელმძღვანელო ინსტრუქციებში, რომლებსაც სამთავრობო ინსტიტუტები თუ უსაფრთხოების სამსახურები შეიმუშავებენ საზოგადოებასთან უშუალო ურთიერთობის მქონე პერსონალისთვის. ეფექტური სახელმძღვანელო ინსტრუქციების შექმნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის გამოწვევების გამოვლენა-განსაზღვრას შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებში იმგვარად, რომ პრაქტიკოსების უმრავლესობას შეეძლოს თვითორიენტირება და შემდეგ არსებული მიდგომების ადაპტირება უსაფრთხოების დაცვის ზოგადი საკითხების ნაცვლად ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროგრამების შემუშავებაზე.

## ევროპული განსაზღვრებები - პრევენციის ამოცანები

კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ევროპული ჩარჩოს ჰარმონიზებული განმარტება ნათლად განსაზღვრავს იმ აქტივობებს, რომლებიც წარმოადგენს ტერორიზმს და რომელთაგან ყველა უნდა იყოს გათვალისწინებული პოლიტიკასა და პრაქტიკაში. განზრახ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები - მათ შორის, მკვლელობა, ადამიანის გატაცება, ტრანსპორტის გატაცება, ინფრასტრუქტურაზე თავდასხმა და, ასევე, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა - უნდა განიხილებოდეს, როგორც ტერორისტული აქტები, თუ ისინი მიზნად ისახავს რომელიმეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- მოსახლეობის სერიოზულად დაშინება;
- ძალის გადამეტებით მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს კონკრეტული მოქმედება ან თავის შეიკავოს გარკვეული ქმედებისგან;
- ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური სტრუქტურების სერიოზული დესტაბილიზაცია ან ნგრევა<sup>70</sup>.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტერორისტული საფრთხეების სწრაფმა ევოლუციამ გამოიწვია ამ ჩამონათვალში შემდეგი სახის განზრახ ჩადენილი ქმედებების დამატება:

- „უცხოელი ტერორისტი მებრძოლების“, როგორც წესი, მოქალაქეების, მგზავრობა და დაბრუნება;
- ტერორიზმის დაფინანსებისა და უკანონო ტრეფიკინგის სხვადასხვა ტიპი;
- შუამავლების როლი ტერორისტული ჯგუფებისთვის მომსახურებების უზრუნველყოფაში;
- ინტერნეტში [შესაბამისი / ტერორისტების ხელშეწყობი] შინაარსის შემცველი მასალის განთავსება;
- ტერორისტული თავდასხმების ხელშეწყობა (ან ხელშეწყობის მცდელობა);
- ტერორიზმის მიზნებისთვის წვრთნების მოწყობა;
- და ტერორიზმის მიზნებისთვის რეკრუტირება<sup>71</sup>.

უკვე დაფუძნებულ და ფესვგადგმულ ტერორისტულ ჯგუფებთან ბრძოლის პარალელურად, სახელმწიფოებმა უნდა მოაგვარონ საგანგებო დანიშნულების მქონე ექსტრემისტული დანაყოფების ფორმირების პრობლემა. „ტერორისტული ჯგუფი“ შეიძლება იყოს უფრო შეზღუდული ზომის და შეზღუდული დროითი ხანგრძლივობის, უფრო კონკრეტულად კი:

„ორზე მეტი ადამიანისგან შექმნილი სტრუქტურული ჯგუფი, რომელიც ყალიბდება გარკვეული პერიოდის მანძილზე და მოქმედებს შეთანხმებულად ტერორისტული თავდასხმების განხორციელების მიზნით“<sup>72</sup> ...“რომელიც არ არის შემთხვევითად ფორმირებული უშუალოდ კონკრეტული თავდასხმის განხორციელებისთვის და რომელსაც შეიძლება არ ჰქონდეს ოფიციალურად განსაზღვრული ფუნქციები თავისი წევრებისთვის, წევრობის განგრძობითობა თუ განვითარებული სტრუქტურა“<sup>73</sup>.

ტერორიზმის პრევენციის შესახებ ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენციის თანახმად, სახელმწიფოები მზად უნდა იყვნენ ტერორისტული დანაშაულის ჩამდენი პირის ექსტრადირების, [მისი დანაშაულის დამამტკიცებელი] სამხილების შეგროვებისა და მის მიმართ სამართლებრივი დევნის

70 EU Council Framework Decision of 13 June 2002 on combating terrorism, (2002/475/JHA), OJ L 164, 22/06/2002, Art. 1(1), ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32002F0475>

71 Directive (EU) 2017/541 of the European Parliament and of the Council of 15<sup>th</sup> March 2017 on combating terrorism and replacing Council Framework Decision 2002/475/JHA and amending Council Decision 2005/671/JHA, Articles 8-19, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://data.europa.eu/eli/dir/2017/541/oj> and <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32017L0541>

72 EU Council Framework Decision of 13 June 2002 on combating terrorism, Article 1.

73 EU Council Framework Decision of 13 June 2002 on combating terrorism, Article 2.

განხორციელებისთვის<sup>74</sup>. შესაბამისად, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროგრამა ფოკუსირდება შესაძლო ექსტრემისტული დანაშაულების ფართო სპექტრის პრევენციაზე.

### ადამიანის უფლებები და კონტრტერორიზმი - დაცვის ვალდებულება

უსაფრთხოების პოლიტიკისა და პრაქტიკის თვალსაზრისით, ყველა სახელმწიფოს აქვს სხვადასხვა საფრთხისგან (ტერორიზმის ჩათვლით) მოქალაქეებისა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება. ადამიანის უფლებების სტანდარტები სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლება, დაცვა წამებისგან, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების, ასევე, სამართლიანი სასამართლოს უფლება. ტერორიზმის ნებისმიერი აქტი არღვევს იმ უფლებას, რომლის დაცვაც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა. შედეგად, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია ხელს უწყობს საზოგადოების მქსიმალურად ფართო სეგმენტის დაცვას, განსაკუთრებით ტერორისტული აქტივობების რისკის შემცირების საშუალებით.

ევროსაბჭოს წევრ ყველა ქვეყანაში, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა და პრაქტიკა – სათემოდან დაწყებული სტრატეგიული დონის ჩათვლით - გამომდინარეობს „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან“, რომელიც სავალდებულოდ რჩება ყველა ხელმომწერისთვის<sup>75</sup>. ადამიანის უფლებების დაცვის პერსპექტივის გათვალისწინებით კონტრტერორიზმის სამართლებრივ და პოლიტიკურ გამოწვევებთან ბრძოლისას, სტრატეგიული და ოპერატიული პოლიტიკის სახელმძღვანელო ინსტრუქციებმა უნდა გააერთიანოს და შეაჯეროს ეროვნული უსაფრთხოების ლეგიტიმური ინტერესები ფუნდამენტური თავისუფლებებისა და უფლებების დაცვასთან. ამ მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა:

- აკრძალონ ძალაუფლების გადამეტება და დისკრიმინაცია;
- აკრძალონ წამება;
- დაარეგულირონ თვალთვალი;
- სათანადო სამართლებრივი პროცედურის უფლების დაცვა;
- სიკვდილით დასჯის აკრძალვა;
- იურიდიულ წარმომადგენელსა და დაკავებულ პირს შორის კომუნიკაციის ფარული თვალთვალის / მოსმენის აკრძალვა<sup>76</sup>.

ინსტიტუციურ კონტექსტში არსებობს, ასევე, საუკეთესო პრაქტიკის დაცვის საჭიროება, რომელიც უკავშირდება პირადი ინფორმაციის შენარჩუნებას „მონაცემთა დაცვის გლობალური რეგულაციის“ (GDPR)<sup>77</sup> პირობებსა და მოთხოვნებს.

74 Council of Europe, 'Convention on the Prevention of Terrorism', CETS, No. 196, Article 15 and Articles 17-21, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/196>

75 “ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის” (ECHR) ეროვნულ უსაფრთხოებაზე გავლენის შესახებ ზოგადი ისტორიის ამსახველი მასალისთვის იხილეთ, მაგალითად, Iain Cameron, National Security and the European Convention on Human Rights, (Uppsala: Uppsala University, 2000); და Iain Cameron, 'National Security and the European Convention on Human Rights – Trends and Patterns', in Stockholm International Symposium on National Security and the European Convention on Human Rights, (Stockholm: Commission on Security and Integrity Protection, 2008). გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა „ტერორიზმთან ბრძოლის პროცესში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვისა და ხელშეწყობის“ საკითხზე მოხსენებისას, ასევე, მხარი დაუჭირა იგივე მიდგომას: Martin Scheinin, Report of the Special Rapporteur on the promotion and protection of human rights and fundamental freedoms while countering terrorism, 'Ten areas of best practices in countering terrorism', Human Rights Council, A/HRC/16/51, 22<sup>nd</sup> December 2010. ხელმისაწვდომია (განახლებული ტექნიკური ინსტრუქციებით) შემდეგ ბმულზე: <https://www.ohchr.org/en/issues/terrorism/pages/annual.aspx>

76 Council of Europe, 'Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on human rights and the fight against terrorism adopted by the Committee of Ministers on 11 July 2002 at the 804th meeting of the Ministers' Deputies', pp. 35-38, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://edoc.coe.int/en/terrorism/7544-protection-of-victims-of-terrorist-acts.html>. Also see the 'Additional Protocol to the Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism', CETS No. 217, 2017, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/217>

77 Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) (Text with EEA relevance) ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj>

ეს სამართლებრივი ვალდებულებები განსაზღვრავს და აყალიბებს პრევენციის პროგრამას იმაზე დაყრდნობით, რომ საუკეთესო პრაქტიკა კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ყველა ტიპის ინტერვენციისთვის ცენტრალური მნიშვნელობის ფაქტორია. პრევენციულ ღონისძიებებში ჩართულმა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა შეინარჩუნონ მაღალი სტანდარტი პროგრამების შემუშავებისა თუ ყოველდღიური აქტივობების განხორციელებისას ნებისმიერი სახის უკმაყოფილების პროვოცირების თავიდან არიდების მიზნით. ამ სახელმძღვანელო ინსტრუქციის დაცვისა და, ასევე, სტრატეგიულ თუ ინსტიტუციურ სტრატეგიებში მისი ჩართვის საშუალებით სახელმწიფოს შეუძლია აირიდოს ის სამართლებრივი და პოლიტიკური ხარვეზები, რომლებიც თავისთავად ახლავს ნებისმიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას და უზრუნველყოს უფრო სანდო, ლეგიტიმური პრაქტიკა: ეს გამოწვევა განხილულია მომდევნო ნაწილში.

## პოლიტიკის განზომილებები

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პოლიტიკის დადგენილი ჩარჩოს მიზანია ექსტრემიზმის აღმოფხვრა და პრევენცია ექსტრემისტების ოპერატიული აქტივობების შეჩერებით. სახელმწიფოს სჭირდება პოლიტიკის დოკუმენტების იერარქია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ერთიან საზოგადოებრივ აქტივობებზე ფოკუსის უზრუნველსაყოფად. მომდევნო ნაწილები ხაზს უსვამს საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც საჭიროა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროცესში სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის სასურველი ამოცანების მისაღწევად.

## ძირითადი პრიორიტეტები

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისა და კონტრტერორიზმისადმი სტრატეგიული მიდგომის დანერგვისას, შესაძლებელია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებისადმი ერთიანი სამთავრობო და ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომების კონსოლიდაცია პოლიტიკის დოკუმენტებში. სანდო და ლეგიტიმური პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, ტერორისტების ოპერატიული ამოცანების (დებორინტაცია; მიზნობრივი რეაგირება და ლეგიტიმურობის მოპოვება) განხორციელებისა და გაფართოებული რადიკალიზაციის მამოძრავებელი მიზიდველი და განმზიდველი ფაქტორებისთვის ხელის შეშლის მიზნით. ევროსაბჭოს სახელმძღვანელო ინსტრუქცია წარმოადგენს შემდეგი სამი ძირითადი პრიორიტეტის გარშემო სტრატეგიული კონსენსუსის შემუშავების ორიენტირს:

ტერორიზმის პრევენცია: სისხლის სამართლისა და სამართალდაცვითი ღონისძიებების საშუალებით, რომლებიც გამიზნულია თავდასხმების ან მათი მზადების ჩასაშლელად; ასევე, მრავალმხრივი გრძელვადიანი ღონისძიებების საშუალებით, რომლებიც მიზნად ისახავს რადიკალიზაციის პრევენციას (რაც, თავის მხრივ, მოიცავს რეკრუტირების, წვრთნების, ტერორისტული იდეოლოგიისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლას);

ტერორისტების სამართლებრივი დევნა: იმის უზრუნველყოფა, რომ ევროპაში თუ მის ფარგლებს გარეთ ჩადენილი ტერორისტული თავდასხმები გამოძიებული იქნება მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტიანად (შესაძლებლობის ფარგლებში), ეფექტური სასამართლო და საერთაშორისო თანამშრომლობის საშუალებით; დამნაშავეები წარდგებიან მართლმსაჯულების წინაშე და პასუხს აგებენ თავიანთი მოქმედებებისთვის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპის შესაბამისად;

წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე მყოფი ყველა ადამიანის დაცვა ტერორიზმისგან, ხალხის უსაფრთხოების და ტერორისტული თავდასხმის პოტენციური სამიზნეების, მათ შორის, კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურასა და საჯარო სივრცეებს დაცულობის უზრუნველყოფა; დახმარების განწვევა და მხარდაჭერის შეთავაზება ტერორიზმის მსხვერპლთათვის<sup>78</sup>.

78 Council of Europe Counter-Terrorism Strategy (2018-2022), ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://search.coe.int/cm/Pages/>

პრევენციის, სამართლებრივი დევნისა და დაცვის ეს მარტივი სტრატეგიული მიდგომა ინსტიტუციებსა და დაინტერესებულ მხარეებს მთელი საზოგადოების მასშტაბით საშუალებას აძლევს ორიენტირდნენ თავიანთ საერთო როლზე ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საქმეში და გაითვალისწინონ საუკეთესო პრაქტიკა ინტერვენციის პროგრამების შემუშავების პროცესში. მთავრობისა და საზოგადოების პასუხისმგებელი პირების ორგანიზება და კოორდინირება ამ სამი ამოცანის მისაღწევად სახელმწიფოს მთავარი გამოწვევაა.

ნებისმიერი კონტრტერორისტული თუ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროგრამის შემუშავების პროცესის კოჰერენტულობა დამოკიდებულია მთავრობის პასუხისმგებელი პირების უნარზე, ერთი მიმართულებით წარუძღვნენ სხვადასხვა [დაინტერესებული] მხარის საქმიანობას თანამშრომლობისა და კოორდინაციის ჩარჩოს ფარგლებში. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სპეციფიკური სახელმძღვანელო ინსტრუქციების ხელმისაწვდომობა სამთავრობო ინსტიტუტების, სამართალდამცავი თუ უსაფრთხოების სამსახურებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ასევე, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ამ მნიშვნელოვან გამოწვევასთან გასამკლავებლად. იმავდროულად, სახელმწიფო უნდა გასცდეს უსაფრთხოების სექტორში მხოლოდ უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კომპეტენციების ფორმირებას და უზრუნველყოს, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს სათანადო უნარები, რესურსები თუ თანამშრომლობითი ჩარჩოები თანამშრომლობასა და პროგრამირებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

პოლიტიკის იერარქია – ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება / პრევენცია ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პოლიტიკა ეყრდნობა ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტების ერთობლიობას. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის / სტრატეგიული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტები აკონკრეტებს საფრთხეებსა და გამოწვევებს, ისევე, როგორც თავად პოლიტიკასა და რესურსების გადანაწილებას ამ საფრთხეებზე რეაგირებისთვის.

„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის“ (NSP) კონტექსტში, „კონტრტერორიზმის ეროვნული სტრატეგია“ აღწერს სპეციფიკურ ტერორისტულ საფრთხეებსა და პოლიტიკის პასუხს ეროვნულ დონეზე; ასევე, აკონკრეტებს პოლიტიკის განმახორციელებელი სამთავრობო უწყებების პასუხისმგებლობასა და როლებს.

„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტსა“ და „კონტრტერორიზმის სტრატეგიაზე“ დაყრდნობით შექმნილი საბოლოო მთავარი დოკუმენტია „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, რომელიც აღწერს რადიკალიზაციის საფრთხეების მასშტაბსა და განმაპირობებლებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის პოლიტიკურ რეაგირებას, რაც სცდება მთავრობასა და მის უწყებებს და მიემართება ადგილობრივ ხელისუფლებებს, განათლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას.

„ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სამოქმედო გეგმები“ ღირებულია, რამდენადაც მათი არსებობის მიზანია პრევენციული ღონისძიებების ფართო სპექტრის მკაფიო განმარტება და მათზე აქცენტირება, ასევე, საზოგადოების მიერ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობის გაცნობიერება<sup>79</sup>. 2015 წლის ბოლოს გამოქვეყნებული „გაეროს სამოქმედო გეგმა“ კვლავ რჩება რადიკალიზაციის პრევენციისადმი ამომწურავი მიდგომის შემუშავების მთავარ ორიენტირად. „გეგმა“, რომელიც შემუშავებულია კონტრტერორიზმის უკვე არსებული ეროვნული სტრატეგიების სრულყოფის მიზნით, ფოკუსირდება ძალადობრივი ექსტრემიზმის განმაპირობებელი ადგილობრივი თუ

[result\\_details.aspx?ObjectId=09000016808afc96](https://www.osce.org/result_details.aspx?ObjectId=09000016808afc96)  
79 Peter Neumann, 'Countering Violent Extremism and Radicalisation that Lead to Terrorism: Ideas, Recommendations, and Good Practices from the OSCE Region', OSCE, CIO.GAL/189/17, (September 2017), pp. 45-46, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/chairmanship/346841>



ეროვნული ფაქტორების აღმოფხვრის საჭიროებაზე. ექსტრემიზმის ხელშემწყობი განმზიდეველი და მიმზიდეველი ფაქტორები კატეგორიზდება შემდეგნაირად:

- სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების არარსებობა;
- მარგინალიზაცია და დისკრიმინაცია;
- სუსტი მმართველობა, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის შელახვის შემთხვევები;
- გახანგრძლივებული და მოუგვარებელი კონფლიქტები;
- რადიკალიზაცია ციხეებში;
- ინდივიდუალური ფონი და მოტივაცია;
- კოლექტიური უკმაყოფილება და მსხვერპლად ყოფნის შეგრძნება;
- რწმენების, პოლიტიკური იდეოლოგიისა და ეთნიკური თუ კულტურული განსხვავებების გამიზნულად დამახინჯება და ბოროტად გამოყენება;
- ლიდერობა და სოციალური ქსელები, ახალი საკომუნიკაციო მედიის გამოყენების ჩათვლით<sup>80</sup>.

მოტივატორების აღმოფხვრის მიზნით არსებული შვიდი თემატური სფერო კატეგორიზდება შემდეგნაირად:

- დიალოგი და კონფლიქტის პრევენცია;
- კარგი მმართველობის გაძლიერება;
- ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა;
- თემების ჩართვა;
- ახალგაზრდობის გაძლიერება;
- გენდერული თანასწორობა და ქალების გაძლიერება;
- განათლება;
- უნარების განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა;
- სტრატეგიული კომუნიკაციები, ინტერნეტი, და სოციალური მედია.<sup>81</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ეუთოს წევრი ქვეყნების ნახევარზე ნაკლებს ჰქონდა ასეთი ეროვნული სამოქმედო გეგმა შექმნილი 2016 წლისთვის, ზემოხსენებული შაბლონი წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას და უზრუნველყოფს ჩარჩოს ამჟამად მოქმედი რამდენიმე „ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის“<sup>82</sup>. მაგალითად, შვეიცარიის „რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ ეყრდნობა გაეროს „სამოქმედო გეგმას“<sup>83</sup> და დეტალურად აღწერს სხვადასხვა საუკეთესო პრაქტიკას.

„შვეიცარიული სამოქმედო გეგმა“ წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმისადმი ერთიანი სამთავრობო და ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომების შესწავლისა და გააზრების საშუალებას. გეგმა ითვალისწინებს უფრო ადრეულ ეროვნულ სახელმძღვანელო ინსტრუქციებს, რაც მოიცავს „კონტრტერორიზმის სტრატეგიას“<sup>84</sup>, ფედერალური დაზვერვის სამსახურის 2017 წლის

80 Report of the Secretary General, 'Plan of Action to Prevent Violent Extremism', A/70/674, 24<sup>th</sup> December 2015, pp. 7-10, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.un.org/counterterrorism/plan-of-action-to-prevent-violent-extremism> and [https://www.un.org/en/ga/search/view\\_doc.asp?symbol=A/70/674](https://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/70/674)

81 Report of the Secretary General, 'Plan of Action to Prevent Violent Extremism', pp. 14-20. For additional guidance on developing National Action Plans, see Also see Hedayah Center, 'Guidelines and Good Practices: Developing National P/CVE Strategies and Action Plans', September 2016; ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.hedayahcenter.org/resources/good-practices/guidelines-good-practices-developing-national-p-cve-strategies-action-plans/> and ICCT, '12 Principles for National Action Planning', International Center for Counter-Terrorism, 30<sup>th</sup> June 2016; ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე <https://icct.nl/update/12-principles-for-national-action-planning/>

82 Neumann, 'Countering Violent Extremism', pp.45-46.

83 Swiss Security Network (Sicherheitsverbund Schweiz), Swiss National Action Plan to Prevent and Counter Radicalisation and Violent Extremism, 4<sup>th</sup> December 2017, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.news.admin.ch/news/message/attachments/50703.pdf> pp. 5-6.

84 Strategie der Schweiz zur Terrorismusbekämpfung [Switzerland's Counter Terrorism Strategy], BBI 2015 7487, 18<sup>th</sup> September 2015, available in DE/FR/IT only at: <https://www.fedlex.admin.ch/de/fga/index/2015> and <https://www.fedlex.admin.ch/eli/fga/2015/1784/de>

ყოველწლიურ ანგარიშს (რომლის მიხედვითაც, ჯიჰადისტური მოტივაციით რადიკალიზაცია წარმოადგენს შვეიცარიული საზოგადოებისთვის<sup>85</sup> მთავარ საფრთხეს), „ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის მიმართულებით საგარეო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას“<sup>86</sup>, სპეციალური უწყებათაშორისი სამსახურის - „ტერორისტების თვალთვალის ოპერატიულ-ტაქტიკური დანაყოფის“ (TETRA)<sup>87</sup> ანგარიშებს და პირველ ეროვნულ ანგარიშს ფულის გათეთრებისა და ტერორისტების დაფინანსების რისკების შესახებ<sup>88</sup>. გაეროს „სამოქმედო გეგმაზე“ დაყრდნობით მოცემული გეგმა აღწერს პრევენციულ ღონისძიებებს, რომლებიც ადაპტირებულია შვეიცარიის კონფედერაციული მონეტარისთვის და მიზნად ისახავს ექსტრემიზმის მამოძრავებელი განმაპირობებელი (მიმზიდველი) და ზემოქმედების (განმზიდველი) ფაქტორების<sup>89</sup> შესუსტებას.

„გეგმის“ ოთხი მიზანი მარტივია და მოიცავს „რეალური წინაპირობების შექმნას რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ყველა ფორმის პრევენციისა და მათთან ბრძოლისთვის“, რაც, ამ ნაწილში და წინა თავებში აღწერილი პოლიტიკისა და სამართლებრივი სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესაბამისად, უნდა განხორციელდეს „ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემით“<sup>90</sup> შემდეგის საშუალებით:

- თანამშრომლობა და ეფექტური სტრუქტურები;
- კოორდინაცია;
- ინსტრუმენტები;
- სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა და მხარდაჭერა<sup>91</sup>.

„შვეიცარიული სამოქმედო გეგმის“ მრავალგანზომილებიანი მიდგომა აერთიანებს მრავალ ინსტიტუტს და აქცენტს აკეთებს სათემო თუ ადგილობრივ დონეებზე. გეგმა ფორმულირდება ფედერალურ ან კანტონების დონეზე სოციალური სამსახურების, საგანმანათლებლო სფეროს, კომუნების ასოციაციებისა და ქალაქების გაერთიანებების, ასევე, სასამართლოსა და პოლიციის ხელმძღვანელების მიერ<sup>92</sup>. ინკლუზიური – და აუცილებლად ექსპანსიური – მიდგომა თავიდანვე საზგასმულია გეგმის პირველივე, „თანამშრომლობის“ მიზანში: რადგან სტრატეგია ჩამოყალიბებულია „ადგილობრივ დონეზე (კანტონი, რეგიონი, ქალაქი)“ და მხარდაჭერილია პოლიტიკურ დონეზე“<sup>93</sup>. გეგმა განსაზღვრავს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ქსელებსა და მოქმედების საერთო კურსს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და პრევენციის პროცესში. „გეგმა“ რეკომენდაციას გასცემს:

85 Federal Intelligence Service (2017). Sicherheit Schweiz – Lagebericht 2017 des Nachrichtendienstes des Bundes [Swiss Security – 2017 Report of the Federal Intelligence Service], ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.news.admin.ch/news/message/attachments/48133.pdf>

86 FDFA, Switzerland's Foreign Policy Action Plan on Preventing Violent Extremism, 2016, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.eda.admin.ch/eda/en/dfa/fdfa/publikationen/alle-publikationen.html/content/publikationen/en/eda/schweizer-aussenpolitik/Aussenpolitischer-Aktionsplan-PVE160404>

87 The TETRA Task Force is headed by the Federal Police and includes the Federal Intelligence Service, Office of the Attorney General, Foreign Affairs, Border Guard, State Secretariat for Migration, Federal Office of Justice, the Conference of Cantonal Police, and the National Police Command. მიმობილივისათვის იხილეთ შემდეგი: <https://www.fedpol.admin.ch/fedpol/en/home/terrorismus/terrorismus-aktuelle-lage/schweiz-ist-aktiv.html>

88 See: State Secretariat for International Finance (SIF), 'First national report on money laundering and terrorist financing risks', 19<sup>th</sup> June 2015, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.sif.admin.ch/sif/en/home/dokumentation/medienmitteilungen/medienmitteilungen.msg-id-57750.html>, ასევე, იხილეთ Swiss Confederation, 'Report on the risks of money laundering and terrorism financing in the case of non-profit organisations - Report by the interdepartmental coordinating group on combating money laundering and the financing of terrorism', 28<sup>th</sup> June 2017, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.news.admin.ch/news/message/attachments/48921.pdf>. ასევე, იხილეთ უფრო გვიანდელი National Risk Assessment (NRA) on the 'Risk of money laundering and terrorist financing posed by crypto assets and crowdfunding', published as: Swiss Confederation, 'National Risk Assessment (NRA): Risk of money laundering and terrorist financing posed by crypto assets and crowdfunding - Report of the interdepartmental coordinating group on combating money laundering and the financing of terrorism (CGMF)', October 2018, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე [https://www.sif.admin.ch/dam/sif/en/dokumente/Integrität\\_des\\_Finanzplatzes/nra-bericht-krypto-assets-und-crowdfunding.pdf.download.pdf](https://www.sif.admin.ch/dam/sif/en/dokumente/Integrität_des_Finanzplatzes/nra-bericht-krypto-assets-und-crowdfunding.pdf.download.pdf)

89 Swiss National Action Plan, p. 6.

90 Swiss National Action Plan, p. 10.

91 Swiss National Action Plan, p. 10.

92 Swiss National Action Plan, p. 5.

93 Swiss National Action Plan, p. 10.

„... რომ სკოლის ხელმძღვანელობა, სოციალური სამსახურები, სოციალური მუშაკები და ახალგაზრდებთან მომუშავე პირები, ბავშვისა და ზრდასრულის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოები, ფსიქიატრიული სამსახურები, პოლიცია და სადაზვერვო სამსახურები (ფედერალურ თუ კანტონის დონეზე - კონტექსტის მიხედვით), კანტონებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამსახურები, ინტეგრაციის სააგენტოები და სხვა სპეციალიზებული სააგენტოები ჩართულები უნდა იყვნენ [ამ პროცესში], ისევე, როგორც ისინი, ვინც იმყოფებიან კონკრეტული [რადიკალიზაციის რისკის ქვეშ მყოფი] პირის უშუალო გარემოცვაში, სიტუაციის შესაბამისად“<sup>94</sup>.

ამ მხრივ, გეგმის მიზანია პრობლემური მოვლენების, ექსტრემიზმისა და ძალადობის პოტენციური რისკის გამოვლენა მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე და შესაფერისი პრევენციული ზომების განხორციელება (ინიცირება) სახელმწიფო ინსტიტუციებისა თუ ფართო საზოგადოების მასშტაბით. „სამოქმედო გეგმაში“ განსაზღვრული სამოქმედო სფეროები და ოპერატიული ღონისძიებების ერთობლიობა განხილულია მომდევნო ნაწილში.

### ოპერატიული განზომილებები

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სტრატეგიების ეფექტური განხორციელებისთვის აუცილებელია თანამშრომლობისა და კოორდინაციის ფართო სტრუქტურის არსებობა, რომელიც თავს მოუყრის მთელი საზოგადოების მასშტაბით სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ პრევენციული სამუშაოს. საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის საფუძველზე ასეთი სტრუქტურის შექმნა უზრუნველყოფს ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეებზე ექსტრემიზმის პრევენციისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის ზრდას. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სტრატეგიების განხორციელება მოითხოვს აღნიშნული მხარეების მიერ პროაქტიული ღონისძიებების გატარებას. თანამშრომლობის მკაფიო ჩარჩოს არსებობა უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების სიცხადეს, ინფორმაციის გაზიარებას და, ასევე, ადრეულ ეტაპზე პრევენციული ჩარევების ზრდასა და ხელშეწყობას.

### სამთავრობო მომსახურებები

როგორც პირველ და მეორე თავებში იყო განხილული, მომსახურებებზე წვდომის ნაკლებობას შეუძლია გაამწვავოს უკმაყოფილება, რომელიც იწვევს ექსტრემიზმს. ჯანდაცვის, სოციალური, საცხოვრებლით უზრუნველყოფისა თუ განათლების სფეროებში წინა ხაზის (საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტში მყოფი) სამსახურების მიერ ექსტრემიზმის რისკის ქვეშ მყოფ რაიონებში უშუალო წვდომის უზრუნველყოფის გზების მოძიება და ამის მისაღწევად საჭირო ოპერატიული კომპეტენციების არსებობა ექსტრემიზმის რისკის მართვის უპირველესი საშუალება.

### უსაფრთხოების სამსახურები

ყოველდღიურ ოპერაციებში, აქტივობებსა თუ საგამოძიებო მოქმედებებში, უსაფრთხოების სამსახურები უნდა მოერიდონ ნეგატიურ ქცევას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უკმაყოფილების პროვოცირება და ექსტრემიზმის ხელშეწყობა. ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი სამსახური, უსაფრთხოების ინსტიტუტებიც უნდა იყოს ზოგადად ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით რადიკალიზაციის რისკის ქვეშ მყოფ რაიონებში. რაც უფრო მთავარია, უსაფრთხოების სამსახურებმა - ძირითადად სათემო პოლიციამ - უნდა მოიპოვონ ნდობა და აწარმოონ თანამშრომლობითი ურთიერთობები ფართო საზოგადოებასთან. სწორედ ამ ურთიერთობებიდან მოპოვებული ინფორმაცია ასაზრდოებს რადიკალიზაციის მონიტორინგის პლატფორმასა და პროცესებს.

უსაფრთხოების სამსახურებისთვის მრავლად განწერილი ოპერატიული სახელმძღვანელო ინსტრუქციები მოიცავს ოპერატიული ქცევის ზოგად წესებს, ძალის გამოყენებასთან დაკავშირებულ<sup>95</sup> და პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური ინსტრუქციებს<sup>96</sup>, ასევე, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის / პრევენციისთვის სპეციფიკურ საკითხებს, რომელთა წინაშეც დგანან საზოგადოებასთან უშუალო ურთიერთობაში მყოფი სამართალდამცველი სამსახურები<sup>97</sup>, დაზვერვის / უსაფრთხოების სამსახურები<sup>98</sup>, პენიტენციალური სამსახურები<sup>99</sup> და სისხლის სამართლის სექტორი<sup>100</sup>.

ოპერატიულ დონეზე, უსაფრთხოების სამსახურების შერწყმის ცენტრი წარმოადგენს ეფექტური კონტრტერორისტული კოორდინაციისა და მოქმედების ძირითად სტრუქტურას, რომლის ძირითადი მიზანია რეალურ დროში სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო ინსტიტუციური წყაროდან მიღებული ინფორმაციის მართვა დაგეგმილი თუ მყისიერი მოქმედების განხორციელების მიზნით<sup>101</sup>. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სამოქმედო გეგმის ეფექტურად განსახორციელებლად, საჭიროა უფრო ფართო საკოორდინაციო ქსელის არსებობა, რომელიც ძალადობრივი ექსტრემიზმის გამოვლენისა და პრევენციისადმი ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის მართვის ფორმატს წარმოადგენს.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ერთიანი საზოგადოებრივი კოორდინაციის ქსელი

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისადმი / პრევენციისადმი ეროვნული მიდგომის კონსოლიდაციის მიზნით, ერთიანი საზოგადოებრივი საკოორდინაციო ქსელი მოიცავს სტრუქტურას, რომელშიც მრავალი სხვადასხვა ინსტიტუტი და დაინტერესებული მხარე შეიძლება თანამშრომლობდეს პრევენციის საერთო მიზნებისთვის.

მაგალითად ავიღოთ „შვეიცარიის სამოქმედო გეგმა“: მისი ფართო მიდგომა მოიცავს სკოლების ხელმძღვანელობას, სოციალურ სამსახურებს, სოციალურ მუშაკებს და ახალგაზრდობასთან მომუშავე პირებს, ბავშვთა და ზრდასრულთა დაცვის უწყებებს, ფსიქიატრიულ სამსახურებს, პოლიციას, დაზვერვის სამსახურებს (ფედერალურ თუ კანტონის დონეზე არსებული კონტექსტის მიხედვით), კანტონისა თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამსახურებს, ინტეგრაციის სააგენტოებსა და სხვა სპეციალიზებულ სააგენტოებს<sup>102</sup>.

95 UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, 1990, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

<https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/useofforceandfirearms.aspx>

96 UN Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners ('the Mandela Rules'), 2015, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf)

97 OSCE and OSCE ODIHR, Preventing Terrorism and Countering Violent Extremism and Radicalization that Lead to Terrorism: A Community-Policing Approach, 2014, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/secretariat/111438>

98 Martin Scheinin, Compilation of good practices on legal and institutional frameworks and measures that ensure respect for human rights by intelligence agencies while countering terrorism, including on their oversight, Human Rights Council, A/HRC/14/46, 17th May 2010, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

<https://www.ohchr.org/EN/Issues/Terrorism/Pgages/Issues.aspx>. Also see: Aidan Wills, 'Democratic and effective oversight of national security services', Council of Europe, Issue Paper, May 2015, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/1680487770>. ასევე, იხილეთ: Global Counterterrorism Forum, 'Recommendations for Using and Protecting Intelligence Information in Rule of Law -Based, Criminal Justice Sector-Led Investigations and Prosecutions', GCTF: 2016, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://toolkit.thegctf.org/en/Resources/Articles/Detail/id/69>

99 Council of Europe, Handbook for Prison and Probation Services Regarding Radicalisation and Violent Extremism, PC-CP, December 2016, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/16806f9aa9>

100 UNODC, Handbook on Criminal Justice Responses to Terrorism, UNODC Criminal Justice Handbook Series, 2009, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://www.unodc.org/documents/terrorism/Handbook\\_on\\_Criminal\\_Justice\\_Responses\\_to\\_Terrorism\\_en.pdf](https://www.unodc.org/documents/terrorism/Handbook_on_Criminal_Justice_Responses_to_Terrorism_en.pdf)

101 Belgian Standing Committee on Control of Intelligence and Security Services, Fusion Centres Throughout Europe: All-Source Threat Assessments in the Fight Against Terrorism, 2010. ასევე, იხილეთ, მაგალითად, Renske van der Veer, Walle Bos, Liesbeth van der Heide, 'Fusion Centres in Six European Countries: Emergence, Roles and Challenges', ICCT Report Series, February 2019, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://icct.nl/app/uploads/2019/02/ICCT-VanderVeer-Bos-VanderHeide-Fusion-Centres-in-Six-European-Countries.pdf>

102 Swiss National Action Plan, p. 10.

ამის მსგავსად, ნორვეგიის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის „სამოქმედო გეგმის“ ამომწურავი შინაარსი და მკაფიოდ განსაზღვრული ინსტიტუციური პასუხისმგებლობები ასახულია დასაწყისშივე - „წინათქმაში“, რომელსაც ხელს აწერს მთავრობის ათი მინისტრი: იუსტიციისა და საჯარო უსაფრთხოების; შრომისა და საზოგადოებრივი საქმეთა; საგარეო საქმეთა; კულტურის; ადგილობრივი მთავრობებისა და მოდერნიზაციის; ბავშვთა, თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის; თავდაცვის; განათლებისა და კვლევის; ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების მინისტრები და პრემიერ-მინისტრი<sup>103</sup>.

პრევენციის ოთხი ეროვნული მიზნის მისაღწევად შვეიცარიული ქსელის საქმიანობა მოიცავს ხუთ თემატურ სფეროს. ჩართული მხარეებისთვის განვრილია ოცდაექვსი კონკრეტული ღონისძიება, რომელთა განხორციელებაც თითოეულ მათგანს ევალება. სამოქმედო სფეროები „გაეროს სამოქმედო გეგმის“ სახელმძღვანელო ინსტრუქციებს აერთიანებს შემდეგ პუნქტებში:

- ცოდნა და გამოცდილება (ცხრა ღონისძიება)
- თანამშრომლობა და კოორდინაცია (რვა ღონისძიება)
- ექსტრემისტული იდეოლოგიისა და ექსტრემისტული ჯგუფების პრევენცია (სამი ღონისძიება)
- [რადიკალიზაციის] ზემოქმედებისგან გათავისუფლება და რეინტეგრაცია (ოთხი ღონისძიება)
- საერთაშორისო თანამშრომლობა (ორი ღონისძიება)

ეს გეგმა კონკრეტულად განსაზღვრავს ინსტიტუტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების როლებსა და ამოცანებს (მაგალითად, ახალგაზრდების ჯგუფები და საქველმოქმედო ორგანიზაციები) თითოეული ღონისძიების განხორციელების პროცესში ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე, ადგენს მომსახურების მომწოდებლებისა და მომხმარებლების ვინაობას<sup>104</sup>, აღწერს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თითოეული ღონისძიებაზე და აკონკრეტებს დაფინანსების წყაროებს თითოეული აქტივობისთვის<sup>105</sup>.

„შვეიცარიული სამოქმედო გეგმა“, ასევე, წინასწარ განსაზღვრავს მომავალ აქტივობებს, რომლებიც გააუმჯობესებს კოორდინაციას, რაც მოიცავს „ეროვნული კოორდინაციის ოფისისა“ (ღონისძიება 16<sup>106</sup>) და კანტონური „კომპეტენციისა და საკონსულტაციო ცენტრების“ შექმნას, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ზოგადად ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებზე და, უფრო კონკრეტულად, შეასრულებს ადრეულ ეტაპზე გაფრთხილების ფუნქციას (ღონისძიება 10<sup>107</sup>). ამგვარად, „სამოქმედო გეგმა“ არა მხოლოდ ჩამოთვლის და განწერს ინსტიტუტების როლებსა და პასუხისმგებლობებს, არამედ, ასევე, წინასწარ ითვალისწინებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის კომპეტენციების შემდგომ დახვეწასა და უკეთ სტრუქტურირებას.

## რესურსების მართვის განზომილებები

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის / პრევენციისთვის საჭირო სხვადასხვა ინსტიტუციური კომპეტენციისა და საჭიროების ხარჯი უკვე გათვალისწინებულია ეროვნულ თუ ცალკეული ინსტიტუტების ბიუჯეტებში. წინა ხაზის (საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტში მყოფი) პერსონალისთვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსები და ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია ქვეყნის მასშტაბით ბაზისური მომსახურების უზრუნველსაყოფად, უკვე უნდა იყოს გათვალისწინებული ეროვნულ ბიუჯეტში. თუმცა, კონტრტერორისტული და ძალადობრივ

103 Norwegian Ministry of Justice and Public Security, 'Action Plan against Radicalisation and Violent Extremism', 28<sup>th</sup> August 2014, p.

5, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.regjeringen.no/en/dokumenter/Action-plan-against-Radicalisation-and-Violent-Extremism/id762413/>

104 'Annex', Swiss National Action Plan, pp. 31-32.

105 'Masterplan', Swiss National Action Plan, pp. 27-29. ნორვეგიის „სამოქმედო გეგმის“ შემთხვევაში, ყოველ ღონისძიებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ ერთ კონკრეტულ სამინისტროს. იხილეთ Norwegian Ministry of Justice and Public Security, 'Action Plan against Radicalisation and Violent Extremism', p. 3.

106 Swiss National Action Plan, p. 18.

107 Swiss National Action Plan, p. 16.

ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ამოცანებმა შეიძლება მოითხოვოს სპეციალურად თანხების გამოყოფა დამატებითი ტრენინგის, მონიტორინგის, კოორდინაციისა და ოპერატიული აქტივობებისთვის.

უსაფრთხოების სექტორში წინა ხაზის სამართალდაცვითი აქტივობების დაფინანსება, როგორც წესი, ისედაც წარმოადგენს ეროვნული ბიუჯეტიდან შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილი წილის მნიშვნელოვან კომპონენტს, ისევე, როგორც, (პარალელი რომ გავავლოთ) იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტი ფარავს სამართლებრივი მომსახურებებისა და თავად სასამართლო სისტემის ხარჯებს. სადაზვერვო და უსაფრთხოების სამსახურების პერსონალისა და აღჭურვილობის ხარჯის დიდი ნაწილი, ასევე, წესით, ასახული უნდა იყოს მათთვის გამოყოფილ ბიუჯეტში. უფრო ფართო ინსტიტუციურ კონტექსტში, სამინისტროებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვა საჯარო მომსახურებებს, იქნება ეს ჯანდაცვა, სოციალური თუ საცხოვრებელი უზრუნველყოფის მომსახურებები, მსგავსადვე უნდა ჰქონდეთ მინიმალური ბიუჯეტი საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტში მყოფი პერსონალის დაფინანსებისა და ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისთვის.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის / პრევენციისთვის სპეციალიზებული რესურსების მართვის გამოწვევები ასახულია ყველა ინსტიტუტის მასშტაბით, ასევე, საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებს შორის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის / პრევენციისთვის სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებისა და ამავე მიზნით ღონისძიებების კოორდინირების საჭიროებაში. ეს საჭიროება, როგორც წესი, მოიცავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ტრენინგს ყველა დაინტერესებული მხარისთვის, თუმცა, ასევე, შეიძლება მოითხოვოს სპეციალიზებული ადამიანური და ფინანსური რესურსის არსებობა, რაც საჭიროა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებში პასუხისმგებელი პირების ქსელის უზრუნველსაყოფად; ასევე, შეიძლება საჭირო გახდეს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის / პრევენციისთვის სპეციფიკური, სრულიად ახალი კომპეტენციებისა და პლატფორმების განვითარება და შენარჩუნება, როგორცაა [ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის] ეროვნული საკოორდინაციო ჩარჩო. საბოლოო ჯამში, დამატებითი ფინანსური რესურსის მოცულობა დამოკიდებულია ტერორისტული საფრთხის დონესა თუ რადიკალიზაციის რისკებზე - რაც უფრო წარმატებულია პრევენცია, მით უფრო მცირდება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის / პრევენციისთვის საჭირო სპეციფიკური კომპეტენციებისათვის გამოყოფილი მინიმალური ფინანსური რესურსის მოცულობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად დამატებითი რესურსების გამოყოფა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და საჭიროებების დაკავშირება როგორც არსებულ, ასევე, ახალ ბიუჯეტთან გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. შვეიცარიის შემთხვევაში, „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სამოქმედო გეგმაში“ მითითებული ყოველი ღონისძიება ებმის კონკრეტულ ბიუჯეტს<sup>108</sup> ან, თუ გეგმა აღიარებს, რომ დამატებითი რესურსები შეიძლება საჭირო გახდეს კონკრეტული მიზნით, განისაზღვრება მომავალი საკანონმდებლო და საბიუჯეტო კონტექსტი იმ რესურსებისთვის, რომლებიც უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

მაგალითად, „შვეიცარიული სამოქმედო გეგმა“ ზოგჯერ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ტრენინგის განმახორციელებელმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ რელევანტური შინაარსი და მომსახურებები არსებული ბიუჯეტიდან<sup>109</sup>; ასევე, უსაფრთხოების მართვის კონკრეტული აქტივობები უნდა გამომდინარეობდეს დადგენილი საბიუჯეტო ხაზიდან<sup>110</sup>. იშვიათ შემთხვევაში, რეკომენდებულია კერძო ფონდებისთვის დახმარების თხოვნა, თუმცა კვლევისთვის გამოყოფილი ეროვნული ბიუჯეტი, ასევე მოიაზრება და მითითებულია ხელმისაწვდომ წყაროდ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების/პრევენციის კვლევის კონკრეტული აქტივობების მხარდაჭერისთვის<sup>111</sup>.

108 Swiss National Action Plan, pp. 27-29.  
109 მაგალითად, 'Measure 4: Training of support workers in the federal centres and the cantonal centres for asylum seekers', და 'Measure 5: Raising awareness among and providing training for key people', Swiss National Action Plan, p. 15.  
110 'Measure 14: Development and introduction of the concept of threat management', Swiss National Action Plan, p. 17.  
111 'Measure 1: Organising research projects and studies on radicalisation and violent extremism in Switzerland', Swiss National Action Plan, p. 13.

თუმცა, სხვა შემთხვევებში, „შვეიცარიული სამოქმედო გეგმა“ ითვალისწინებს, რომ ახალი რესურსები გახდება საჭირო და მიუთითებს მათი უზრუნველყოფის გეგმაზე:

„ჩარჩო დებულება, შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 386-ე მუხლზე დაყრდნობით (SCC), აგებულია იმგვარად, რომ დაარეგულიროს დანაშაულის პრევენცია მომავალში ფედერალურ დონეზე ისე, რომ ფედერალურმა მთავრობამ უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერა ამ სფეროში არსებული პროექტებისთვის სამოქალაქო საზოგადოებაში რადიკალიზაციისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და პრევენციისათვის“<sup>112</sup>.

გეგმა, ასევე, აღნიშნავს იმ შემთხვევებსაც, რომლებშიც არ მოითხოვება დამატებითი თანხა კონკრეტული ღონისძიებისთვის<sup>113</sup>.

დასკვნის სახით, ინსტიტუციურ თუ საზოგადოებრივ დონეებზე ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის / პრევენციისთვის რელევანტური და სპეციფიკური ზომებისთვის საჭირო დამატებითი რესურსები შეიძლება გამოვლინდეს ტერორისტული საფრთხის დეტალური შეფასებით და, შემდეგ, დეტალურად ჩაიშალოს „ეროვნულ სამოქმედო გეგმაში“. ეროვნული საკოორდინაციო ქსელისთვის დამატებითი რესურსების წყაროების მოძიება შეიძლება მოიაზრებოდეს დანაშაულის პრევენციის კონტექსტში, მაგრამ პასუხისმგებლობის გადანაწილება და არსებული სატრენინგო თუ ინფორმაციის გაზიარების ქსელების წვლილის მაქსიმალურად გაზრდა რესურსების მართვის ოპტიმიზების საშუალებას იძლევა. გამოწვევა, რომლის წინაშეც ყოველი სახელმწიფო დგას, მოიცავს ექსტრემიზმის პრევენციისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების საერთო რაოდენობასა და მათთვის საჭირო სათანადო რესურსების მოცულობასთან დაკავშირებით პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევას.

---

112 Swiss National Action Plan, p. 9.

113 ‘Measure 15: Regulation of the exchange of information between authorities’, Swiss National Action Plan, pp. 17-18.

# მეოთხე თავი: რადიკალიზაციის პრევენცია

„არ არსებობს დასაბუთება, რომელიც ცხადყოფს იმ ერთ კონკრეტულ მეთოდსა თუ მოვლენას, რომელიც ახალგაზრდას ექსტრემიზმის სავალალო გზაზე აყენებს: ყველა შემთხვევა განსხვავებულია. რადიკალიზაციის რისკის ქვეშ მყოფი და შემდეგ ექსტრემისტული ქცევისკენ მიდრეკილი ხალხის გამოვლენა ძალიან დიდი გამოწვევაა. ეს, ასევე, ართულებს უკიდურესი შეხედულებებისათვის წინააღმდეგობის განწევის ამოცანასაც. თუ მთავრობა ერთ ქვაბში მოაქცევს ყველა საკითხს და ვერ გაითვალისწინებს სხვადასხვა სირთულეს, არსებული ცოდნა-გამოცდილების ხარვეზებსა და რადიკალიზაციის განმაპირობებელ ფაქტორებს, ექსტრემისტული ნარატივის შესუსტების ნაცვლად, პირიქით, მისი მიმზიდველობა გაიზრდება და სანინააღმდეგო შედეგებს მივიღებთ.“

თემთა პალატის საშინაო საქმეთა კომიტეტი, „რადიკალიზაცია: კონტრნარატივი და გარდამტეხი მომენტის იდენტიფიცირება“, 2016-17-ის სესიის მერვე ანგარიში, HC 135 (House of Commons Home Affairs Committee, 'Radicalisation: the counter-narrative and identifying the tipping point', Eighth Report of Session 2016–17, HC 135)<sup>114</sup>.

## შესავალი

ევროკომისია რადიკალიზაციას მარტივად განმარტავს, როგორც:

“...ეტაპობრივი და კომპლექსური პროცესი, რომელშიც ინდივიდი ან ჯგუფი იღებს / ითვისებს რადიკალურ იდეოლოგიას ან რწმენას, რომელიც მისაღებად თვლის, იყენებს ან პატიობს ძალადობას, მათ შორის - ტერორიზმის აქტებსაც, სპეციფიკური პოლიტიკური თუ იდეოლოგიური მიზნის მისაღწევად<sup>115</sup>.”

ინდივიდების მასობრივი რადიკალიზაცია თანამედროვე ეპოქაში უპრეცედენტო არ არის: მეოცე საუკუნეშიც მრავლადა იძებნება საზოგადოების (მაგ., ნაცისტური გერმანია) თუ იმ ინდივიდების რადიკალიზაციის შემთხვევები, რომლებიც ომებს შორის პერიოდში მხარს უჭერდნენ მრავალეროვნულ მოძრაობებს (მაგ., კომინტერნი). 1970-იან წლებში, დასავლეთ ევროპაში ნაციონალისტურმა და იდეოლოგიურად მოტივირებულმა ტერორისტულმა მოძრაობებმა ბევრი ადამიანი მიიმხრო. ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის მცხოვრებლები ნელ-ნელა გადაიბირა სხვადასხვა წინააღმდეგობრივმა და ჯიჰადისტურმა მოძრაობამ. ბოლო ოცი წელია დასავლეთ ევროპიდან უფრო და უფრო ბევრი ადამიანი უერთდება ჯიჰადისტური მოძრაობების შთამომავლებს.

ევროკომისია აღიარებს, რომ რადიკალიზაცია არ არის ახალი ფენომენი და აღნიშნავს, რომ რადიკალიზაციის ტენდენციები, საშუალებები და მოდელები ვითარდება და აუცილებელია რეაგირების ფორმების შესაფერისად ადაპტაციაც:

114 House of Commons Home Affairs Committee, 'Radicalisation: the counter-narrative and identifying the tipping point', Eighth Report of Session 2016–17, HC 135, p. 9, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://publications.parliament.uk/pa/cm201617/cmselect/cmhaff/135/135.pdf>

115 European Commission, Migration and Home Affairs, 'Prevention of Radicalisation', ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/counter-terrorism/radicalisation\\_en](https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/counter-terrorism/radicalisation_en)



„...სამშობლოში აღზრდილი დამოუკიდებლად მოქმედი ფიგურები და (დაბრუნებული) უცხოელი ტერორისტი მებრძოლები წარმოშობენ უსაფრთხოების პრობლემებს და პრევენციის სამუშაოს სპეციფიკურ გამოწვევებს უქმნიან. ძალადობრივმა ექსტრემისტებმა, ტერორისტულმა ჯგუფებმა და მათმა მომხრეებმა ინტერნეტპლატფორმები, სოციალური მედიის ჩათვლით, შეიძლება ბოროტად გამოიყენონ, მობილიზაციის, რეკუტირებისა და კომუნიკაციის ახალი შესაძლებლობების საშუალებით<sup>116</sup>.

არსებობს რადიკალიზაციის პროცესების ორი განზომილება: უკმაყოფილება, რომელიც უშუალოდ განაპირობებს ინდივიდებისა და ჯგუფების რადიკალიზაციას; და ნარატივები, რომლებიც ხელს უწყობს მხარდაჭერის მოპოვებას, გადაბირებას და სხვა საშუალებებით წევრობის სტიმულირებას. ეს თავი მიმოიხილავს პრევენციულ ზომებს, რომლებსაც შეუძლიათ რადიკალიზაციის შესუსტება ორივე განზომილებაში.

პრევენცია კონტრტერორისტული და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის კონტექსტში

სანდო პრაქტიკა, რომელიც ხელს უშლის ტერორისტების ოპერატიულ ამოცანებს - დეზორიენტაციას, მიზნობრივ რეაგირებასა და ლეგიტიმურობის მოპოვებას - სასიცოცხლო მნიშვნელობისაა რადიკალიზაციის განმაპირობებელი განმზიდველი და მიმზიდველი ფაქტორების შესასუსტებლად. ევროსაბჭოს კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისადმი / პრევენციისადმი საერთო სტრატეგიული მიდგომის შესაბამისად (რაც მოიცავს პრევენციას, გასამართლებასა და დაცვას<sup>117</sup>), ეს თავი ფოკუსირდება პრევენციის მრავალმხრივ საკითხებზე, განსაკუთრებით, განათლების, დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და მონიტორინგის გათვალისწინებით, რაც განიხილება უფრო ფართო კონტექსტში:

ტერორიზმის პრევენცია: კრიმინალური თუ სამართალდაცვითი ღონისძიებების საშუალებით, რომლებიც მიზნად ისახავს თავდასხმების ან მათთვის მზადების ჩაშლას, ასევე, რადიკალიზაციის პრევენციისკენ მიმართული მრავალმხრივი გრძელვადიანი ღონისძიებების საშუალებით, რაც მოიცავს რეკრუტირებასთან, ტრენინგთან, ტერორისტული იდეოლოგიის გავრცელებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლას<sup>118</sup>.

გარდა ორიენტირებისა, ტრენინგის, კოორდინაციისა და განხორციელების სამმაგი გამოწვევა სწორედ ისაა, რომლის წინაშეც დგანან სამთავრობო ინსტიტუტები და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პასუხისმგებელი პირები და დაინტერესებული მხარეები. ევროკავშირი ამ გამოწვევას ოთხსაყრდენიანი პრევენციის სტრატეგიის ცენტრალურ ნაწილად მოიაზრებს და თავის „კონტრტერორისტულ დღის წესრიგში“ აცხადებს, რომ ეს მიდგომა:

„... პრიორიტეტად განსაზღვრავს ადგილობრივი აქტორების მხარდაჭერის გზებს და უფრო მდგრადი თემების შენებას წევრ სახელმწიფოებთან მჭიდრო კოორდინაციის ფარგლებში, ითვალისწინებს რა, რომ ზოგიერთი თავდასხმა ასევე განხორციელდა ევროპელების მიერ, რომლებიც ჩვენს საზოგადოებებში აღიზარდნენ და რომლებიც რადიკალიზდნენ კონფლიქტურ ზონებში ყოფნის გარეშე<sup>119</sup>.

116 European Commission, 'Prevention of Radicalisation'.

117 Council of Europe, 'Objectives', Council of Europe Counter-Terrorism Strategy (2018-2022), CM (2018), 4<sup>th</sup> July 2018, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectId=09000016808afc96](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016808afc96)

118 Council of Europe, 'Objectives', Council of Europe Counter-Terrorism Strategy (2018-2022). Also see the section on 'European Definitions – Prevention Objectives' in Chapter Three of this book.

119 'Introduction', Communication from the Commission to the European Parliament, the European Council, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 'A Counter-Terrorism Agenda for the EU: Anticipate, Prevent, Protect, Respond', COM(2020) 795 Final, Brussels, 9<sup>th</sup> December 2020, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=COM:2020:795:FIN>

პრევენციის ამ დღის წესრიგს აქვს ხუთი კომპონენტი კომისიის, ევროპარლამენტის, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის განსაზღვრული ურთიერთდაკავშირებული სამოქმედო პუნქტებით:

- ინტერნეტში არსებული ექსტრემისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ადგილობრივი აქტორების მხარდაჭერა თემებში [ექსტრემიზმისადმი] მედეგობის ხელშესაწყობად;
- ციხეები, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია;
- უცხოელი ტერორისტი მებრძოლები და მათი ოჯახის წევრები;
- მხარდაჭერისა და ცოდნის კონსოლიდაცია<sup>120</sup>.

დანაშაულის პრევენცია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის დაგეგმვის კონტექსტში

რადიკალიზაციის შესუსტების გზების განხილვისას აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რადიკალიზაციის პრევენციის პროცესი გარკვეულწილად დანაშაულის პრევენციის მსგავსია, განსაკუთრებით ერთიანი სამთავრობო და საზოგადოებრივი თანამშრომლობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ექსტრემისტები ცდილობენ, გასცდნენ დანაშაულებრივ ქმედებას და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მიმართონ სისტემატურ ძალადობას, ევროკავშირის „რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ქსელი“ აღნიშნავს, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია წარმოადგენს დანაშაულის პრევენციას ფართო გაგებით, ხოლო დანაშაულის პრევენციის ზოგადი პრინციპები და მექანიზმები ზოგადად მიემართება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებას / პრევენციას.

დანაშაულის პრევენციის პროგრამის ყოვლისმომცველი სტრუქტურა განაპირობებს რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამირების ჩარჩოს სტრატეგიულ ხასიათს. დანაშაულის პრევენციის პროგრამების შემუშავება ხორციელდება ოთხ დონეზე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის ფარგლებში:

- პირველადი პრევენცია გამიზნულია მთლიანი მოსახლეობის ჯგუფებისთვის ან ყველასთვის, ვინც ფართო კატეგორიაში მოიაზრება;
- მეორეული პრევენცია გამიზნულია განსაზღვრული რისკ-ჯგუფებისთვის, რომლებიც მიდრეკილნი არიან დანაშაულებრივი ქმედებებისკენ;
- მესამეული პრევენცია გამიზნულია პრობლემური ჯგუფებისა და ინდივიდებისთვის, რომლებიც ავლენენ პრობლემურ ქცევას;
- ინდივიდუალური პრევენცია გამიზნულია დანაშაულის (პოტენციურ) მსხვერპლთათვის ცალკეული ინდივიდებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის შესამცირებლად<sup>121</sup>.

პრევენციისადმი სამი მიდგომის კომბინირებით (სისხლის სამართალზე დაფუძნებული პრევენცია, დანაშაულის სოციალური პრევენცია და დანაშაულის სიტუაციური პრევენცია), შესაძლებელია ცხრა ზოგადი პრევენციული ზომის გამოყენება დანაშაულის ყველა ფორმისთვის, ძალადობრივი ექსტრემიზმის ჩათვლით:

1. ნორმატიული ბარიერების შექმნა-შენარჩუნება;
2. რეკრუტირების შემცირება;
3. შეკავება;

120 '2. PREVENT', European Commission, 'A Counter-Terrorism Agenda for the EU: Anticipate, Prevent, Protect, Respond'.  
121 Radicalisation Awareness Network, 'Lessons from crime prevention in preventing violent extremism by police', RAN Issue Paper, 15<sup>th</sup> January 2020, p. 2, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:  
[https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/networks/radicalisation\\_awareness\\_network/about-ran/ran-pol/docs/ran\\_pol\\_lessons\\_from\\_crime\\_prevention\\_012020\\_en.pdf](https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/networks/radicalisation_awareness_network/about-ran/ran-pol/docs/ran_pol_lessons_from_crime_prevention_012020_en.pdf)

4. შესუსტება;
5. მწყობრიდან გამოყვანა;
6. მონყვლადი სამიზნეების დაცვა;
7. ზიანის შემცირება;
8. ჯილდოების შემცირება;
9. ჩამოშორება და რეაბილიტაცია<sup>122</sup>.

ეს ჰოლისტური მოდელი ნათელყოფს პრევენციისადმი უფრო ფართო, ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის არსებობის საჭიროებას, სადაც სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება განხორციელების მექანიზმის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს. სხვა აქტორები შეიძლება მოიცავდეს სამოქალაქო საზოგადოებასა და სათემო ორგანიზაციებს, სოციალურ მუშაკებს, პოლიტიკოსებსა და ციხისა და პრობაციის სამსახურებს, რომელთაგან ყველას შეუძლია სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პრევენციის ერთი ან მეტი მექანიზმის ამოქმედების მიზნით<sup>123</sup>.

შედეგად, ეს ამომწურავი მიდგომა შეიძლება გათვალისწინებული იქნას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმების სტრატეგიულ სტრუქტურასა და მრავალი დაინტერესებული მხარის მომცველ აქცენტებში. გეგმები შეიძლება ყურადღებას ამახვილებდეს პრევენციაზე ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე და კონკრეტულად განსაზღვრავდეს ეროვნული ინსტიტუტებისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების როლს თითოეულ დონეზე. როგორც მესამე თავში იყო დეტალიზებული, გეგმები მთავრობას შესაძლებლობას აძლევს განსაზღვროს, რომელ დაინტერესებულ მხარეებს აქვთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა განხორციელებულ აქტივობებზე და განეროს თითოეული აქტივობის სამომავლო დაფინანსების წყაროები.

#### უკმაყოფილება, მონყვლადობა და პრევენცია

რადიკალიზაციის პრევენციისათვის სახელმწიფო უნდა ერიდოს ცუდ პრაქტიკას, რომელიც წარმოშობს ან ხელს უწყობს უკმაყოფილებას საზოგადოების ერთ ან მეტ სეგმენტში. ეს საჭიროება მიემართება უსაფრთხოების სექტორის პერსონალისა და, ასევე, საზოგადოებრივი სამსახურების ზოგად ქცევას. თუ ეს საკითხები ვერ მოგვარდება კომპეტენციების განვითარებისა და გაუმჯობესებული ტრენინგების საშუალებით, სახელმწიფო მონყვლადი რჩება და ვერ ეწინააღმდეგება ექსტრემისტების მიერ რეალური თუ წარმოსახული (უსაფუძვლო) უკმაყოფილების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას.

#### უკმაყოფილების პრევენცია ყოველდღიური მომსახურების უზრუნველყოფისას

დისკრიმინაციისა თუ გარიყვის ბრალდებების თავიდან არიდების მიზნით, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ფართო საზოგადოებისა და რადიკალიზაციის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების ყოველდღიური ცხოვრება მოიცავდეს მომსახურებებზე თანაბარ წვდომას, ასევე, მათი უსაფრთხოების დაცულობას. ეს ზოგადი მოთხოვნა ვარაუდობს, რომ მოქალაქეებს თანაბარი წვდომა უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ, მათ შორის, ადმინისტრაციულ, საბინადრო, სამედიცინო თუ საგანმანათლებლო მომსახურებაზე. ეს მოთხოვნა თავისთავად გულისხმობს, რომ მოქალაქეების უსაფრთხოება თანაბრად უნდა იყოს დაცული, როგორც წესი, სამართალდამცავი სამსახურების მიერ.

122 RAN, 'Lessons from crime prevention', p. 3.

123 RAN, 'Lessons from crime prevention', p. 3.

## ინდივიდის უფლებების შელახვასთან დაკავშირებული უკმაყოფილების პრევენცია

უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ საჯარო უსაფრთხოების დაცვისას არ მოხდეს ჯგუფების ან ინდივიდების გარიყვა თუ გაუცხოება, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა უკმაყოფილო ინდივიდების რადიკალიზებულ ჯგუფებში განევრიანების პრევენციისთვის. ინდივიდუალური უფლებების ნებისმიერ დარღვევას, განსაკუთრებით, ამ უფლებების განმეორებად ან სისტემურ შელახვას შეუძლია ექსტრემისტების მხარდამჭერების რაოდენობის კრიტიკულად ზრდა (მათ შორის, იმ ინდივიდებისაც, რომლებიც დაუცველად გრძნობენ თავს სანდო საჯარო უსაფრთხოების არარსებობის გამო) და შეუქცევადი განხეთქილების წარმოშობა სახელმწიფოსა და ხალხს შორის. უსაფრთხოების პოლიტიკისა და პრაქტიკის იმგვარად დაგეგმვა და მოწყობა, რომ უზრუნველყოფილი იყოს კარგი ქცევა და [ძალადობის] შეზღუდვა, პირველ ეტაპზე უკმაყოფილების არიდების აუცილებელი საშუალება.

### რუბრიკა 1. ინდივიდის უფლებების შელახვა – რადიკალიზაცია დასავლეთ ევროპაში

გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობის შემდგომ ეიმონ კოლინზი დაბრუნდა ალსტერში 1974 წელს, ბელფასტში „დელოფლის უნივერსიტეტში“ (Queen's University) სამართლის შესასწავლად. როდესაც არდადეგებზე შინ ბრუნდებოდა, თავისი მშობლების სახლში, სამხრეთ არმაჰში, მას, მის არასრულწლოვან (თინეიჯერ) ძმასა და მამას სასტიკად გაუსწორდნენ ბრიტანელი სამხედროები, რომლებმაც გამშვებ პუნქტთან გააჩერეს მათი მანქანა იარაღისა და ასაფეთქებელი საშუალებების ძებნაში. შემდეგ დაკითხეს მუქარისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფონზე. სწორედ ამ დროს გადაწყვიტა კოლინზმა „ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმია“ (PIRA) შეერთებოდა - დღისით გაერთიანებული სამეფოს მთავრობაში საბაჟოს მოხელედ, ღამით კი „ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმიისთვის“ მუშაობდა<sup>124</sup>.

### ტერორისტულ საფრთხეებზე გადამეტებული რეაგირების პრევენცია

ზემოთქმულის მსგავსად, ტერორისტულ საფრთხეებზე ნებისმიერი სახის გადამეტებულ რეაგირებას თავისთავად შეუძლია წარმოშვას უფრო გამწვავებული, ზოგჯერ შეუქცევადი უკმაყოფილება და დააჩქაროს ქვეყნის შიგნით რადიკალიზაციის პროცესი. ნებისმიერმა რეპრესიულმა ზომამ, რომელიც აშკარად უარყოფს გამოხატვის თავისუფლებას, შეკრების თავისუფლებასა თუ ასოცირების თავისუფლებას ან ცდილობს პროტესტის კრიმინალიზაციასა თუ საჯარო დებატების ჩახშობას, შეიძლება განაპირობოს საზოგადოების უკმაყოფილება და ბრაზი სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ეს უკმაყოფილება, ასევე, ტერორიზმის საფრთხე, შეიძლება გამწვავდეს ინდივიდისა თუ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ღონისძიებით, რომელიც იწვევს:

- უსაფუძვლო (ბრალდების გარეშე) დაკავებას (ზოგჯერ გაჭიანურებული ვადით);
- დაკავების კანონიერების ეჭვქვეშ დაყენების უფლების წართმევას;
- იურიდიული წარმომადგენელზე წვდომის უფლების წართმევას;
- ადვოკატთან / იურისტ კონსულტანტთან პირადი საუბრის მონიტორინგს;
- ფარულ დაკავებას კომუნიკაციის უფლების გარეშე; ასევე, დაკავებულ პირებთან არასათანადო მოპყრობას, წამებას, ასევე, დაკავების არაჰუმანურ და დამამცირებელ პირობებს;
- იძულებით განდევნა / გადაყვანა (რაც ზოგჯერ მოიხსენება, როგორც გადაცემა) სხვა ქვეყანაში;
- დისკრიმინაციასა და რასობრივ გამორჩევას / პროფილირებას<sup>125</sup>.

ამ ცუდი პრაქტიკის არიდებისა და აღმოფხვრის საშუალებით, სახელმწიფოს შეუძლია კონტრტერორისტული და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროგრამების

124 'The Price of Courage', Newsweek, 28<sup>th</sup> March 1999, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.newsweek.com/price-courage-163782>

125 See OSCE ODIHR, Countering Terrorism, Protecting Human Rights: A Manual, 2008, pp. 20-21, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/odihr/29103>

სანდოობისა და ლეგიტიმურობის უზრუნველყოფა.

რუბრიკა 2. გადამეტებული რეაგირება ტერორისტულ საფრთხეებზე – დაკავება-დაპატიმრება სასამართლოს გარეშე

ჩრდილოეთ ირლანდიაში პირდაპირი მმართველობის შემოღების შემდგომ, „სასამართლოს გარეშე დაკავების“ (1971-1975) შემოღება გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ პოლიტიკურად საპირისპირო შედეგების მომტანი იყო. ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობის მოთხოვნით, სახელმწიფოს შეეძლო თვითნებურად დაეკავებინა და დაეკითხა პირი, რომელიც შემჩნეული იყო ტერორისტულ საქმიანობაში. ამ პერიოდში, ჯამში 1981 ადამიანი დააკავეს, ხშირად არასანდო და არასათანადო ინფორმაციის (დაზვერვის მონაცემების) საფუძველზე. მასობრივი დაკავებების მხოლოდ ერთი ოპერაციის დროს 1971 წლის აგვისტოში, 342 ადამიანი დააპატიმრეს ერთ დღეში: ოპერაციამ გამოიწვია ოთხდღიანი ძალადობის ტალღა, რომლის დროსაც 7000 ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლი, ხოლო ოცი მოქალაქე, „ირლანდიის დროებითი რესპუბლიკური არმიის“ ორი წევრი და ორი ბრიტანელი ჯარისკაცი დაიღუპა - აქედან ოცდასამი ესხვერპლა 9-10 აგვისტოს მომხდარ ცნობილ „ბოლიმერფის სასაკლაოს“ (Ballymurphy Massacre)<sup>126</sup>.

### განათლება

საგანმანათლებლო პროცესი, ისევე, როგორც თავად განათლების სექტორი, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ექსტრემისტული ნარატივებისა და ქცევების გავრცელების პრევენციისთვის. ზოგადსაგანმანათლებლო პროცესი ქმნის განათლებულ მოქალაქეებს, რომლებსაც დამოუკიდებლად შეუძლიათ სოციალურ თუ სხვა სახის მედიაში არსებული ინფორმაციის შეფასება, მთავრობასთან, ინსტიტუტებსა და უწყებებთან კომუნიკაცია, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ზოგადად, რადიკალიზაციის შესასუსტებლად. კარგი განათლების მქონე მოქალაქეები, როგორც წესი, არკვევენ ინფორმაციის წყაროების სანდოობას და ურთიერთობენ მთავრობის წარმომადგენლებსა და ინსტიტუტებთან.

თანამედროვე ონლაინ-რადიკალიზაციის კონტექსტში მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებს გამოუმუშაონ სპეციფიკური უნარები. განათლება შეიძლება მოიაზრებოდეს, ზოგადად, დემოკრატიული და სამოქალაქო ღირებულებების სწავლების, კონკრეტულად კი, ციფრული წიგნიერებისა და „კიბერმოქალაქეობის“ უნარების განვითარების კომპონენტად<sup>127</sup>. ამ კონტექსტში, განათლების სპეციალისტები და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროფესიონალები შეიძლება ასწავლიდნენ მედიაწიგნიერებასა და ონლაინუსაფრთხოებას, რაც ხელს უწყობს პროპაგანდის, რადიკალიზაციის ნარატივების, ყალბი სიახლეებისა და შეთქმულების თეორიების გამორჩევა-ცნობას. ეს პროცესი შეიძლება მოიცავდეს კერძო სექტორს, მედიას, ადგილობრივ თუ რელიგიურ თემებსა და სამოქალაქო საზოგადოებას<sup>128</sup>.

მეორე მხრივ, ნეგატიური ქცევის სხვა ნიშნებზე დაკვირვების პარალელურად, განათლების სპეციალისტები რადიკალიზაციის ნიშნების შემჩნევისა და რისკის ქვეშ მყოფი ინდივიდების გამოვლენისთვის ხელსაყრელ გარემოებებში იმყოფებიან. ევროსაბჭოს „კონტრტერორიზმის სტრატეგია“ განსაზღვრავს „წინახაზის პრაქტიკოსებს, კონკრეტულად კისკოლაში მომუშავეთა შორის, რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების“<sup>129</sup>, ტერორიზმის გამომწვევი რადიკალიზაციის პრევენციის მეთოდების შესახებ პრაქტიკული ცოდნის გაზიარებისა და რადიკალიზაციის ნიშნებისა და ინდიკატორების გამოვლენის გადამწყვეტ როლს.

126 იხილეთ, მაგალითად, Gerry Moriarty, 'Internment explained: when was it introduced and why?', The Irish Times, 9<sup>th</sup> August 2019, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.irishtimes.com/news/politics/internment-explained-when-was-it-introduced-and-why-1.3981598>

127 Peter Singer, 'Three Steps to Fight Online Disinformation and Extremism', Defense One, 24<sup>th</sup> January 2021, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.defenseone.com/ideas/2021/01/three-steps-fight-online-disinformation-and-extremism/171563/>

128 Council of Europe, 'Section 1.4. Awareness Raising on radicalisation and other preventive measures among frontline practitioners , in particular in schools', Council of Europe Counter-Terrorism Strategy (2018-2022).

129 Council of Europe, 'Section 1.4', Council of Europe Counter-Terrorism Strategy (2018-2022).

ეს ინსტრუქცია, ასევე, მიემართება სკოლებსა და ახალგაზრდობის, სპორტულ და სათემო ცენტრებში დასაქმებულ პროფესიონალებს, რომლებსაც ქმედითი ინსტრუმენტები და სათანადო ცოდნა უნდა ჰქონდეთ პრევენციულ ღონისძიებებზე სამუშაოდ მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში<sup>130</sup>.

რუბრიკა 3. შვეიცარიის „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმა: განათლებასა და ახალგაზრდულ კლუბებში პრევენციის ჩარჩო“

განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებზე პროგრამირების პრაქტიკულ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ შვეიცარიის „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმა“, რომელშიც მთავრობა დაინტერესებულ მხარეებს განუსაზღვრავს სპეციფიკურ განსახორციელებელ ღონისძიებებს. „გეგმა“ ითვალისწინებს „სკოლებსა და ახალგაზრდულ კლუბებში მთავარი აქტორების ცნობიერების ამაღლებასა და მათთვის ტრენინგის ჩატარებას“ (ღონისძიება 5)<sup>131</sup>, და „სკოლებში და სკოლებს გარეთ გამოსაყენებელი პედაგოგიური მასალის შემუშავება და გავრცელება“ (ღონისძიება 9), ასევე, სკოლისთვის სპეციფიკური სახელმძღვანელოს - „ინტეგრაციის ხელშეწყობა, რადიკალიზაციის აღიარება“ და ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისთვის ონლაინრესურსების - შემუშავება<sup>132</sup>. ეს ერთიანი მიდგომა ეყრდნობა სპეციალიზებულ მრავალმხრივ (მრავალი მხარის მომცველ) მიდგომას „აქტიური მოქალაქეობის წახალისების, დემოკრატიის გაძლიერებისა და დისკრიმინაციის პრევენციის ღონისძიებების გაუმჯობესებისადმი“ (ღონისძიება 18)<sup>133</sup>.

### დებინფორმაციასთან ბრძოლა

სოციალური მედიის ეპოქაში დებინფორმაციასთან ბრძოლა დიდ გამოწვევას წარმოადგენს, რასაც ართულებს მედიაპლატფორმებზე დებინფორმაციის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოს დონეზე განხორციელებული „აქტიური „ღონისძიებების“ განმეორებადობა“<sup>134</sup>. თუმცა, გარდა იმისა, რომ აუცილებელია მოქალაქეების საკმარისად ინფორმირება და მათი განათლება, რომ მცდარი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გამორჩევა შეძლონ (იქნება ეს „ციფრული წიგნიერებისა“, თუ „კიბერმოქალაქეობის“ თვალსაზრისით), ხუთეტაპიან მიდგომას შეუძლია დებინფორმაციაზე ბემოქმედება და მისი ეფექტურობის შესუსტება.

საზოგადოებაში დებინფორმაციასთან ბრძოლა მოიცავს ხუთ ეტაპს და უზრუნველყოფს: სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; მთავრობის პოლიტიკის ამოცანების სიცხადეს; [სამთავრობო] ინსტიტუტების პრაქტიკის თანამიმდევრულობას [არანინააღმდეგობრიობა]; დებინფორმაციული ნარატივების წინააღმდეგ აქტიურად ბრძოლას; და მთავრობის რეაგირებას კრიზისულ სიტუაციებზე სანდო ინფორმაციის გამოყენებით.

დებინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის უმთავრესი ელემენტია ეროვნული მედიასექტორის დამოუკიდებლობისა და მათ მიერ გაზიარებული ინფორმაციის სანდოობის უზრუნველყოფა. ძლიერი და კომპეტენტური მედია, რომლის რეპორტაჟებიც დაბალანსებული და სიღრმისეულია, აძლიერებს

130 Council of Europe, 'Section 1.4', Council of Europe Counter-Terrorism Strategy (2018-2022).

131 Swiss Security Network (Sicherheitsverbund Schweiz), Swiss National Action Plan to Prevent and Counter Radicalisation and Violent Extremism, 4<sup>th</sup> December 2017, p. 15, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.news.admin.ch/news/message/attachments/50703.pdf>

132 Swiss National Action Plan, p. 16.

133 Swiss National Action Plan, p. 19.

134 რუსული დებინფორმაციის მაგალითებისთვის, იხილეთ, მაგალითად, Reuters Staff, 'German Government Accuses Russian media of biased reporting', Reuters, 19<sup>th</sup> February 2016, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.reuters.com/article/germany-russia-media-idINL8N15Y3H3>; Stefan Meister, 'The "Lisa case": Germany as a target of Russian disinformation', NATO Review, 25<sup>th</sup> July 2016, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.nato.int/docu/review/articles/2016/07/25/the-lisa-case-germany-as-a-target-of-russian-disinformation/index.html>; Mark Galeotti, 'Controlling Chaos: How Russia Manages its Political War in Europe', ECFR Policy Brief, 1<sup>st</sup> September 2017, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://ecfr.eu/publication/controlling-chaos-how-russia-manages-its-political-war-in-europe/>; Jeffrey Mankoff, 'Russian Influence Operations and Germany and Their Effect', CSIS Commentary, 3<sup>rd</sup> February 2020, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.csis.org/analysis/russian-influence-operations-germany-and-their-effect>

საზოგადოების ნდობას და ახალი ამბების წყაროების დამაჯერებლობას. დამოუკიდებელი მედიარეგულატორები ამის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, როცა მაუნყებლობის ლიცენზია დამოკიდებულია დაბალანსებული რეპორტაჟების უზრუნველყოფაზე.

მეორე, მთავრობას სჭირდება იმის უზრუნველყოფა, რომ ფართო საზოგადოება ნათლად იაზრებს კონტრტერორისტულ პოლიტიკას, ხოლო ინსტიტუტები დადგენილ პოლიტიკას მიჰყვებიან. ეს მიდგომა ზღუდავს სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანებთან დაკავშირებულ ნებისმიერ გაუგებრობას, რომლის გამოყენებაც ექსტრემისტებს თავიანთ სასარგებლოდ შეუძლიათ. იგივე პრინციპი კვებავს მესამე ეტაპს, რომელიც გულისხმობს იმის უზრუნველყოფას, რომ მთავრობის უსაფრთხოების სამსახურები უერთგულბენ საუკეთესო პრაქტიკას პოლიტიკის განხორციელებისას: ნებისმიერი აცდენა ან წინააღმდეგობრივი მოქმედება შეიძლება ინვევდეს უკმაყოფილებას, რომელიც ექსტრემისტებმა შეიძლება გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოდ.

მეოთხე, დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან აქტიური ბრძოლა აუცილებელია. ინსტიტუტებმა პროაქტიურად უნდა გამოავლინონ და გამოკვეთონ დეზინფორმაცია. დეზინფორმაციისა და რადიკალიზაციის ნარატივების წყაროების, განსაკუთრებით, სოციალური მედიის არხების მეთვალყურეობა მთავრობას შესაძლებლობას აძლევს ადრეულ ეტაპზე გამოკვეთოს დეზინფორმაცია და მოამზადოს საზოგადოება შესაბამისი რეაგირებისთვის, რაც ასუსტებს პროპაგანდისტული არხების ეფექტურობას. მთავრობამ და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა შექმნან ნარატივები, რომლებიც ხაზს უსვამს ექსტრემისტული ნარატივების მიერ მოყენებულ ზარალს, მათ არალეგიტიმურობასა და არასანდოობას. ამის პარალელურად მთავრობამ უნდა აარიდოს თავი თვითნებური ცენზურის ბრალდებებსაც. ექსტრემალურ გარემოებებში შესაფერისი ბალანსის მიღწევა შეიძლება რთული იყოს, მაგრამ ეს გამომწვევა მართვის თვალსაზრისით სხვა კრიზისული სიტუაციების მსგავსია. არსებობს სხვადასხვა გამოსავალი, მაგალითად, დროში შეზღუდული ცენზურა, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს განსაკუთრებულ გარემოებებში.

რუბრიკა 4. შვეიცარიის „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმა: კონტრნარატივები და ალტერნატიული ნარატივები“

„შვეიცარიის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული გეგმა“ მოიცავს ღონისძიებას, რომელიც სპეციალურად განკუთვნილია კონტრნარატივებისა და ალტერნატიული ნარატივებისთვის. „ღონისძიება 20“ მიემართება „რადიკალიზაციის პრევენციას, კონკრეტულად კი, ინტერნეტის საშუალებით, კონტრნარატივები და ალტერნატიული ნარატივების საშუალებით.“ ეს ღონისძიება ეყრდნობა იმ მოცემულობას, რომ ხალხს, რომელიც ეძებს ან შემთხვევით გადააწყდება ძალადობრივ-ექსტრემისტულ პროპაგანდას, ასევე, უნდა ხელეწიფებოდეს სხვა პერსპექტივებისა და კონტრარგუმენტების პოვნაც, რათა შეძლოს კრიტიკული დისტანციის დაცვა და პოზიტიური იდენტობის აგება. კონტრნარატივების და / ან ალტერნატიული ნარატივების შემუშავება და გავრცელება ინტერნეტსა თუ ავტონომიურ ქსელში მხარდაჭერილია სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული ინიციატივებით და მოიცავს სამიზნე ჯგუფიდან ხალხის მაქსიმალურ რაოდენობას, რაც შესაძლებელია<sup>135</sup>.

დაბოლოს, როგორც ზოგადად ტერორისტულ აქტივობაზე ნებისმიერი რეაგირების შემთხვევაში, კრიზისულ სიტუაციაში გადამწყვეტია, რომ მთავრობას შეეძლოს სანდო წყაროებისა და სანდო მედიის დამოწმება. თ-საფრთხეების ბუნების პროაქტიურმა იდენტიფიცირებამ, რისკების ტიპების განსაზღვრამ და ტერორიზმზე ეროვნული სტრატეგიული რეაგირების დაგეგმვა-შემუშავებამ შეიძლება გაზარდოს ნდობა სახელმწიფოს მიდგომისადმი. ბუნდოვანება ან კომუნიკაციის ნაკლებობა ქმნის საინფორმაციო ვაკუუმს, რომელშიც საზოგადოების უნდობლობა სწრაფად იზრდება.

## მონიტორინგი

სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა განახორციელოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და მედიის მონიტორინგი რადიკალიზაციის პროცესების გამოსავლენად. სათემო დონეზე „ყოველდღიური“

მონიტორინგი მოიცავს სამართალდამცავი, საგანმანათლებლო და სათემო ჯგუფების მხრიდან რადიკალიზაციის ნიშნების, ექსტრემისტული პროპაგანდის ან რადიკალიზმის შემცველი სხვა ნებისმიერი აქტივობის მეთვალყურეობას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურების (მომსახურების მიმწოდებლების) ხელმისაწვდომობასა და ხილვადობას თემის მოსახლეობისთვის, რასაც (ამ სამსახურების ხელმისაწვდომობა-ხილვადობას) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამის პარალელურად, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ხელს უშლის გაუცხოების განცდის გაჩენას ფართო საზოგადოებაში და სამთავრობო კონტროლის შესუსტება-შეჩერებას ცალკეულ ტერიტორიებზე. მონიტორინგის საერთო ეფექტურობა დამოკიდებულია მოქალაქეებისა და ინსტიტუტების აქტიურობაზე რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენისა და მათ შესახებ თემის მოსახლეობის, მთავრობის წარმომადგენლებისა თუ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაზე / პრევენციაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირების პროცესში.

მონიტორინგი ახალგაზრდობისა და განათლების საკითხებში

ბევრმა ქვეყანამ დანერგა მონიტორინგის პროგრამები განათლების სფეროში, მაგრამ, ასევე, უმნიშვნელოვანესია, რომ ეს პროგრამები რეალურად ერგებოდეს არსებულ პრობლემებს. ასეთ პროგრამებს ბევრი საერთო აქვს სხვა ტიპის პოტენციურად ანტისოციალური და კრიმინალური ქცევის მონიტორინგთან: მაგალითად, „შვეიცარიის ეროვნული სამოქმედო გეგმის“ მიხედვით, ტრენინგი ხელმისაწვდომია არასამთავრობო დაინტერესებული მხარეების ორიენტირების მიზნით, რაც მათ რადიკალიზაციის ნიშნების გამორჩევაში დაეხმარება.

რუბრიკა 5. „შვეიცარიის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმა: ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის მონიტორინგი“

„შვეიცარიის ეროვნული სამოქმედო გეგმის“ უმთავრესი პრიორიტეტი - ღონისძიება 2 - ფოკუსირდება „ექსპერტებისთვის საბაზო და უწყვეტი განათლებისა და ტრენინგის შეთავაზებაზე“. ეს ღონისძიება ითვალისწინებს, რომ საბაზო და უწყვეტი განათლებისა და ტრენინგის კურსებში ექსპერტები რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებს განიხილავენ, მათ ასწავლიან, როგორ ამოიციონ რადიკალიზაციის ნიშნები და რისკები ადრეულ ეტაპზე და იმოქმედონ შესაბამისად რადიკალიზაციის გამწვავების შესაჩერებლად. ექსპერტები, ასევე, სწავლობენ პოტენციურად რადიკალიზებულ ინდივიდებთან ურთიერთობის ფორმებს. ამგვარი ტრენინგის სამიზნე ჯგუფი ფართოა და მოიცავს მრავალ დაინტერესებულ მხარეს: ახალგაზრდობა და (სკოლის) სოციალური მუშაკები, მასწავლებლები (პედაგოგიური პერსონალი), სტაჟირების ხელმძღვანელები მასპინძელ კომპანიებში, ციხის პერსონალი, პოლიცია, სადაზვერვო სამსახურები, ზრდასრულთა და არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულებითი ორგანოები, არასრულწლოვანთა სასამართლოს მოსამართლეები, თავშესაფრებისა და მიგრაციის ორგანოები, საბინაო სამსახურები, ბავშვისა და ზრდასრულთა დაცვის ორგანოები, სასამართლოები, პროფესიული მეურვეები, პროფესიონალი ჯარისკაცები შეირაღებულ ძალებში და მოქალაქეთა დაცვის სამსახურები<sup>136</sup>.

ონლაინმონიტორინგი – პასიური მიდგომები

ონლაინმონიტორინგის პასიური და ნაკლები ჩარევის მომცველი ფორმები ხელმისაწვდომია მთავრობის დაინტერესებული მხარეებისთვის. ტერორისტები სოციალური მედიის არხებს აქტიურად იყენებენ რეკრუტირების მიზნით, თუმცა, იმავდროულად, არსებობს რადიკალიზაციის პროცესებში გამოყენებული „სიძულვილის ენის“ ავტომატურად გამოვლენის მეთოდებიც, რომელთაგან ზოგიერთს უკვე აქვს 80%-იანი სიზუსტე<sup>137</sup>. „გლობალური კონტრტერორისტული ინტერნეტფორუმის“ „კონტენტის გაზიარების ალგორითმებზე, პროცესებსა და პოზიტიურ ინტერვენციებზე მომუშავე ჯგუფი“ აუდიტორიის ინტერესის გამომწვევი სპეციფიკური კონტენტის მოხმარებასთან ბრძოლის პარალელურად, აზიარებს ალგორითმებსა და პროცესებს რისკის შერბილებისა და პოზიტიური ინტერვენციის შესაძლებლობების გამოსავლენად<sup>138</sup>.

136 Swiss National Action Plan, pp. 13-14.

137 Tom De Smedt, Guy de Pauw, and Pieter Van Ostaeyen, 'Automatic Detection of Online Jihadist Hate Speech', Computational Linguistics & Psycholinguistics CiPS Technical Report Series, CTRS 007, February 2018, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://www.academia.edu/36127816/Automatic\\_Detection\\_of\\_Online\\_Jihadist\\_Hate\\_Speech](https://www.academia.edu/36127816/Automatic_Detection_of_Online_Jihadist_Hate_Speech)

138 <https://gifct.org/working-groups/>



კიდევ ერთი ბოლოდროინდელი მოვლენა, რომლისგანაც კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სპეციალისტებმა შეიძლება ისარგებლონ, არის ღია საგამოძიებო ორგანიზაციებისა და სპეციალისტების მომრავლება, რომლებიც კონფლიქტის ზონაში განვითარებულ მოვლენებზე განახლებადი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მეთვალყურეობენ სოციალური მედიის სხვადასხვა არხს. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა სახელმწიფო საქმიანობაზე აკეთებს აქცენტს<sup>139</sup>, ზოგიერთი ცალკეული ინდივიდი თუ ჯგუფი უზრუნველყოფს რადიკალიზაციისა და ექსტრემისტული ქსელების ამომწურავ მონიტორინგს რეალურ დროში<sup>140</sup>.

ონლაინმონიტორინგი – კომუნიკაციების მეთვალყურეობა და კომუნიკაციის ინფორმაციის მოპოვება (თვალთვალი / ფარული მოსმენა) და მონაცემთა ავტომატური შეგროვება(Bulk Data)

ჩარევის უფრო მაღალი ხარისხის მომცველი მონიტორინგის ფორმების თვალსაზრისით, რომლებიც უკავშირდება ინდივიდის ტერორისტულ აქტივობაში ჩართულობის ეჭვს, თვალთვალის ნებისმიერი კომპონენტი უნდა შეესაბამებოდეს მეორე თავის „პოლიტიკური და სამართლებრივი გამონვევების“ ნაწილში აღწერილ საუკეთესო საერთაშორისო და ევროპულ პრაქტიკას.

იმის საჭიროება, რომ კომუნიკაციის შინაარსის მოპოვების აუცილებლობა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული, ზომიერი და დროში შეზღუდული, უცვლელია. კომუნიკაციის შინაარსის ხელში ჩაგდებას ნებისმიერი ფაქტის ლეგიტიმურობის უზრუნველყოფა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ნებისმიერი კონტრტერორისტული დევნის ოპერაციისთვის. იმავდროულად, არსებობს თვალთვალის ტექნიკური და ადამიანური კომპეტენციების საჭიროება, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს სამართალდამცველი უწყებების უკვე არსებული საგამოძიებო სამსახურების მიერ, თუმცა, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი სპეციფიკური კომპეტენციის შექმნა სპეციალიზებული კონტრტერორისტული გამოძიებებისთვის. ფართო სახელმძღვანელო ინსტრუქციების სახით, არაკომერციული Stiftung Neue Verantwortung-ის ინიციატივა ‘about:intel’-ში შეჯერებულია თვალთვალის შესახებ კანონების სხვადასხვა თანამედროვე სახელმძღვანელო ინსტრუქცია, იქნება ეს მონაცემთა ავტომატური შეგროვება (bulk data collection) თუ კომუნიკაციის შინაარსის ხელში ჩაგდება<sup>141</sup>.

ონლაინმონიტორინგი - მიდგომების კომბინირება

შეერთებულ შტატებში ზემოქმედების ოპერაციების მომრავლების შედეგად, ზემოქმედების სხვადასხვაგვარი ოპერაციების მონიტორინგის მიზნით მრავალმხრივი (მრავალი დაინტერესებული მხარის მომცველი) თემის ფორმირების საჭიროება მოიაზრება გადამწყვეტ პირველ ნაბიჯად იმ დებინფორმაციისა და პროპაგანდასთან ბრძოლის პროცესში, რომელიც სხვადასხვა ანტიდემოკრატიულ ექსტრემისტულ აქტივობას განაპირობებს. ზემოქმედების ოპერაციების წინააღმდეგობა მოითხოვს არა მხოლოდ მკვლევრებს შორის თანამშრომლობასა და სხვადასხვა კომპანიისგან მიღებულ მონაცემებს<sup>142</sup>, არამედ, ასევე, თავად პოლიტიკის დამგეგმავთა ჩართულობასა და თანამონაწილეობას<sup>143</sup>. ეს მიდგომა ითვალისწინებს მრავალი მხარის მომცველი კვლევისა და განვითარების ცენტრის შექმნას (MRDC) - დამოუკიდებელი სივრცის, რომელიც გააერთიანებს ტექნოლოგიურ სფეროსა და დამოუკიდებელ მკვლევრებს მონიტორინგისა და პროგრამების შემუშავების საკითხებზე ერთიანი სტრუქტურის ფარგლებში გრძელვადიანი თანამშრომლობის მიზნით: „ეს უფრო მეტია, ვიდრე მონაცემთა გაზიარების საშუალება - ეს ორგანიზაცია ის ხიდია, რომელსაც შეუძლია შეამოწმოს მკვლევრები, მოაგვაროს სახელშეკრულებო

139 იხილეთ, მაგალითად, <https://www.bellingcat.com> და <https://www.atlanticcouncil.org/programs/digital-forensic-re-search-lab/>.

140 იხილეთ, მაგალითად, [https://twitter.com/p\\_vanostaeyen](https://twitter.com/p_vanostaeyen), <https://twitter.com/ajaltamimi>, და <https://www.twitter.com/lindseysnell>

141 იხილეთ: <https://aboutintel.eu/>

142 Kelly Born, ‘Building a community to counter influence operations: Four questions for Alicia Wanless’, Hewlett Foundation, 29<sup>th</sup> March 2021, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://hewlett.org/building-a-community-to-counter-influence-operations-four-questions-for-alicia-wanless/>

143 იხილეთ, მაგალითად, Carnegie Endowment for International Peace, ‘Partnership for Countering Influence Operations’, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://carnegieendowment.org/specialprojects/counteringinfluenceoperations>

## ინტერვენცია

თემატური პრევენციის თითოეული სფერო, რომელიც აღწერილია ამ თავში, მოითხოვს მთავრობაში, ინსტიტუციებსა და დაინტერესებულ მხარეებში სათანადო კომპეტენციების არსებობას გადამწყვეტი ჩარევის განხორციელებისა და რადიკალიზაციის პროცესის შესუსტების მიზნით. ზოგიერთი ინტერვენცია ხორციელდება ისეთ შემთხვევებშიც, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების ზღვარს ქვემოთაა და არ მოითხოვს სასჯელსრულებით ღონისძიებებს, თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მესამე თავის „სამართლებრივი განზომილებების“ ნაწილში აღწერილი ტერორისტული აქტივობის ფართო განმარტებები უშვებს სამართალდამცავი და კრიმინალური სექტორების მხრიდან ინტერვენციას ტერორისტული აქტების განხორციელების პრევენციის მიზნით.

რადიკალიზაციის პრევენციის მიზნით ცალკეული ინტერვენციების განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დონეზე ინტერვენცია შეიძლება დაიგეგმოს რადიკალიზებული ქცევის დამადასტურებელი ფაქტების გამოვლენისთანავე. ინტერვენციის ამოცანა ნებისმიერი ფორმით გამოვლენილი ექსტრემისტული აქტივობისთვის ხელის შეშლაა.

ონლაინსივრცეში, იქნება ეს სოციალური ქსელები თუ ვებგვერდები, პროპაგანდისა და დეზინფორმაციის წყაროების გამოვლენა-გამოკვეთა კვლავ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა კონტრნარატივების ფორმირების, ტერორისტების კომუნიკაციისთვის ხელის შეშლისა და ექსტრემისტული არხის არსებობის შესახებ საზოგადოების გაფრთხილების თვალსაზრისით.

ამ ზოგად კონტექსტში, განსაკუთრებით კი კრიზისულ სიტუაციებში, მთავრობამ უნდა ჩართოს ტექნოლოგიური კომპანიები ექსტრემისტული პლატფორმების შესუსტების პროცესში. ტექნოლოგიური კომპანიების რეაგირების უნარის გაუმჯობესება დღისწესრიგის უმთავრესი ნაწილია. 2016 წლის მაისისთვის რამდენიმე ტექნოლოგიური კომპანია, რომლებიც უნებლიე, მაგრამ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიძულვილის ენის გავრცელებაში (მათ შორის, „ფეისბუქი“ (Facebook), „გუგლი“ (Google), „მაიკროსოფტი“ (Microsoft), და „ტვიტერი“ (Twitter)), ერთობლივად დაეთანხმნენ ევროკავშირის ქცევის კოდექსს, რომ წაეშალათ სიძულვილის ენის შემცველი უკანონო ონლაინშინაარსები განთავსებიდან 24 საათის ვადაში<sup>145</sup>. „ტერორისტული შინაარსების ანალიტიკის პლატფორმა“<sup>146</sup> ხელს უწყობს ტექნოლოგიური კომპანიების როლის ზრდას ტერორისტების მიერ ინტერნეტის გამოყენებასთან ბრძოლის პროცესში, ხოლო „კონტრტერორიზმის გლობალური ინტერნეტ ფორუმი“ უზრუნველყოფს ამ საკითხებზე ფართო და დეტალურ ინსტრუქციებს დაინტერესებული მხარეებისთვის<sup>147</sup>.

როგორც წინა, „განათლების“ ნაწილში იყო განხილული, აუცილებელია სხვადასხვა კონტექსტში რადიკალიზაციის რისკის წინაშე მყოფი ახალგაზრდების (სკოლებსა თუ ახალგაზრდობის სხვა ჯგუფებში) მუდმივი მონიტორინგი რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენისა და ასეთი ნიშნების გამოვლენის შემდგომ ეფექტიანი ღონისძიებების გატარების მიზნით. შეიძლება ახალგაზრდას ჯერ არ ჰქონდეს გადაკვეთილი ტერორისტული აქტივობის დანაშაულებრივი ზღვარი, მაგრამ არსებობს სერიოზული რისკი, რომ მოგვიანებით ასეც მოიქცევა. დანაშაულებრივი ქმედების ზღვრის გადაკვეთამდე ახალგაზრდა ადამიანის ექსტრემისტული აქტივობის ზემოქმედებისგან გათავისუფლების მიზნით ღონისძიებების შემუშავება სპეციალურად გამოყოფილ რესურსებს მოითხოვს.

144 Kelly Born, 'Building a community to counter influence operations', 29<sup>th</sup> March 2021.

145 Alex Hern, 'Facebook, YouTube, Twitter and Microsoft sign EU hate speech code', The Guardian, 31<sup>st</sup> May 2016, <https://www.theguardian.com/technology/2016/may/31/facebook-youtube-twitter-microsoft-eu-hate-speech-code>

146 იხილეთ: <https://www.terrorismanalytics.org/about>

147 <https://gifct.org/working-groups/>

რუბრიკა 6. „შვეიცარიის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმა“: ახალგაზრდობაზე მიმართული ინტერვენციის, რეინტეგრაციისა და ჩამოშორების ღონისძიებები“

„შვეიცარიის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ დეტალურად აღწერს რამდენიმე ინტერვენციულ სტრატეგიას ახალგაზრდებს შორის რადიკალიზაციის პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. ღონისძიება 19 ადგენს პროაქტიური მიზნობრივი მოქმედების საჭიროებას იმ „ბავშვებისა და მოზარდებისთვის, რომელთა უსაფრთხოება ან განვითარება არის ან შეიძლება იყო რისკის ქვეშ“. ეს ღონისძიება ითვალისწინებს იმასაც, რომ კრიზისულ სიტუაციაში ან რთულ ვითარებაში მყოფ ახალგაზრდა ადამიანს შესთავაზოს ნებაყოფლობითი კონსულტაცია ან მხარდაჭერითი მომსახურებები, რომლებსაც უხელმძღვანელებენ და დაგეგმავენ სპეციალურად გადამზადებული ექსპერტები (თუმცა, ბავშვთა თუ ზრდასრულთა დაცვის უწყებებს არ შეუძლიათ ამგვარი მომსახურების დაკვეთა და სავალდებულოდ ქცევა<sup>148</sup>). ამის პარალელურად, ღონისძიება 21 - „[რადიკალიზაციის] შემოქმედებისგან გათავისუფლებისა და რეინტეგრაციის ღონისძიებები“ - ითვალისწინებს „ბავშვებისა და მოზარდების შემოქმედებისგან გათავისუფლების“ სპეციფიკურ ქვეღონისძიებას, რაც მოიცავს მუშაობას ისეთ ახალგაზრდებთან, რომლებიც კლასიფიცირდებიან, როგორც რადიკალიზებული და საჭიროებენ ინტერვენციისა და ზედამხედველობის სპეციფიკურ ფორმებს (განსხვავებულს ზრდასრულებისთვის არსებული აქტივობებისგან), რომელთაგან ყველა უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე. ამ მიზნით, „გეგმა“ აზუსტებს, რომ „შვეიცარიის სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის“ (SSFP) ბავშვისა და ახალგაზრდების ექსპერტიზის განყოფილებამ უნდა „შეიმუშავოს შემოქმედებისგან გათავისუფლების სპეციფიკური ღონისძიებების კატალოგი, რომელსაც გამოიყენებენ ბავშვთა და ახალგაზრდების ექსპერტიზის სამსახურები კანტონების ფსიქიატრიულ კლინიკებში. ღონისძიებები დაეყრდნობა ინტერდისციპლინურ მიდგომას და შეიძლება გამოყენებული იქნას სისხლის სამართლის საქმისწარმოების ფარგლებს გარეთაც, ცალკეული კანტონის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უწყების მოთხოვნისამებრ“<sup>149</sup>.

ბოლოს, საზოგადოებისთვის აუცილებელია რადიკალიზაციის ნიშნების მონიტორინგი უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკურ თუ ეთნიკურ ჯგუფებში. რადიკალიზაციის არიდების მიზნით განხორციელებული ინტერვენცია ისევე მნიშვნელოვანია, როგორც რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენის შემდგომი. მაგალითად, კონკრეტული ჯგუფის წინააღმდეგ დისკრიმინაციის ნიშნების მონიტორინგსა და ამ დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულ ინტერვენციას შეუძლია რადიკალიზაციის პრევენცია გრძელვადიან პერსპექტივაში. „შვეიცარიის სამოქმედო გეგმის“ ღონისძიება 18 - „აქტიური მოქალაქეობის, დემოკრატიის გაძლიერებისა და დისკრიმინაციის პრევენცია“ - მოიცავს დისკრიმინაციის პოტენციურ მსხვერპლთა სამიზნე ჯგუფზე ფოკუსირებულ ქვეღონისძიებას. შესაბამისად, შვეიცარიული ფედერალური და რეგიონული მთავრობები მხარს უჭერენ დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის საკონსულტაციო ცენტრების განვითარება-გაფართოებას ყველა კანტონში. ეს პოლიტიკა ეყრდნობა უკმაყოფილების პრევენციას და მოცემულობას, რომ „დისკრიმინაციისა და ოსტრაციზმის, მარგინალიზაციის, ადამიანის უფლებების დარღვევისა და კოლექტიური ვიქტიმიზაციის გამოცდილება აღიარებულია, როგორც რადიკალიზაციის გამომწვევი პოტენციური ფაქტორები“<sup>150</sup>.

საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვენციის სიხშირე შეიძლება შეიზღუდოს ან სწრაფად შემცირდეს ტერორისტული აქტივობის პიკის გადავლისთანავე. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს ზოგჯერ საკამათო და წინააღმდეგობრივი „პრევენციის“ (“Prevent”) პროგრამა ამჟამად შედარებით მცირე რაოდენობის მიმართვებს იღებს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ პროგრამის გაფართოებას მემარჯვენე ექსტრემისტების ჩართვის მიზნით. ყოველი ათი მიღებული მიმართვიდან მხოლოდ ერთი სრულდება მიზნობრივი ინტერვენციით<sup>151</sup>. ყველა საზოგადოება დგას საერთო გამოწვევის წინაშე - აუცილებელია გადამწყვეტი მოქმედების შესაძლებლობა რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენისთანავე.

148 Swiss National Action Plan, p. 19.

149 Swiss National Action Plan, p. 20.

150 Swiss National Action Plan, p. 19.

151 Jamie Grierson, 'Prevent figures show only one in 10 anti-radicalisation referrals need acute support', The Guardian,

19<sup>th</sup> December 2019, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.theguardian.com/uk-news/2019/dec/19/prevent-figures-show-only-one-in-10-anti-radicalisation-referrals-need-acute-support>

# მეხუთე თავი: სახელმწიფოსა და საზოგადოების თანამშრომლობა ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში

ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოს სჭირდება ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისადმი ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომა საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ნებისმიერი სტრატეგიის გრძელვადიანი ეფექტურობა უმჯობესდება ერთიანი სამთავრობო და საზოგადოებრივი მიდგომების გამოყენებით, რომლებშიც ინსტიტუტები არა მხოლოდ სისტემატურად ასრულებენ კონკრეტულ ფუნქციებს, არამედ, ასევე, დინამიურად თანამშრომლობენ საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებთან ტერორისტული აქტივობების შესუსტებისა და ექსტრემიზმის პრევენციის მიზნით. ამას გარდა, რადიკალიზაციის მამოძრავებელი უკმაყოფილების ციკლის შეწყვეტის მიზნით ნებისმიერი არსებითი თანამშრომლობა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის სხვადასხვა მიდგომის ინტეგრირების შესაძლებლობას ქმნის.

ამ ამოცანების მისაღწევად უნდა შემუშავდეს კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის მკაფიოსტრატეგიული ჩარჩო, უნდა დაკონკრეტდეს ინსტიტუტების ინდივიდუალური თუ კოლექტიური მიზნები, უნდა გაუმჯობესდეს და შენარჩუნდეს დაინტერესებული მხარეების კომპეტენციები, ასევე, ადეკვატური რესურსები უნდა გამოიყოს კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის / პრევენციისათვის სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებისთვის მთელი საზოგადოების მასშტაბით. იმავდროულად, ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომა მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების, თემებისა და განათლების სექტორის თანამშრომლობას რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენის მიზნით მონიტორინგისა და ყოფილი ექსტრემისტების საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესებში. წინამდებარე თავი აღწერს თანამშრომლობის ფორმატებს ამ საერთო მიზნების მისაღწევად.

## პოლიტიკა და რესურსების მართვის გამომწვევები

ისევე, როგორც უსაფრთხოების სხვა გამომწვევების შემთხვევაში, საზოგადოებაში უნდა დაინერგოს მრავალგანზომილებიანი მიდგომა კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისადმი / პრევენციისადმი. ტერორიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების პროცესის მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ყოვლისმომცველი პოლიტიკის, სტრატეგიული და საკანონმდებლო ჩარჩოები ტერორიზმთან ბრძოლისთვის, დეტალურად განეროს სხვადასხვა სამინისტროსა და სამთავრობო უწყების ამოცანები და ფუნქციები და გაატაროს პრევენციისადმი ერთიანი სამთავრობო და ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომები. ეს ბოლო ეტაპი მოიცავს დაინტერესებული მხარეებისა და პრაქტიკოსების / სპეციალისტების ფართო, ინკლუზიური ქსელის ჩამოყალიბებას სხვადასხვა კონტრტერორისტული და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროგრამის კოორდინირების მიზნით.

## პოლიტიკის განზომილებები

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პოლიტიკის ჩარჩო ცდილობს ექსტრემიზმის პრევენციას ექსტრემისტების ოპერატიული ამოცანების - დემორიენტაციის; მიზნობრივი რეაგირების; და ლეგიტიმურობის მოპოვების განხორციელების, ასევე, ზოგადად რადიკალიზაციის მამოძრავებელი განმზიდველი და მიმზიდველი ფაქტორების - აღსრულებისთვის ხელის შეშლას. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისა და კონტრტერორიზმისადმი სტრატეგიული მიდგომის დანერგვის პროცესში პოლიტიკის დოკუმენტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებისადმი ერთიანი სამთავრობო და ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომების

კონსოლიდაციის პროცესში, რაც სანდო და ლეგიტიმური პრაქტიკის გარანტია.

როგორც მესამე თავში იყო განმარტებული, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს პრევენციული ღონისძიებების ფართო სპექტრს და ხელს უწყობს ექსტრემიზმთან ბრძოლაში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობის გააზრებას საერთო საზოგადოებრივ დონეზე<sup>152</sup>. 2015 წლის ბოლოსკენ გამოქვეყნებული „გაეროს სამოქმედო გეგმა“<sup>153</sup> რადიკალიზაციის პრევენციისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის შემუშავების ორიენტირად რჩება. ეს თავი ყურადღებას ამახვილებს ამ დოკუმენტში ექსტრემიზმის განმაპირობებელი ფაქტორების აღმოფხვრის მიზნით განერილი შვიდი თემატური სფეროდან ოთხ მათგანზე: დიალოგი და კონფლიქტის პრევენცია, თემების ჩართვა, ახალგაზრდობის გაძლიერება, და განათლება<sup>154</sup>.

შვეიცარიის „რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმა“<sup>155</sup> წარმოადგენს ეროვნულ პრაქტიკაში ამ ოთხი თემატური პრიორიტეტის დანერგვის ყოვლისმომცველ მაგალითს. „გეგმის“ ოთხი მიზანი ფოკუსირდება „რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ყველაფორმის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისთვის განხორციელება და წინაპირობების“ შექმნაზე „ძირითადი უფლებებისა და ადმიანის უფლებების დაცვით“<sup>156</sup>, პრევენციის ეროვნული მიზნების შესრულებისადმი ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის საშუალებით, რომელიც ფოკუსირდება შემდეგზე: თანამშრომლობა და ეფექტური სტრუქტურები; კოორდინაცია; ინსტრუმენტები; სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა<sup>157</sup>.

„გეგმის“ მრავალმხრივი მიდგომა აერთიანებს მრავალ ინსტიტუტს და ფოკუსირდება სათემო თუ ადგილობრივ დონეებზეც. თავად გეგმა ფორმულირდება ფედერალურ და კანტონურ დონეებზე სოციალური სამსახურების, განათლების სფეროს, კომუნების ასოციაციებისა და ქალაქების გაერთიანების, ასევე, სასამართლო და საპოლიციო ინსტიტუტების ხელმძღვანელების მიერ<sup>158</sup>. ეს ინკლუზიური და აუცილებლად ექსპანსიური (გაფართოებადი) მიდგომა განსაკუთრებით ხაზგასმულია გეგმის პირველ, „თანამშრომლობის“ მიზანში. რამდენადაც სტრატეგია „მუშავდება ადგილობრივ დონეზე (კანტონი, რეგიონი, ქალაქი), მტკიცდება პოლიტიკურ დონეზე“<sup>159</sup> და სწორედ იგი განსაზღვრავს შესაბამის მხარეებსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ერთიან მიდგომას, გეგმა გასცემს რეკომენდაციას:

„...სკოლის ხელმძღვანელობის, სოციალური სამსახურებისა და ახალგაზრდებთან მომუშავე პირების, ბავშვისა და ზრდასრულის დაცვის უწყებების, ფსიქიატრიული სამსახურების, პოლიციის, დაზვერვის სამსახურების (დამოკიდებულია ფედერალურ და კანტონის დონეზე არსებულ კონტექსტზე), ინტეგრაციის სააგენტოებისა და სხვა სპეციალიზებული უწყებების, ასევე, [რადიკალიზაციის რისკის ქვეშ მყოფი] კონკრეტული პირის უშუალო გარემოცვაში მყოფთა (საჭიროებისამებრ) ჩართულობის უზრუნველყოფის თაობაზე“<sup>160</sup>.

152 Peter Neumann, 'Countering Violent Extremism and Radicalisation that Lead to Terrorism: Ideas, Recommendations, and Good Practices from the OSCE Region', OSCE, CIO.GAL/189/17, (September 2017), pp. 45-46, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/chairmanship/346841>

153 Report of the Secretary General, 'Plan of Action to Prevent Violent Extremism', A/70/674, 24<sup>th</sup> December 2015, pp. 7-10, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.un.org/counterterrorism/plan-of-action-to-prevent-violent-extremism> and [https://www.un.org/en/ga/search/view\\_doc.asp?symbol=A/70/674](https://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/70/674)

154 Report of the Secretary General, 'Plan of Action to Prevent Violent Extremism', pp. 14-20. ეროვნული სამოქმედო გეგმების შესახებ დამატებითი ინსტრუქციებისთვის იხილეთ შემდეგი: "Guidelines and Good Practices: Developing National P/CVE Strategies and Action Plans", Hedayah Center, September 2016; ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.hedayahcenter.org/resources/good-practices/guidelines-good-practices-developing-national-p-cve-strategies-action-plans/> and ICCT, '12 Principles for National Action Planning', International Center for counter-terrorism, 30<sup>th</sup> June 2016; ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე <https://icct.nl/update/12-principles-for-national-action-planning/>

155 Swiss Security Network (Sicherheitsverbund Schweiz), Swiss National Action Plan to Prevent and Counter Radicalisation and Violent Extremism, 4<sup>th</sup> December 2017, pp. 5-6, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.news.admin.ch/newsd/message/attachments/50703.pdf>

156 Swiss National Action Plan, p. 10.

157 Swiss National Action Plan, p. 10.

158 Swiss National Action Plan, p. 5.

159 Swiss National Action Plan, p. 10.

160 Swiss National Action Plan, p. 10.

ამ ფორმატში, „გეგმა“ ცდილობს პრობლემური მოვლენების, ექსტრემიზმისა და ძალადობის პოტენციური რისკების მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე გამოვლენას და, ინკლუზიურ ფორმატში, შესაფერისი პრევენციული ზომების ინიცირებას სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ფართო საზოგადოების მასშტაბით.

პრევენციის ოთხი ეროვნული მიზნის მისაღწევად, „გეგმა“ განსაზღვრავს ოცდაექვს ღონისძიებას, რომლებიც ჩართულმა მხარეებმა უნდა განახორციელონ ხუთი თემატური აქტივობის ფარგლებში: ცოდნა და გამოცდილება (ცხრა ღონისძიება); თანამშრომლობა და კოორდინაცია (რვა ღონისძიება); ექსტრემისტული იდეოლოგიისა და ექსტრემისტული ჯგუფების პრევენცია (სამი ღონისძიება); ჩამოშორება და რეინტეგრაცია (ოთხი ღონისძიება); საერთაშორისო თანამშრომლობა (ორი ღონისძიება). გეგმა ადგენს ინსტიტუტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ფუნქციებსა და ამოცანებს (როგორებიცაა ახალგაზრდების ჯგუფები და საქველმოქმედო ორგანიზაციები) ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეებზე თითოეული ღონისძიების განხორციელებისთვის, განსაზღვრავს შესაბამის სამსახურებსა (მომსახურების მომწოდებლებს) და მომხმარებლებს<sup>161</sup>, აღწერს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თითოეული ღონისძიებისათვის და, ასევე, ყოველი აქტივობის დაფინანსების წყაროებს<sup>162</sup>.

უფრო მეტიც, „სამოქმედო გეგმა“ ითვალისწინებს სამომავლო მოქმედებებსაც კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, რაც მოიცავს „ეროვნული კოორდინაციის ოფისის“ (ღონისძიება 16<sup>163</sup>) და კანტონური „კომპეტენციისა და კონსულტაციის ცენტრების“ ოფიციალურად დაარსებას, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ზოგადად ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების/ პრევენციის საკითხებზე, ხოლო, უფრო კონკრეტულად შეასრულებს ადრეული გამაფრთხილების ფუნქციას (ღონისძიება 10<sup>164</sup>) ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების/ პრევენციის ერთიანი საზოგადოებრივი და ყოვლისმომცველი პროგრამების შემუშავების ხელშეწყობის მიზნით.

#### რესურსების მართვის განზომილებები

როგორც მესამე თავში იყო განხილული, დაინტერესებულ მხარეების ყველა ჯგუფში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისთვის სპეციფიკური კომპეტენციების განვითარების საჭიროება უნდა ითვალისწინებდეს რესურსების მართვის სირთულეს, რომელიც, როგორც წესი, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ერთიანი საზოგადოებრივი პროგრამების შემუშავების პროცესს ახასიათებს. ეს აუცილებელია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის აქტივობების ეფექტური კოორდინირებისა და მართვისთვის.

ასეთი საჭიროება, როგორც წესი, მოიცავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების/ პრევენციის შესახებ ტრენინგს ყველა დაინტერესებული მხარისთვის ისე, რომ ყველას თანაბრად ესმოდეს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ამოცანები, მეთოდები და საუკეთესო პრაქტიკა. კიდევ ერთი საჭიროებაა პასუხისმგებელი პირების ქსელის არსებობის და ფუნქციონირების უზრუნველყოფა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხების შესაფერისად მოგვარების, პოლიტიკის შემუშავებისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისთვის სპეციფიკური ახალი კომპეტენციების შენარჩუნების მიზნით. ამის პარალელურად აუცილებელია ერთიანი სამთავრობო და ერთიანი საზოგადოებრივი ჩარჩოს ფარგლებში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების/ პრევენციის ყოვლისმომცველი ეროვნული საკოორდინაციო კომპეტენციის / [უნყების] არსებობაც, რომელიც თავს უყრის პოლიტიკის შემქმნელებს, საზოგადოებრივ მხარეებს, მომსახურების მომწოდებლებსა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებს პოლიტიკისა და პრაქტიკის გადახედვისა და ექსტრემისტულ აქტივობებზე ინფორმაციის გაზიარების მიზნით.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების/ პრევენციის ეროვნული საკოორდინაციო ქსელისთვის დამატებითი რესურსების მოძიება შეიძლება მოიაზრებოდეს დანაშაულის პრევენციის უფრო ფართო კონტექსტში, თუმცა პასუხისმგებლობის გადანაწილება და ტრენინგისა და ინფორმაციის გაზიარების არსებული ქსელების მონაწილეობის მაქსიმალურად გაზრდა რესურსების მართვის ოპტიმიზების საშუალებას იძლევა. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციისთვის რელევანტური მრავალი ინსტიტუციური კომპეტენციისა და საჭიროების ხარჯი უკვე გათვალისწინებულია სახელმწიფო თუ ინსტიტუციურ ბიუჯეტებში.

161 'Annex', Swiss National Action Plan, pp. 31-32.

162 'Masterplan', Swiss National Action Plan, pp. 27-29. ნორვეგიული სამოქმედო გეგმის შემთხვევაში, თითოეულ ღონისძიებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კონკრეტულ სამინისტროს. იხილეთ Norwegian Ministry of Justice and Public Security, 'Action Plan against Radicalisation and Violent Extremism', p. 3.

163 Swiss National Action Plan, p. 18.

164 Swiss National Action Plan, p. 16.

ფინანსური რესურსები და ინფრასტრუქტურა, რომელიც სჭირდება წინა ხაზის პერსონალს მთელი ქვეყნის მასშტაბით ძირითადი მომსახურებების უზრუნველყოფისთვის უკვე გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში. ასევე, ბევრი სამსახური თავიანთი საქმიანობის სტანდარტული პროფილის პარალელურად მუშაობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებზე.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების/ პრევენციის სპეციფიკური ზომებისთვის საჭირო დამატებითი რესურსები შეიძლება გამოვლინდეს საზოგადოების წინაშე მდგარი ტერორისტული და რადიკალიზმის საფრთხეების შეფასებით, რომლებიც შემდეგ დეტალურად და ამომწურავად უნდა ჩაიშალოს „ეროვნულ სამოქმედო გეგმაში“. ყველა სახელმწიფოში არსებობს ექსტრემიზმის პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების საერთო რაოდენობაზე პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევასა და ამ საჭიროებებისთვის სათანადო რესურსების გამოყოფასთან დაკავშირებული გამოწვევა.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის გამომწვევებისათვის დამატებითი რესურსების გამოყოფა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა: მოთხოვნების დაკავშირება როგორც არსებულ, ასევე, ახალ საბიუჯეტო ხაზთან გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პოლიტიკისა და რესურსების მართვის პროცესების გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. შვეიცარიის შემთხვევაში, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სამოქმედო გეგმაში მითითებული ყოველი ღონისძიება მიბმულია კონკრეტულ ბიუჯეტს<sup>165</sup> ან თუ გეგმა დაადგენს, რომ კონკრეტული მიზნით აუცილებელია დამატებითი რესურსების გამოყოფა, განსაზღვრულია სამომავლო საკანონმდებლო და საბიუჯეტო კონტექსტი, რომლისთვისაც ეს რესურსები უნდა იყოს უზრუნველყოფილი. მაგალითად, შვეიცარიის „ეროვნული სამოქმედო გეგმა“ ზოგჯერ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გადამზადების / ტრენინგის ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ შესაფერისი შინაარსისა და მომსახურების მიწოდება მათივე ბიუჯეტებიდან<sup>166</sup>, ასევე, იმაზე, რომ საფრთხის მართვის კონკრეტული აქტივობები უნდა ეყრდნობოდეს დადგენილ საბიუჯეტო ხაზს<sup>167</sup> ან განსაზღვრავდეს სრულიად ახალი საბიუჯეტო ხაზის შექმნის კონტექსტს.

საბოლოო ჯამში, ნებისმიერი დამატებითი ფინანსური საჭიროება დამოკიდებულია ტერორისტული საფრთხის დონესა და რადიკალიზაციის რისკებზე - რაც უფრო წარმატებულია პრევენცია, უფრო დაბალი იქნება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სპეციალური კომპეტენციების შენარჩუნების ხარჯი.

#### დიალოგი, ჩართულობა, უკუკავშირი და პარტნიორობა

როგორც წინა ნაწილში იყო აღწერილი, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის დინამიკური და კონსტრუქციული ურთიერთობა საფუძველს უყრის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების/ პრევენციის ერთიანი საზოგადოებრივი პროგრამის შემუშავებას. ყოველ დაინტერესებულ მხარეს აქვს თავისი ფუნქცია და პრევენციისათვის დაკავშირებული სხვადასხვა სირთულე. მთავარი გამოწვევაა თანამშრომლობის ჩარჩოს ჩამოყალიბება იმგვარად, რომ სამოქალაქო საზოგადოება ყველაზე ფართო გაგებით - კონკრეტულად კი, ოჯახები, ქალები, ახალგაზრდობა, აღმზრდელ-მასწავლებლები და რელიგიური თუ სათემო ლიდერები - ყველა ჩაერთოს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების/ პრევენციის პროგრამების შემუშავებაში<sup>168</sup>.

ერთიანი საზოგადოებრივი პარტნიორობების გამოყენებას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების/ პრევენციის საკითხების მოსაგვარებლად შეუძლია შექმნას სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის კონსტრუქციული ჩართულობის სივრცე, გაამყაროს ნდობა და ურთიერთგაგება, გააფართოვოს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში ჩართული მხარეების რაოდენობა, და უზრუნველყოს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პოლიტიკისა და სტრატეგიის ზემოქმედების შესახებ უკუკავშირი და შესაბამისი მონაცემების მონიტორინგი. ამ პარტნიორობებს შეუძლია თანამშრომლობის პროცესში სანყისი ბარიერების, კოორდინაციისა და თანამშრომლობის არარსებობის შედეგად შექმნილი წინააღმდეგობების დაძლევა და გრძელვადიანი, ერთიანი საზოგადოებრივი თანამშრომლობისთვის საძირკვლის შენება<sup>169</sup>.

165 Swiss National Action Plan, pp. 27-29.

166 მაგალითად, ღონისძიება 4: „ფედერალურ და კანტონურ ცენტრებში თავშესაფრის მაძიებელთათვის მხარდაჭერი სპეციალისტების ტრენინგი“, და ღონისძიება 5: „ცნობიერების ამაღლება წამყვანი პოზიციის მქონე პირებში და მათთვის ტრენინგის უზრუნველყოფა“, Swiss National Action Plan, p. 15.

167 ღონისძიება 14: „საფრთხის მართვის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა“, Swiss National Action Plan, p. 17.

168 იხილეთ, მაგალითად, OSCE, The Role of Civil Society in Preventing and Countering Violent Extremism and Radicalization that Lead to Terrorism: A Guidebook for South-Eastern Europe, 2018, p. 8, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/secretariat/400241>

169 OSCE, A Whole-of-Society Approach to Preventing and Countering Violent Extremism and Radicalization That Lead to Terrorism – A

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის კოორდინაციის ერთიანი საზოგადოებრივი ჩარჩო და მასთან დაკავშირებული ქსელები ისეთ სტრუქტურას გვთავაზობს, რომელშიც მრავალ სხვადასხვა ინსტიტუტსა და დაინტერესებულ მხარეს შეუძლია პრევენციის საერთო მიზნისთვის თანამშრომლობა. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ოფიციალური თანამშრომლობითი ჩარჩო სახელმწიფოს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელებისა და პრევენციული პარტნიორობების, ჩართულობის, დიალოგისა და უკუკავშირისთვის სივრცის შექმნის საშუალებას აძლევს.

“შვეიცარიის ეროვნული სამოქმედო გეგმა” მოიცავს იმ სხვადასხვა ფუნქციას, რომლებიც დაინტერესებულმა მხარეებმა შეიძლება შეასრულონ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის / პრევენციისთვის ერთიანი საზოგადოებრივი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. „სამოქმედო გეგმა“ აზუსტებს ყველა დაინტერესებული მხარის (მაგალითად, ახალგაზრდების ჯგუფები და საქველმოქმედო ორგანიზაციები) თანამშრომლობით როლებსა და ამოცანებს [„სამოქმედო გეგმით“] განერილი თითოეული ღონისძიების განხორციელების პროცესში, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეებზე; განსაზღვრავს მომსახურების მომწოდებლებსა და მომხმარებლებს<sup>170</sup>, აღწერს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თითოეული ღონისძიებისათვის და ყოველი აქტივობის დაფინანსების წყაროებს<sup>171</sup>.

„სამოქმედო გეგმის“ პირველი თანამშრომლობითი მიზანი ეყრდნობა დიალოგს, თანამშრომლობას, ჩართულობასა და უკუკავშირს მრავალ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის ინდივიდებში ექსტრემიზმის ნიშნების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. აღნიშნავს რა, რომ პრევენციის სტრატეგია უკვე „შემუშავებულია ადგილობრივ დონეზე (კანტონი, რეგიონი, ქალაქი)“<sup>172</sup>, „გეგმა“ განმარტავს, რომ „კონკრეტული [რადიკალიზაციის რისკის ქვეშ მყოფი] პირის უშუალო გარემოცვაში მყოფნი, სამთავრობო უწყებები, „სკოლის ხელმძღვანელობა, სოციალური და ახალგაზრდობის მუშაკები, ასევე, სხვა სპეციალიზებული სააგენტოები შეიძლება იყვნენ ჩართულნი [ამ პროცესში]“<sup>173</sup>.

„გეგმა“, ასევე, აღიარებს ცნობიერების ამაღლების, ტრენინგის მასალებისა და ტრენინგის პროგრამების საჭიროებას ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის, დიალოგისა და უკუკავშირის გასაუმჯობესებლად. ღონისძიება 2 ყურადღებას ამახვილებს „ექსპერტებისთვის ბაზისური და უწყვეტი განათლებისა და ტრენინგის შეთავაზებაზე“, რაც მოიცავს ადრეულ ეტაპზე რადიკალიზაციის ნიშნებისა და რისკების შემჩნევის მეთოდებს, მზარდი რადიკალიზაციის პრევენციისთვის საჭირო მოქმედებებსა და რადიკალიზებულ ინდივიდებთან გამკლავების ფორმებს<sup>174</sup>. ღონისძიება 5 ეხება „ცნობიერების ამაღლებას და ტრენინგის უზრუნველყოფას სკოლებსა და ახალგაზრდობის კლუბებში წამყვან პოზიციებზე მყოფი პირებისთვის“<sup>175</sup>; ღონისძიება 9 („სკოლებში და სკოლებს გარეთ გამოსაყენებელი პედაგოგიური მასალის შემუშავება და გავრცელება“) მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოს - „ინტეგრაციის ხელშეწყობა, რადიკალიზაციის გამოვლენა“ (Integration, Recognise Radicalisation) - და სხვა ონლაინრესურსებს<sup>176</sup>.

მესამე, „სამოქმედო გეგმა“, ასევე, ითვალისწინებს მხარეების ფართო ჩართულობას ექსტრემისტების „[მავნე ზემოქმედებისგან] გათავისუფლებისა და რეინტეგრაციის“ პროცესში, განსაკუთრებით, ქვეყანაში მოქმედი ექსპერტების მხრიდან ცოდნა-გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით (ღონისძიება 24)<sup>177</sup>.

და ბოლოს, დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგისა და ჩართულობის გასაუმჯობესებლად, „სამოქმედო გეგმა“, ასევე, ითვალისწინებს „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული საკოორდინაციო ოფისის“ (ღონისძიება 16<sup>178</sup>) და კანტონური „კომპეტენციისა და კონსულტაციის ცენტრების“ ოფიციალურად ფორმირებას, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ზოგადად ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებზე, ხოლო, უფრო კონკრეტულად, შეასრულებს ადრეული

Guidebook for Central Asia, 21st January 2020, pp. 10-11, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://polis.osce.org/wholeofsociety-approach-preventing-and-counteracting-violent-extremism-and-radicalization-lead>

170 'Annex', Swiss National Action Plan, pp. 31-32.  
171 'Masterplan', Swiss National Action Plan, pp. 27-29.  
172 Swiss National Action Plan, p. 10.  
173 Swiss National Action Plan, p. 10.  
174 Swiss National Action Plan, pp. 13-14.  
175 Swiss National Action Plan, p. 15.  
176 Swiss National Action Plan, p. 16.  
177 Swiss National Action Plan, p. 21.  
178 Swiss National Action Plan, p. 18.



გამაფრთხილებლის ფუნქციას (ლონისძიება 10<sup>179</sup>). ამგვარად, “სამოქმედო გეგმაში” დეტალურად ჩაშლილია დაინტერესებული მხარეების როლები და პასუხისმგებლობები და, იმავდროულად, გათვალისწინებულია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის გაუმჯობესებული და კიდევ უფრო უკეთ სტრუქტურირებული ერთიანი საზოგადოებრივი კომპეტენციების განვითარება.

რუბრიკა 1: ერთიანი საზოგადოებრივი პარტნიორობების შექმნა. როგორც მეოთხე თავში იყო აღნიშნული, ევროკავშირის „რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ქსელი“ განმარტავს, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმის არიდება მოიაზრება დანაშაულის პრევენციაში ფართო გაგებით, ხოლო დანაშაულის პრევენციის საერთო პრინციპები და მექანიზმები, როგორც წესი, ზოგადად მიესადაგება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებას / პრევენციას, უფრო კონკრეტულად კი იმას, თუ რამდენი ქვეყანა ახერხებს ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეებზე დანაშაულის პრევენციის მიზნით თემებთან პარტნიორობის ჩამოყალიბებას. დანაშაულის პრევენციის პროგრამირების ამომწურავი სტრუქტურა უზრუნველყოფს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ერთიანი საზოგადოებრივი პროგრამების ოთხ დონეზე შემუშავებისა და სტრატეგიზაციის ჩარჩოს, რომელიც მოიცავს:

- პირველად პრევენციას, რომელიც გამიზნულია მთლიანი მოსახლეობის ჯგუფებისა და ფართო კატეგორიისთვის;
- მეორეულ პრევენციას - გამიზნულია განსაზღვრული რისკის ჯგუფებისათვის, რომლებიც დანაშაულებრივი აქტივობისკენ არიან მიდრეკილნი;
- მესამეულ პრევენციას - გამიზნულია პრობლემური ჯგუფებისა და ინდივიდებისთვის;
- ინდივიდუალურ პრევენციას - გამიზნულია დანაშაულის (პოტენციურ) მსხვერპლთათვის<sup>180</sup>.

ამ ფორმატის ფარგლებში, ცხრა ზოგადი პრევენციული ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია ერთიანი საზოგადოებრივი პარტნიორობების საშუალებით ძალადობრივი ექსტრემიზმის აღსაკვეთად, რაც კონკრეტულად მოიცავს შემდეგს: ნორმატიული ბარიერების დანერგვა-შენარჩუნება; რეკრუტირების შემცირება; შეკავება; აღკვეთა; ბრძოლისუნარიანობის შესუსტება; მოწყვლადი სამიზნეების დაცვა; ზარალის შემცირება; ჭილდოების შემცირება; დანაშაულებრივი ქმედებებისთვის თავის დანებება და რეაბილიტაცია<sup>181</sup>.

ჰოლისტური მოდელი ცხადყოფს უფრო ფართო ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის საჭიროებას პრევენციისადმი, სადაც სამართალდამცავი სფერო მექანიზმების განხორციელების ერთ-ერთი მონაწილეა. სხვა მონაწილეები მოიცავს სამოქალაქო საზოგადოებასა და სათემო ორგანიზაციებს, სოციალურ მუშაკებს, პოლიტიკოსებს, საპატიმრო და პრობაციის სამსახურებს, რომელთაგან ყოველს აქვს სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების უფლებამოსილება პრევენციის ცხრა მექანიზმიდან ერთის ან მეტის ამოქმედებისთვის<sup>182</sup>.

## თემები და სამოქალაქო საზოგადოება

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების/ პრევენციის ძალისხმევის გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია სამთავრობო ინსტიტუტებზე, სათემო ლიდერებსა და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს შორის საქმიან ჩართულობასა და გამჭვირვალე პარტნიორობაზე. თემები და სამოქალაქო საზოგადოება არა მხოლოდ ასრულებს მეთვალყურის ფუნქციას, არამედ, ასევე, მონაწილეობს პარტნიორობის ჩამოყალიბებასა და პრობლემის მოგვარებაში.

## სამოქალაქო საზოგადოება

ეუთომ განსაზღვრა ჩვიდმეტი სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელიც აღწერს სამოქალაქო საზოგადოებისა და თემის როლებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროცესში, ასევე, იმას, თუ

179 Swiss National Action Plan, p. 16.

180 Radicalisation Awareness Network, ‘Lessons from crime prevention in preventing violent extremism by police’, RAN Issue Paper, 15<sup>th</sup> January 2020, p. 2, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/networks/radicalisation\\_awareness\\_network/about-ran/ran-pol/docs/ran\\_pol\\_lessons\\_from\\_crime\\_prevention\\_012020\\_en.pdf](https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/networks/radicalisation_awareness_network/about-ran/ran-pol/docs/ran_pol_lessons_from_crime_prevention_012020_en.pdf)

181 RAN, ‘Lessons from crime prevention’, p. 3.

182 RAN, ‘Lessons from crime prevention’, p. 3.

როგორ შეუძლია სამთავრობო მხარეს ამ როლის ხელშეწყობა და მხარდაჭერა<sup>183</sup>. საერთო ჯამში, სამოქალაქო საზოგადოების მიერ მართული ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეფექტური ინიციატივები მოითხოვს გარემოს, რომელშიც:

- სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებსა და აქტორებს შეუძლიათ თავიანთი სამუშაოს შეუფერხებლად შესრულება გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და ასოცირების ფუნდამენტური უფლებების შესაბამისად.
- მთავრობა ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის პროგრამირებისა და პოლიტიკის შემუშავების აქტივობების სრულ სპექტრში პარტნიორობისა და თანამშრომლობითი პლატფორმების საშუალებით.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეგულარული ჩართულობა ხორციელდება მოქნილი და საპასუხისმგებლო მრავალუნებიანი საკოორდინაციო მექანიზმების საშუალებით, როგორებიცაა: მრჩეველთა კომიტეტები, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ცენტრები, მრგვალი მაგიდები და ინსტიტუციური ალიანსები.

სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეებზე ხელშეწყობისა და უკუკავშირის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია ამ ყველაფრის ასახვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. ასახავს რა თემებისა და სამოქალაქო საზოგადოების საყოველთაოდ აღიარებულ მნიშვნელობას, “შვეიცარიის ეროვნული სამოქმედო გეგმა” განსაზღვრავს „სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობასა და მხარდაჭერას, როგორც ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სპეციფიკური ოთხი მიზნიდან ერთ-ერთს და აზუსტებს, რომ:

„სამოქალაქო საზოგადოების“ მხრიდან ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერა და მათში აქტიური მონაწილეობა პრევენციის სამუშაოს აუცილებელი ნაწილია. სამუშაო და გადაწყვეტილების ფორმირების პროცესებში ჩართულობას წვლილი შეაქვს დადებითი გადაწყვეტილებების მიღებაში, აძლიერებს სოციალური სოლიდარობის განცდას და ამსუბუქებს ან, საერთოდაც, აღმოფხვრის შიშს, გაურკვევლობას და დისკრიმინაციულ ტენდენციებს<sup>184</sup>.

“სამოქმედო გეგმა“, ასევე, განსაზღვრავს საზოგადოების გადამწყვეტ როლს კონტრნარატივების შექმნის პროცესში. ღონისძიება 20 - „რადიკალიზაციის პრევენცია (კონკრეტულად, ინტერნეტის გამოყენებით) კონტრნარატივების და ალტერნატიული ნარატივების საშუალებით“ - აკონკრეტებს, რომ:

„კონტრნარატივები და / ან ალტერნატიული ნარატივების შემუშავება და გავრცელება ინტერნეტსა და ავტომატურ ქსელში მხარდაჭერილია სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული ინიციატივებით და მოიცავს სამიზნე ჯგუფში ხალხის მაქსიმალურად შესაძლებელ რაოდენობას<sup>185</sup>.

როგორც წინა თავებსა და ნაწილებში იყო აღწერილი, სამოქალაქო საზოგადოებას, ასევე, შეაქვს წვლილი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნულ საკოორდინაციო ჩარჩოში, ასევე, დიალოგის, მონიტორინგისა და რეინტეგრაციის ჩარჩოებში.

## თემები

თემის ლიდერებმა შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშონ თემებსა და სამთავრობო ორგანოებს შორის მედიაში. შედეგად შექმნილი ნებისმიერი პარტნიორობა შეიძლება დადებითი აღმოჩნდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში, რომლებიც მოიცავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებსაც. თემებში სანდო ლიდერებთან თანამშრომლობა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის თვალსაზრისით საერთო მიზნის განცდის

183 OSCE, The Role of Civil Society in Preventing and Countering Violent Extremism, pp. 50 – 60, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/secretariat/400241>

184 Swiss National Action Plan, p. 9.

185 Swiss National Action Plan, p. 20.

შესაქმნელად წარმოადგენს ღირებულ ინვესტიციას, რომელიც უკავშირდება წარმატებული პროგრამების შემუშავების შესაძლებლობების ზრდას<sup>186</sup>.

თემების ჩართულობა არ შემოიფარგლება მისი ლიდერებით და ინსტიტუტების მხრიდან წინდახედული ქმედება იქნება თემის სხვადასხვა წევრთან - ასაკის, სქესის, გენდერის, ეთნოსისა თუ რწმენის მიუხედავად - იდენტიფიცირება და ურთიერთობა. შესაძლებელია, ასევე, თემის რელიგიური ლიდერების უფრო აქტიურად ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში / პრევენციაში და მათი გავლენის გამოყენება მმართველობაში, ადამიანის განვითარებასა და სამშვიდობო ინიციატივებში<sup>187</sup>.

თემის ლიდერებს შეიძლება დადებითი ზემოქმედება ჰქონდეთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სხვადასხვა ინტერვენციაზე, დაწყებული ადრეული პრევენციიდან, დამთავრებული ექსტრემისტების რეაბილიტაცია-რეინტეგრაციით. უფრო კონკრეტულად, სათემო ლიდერებს გადამწყვეტი როლი ეკისრებათ [მათსავე თემებში] ექსტრემიზმის ადრეული ნიშნების გამოვლენაში, რაც უფრო დეტალურად არის განხილული მეშვიდე თავის „მონიტორინგის“ ნაწილში. ამის პარალელურად, როგორც სანდო აქტორები, რომლებიც ფლობენ უნიკალურ ცოდნას თემის მოწყვლად წევრებს შორის ფართო გამოხმაურების მექანიზმების შესახებ, ისინი შეიძლება ალტერნატიული ანტირადიკალისტური ნარატივების ძალიან ეფექტური გამავრცელებლები აღმოჩნდნენ<sup>188</sup>.

ყოველდღიურად, სათემო საპოლიციო საქმიანობის თვალსაზრისით, ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან სათემო პარტნიორობა საკმაოდ გავრცელებულია ბევრ საზოგადოებაში და ემსახურება თემში პრობლემების მოგვარებას<sup>189</sup>. იმავდროულად, სამოქალაქო საზოგადოება და თემები არ უნდა იყვნენ სამთავრობო უწყებების მიერ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მიზნით გამოყენებულნი, რამდენადაც ასეთი პარტნიორობა ყველაზე უკეთ მუშაობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის კონტექსტში, როდესაც ისინი თანამშრომლობითია და არა მაშინ, როცა აღიქმება გარედან მართულად ან ექსპლუატაციურად<sup>190</sup>.

საერთო ჯამში, სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად სათემო ასოციაციებისა და ლიდერების ჩართვა პროგრამების შემუშავებაში აძლიერებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნულ ინკლუზიურ საკოორდინაციო ჩარჩოს. მსგავსადვე, ახალგაზრდების ბევრი ჯგუფი შეიძლება მოიაზრებოდეს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებზე თემის ჩართულობის ფარგლებში, ხოლო მათი როლი, აღმზრდელ-მასწავლებლებთან ერთად, მომდევნო ნაწილის განხილვის საგანს წარმოადგენს.

## განათლება და ახალგაზრდების ჩართვა

როგორც სკოლებში, ასევე, ახალგაზრდების ჯგუფებში აუცილებელია დაკვირვება იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც სხვადასხვა კონტექსტში რადიკალიზაციის რისკის ქვეშ იმყოფებიან, რათა მიღებული იქნას გადამწყვეტი ზომები რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენისთანავე. ასეთ ახალგაზრდებს შეიძლება ჯერ არ ჰქონდეთ გადაკვეთილი ტერორისტული აქტივობის კრიმინალური ზღვარი, თუმცა არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში ასეც მოიქცევიან. კრიმინალური აქტივობის ზღვრის გადაკვეთამდე ახალგაზრდების ექსტრემისტული ზემოქმედებისგან გამოთავისუფლების ღონისძიებები მოითხოვს სპეციალურად გამოყოფილ რესურსებს როგორც აღმზრდელ-განმანათლებლების, ასევე, ახალგაზრდობის ჯგუფებისთვის.

ამ კონტექსტში რადიკალიზაციამდე ჩარევა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენის შემდგომი ინტერვენცია. ევროსაბჭოს „კონტრტერორიზმის სტრატეგია“, როგორც აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა, ყურადღებას ამახვილებს „წინა ხაზის სპეციალისტებს, განსაკუთრებით კი სკოლის კადრებს შორის რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების“<sup>191</sup>, ტერორიზმის გამომწვევი რადიკალიზაციის პრევენციის მეთოდების შესახებ პრაქტიკული

186 Global Counterterrorism Forum, 'Ankara Memorandum on Good Practices for a Multi-Sectoral Approach to Countering Violent Extremism', 2013, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.thegctf.org/About-us/GCTF-framework-documents>

187 Global Counterterrorism Forum, 'Ankara Memorandum on Good Practices for a Multi-Sectoral Approach to Countering Violent Extremism'.

188 Barzegar et. al., 'Civic Approaches to Confronting Violent Extremism: Sector recommendations and best practices', 2016, cited in: OSCE, The Role of Civil Society in Preventing and Countering Violent Extremism, p. 31.

189 Peter Neumann, 'Countering Violent Extremism and Radicalisation that Lead to Terrorism', p. 52.

190 OSCE, The Role of Civil Society in Preventing and Countering Violent Extremism, p. 30.

191 Council of Europe, 'Section 1.4', Council of Europe counter-terrorism Strategy (2018-2022).

ცოდნის გაზიარებისა და რადიკალიზაციის ნიშნებისა თუ ინდიკატორების გამოვლენის გადამწყვეტ როლზე. ეს სახელმძღვანელო ინსტრუქცია, ასევე, მიემართება სკოლებში, ახალგაზრდობის, სპორტულ თუ სათემო ცენტრებსა და ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულ სპეციალისტებს, რომელთაც უნდა ჰქონდეთ სათანადო ცოდნა და ეფექტური ინსტრუმენტები მათი პასუხისმგებლობის სფეროში პრევენციული ზომების აქტიურად გატარებისთვის<sup>192</sup>. მეშვიდე თავის „მონიტორინგის“ ნაწილში უფრო დეტალურად არის განხილული ახალგაზრდობის ლიდერების გადამწყვეტი როლი ექსტრემიზმის ადრეული ნიშნების გამოვლენაში.

## განათლება და განათლების სექტორი

როგორც საგანმანათლებლო პროცესი, ისე განათლების სექტორი თავისთავად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ექსტრემისტული ნარატივებისა და ქცევების გავრცელების პრევენციისთვის. ზოგადასაგანმანათლებლო პროცესი - განათლებული მოქალაქის შექმნა, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია შეაფასოს ინფორმაცია, რომელსაც სოციალურ მედიასა თუ სხვა სახის საინფორმაციო საშუალებებში ეცნობა, ჰქონდეს წვდომა და ინტერაქცია მთავრობასთან, ინსტიტუტებსა და უწყებებთან - გადამწყვეტია ზოგადად რადიკალიზაციის შესუსტებისთვის. განათლებული მოქალაქე ადვილად არკვევს ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციის სანდოობას და წარმართავს ურთიერთობას მთავრობის წარმომადგენლებსა თუ ინსტიტუტებთან. ამას გარდა, განათლებული სამოქალაქო სექტორი ხელს უწყობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის თანამშრომლობით პროგრამირებას, რამდენადაც ჩართული მხარეები უკვე იცნობენ საერთო ეროვნულ ღირებულებებს და შეუძლიათ მიაღწიონ კონსენსუსს ამ ღირებულებების წინაშე მდგარი ნებისმიერი საფრთხის თაობაზე.

თანამედროვე ონლაინ რადიკალიზაციის კონტექსტში მასწავლებლებს შეუძლიათ სპეციფიკური უნარები გადასცენ მოსწავლეებს. განათლება შეიძლება მოიაზრებოდეს ზოგადად დემოკრატიული და სამოქალაქო ღირებულებების, კონკრეტულად კი ციფრული წიგნიერებისა და „ციბერმოქალაქეობის“ უნარების გადაცემის ნაწილად<sup>193</sup>. ამ კონტექსტში აღმზრდელ-განმანათლებლებსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სპეციალისტებს შეუძლიათ ასწავლონ მედიაწიგნიერება და ონლაინუსაფრთხოება პროპაგანდის, რადიკალიზაციის ნარატივების, ყალბი ახალი ამბებისა და შეთქმულების თეორიების ამოცნობის მიზნით. ეს პროცესი, ასევე, შეიძლება მოიცავდეს კერძო სექტორს, მედიას, ადგილობრივ და რელიგიურ თემებსა და სამოქალაქო საზოგადოებას<sup>194</sup>.

ამასთან, როგორც მეოთხე თავში იყო განხილული, აღმზრდელ-მასწავლებლებს ხელსაყრელი პირობები აქვთ რადიკალიზაციის ნიშნების მეთვალყურეობისა და რისკის ქვეშ მყოფი ინდივიდების გამოვლენის თვალსაზრისით. რამდენადაც მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეების სხვა სახის უარყოფითი ქცევის ფაქტებს, ხშირად სწორედ ისინი ამჩნევენ პირველად რადიკალიზაციის რისკებს. აღმზრდელ-მასწავლებლებს შემდეგ შეუძლიათ აცნობონ რადიკალიზაციის პროცესისა და რადიკალიზებული ინდივიდების თაობაზე ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნულ საკოორდინაციო ჩარჩოს და წამოიწყონ ინტერვენცია სამომავლო ექსტრემისტული ინდოქტრინაციისა და სხვა მსგავსი აქტივობების პრევენციის მიზნით.

## სკოლები და ახალგაზრდობის ჯგუფები პრევენციული პროგრამების შემუშავებაში

„შვეიცარიის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ გვთავაზობს პრაქტიკულ მაგალითებს, თუ როგორ უნდა შევქმნათ ჩარჩო, რომელიც საგანმანათლებლო სექტორსა და ახალგაზრდობის ჯგუფებს რთავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის თანამშრომლობითი ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში. „გეგმა“ აღწერს პრევენციის ჩარჩოს განათლებასა და ახალგაზრდობის კლუბებში, რომლებშიც სახელმწიფო დაინტერესებულ მხარეებს განუსაზღვრავს სპეციფიკურ განსახორციელებელ აქტივობებს. „გეგმა“ ითვალისწინებს „სკოლებსა და ახალგაზრდობის კლუბებში წამყვანი თანამდებობის მქონე პირების დატრენინგებასა და ცნობიერების ამაღლებას“ (ლონისძიება 5)<sup>195</sup>, ასევე, „სკოლებში და სკოლებს გარეთ გამოსაყენებელი პედაგოგიური მასალის შექმნასა და გავრცელებას“ (ლონისძიება 9), რაც მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოს - „ინტეგრაციის ხელშეწყობა, რადიკალიზაციის გამოვლენა“ (Integration, Recognise

192 Council of Europe, 'Section 1.4', Council of Europe counter-terrorism Strategy (2018-2022).

193 Peter Singer, 'Three Steps to Fight Online Disinformation and Extremism', Defense One, 24<sup>th</sup> January 2021, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.defenseone.com/ideas/2021/01/three-steps-fight-online-disinformation-and-extremism/171563/>

194 Council of Europe, 'Section 1.4. Awareness Raising on radicalisation and other preventive measures among frontline practitioners , in particular in schools', Council of Europe counter-terrorism Strategy (2018-2022).

195 Swiss National Action Plan p. 15, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.news.admin.ch/news/message/attachments/50703.pdf>

Radicalisation) და ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის სხვა ონლაინრესურსებს<sup>196</sup>. ამ საერთო მიდგომის საფუძველია სპეციალიზებული მრავალმხრივი მიდგომა - „აქტიური მოქალაქეობის, დემოკრატიის გაძლიერებისა და დისკრიმინაციის პრევენციის წახალისების ღონისძიებების გაუმჯობესება“ (ღონისძიება 18)<sup>197</sup>.

რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენის საკითხებში არასამთავრობო დაინტერესებული მხარეების ორიენტირების მიზნით შექმნილი ეროვნული ტრენინგის პროგრამები მოიცავს აღმზრდელ-მასწავლებლებსა და ახალგაზრდებთან მომუშავე პირებს. როგორც “სამოქმედო გეგმის” უპირველესი პრიორიტეტი, ღონისძიება 2 ფოკუსირდება „ექსპერტებისთვის საბაზო და უწყვეტი განათლებისა და ტრენინგის შეთავაზებაზე“. ეს ღონისძიება ითვალისწინებს, რომ საბაზო და უწყვეტი განათლებისა და ტრენინგის კურსებში ექსპერტები განიხილავენ რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებს და ისწავლიან, როგორ უნდა ამოიციონ რადიკალიზაციის ნიშნები თუ რისკები ადრეულ ეტაპზე და იმოქმედონ შესაფერისად მზარდი რადიკალიზაციის პრევენციის მიზნით. ექსპერტები, ასევე, სწავლობენ, როგორ გაუმკლავდნენ სავარაუდოდ რადიკალიზებულ ინდივიდებს. ამ ტრენინგის სამიზნე ჯგუფი გაფართოებადია და ფოკუსირდება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეზე ახალგაზრდებისა და (სასკოლო) სოციალური მუშაკების, პედაგოგიური პერსონალის, მასპინძელ კომპანიებში სტაჟირების ზედამხედველების, ასევე, სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუტის პერსონალის ჩათვლით<sup>198</sup>.

---

196 Swiss National Action Plan, p. 16.

197 Swiss National Action Plan, p. 19.

198 Swiss National Action Plan, pp. 13-14.

# მეექვსე თავი: რეპატრიანტები

შესავალი

ევროპული სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს იმ მოქალაქეების რეინტეგრაცია, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ კონფლიქტებსა და ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის მიზნით. სირიიდან და ერაყიდან დაბრუნებული მოქალაქეების რაოდენობა ბევრად აღემატება 1991-2001 წლებში ავღანეთში, ჩეჩნეთში, პაკისტანსა თუ იემენში მყოფი (ძირითადად, ნასამართლეობის ისტორიის არმქონე) პირების რიცხვს. როგორც საკანონმდებლო, ასევე, კრიმინალური სამართლის ჩარჩო გაფართოვდა ამ მზარდი მაჩვენებლის შესაბამისად. ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს ბევრი მოქალაქე (ქალების, ბავშვებისა და თინიჯერების ჩათვლით), რომლებიც, ხშირად მოიხსენიებიან როგორც „უცხოელი ტერორისტი მებრძოლები“ (FTF), გაემგზავრა დაეშისთვის საბრძოლველად. ბოლო დროს ისეთი შემთხვევებიც გაჩნდა, როცა კონფლიქტის ზონაში დაბადებულ ბავშვებს ევროპული მოქალაქის უფლებები აქვთ და აუცილებელია მათი რეინტეგრაცია საზოგადოებაში რეპატრიაციისთანავე.

მას შემდეგ, რაც „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაკარგა კონტროლი ერაყსა და სირიაში, ინდივიდებმა თავისი ნებით გადანაცვლეს სახლში დაბრუნება; ზოგიერთის რეპატრიაცია მესამე მხარის ჩარევით მოხდა, ხოლო დანარჩენების იდენტიფიცირება ლტოლვილთა ბანაკებში მთავრობამ და რეგიონში მოქმედმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა მოახერხეს. ამ მრავალი სხვადასხვა ისტორიის მქონე ინდივიდის დაბრუნება ნებისმიერი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

რეპატრიანტებთან ეფექტურად მუშაობა კონტრტერორიზმისადმი ეფექტური სტრატეგიული მიდგომის ცალკეული ელემენტების კონსოლიდაციის შესაძლებლობას წარმოადგენს, პრევენციის, გასამართლებისა და დაცვის ქრილში. უფრო მეტიც, რეპატრიანტებთან დაკავშირებული სანდო და ლეგიტიმური პრაქტიკა მოიცავს ტერორისტების მიმდინარე ამოცანების - დეზორიენტაციის, მიზნობრივი რეაგირებისა და ლეგიტიმურობის მოპოვების, ასევე, უფრო ფართომასშტაბიანი რადიკალიზაციის მამოძრავებელი განმზიდეველი და მიმზიდეველი ფაქტორებისთვის ხელის შეშლის დამატებით შესაძლებლობას. წინამდებარე თავი აღწერს თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც სამშობლოში დაბრუნებულ უცხოელ ტერორისტ მებრძოლებსა და მათ ოჯახებს მიემართება.

სამართლებრივი, პოლიტიკასთან და რესურსების მართვასთან დაკავშირებული გამოწვევები

რეპატრიანტი უცხოელი მებრძოლები ჰომოგენურ ჯგუფს არ წარმოადგენს: ევროპულ საზოგადოებებში დაბრუნებული უცხოელი ტერორისტი მებრძოლები სხვადასხვა გამოწვევას ქმნიან პოლიტიკის დამგვემავებისა და სამთავრობო ინსტიტუტებისთვის. ზოგადად, არსებობს ოთხი ტიპის რეპატრიანტი, მაგრამ არის მეხუთეც, რომელიც შეიძლება ჩართული იყოს პოლიტიკური რეაგირების გაუმჯობესებაში და შეზღუდული რესურსების მართვაში.

პირველ რიგში, არსებობს დიდი რისკი, რომ კონკრეტული და ჯერ ისევ ტერორისტული იდეოლოგიით შთაგონებული რეპატრიანტი უცხოელი ტერორისტი მებრძოლი ეცდება ტერორისტული თავდასხმის განხორციელებას სახლში დაბრუნების შემდგომ. ინდივიდების მეორე ჯგუფი შეიძლება უფრო აღქმული იყოს დაეშის რეკრუტირების ძალისხმევის მსხვერპლად. რეპატრიანტების მესამე წყება მსხვერპლებსა და (პოტენციურ) ტერორისტებს შორის მერყეობს. მეოთხე ჯგუფი მოიცავს მათ, ვინც ძალადობის გამოყენებას აღარ აღიქვამს, როგორც გამართლებულს ან აუცილებელს ილუზიების მსხვერვისა ან ფიზიკურ-ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგად, რომელიც დაეშის დაქვემდებარებაში ცხოვრებამ ან ბრძოლამ მოუტანა<sup>199</sup>. ბავშვები და ახალგაზრდები შეიძლება დაემატონ ამ სიას: მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მეორე და მესამე კატეგორიაში ხვდება სხვადასხვა სოციალური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური მიზეზით, მნიშვნელოვანია, რომ საზღვარგარეთ ნაცხოვრები ან საზღვარგარეთ დაბადებული ბავშვები მოიაზრებოდნენ ცალკე ჯგუფად, რაც ბავშვების დემოკრატიულ საზოგადოებაში რესოციალიზაცია-რეინტეგრაციისათვის სპეციალიზებული ღონისძიებების გამოყენების საშუალებას იძლევა.

ინდივიდები, რომლებიც კვლავ საზოგადოების ნაწილად გრძნობენ თავს, უფრო ნაკლები ალბათობით დაუბრუნდებიან ტერორისტულ თუ ძალადობრივ-ექსტრემისტ ჯგუფებს. ამის მისაღწევად, რესოციალიზაციის ნებისმიერი პროცესი უნდა მოერგოს ინდივიდის მდგომარეობას. რეპატრიანტის რესოციალიზაციის პროცესის

199 Bart Schuurman and Liesbeth van der Heid, 'Foreign fighter returnees & the reintegration challenge', Radicalisation Awareness Network, RAN Issue Paper, November 2016, p. 3, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/networks/radicalisation\\_awareness\\_network/ran-papers/docs/issue\\_paper\\_foreign\\_fighter\\_returnees\\_reintegration\\_challenge\\_112016\\_en.pdf](https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-we-do/networks/radicalisation_awareness_network/ran-papers/docs/issue_paper_foreign_fighter_returnees_reintegration_challenge_112016_en.pdf)

ხელშეწყობისას აუცილებელია მათი დაბრუნების მიზეზების, პირადი სოციალური გარემოს, მენტალური მდგომარეობისა და სხვა იდეოლოგიური მრწამსის გათვალისწინება<sup>200</sup>. ქვემოთ მოცემული ნაწილები განიხილავს ამ პროცესს პოლიტიკის, სამართლებრივი და რესურსებთან დაკავშირებული გამოწვევების კონტექსტში.

## პოლიტიკის გამოწვევები

პოლიტიკა ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ ყველა ტიპის რეპატრიანტს მოიცავდეს. (ყოფილი) ტერორისტების ან ექსტრემისტების რეინტეგრაცია შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობას, რამაც უნდა შეამციროს რეპატრიანტების ტერორისტულ საქმიანობაში დაბრუნების ალბათობა<sup>201</sup>. ეს პროცესი მოიცავს სხვადასხვა ელემენტს. აუცილებელია მაღალი რისკის ქვეშ მყოფი უცხოელი ტერორისტი მებრძოლების დერადიკალიზაცია და ჩამოშორება, რაც უზრუნველყოფს ამ ხალხის რეაბილიტაციას და მათ მიერ ძალადობაზე უარის თქმას. იმავდროულად, ეს პროცესები ისე უნდა წარიმართოს, რომ არ მოხდეს თავდაპირველი რადიკალიზაციის განმაპირობებელი უკმაყოფილების განცდის ხელახლა აღძვრა<sup>202</sup>.

უფრო ფართო ჩრდილში, ყველა რეპატრიანტის რესოციალიზაცია პოლიტიკის ფუნდამენტური გამოწვევაა. ეს შეიძლება მოიცავდეს ქალებსა და კაცებს, რომლებსაც არ გაასამართლებენ ან ჯერ არ აქვთ ნასამართლეობის ისტორია; რომლებიც გაასამართლეს, მაგრამ უდანაშაულოდ ცნეს; და მათაც, ვინც უკვე მოიხადა სასჯელი და გაათავისუფლეს პრობაციის გარეშე. რესოციალიზაციის პროცესი უნდა ერგებოდეს ინდივიდის მდგომარეობას: მათი დაბრუნების მიზეზების, მათი პირადი სოციალური გარემოს, მათი მენტალური მდგომარეობისა და იდეოლოგიური მრწამსის ანალიზს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს<sup>203</sup>. რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესის ფარგლებში უმნიშვნელოვანესია სტაბილიზაციის პერიოდი, რაც რეპატრიანტებს წინა პროცესების დადებითი შედეგების კონსოლიდაციის საშუალებას აძლევს<sup>204</sup>.

რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია მოიცავს გასამართლებისა და პატიმრობის ფაზებს ტერორისტულ საქმიანობაში დამნაშავედ ცნობილი პირებისთვის. თუმცა, გასამართლება და დაპატიმრება არ ფარავს რეპატრიანტის ყველა ტიპს. შესაბამისად, არსებობს სხვადასხვა არაპატიმრობითი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიება, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას სასამართლომდელი [დაკავების] ან პატიმრობის ღონისძიებების შემავსებლად<sup>205</sup>. ზოგიერთი სახელმწიფო არასათანადოდ აფასებს უცხოელ ტერორისტ მებრძოლებზე ფოკუსირებული პროგრამების პარალელურად უფრო ფართომასშტაბიანი არასაპატიმრო პოლიტიკური მექანიზმების არსებობის საჭიროებას, თუმცა კი ამ ვარიანტის სარგებლიანობას ხაზს უსვამს ორი ფაქტორი: რისკის შერბილება და ექსტრემიზმისადმი უფრო ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური მიდგომის სრულყოფა (შეესება). კანადის „ძალადობის გამომწვევი რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია“ ხაზს უსვამს, რომ ზემოხსენებული ვარიანტი სრულყოფს:

„უსაფრთხოებისა და პოლიციის უწყებების [მუშაობას] სისხლის სამართლის პროცესის მონიტორინგს, გამოძიებასა და სათანადო სამხილების უზრუნველყოფას. [გავლენისგან] გამოთავისუფლების პროგრამები, როგორებიცაა ძალადობრივ-ექსტრემისტული ჯგუფების დატოვებისა და ინდივიდის ხელშეწყობის ინიციატივები, ამ ინდივიდების მიერ შექმნილი პოტენციური საფრთხის შერბილების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს<sup>206</sup>.

200 Radicalisation Awareness Network, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', RAN Manual, July 2017, p. 53, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://ec.europa.eu/home-affairs/sites/default/files/ran\\_br\\_a4\\_m10\\_en.pdf](https://ec.europa.eu/home-affairs/sites/default/files/ran_br_a4_m10_en.pdf)

201 Schuurman and van der Heid, 'Foreign Fighter returnees & the reintegration challenge', p. 3.

202 OSCE ODIHR, Guidelines for Addressing the Threats and Challenges of "Foreign Terrorist Fighters" within a Human Rights Framework, 2018, pp. 60-62, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/odihr/393503>

203 Radicalisation Awareness Network, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', p. 53.

204 Radicalisation Awareness Network, 'Rehabilitation Manual – Rehabilitation of radicalised and terrorist offenders for first-line practitioners', RAN Rehabilitation Manual, p. 5.

205 იხილეთ, მაგალითად, OSCE, Non-custodial Rehabilitation and Reintegration in Preventing and Countering Violent Extremism and Radicalization That Lead to Terrorism: A Guidebook for Policymakers and Practitioners in South-Eastern Europe, 28<sup>th</sup> January 2020, pp. 15-19, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://polis.osce.org/noncustodial-rehabilitation-and-reintegration-preventing-and-countering-violent-extremism-and>

206 Public Safety Canada, National Strategy on Countering Radicalization to Violence, 2018, pp. 16–17, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.publicsafety.gc.ca/cnt/rsrscs/pblctns/ntnl-strtg-cntrng-rdclztn-vlnc/index-en.aspx>

ეს პროცესები მოიცავს მრავალ ინსტიტუტს. მომდევნო ნაწილებში განხილულია პოლიტიკის განხორციელებისადმი ერთიანი სამთავრობო და მრავალმხრივი (მრავალი დაინტერესებული მხარის მომცველი) მიდგომის დანერგვის მეთოდები.

## სამართლებრივი გამოწვევები

პრინციპში, იმ რეპატრიანტების გასამართლება, რომელთა მოქმედებებმაც ტერორისტული საქმიანობის მხარდაჭერის ზღვარი გადაკვეთა, საკმაოდ სწორხაზოვანია. მთავარი გამოწვევა, როგორც მეორე და მესამე თავებში იყო განხილული, ტერორიზმთან დაკავშირებული კრიმინალური აქტივობის შესახებ სამხილების შეგროვებაა, იქნება ეს ზოგადი მხარდაჭერა, ლოგისტიკური მხარდაჭერა თუ ჩადენილი ძალადობის აქტები.

პირველ რიგში, სახლში დაბრუნებისთანავე, აუცილებელია რეპატრიანტების გამოკვლევა იმ კონკრეტული კრიმინალური ქმედებების აღმოსაჩენად, რომლებიც მოიაზრება ტერორისტულ საქმიანობად, მკვლელობის, ადამიანისა თუ ტრანსპორტის გატაცების, ინფრასტრუქტურაზე თავდასხმისა თუ ნებისმიერი ასეთი ქმედების ჩადენის მუქარის ჩათვლით<sup>207</sup>. მეორე, ასევე, აუცილებელია რეპატრიანტების შემომტევა განზრახ ჩადენილი სხვა ტერორისტული საქმიანობების თვალსაზრისითაც, რომლებიც მოიცავს შემდეგს:

- „უცხოელი ტერორისტი მებრძოლების“ გამგზავრება-დაბრუნება;
- ტერორისტული დაფინანსებისა და ტრეფიკინგის სხვადასხვა ტიპი;
- ტერორისტული ჯგუფებისთვის შუამავლობის საშუალებით რესურსების უზრუნველყოფა;
- ინტერნეტში ტერორისტული შინაარსის განთავსება;
- ტერორისტული დანაშაულის ხელშეწყობა;
- ტერორისტული მიზნებისთვის წვრთნების / ტრენინგის უზრუნველყოფა;
- ტერორისტული მიზნებისთვის [კადრის] რეკრუტირება<sup>208</sup>.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, განზრახ ჩადენილი ქმედებები საკმაოდ დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა (თავად მგზავრობის ჩათვლით), რაც ნიშნავს, რომ, მაგალითად, გატაცების (ძალით წაყვანის) ან იძულების სამხილის არარსებობის შემთხვევაში, ბევრი ქალ რეპატრიანტს ასამართლებენ ტერორიზმის მხარდაჭერის ბრალდებით.

თუმცა, არსებობს სხვა გასათვალისწინებელი სამართლებრივი გამოწვევებიც. მეორე და მესამე თავებში აღწერილი იყო ადამიანის პოზიტიური უფლებების დაცვის სხვადასხვა მექანიზმი, რომელთა გამოყენებაც კონტრტერორიზმის კონტექსტშია შესაძლებელი. ამასთან, კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც უცხოელ ტერორისტ მებრძოლებთან დაკავშირებული საქმიანობა სისხლის სამართლის დანაშაულად მოიაზრება, ამ კანონმდებლობის ინტერპრეტაცია და პრაქტიკაში განხორციელება უნდა იყოს ცხადად განმარტებული და შეესაბამებოდეს საერთაშორისო ნორმებს<sup>209</sup>. კრიმინალური პასუხისმგებლობა, ასევე, უნდა იყოს ინდივიდუალური და არა - კოლექტიური<sup>210</sup>, ხოლო კრიმინალური სამართლის აღსრულება არ უნდა იყოს შერჩევითი ან არაპროპორციული<sup>211</sup>. იმ შემთხვევებში, როცა ვერ საბუთდება რეპატრიანტის მიერ გასამართლებისთვის საჭირო ზღვრის გადაკვეთა, აუცილებელია თავშეკავება (შეზღუდვის შემოღება) „ადმინისტრაციული ზომების“ გატარებისას<sup>212</sup>. უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საქმეებში ამ ღონისძიებებიდან ყველაზე ხშირია მოგზაურობის აკრძალვა და პასპორტების ჩამორთმევა. სახელმწიფო უნდა ერიდოს ამ ღონისძიებების შერჩევით და არაპროპორციულ გამოყენებას, რათა თავიდან აირიდოს დამატებითი უკმაყოფილების გამოწვევა<sup>213</sup>.

არასრულწლოვანი (ბავშვი) რეპატრიანტები სპეციფიკურ და ხშირად საკმაოდ სერიოზულ სამართლებრივ გამოწვევას წარმოადგენენ. ამ გამოწვევაზე სახელმწიფოს სამართლებრივმა რეაგირებამ შეიძლება

207 EU Council Framework Decision of 13 June 2002 on combating terrorism, (2002/475/JHA), OJ L 164, 22/06/2002, Art. 1(1), ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32002F0475>

208 Directive (EU) 2017/541 of the European Parliament and of the Council of 15<sup>th</sup> March 2017 on combating terrorism and replacing Council Framework Decision 2002/475/JHA and amending Council Decision 2005/671/JHA, Articles 8-19, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://data.europa.eu/eli/dir/2017/541/oj> and <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32017L0541>

209 OSCE ODIHR, Guidelines for Addressing the Threats and Challenges of "Foreign Terrorist Fighters", pp. 35-36.

210 OSCE ODIHR, Guidelines for Addressing the Threats and Challenges of "Foreign Terrorist Fighters", p. 36.

211 OSCE ODIHR, Guidelines for Addressing the Threats and Challenges of "Foreign Terrorist Fighters", p. 39.

212 OSCE ODIHR, Guidelines for Addressing the Threats and Challenges of "Foreign Terrorist Fighters", pp. 46-52.

213 OSCE ODIHR, Guidelines for Addressing the Threats and Challenges of "Foreign Terrorist Fighters", p. 51.



იმოქმედოს ბავშვის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე<sup>214</sup>. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტრტერორიზმის ოფისის კონტრტერორიზმის ცენტრმა გამოაქვეყნა ამომწურავი სამართლებრივი სახელმძღვანელო ინსტრუქციები, რომლებიც ბავშვებისა და ახალგაზრდების (ბავშვად ითვლება 18 წელს ქვემოთ მყოფი პირი და ისინიც, ვინც ჯერ არ იყო 18 წლის კონფლიქტის ზონაში წასვლისას) უფლებებს ადამიანის უფლებების კონტექსტში განიხილავს<sup>215</sup>. ეს ამომწურავი და ყოვლისშემძველი სახელმძღვანელო ინსტრუქციები ასახულია ევროპულ სივრცეში ევროკავშირისა<sup>216</sup> და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ<sup>217</sup>.

მარტივად რომ ვთქვათ, ბავშვის საუკეთესო ინტერესები ყოველთვის პრიორიტეტია<sup>218</sup> ბავშვი რეპატრიანტების სამართლებრივი სტატუსის განხილვისას. ყველა ბავშვს აქვს უფლება, იყოს დისკრიმინაციისგან თავისუფალი. რეპატრიანტების კონტექსტში არ შეიძლება დისკრიმინაცია ეყრდნობოდეს მშობლების სტატუსს, რამდენადაც არადისკრიმინაციის პრინციპი ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვები „მათი მშობლების, იურიდიული მეურვეებისა თუ ოჯახის წევრების სტატუსის, საქმიანობის, შეხედულებების თუ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების“ საფუძველზე დისკრიმინაციისა და სასჯელისგან<sup>219</sup>. მეორე, არ შეიძლება იმ ბავშვების წინააღმდეგ დისკრიმინაცია, რომლებიც თვითონვე ტერორისტული ჯგუფები მანიპულირებდნენ. ბავშვებს აქვთ იმ მომსახურებებზე თანაბარი წვდომის უფლება, რომელიც მათ რეინტეგრაციაში ეხმარება. თავის მხრივ, რეინტეგრაციის ღონისძიებებში დაუშვებელია სტიგმატიზაცია და ნეგატიური გამორჩევა ტერორისტული ჯგუფების მიერ რეკრუტირებულ თუ ექსპლუატირებულ და დანარჩენ ბავშვებს შორის. კონფლიქტში ჩართული ყველა ბავშვი მოწყვლადია და, პირველ რიგში, უნდა განიხილებოდეს, როგორც ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტის მსხვერპლი და [კონფლიქტს] გადარჩენილი პირი<sup>220</sup>.

ევროპულ კონტექსტში მნიშვნელოვანია რამდენიმე სამართლებრივი საკითხი, როდესაც ბავშვი ბრუნდება ტერორისტული კონფლიქტის ზონაში (დამოუკიდებლად ან მშობლებთან ერთად) ცხოვრების შემდგომ. ევროკავშირში სამართლებრივი ნორმების სხვადასხვაობის გათვალისწინებით, ევროკავშირის სახელმძღვანელო ინსტრუქციები ასახავს საერთაშორისო დონეზე შემუშავებულ ნორმებს და იმასაც, თუ რას მოიხრებს თავად ევროკავშირი საუკეთესო პრაქტიკად. ეს სახელმძღვანელო ინსტრუქცია აღწერს იმ ტიპურ პოლიტიკურ და სამართლებრივ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოები ამჟამად დგანან არასრულწლოვან (ბავშვები) რეპატრიანტებთან დაკავშირებით.

- ბავშვის ეროვნება: ეროვნება და მოქალაქეობა დამოკიდებულია სამართლებრივ გადანყვეტილებებზე ევროკავშირის თითოეულ ქვეყანაში. ყველაზე ხშირად სირთულეები წარმოიშობება, როდესაც ბავშვი იბადება კონფლიქტის ზონაში და ბავშვსა და მის მშობლებს შორის ბიოლოგიური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობს. თუმცა, ბავშვის რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მისი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, ხოლო შესაბამისი სამხილის მოპოვება შესაძლებელია დნმ-ტესტირების საშუალებით<sup>221</sup>.
- ბავშვის მეურვეობა: სამართლებრივი განჩინებები სხვაობს ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით, თუმცა თუ მშობლები ისევ ერთად არიან ან ერთ-ერთი მშობელი ითვლება ბავშვზე ზრუნვის უნარის მქონედ, ისინი მიიღებენ (საზიარო) მეურვეობას. როდესაც მშობელი / მშობლები ბავშვზე ზრუნვის უნარის არმქონე(ებ)ად მიიჩნევა / მიიჩნევიან, სხვა ნათესავს შეიძლება უნდოდეს მეურვეობა. თუ საკითხი ვერ გადაწყდება, ბავშვზე მეურვეობა დაეკისრება მეთვალყურეს, ხოლო ბავშვი ინსტიტუციური მზრუნველობის ქვეშ გადადის. ბავშვები, როგორც წესი, დედებთან რჩებიან, რამდენადაც ქალი რეპატრიანტების გასამართლება ნაკლებად ხშირია<sup>222</sup>.
- ბავშვის გასამართლება: ტერორისტულ ჯგუფებში ბავშვის საბრძოლო ფუნქცია (მაგ., თვითმკვლელი ამფეთქებლები, ჯარისკაცები ან დამსჯელები) დოკუმენტირებულია, შესაბამისად, მომრავლდა

214 RAN Manual, p. 73.  
215 UNOCT UNCCT, Children affected by foreign-fighter phenomenon: Ensuring a child rights-based approach, UNOCT UNCCT Handbook, October 2019, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://www.un.org/counterterrorism/sites/www.un.org.counterterrorism/files/0918\\_ffh\\_handbook\\_web\\_reduced.pdf](https://www.un.org/counterterrorism/sites/www.un.org.counterterrorism/files/0918_ffh_handbook_web_reduced.pdf)  
216 RAN, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', RAN Manual, pp. 73-75.  
217 OSCE ODIHR, Guidelines for Addressing the Threats and Challenges of "Foreign Terrorist Fighters", pp. 68-70.  
218 UNOCT, Children affected by foreign-fighter phenomenon: Ensuring a child rights-based approach, pp. 29-32.  
219 UNOCT, Children affected by foreign-fighter phenomenon: Ensuring a child rights-based approach, p. 28.  
220 UNOCT, Children affected by foreign-fighter phenomenon: Ensuring a child rights-based approach, p. 28.  
221 RAN, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', RAN Manual, p. 73.  
222 RAN, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', RAN Manual, p. 73.

კითხვები იმის შესახებ, არიან თუ არა ეს ბავშვები სამართლებრივად პასუხისმგებელი საკუთარ მოქმედებებზე. გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და სამართლის კვლევის ინსტიტუტის (UNICRI) 2016 წლის ანგარიშის თანახმად („ბავშვებისა და კონტრტერორიზმის შესახებ“), ამჟამად არსებული სამართლებრივი ჩარჩო შეიარაღებული ან ტერორისტული ჯგუფების მიერ რეკრუტირებული ბავშვების შესახებ ეწინააღმდეგება 18 წელზე უმცროსი ასაკის ბავშვის გასამართლებას და, სანაცვლოდ, ყურადღებას ამახვილებს მათ რეინტეგრაცია-რეაბილიტაციაზე<sup>223</sup>.

- ბავშვის უფლებები და ბავშვის დაცვა: გამომდინარე იქიდან, რომ ევროკავშირის ყველა სახელმწიფომ მოაწერა ხელი ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციას (UNCRC), მათი მოქმედება უნდა ეყრდნობოდეს კონვენციის საფუძველში მდებარე ამოსავალ პრინციპს - ყველა სახელმწიფომ იმოქმედოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. კონვენცია მოითხოვს ბავშვის მეურვეობასა და მფარველობასთან დაკავშირებულ კანონებთან შესაბამისობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებების (მაგ., სიცოცხლის, საკუთარი სახელისა და იდენტობის, მშობლების მიერ ოჯახისა თუ კულტურული გარემოს ფარგლებში აღზრდის, ორივე მშობელთან ურთიერთობის (მათი დამორების შემთხვევაშიც) დაცულობა. ასევე, ბავშვზე ზრუნვასა თუ მეურვეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო გარჩევაში არსებობს ბავშვის დამოუკიდებელი იურიდიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ვალდებულება ასეთ საქმეებში ბავშვის შეხედულების მოსმენა-გათვალისწინების მიზნით<sup>224</sup>.

ამ საუკეთესო სამართლებრივი პრაქტიკის ერთგულება გულისხმობს დამატებით რესურსებთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფოსთვის პოლიტიკის შემუშავება-გახორციელების თვალსაზრისით, თუმცა ზღუდავს, ერთი მხრივ, უკმაყოფილების მასშტაბს რეპატრიანტებს შორის, მეორე მხრივ კი - რეგიონულ თუ საერთაშორისო უზენაეს სასამართლოებში სახელმწიფოს სამართლებრივ საფრთხეებს.

#### რესურსებთან დაკავშირებული გამოწვევები

უცხოელი ტერორისტი მებრძოლების დაბრუნებასთან გამკლავებისთვის საჭირო ბევრი ადამიანური თუ ფინანსური რესურსი უკვე გათვალისწინებულია სამართალდამცავი სამსახურების, პენიტენციური სისტემის, სოციალური სამსახურების, განათლების სექტორისა და მათში დასაქმებული პერსონალისთვის გამოყოფილ ბიუჯეტებში. ამის მიუხედავად, რეპატრიანტების რეინტეგრაციის ეფექტური გეგმისა და პროგრამის შემუშავებისთვის შეიძლება განისაზღვროს დამატებითი ხარჯები, ადამიანური რესურსი და ტრენინგის საჭიროება როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

კონფლიქტის ზონებიდან მოქალაქეების გამოყვანის სანყისი ხარჯების გარდა, აუცილებელია რეპატრიანტების დაბინავება უსაფრთხოების ყველა პირობის დაცვით, სანამ მოწმდება თითოეული მათგანის ტერორისტული საქმიანობის ისტორია. ასევე, გასათვალისწინებელია ექსპერტიზის ხარჯებიც (ელექტრონული მონაცემებიდან სამხილის მოპოვების მიზნით ჩატარებული ციფრული ექსპერტიზის ჩათვლით). ამას გარდა, ხარჯს მოითხოვს პიროვნების იდენტიფიცირებისთვის წარმოებული შემომწმებაც. საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის წინასწარი სამუშაოები, როგორც წესი, მოიცავს მონიტორინგის დამატებით ვალდებულებას იმ ტერიტორიაზე, სადაც რეპატრიანტებს მასპინძლობენ. დასაწყისში ეს დამატებითი ხარჯი აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს, რამდენადაც აუცილებელია [ამ პროცესების] ეფექტური განხორციელება, რაც მოითხოვს სპეციალურად გამოყოფილ ინფრასტრუქტურასა და დამატებით პერსონალს.

ბევრი სხვა ხარჯი ბალანსდება სტანდარტული მომსახურების უზრუნველყოფის, ასევე, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული პროგრამის სტრუქტურის საშუალებით. საზოგადოებაში მონიტორინგის, დერადიკალიზაციისა და ჩამოშორების ზოგიერთმა წინასწარ ბიუჯეტირებულმა ღონისძიებამ შეიძლება შეითავსოს რეპატრიანტებთან დაკავშირებული მსგავსი ხარჯები. მაგალითად, შვეიცარიის „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ ითვალისწინებს რეპატრიანტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხარჯს, რომლებსაც შეითავსებს არსებული ბიუჯეტები და ინსტიტუტები. ღონისძიება 19-ის („მიზნობრივი ინტერვენცია იმ ბავშვებისა და მოზარდების საქმეებში, რომელთა უსაფრთხოება თუ განვითარება არის ან შეიძლება იყოს საფრთხის ქვეშ“) და ღონისძიება 23-ის (სპეციალისტების მხარდაჭერა რადიკალიზებული პირების ოჯახებისა და მათი ახლობელი ადამიანებისთვის“) შემთხვევაში, მომსახურების უზრუნველყოფა ხდება კანტონების დონეზე, კანტონებში სოციალური

223 RAN, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', RAN Manual, p. 73.

224 RAN, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', RAN Manual, p. 73.

მომსახურების დირექტორატებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის საშუალებით<sup>225</sup>.

მსგავსადვე, ჩამოშორებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობი ღონისძიებების“ (ღონისძიება 21) დაფინანსება, რომელიც მოიცავს „ჩამოშორებისა და რეინტეგრაციის ინტერდისციპლინარულ ღონისძიებებს“ და „ჩამოშორების ღონისძიებებს ბავშვებისა და მოზარდებისთვის“<sup>226</sup> შეყვანილია კანტონების უკვე არსებულ ბიუჯეტებში, ისევე, როგორც ღონისძიება 22-ის, რომელშიც დეტალურადაა განერილი „სისხლის სამართლის საქმისწარმოებისა და განაჩენის აღსრულების მიღმა რადიკალიზებულ პირებთან ურთიერთობის კომპეტენტური ორგანოს“ სტრუქტურა<sup>227</sup>.

თუმცა, „სამოქმედო გეგმა“, ასევე, ითვალისწინებს დამატებითი ხარჯის საჭიროებას ჩამოშორების რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ეფექტური პროცესების გრძელვადიანი განხორციელების მხარდაჭერის მიზნით. ღონისძიება 24 „ჩამოშორებისა და რეინტეგრაციის ექსპერტების ეროვნული ბაზის შექმნის“<sup>228</sup> შესახებ ითვალისწინებს, რომ:

„...ჩამოშორებისა და რეინტეგრაციის სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება ადგილობრივ დონეზე უნდა ეყრდნობოდეს ეროვნულ და ინტერპერსონალურ ცოდნა-გამოცდილებას. ღონისძიებები, ასევე, უნდა ეფუძნებოდეს სამეცნიერო კვლევებს... ამ მიზნით, უნდა შეიქმნას ექსპერტების ეროვნული ბაზა, რომელიც აღმასრულებელ ორგანოებსა და უწყებებს შესთავაზებს სარეკომენდაციო ჩარჩოს, გაუზიარებს სპეციალიზებულ ცოდნას და გაითვალისწინებს გენდერულად სპეციფიკურ სხვაობებს.“

ამ ოპერატიული მოთხოვნის ფართო მასშტაბზე მეტყველებს ფსიქიატრიის, ფსიქოსოციოლოგიისა და განათლების, ასევე, ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმის, რელიგიის, ინტეგრაციისა და სასჯელაღსრულებითი სისტემის ექსპერტების, ასევე, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული საკოორდინაციო ოფისის საჭიროება. მოთხოვნის შესრულებისა და კომპეტენციების შენარჩუნების მიზნით, ღონისძიება პოლიტიკურ და ფინანსურ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს ფედერალურ დონეზე<sup>229</sup> (ხუთწლიანი ეროვნული წამახალისებელი სქემის გავლით), კანტონების, თემების, ქალაქებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ინიცირებული ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ახალი პროექტებისთვის ფინანსების გამოსაყოფად. ეს წამახალისებელი სქემა განერილია შესაბამის ღონისძიებაში (ღონისძიება 17: „ეროვნული წამახალისებელი პროგრამა“<sup>230</sup>).

წამახალისებელი სქემის საშუალებით დაბრუნებულ უცხოელ ტერორისტ მებრძოლებთან დაკავშირებული ახალი გამოწვევების მოსაგვარებლად დროში შეზღუდული ფინანსური ბაზის შექმნა გულისხმობს არსებული ინსტიტუციური კომპეტენციის სრულყოფის (თუმცა, საჭიროა დუბლიკაციის არიდება) საშუალებას. ეს სქემა, ასევე, მოიცავს რეპატიანტების დაბრუნებით გამოწვეული ოპერატიული საჭიროებების ზრდის მართვის და, იმავდროულად, გამჭვირვალე ფორმატში რესურსებთან დაკავშირებული გამოწვევების მოგვარების საშუალებებს.

### მებრძოლების რეინტეგრაცია

სამშობლოში დაბრუნებული უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საზოგადოებაში ეფექტური რეინტეგრაციისთვის საჭიროა მოკლე და გრძელვადიანი ღონისძიებების ერთობლიობა. ამ პროცესზე პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება გააზრებული იყოს, როგორც ტერორისტი დამნაშავეებისა და რადიკალიზებული ინდივიდების რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესები, ეკისრება მთავრობასა და მის უწყებებს. მაშინ, როცა ტერორისტული დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს, როგორც წესი, უწევთ ციხეში სასჯელის მოხდა, რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის პროცესი იწყება მათი სამშობლოში დაბრუნებისთანავე.

225 Swiss Security Network (Sicherheitsverbund Schweiz), Swiss National Action Plan to Prevent and Counter Radicalisation and Violent Extremism, 4<sup>th</sup> December 2017, p. 19, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.news.admin.ch/news/message/attachments/50703.pdf>

226 Swiss National Action Plan, p. 21.

227 Swiss National Action Plan, p. 21.

228 Swiss National Action Plan, p. 21.

229 Swiss National Action Plan, p. 21.

230 Swiss National Action Plan, p. 18.

რეაბილიტაცია ყოველმომცველი პროცესია, რომელიც, იდეალურ შემთხვევაში, ადამიანის სრული რეაბილიტაციით სრულდება, რომელიც ახერხებს დემოკრატიულ საზოგადოებაში გავლენებისგან თავისუფლად ცხოვრებას და დამოუკიდებლად თავის რჩენას, ექსტრემისტული შეხედულებების ერთგულების ან ექსტრემისტულ აქტივობებში მონაწილეობის გარეშე (ძალადობის ჩათვლით)<sup>231</sup>. ამ მიზნით, პატიმრობამისჯილი უცხოელი ტერორისტი მეზობლებისთვის განკუთვნილი რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობს როგორც ციხის შიგნით, ასევე, მის გარეთაც<sup>232</sup>. ამ სამიზნე ჯგუფისთვის, რეაბილიტაციის პროცესი მოიცავს სამ ელემენტს:

- დერადიკალიზაცია (ექსტრემისტული მოქმედებებისა და ძალადობის შეწყვეტა (ექსტრემიზმის გავლენისგან ქცევითი გათავისუფლება), რასაც ერთვის ექსტრემისტული შეხედულებებისგან კოგნიტური გამიჯვნა და, საბოლოო ჯამში, მათი სრულად უარყოფა);
- ინტეგრაცია (თემებში სოციალური ინტეგრაციისა და ისეთ კონტექსტებში ინტეგრაციის ერთობლიობა, როგორებიცაა დასაქმება, დაბინავება და ჯანდაცვა);
- სტაბილიზაციის გრძელვადიანი პერიოდი, რომლის დროსაც ხდება წინა პროცესების დადებითი შედეგების შეთვისება, გამყარება და კონსოლიდაცია<sup>233</sup>.

რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ქსელი განსაზღვრავს რეაბილიტაციის შვიდ ფაზას, რომლებიც წარმართავს რეპატრიანტების რეინტეგრაციის პროცესს დადებითი შედეგისკენ<sup>234</sup>. ყოველი ფაზა პასუხისმგებლობებს აკისრებს სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუტსა და პერსონალს.

- ფაზა 1: სასამართლომდელი და საგამოძიებო დაკავება  
ამ ფაზის ამოცანაა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა დამატებითი უკმაყოფილების მინიმუმამდე შესამცირებლად და, ზოგიერთ შემთხვევაში, რადიკალიზაციის მიმდინარე პროცესის შეწყვეტის მიზნით განაჩენის გამოტანის შემდგომ სპეციალიზებული რეაბილიტაციის სამუშაოს დაწყებამდე.
- ფაზა 2: საპატიმრო მიღება  
ამ ფაზის ამოცანებია ციხის ცხოვრების სტილზე გადასვლის გაადვილება, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა და უკმაყოფილების მინიმუმამდე შემცირება, ასევე, ღიაობის წახალისება რეაბილიტაციის პროცესში პირის ჩასართავად.
- ფაზა 3. საპატიმროში გატარებული დროის კონსტრუქციული გამოყენება  
ამ ხანგრძლივი ფაზის განმავლობაში, ყველა შესაბამისმა აქტორმა უნდა გადადგას ის ნაბიჯები, რომლებიც ერთობლივად უყრის საფუძველს რეაბილიტაციას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პატიმარი სასჯელს იხდის. ამ ფაზის ამოცანაა დამნაშავეს მოტივირება მიიღოს მონაწილეობა რეაბილიტაციის პროცესის ყველა ფაზაში, რომელიც მხარდაჭერილია ყველა შესაბამისი აქტორის ერთობლივი ძალისხმევით.

231 RAN, 'Rehabilitation Manual – Rehabilitation of radicalised and terrorist offenders', p. 5.  
232 Dennis Walkenhorst, Till Baaken, Maximilian Ruf, Michèle Leaman, Julia Handle and Judy Korn, 'Rehabilitation Manual – Rehabilitation of radicalised and terrorist offenders for first-line practitioners', RAN Manual, June 2020, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/networks/radicalisation\\_awareness\\_network/ran-papers/rehabilitation-manual\\_en](https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/networks/radicalisation_awareness_network/ran-papers/rehabilitation-manual_en)  
233 RAN, 'Rehabilitation Manual – Rehabilitation of radicalised and terrorist offenders', p. 5.  
234 RAN, 'Rehabilitation Manual – Rehabilitation of radicalised and terrorist offenders', pp. 6-7.

- ფაზა 4. საპატიმროდან გამოსვლისთვის მომზადება

ეს უმნიშვნელოვანესი გარდამავალი ფაზა მოიცავს შესაბამისი აქტორების აქტიურ მონაწილეობას / თანხლებას და მისი ამოცანაა გათავისუფლების შემდგომი გეგმის შედგენა, რომელიც დეტალურად ასახავს ციხიდან გათავისუფლებისთანავე დამნაშავეების მიერ გასავლელ ყველა ეტაპს. ეს გეგმა გათავისუფლების შემდგომ მათი პიროვნული უნარებისა და სოციალურ-ფუნქციური პერსპექტივების დეტალურ და რეალისტურ შეფასებას ეყრდნობა.

- ფაზა 5. ციხიდან გათავისუფლების პირველი თვეები

ამ ფაზის დროს, დიდი ალბათობით, ყოფილ პატიმრებს სხვადასხვა სახის კრიზისთან მოუწევთ გამკლავება, რაც უკავშირდება ციხის გარეთ ცხოვრებასთან ხელახლა შეგუებას. ამ ფაზის უპირველესი ამოცანაა ყოფილი პატიმრების მხარდაჭერა ამ შეგუების პროცესში, რაც მოიცავს ვარაუდების მართვასა და აქტიურ მონაწილეობას / თანხლებას ციხის შემდგომი გამოწვევების გადალახვის პროცესში.

- ფაზა 6. საზოგადოებაში რეინტეგრაცია

ამ ფაზის ამოცანაა დადებით სოციალურ კონტაქტებთან არსებული კავშირების გამოყენება ან ახალი კავშირების შექმნა; ასევე, სოციალურ-ფუნქციური მხარდაჭერის ქსელის გაფართოება და გაძლიერება მომავალში გრძელვადიანი რეაბილიტაციის ხელშესაწყობად.

- ფაზა 7. საზოგადოებაში სტაბილიზაცია

ეს ფაზა, რომელიც ფარავს ინდივიდის ციხიდან გამოშვების შემდგომ წლებს, რეაბილიტაციის ბოლო ეტაპს წარმოადგენს. მისი ამოცანაა დადებითი უნარების და ინტეგრაციის გაძლიერება და ინდივიდის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა რეაბილიტაციის მხარდამჭერი სტრუქტურებისგან.

ამ ზომების პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით, შვეიცარიის „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ გთავაზობს დეტალიზებულ სახელმძღვანელო ინსტრუქციებს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მთავრობასა და დაინტერესებულ მხარეებს რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა. სამოქმედო სფერო 4.4 - „ჩამოშორება და რეინტეგრაცია“ აღწერს „ჩამოშორებისა და რეინტეგრაციის ღონისძიებებს“ (Measure 21)<sup>235</sup>, რომლის პირველი ნაწილი აკონკრეტებს „ჩამოშორებისა და რეინტეგრაციის ინტერდისციპლინური ღონისძიებების ჩამონათვალს“ (Measure 21a), განიხილავს რა „რადიკალიზებულად კლასიფიცირებული ნებისმიერი პირის“ ინდივიდუალური საქმეების მართვის საჭიროებას, „ამ პირის სამართლებრივი სტატუსის (სისხლის სამართლის საქმეა მის წინააღმდეგ აღძრული, თუ უკვე სასჯელს იხდის) მიუხედავად“<sup>236</sup>.

ჩამოშორებისა და რეინტეგრაციისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის მნიშვნელობის კვლავ ხაზგასასმელად, „გეგმა“ განსაზღვრავს, რომ:

„ეს ღონისძიებები უნდა განხორციელდეს, როცა რადიკალიზებული პირის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, იხდის სასჯელს (პრობაციის ჩათვლით) და, ასევე, ამ სიტუაციების გარდა სხვა შემთხვევებშიც; ასევე, გასათვალისწინებელი სქესთა შორის განსხვავებებიც“<sup>237</sup>.

ეს ღონისძიებები იმართება მკაცრი უსაფრთხოების პროტოკოლით. ინსტიტუტებმა უნდა გაითვალისწინონ ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ღონისძიება რეინტეგრაციის პროგრამირებაში: „საფრთხის მართვა“ (Measure 14)<sup>238</sup>, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას სამართალდამცავ და დაზვერვის სამსახურებთან და „უნყებებს შორის პერსონალური ინფორმაციის და მონაცემების (პროფილების) გაცვლა“ (Measure 15a), რომელიც მოიცავს პოლიციის კონტრტერორისტულ კანონმდებლობაში მითითებულ პრევენციულ ღონისძიებებს, როგორებიცაა: შეზღუდვები სამოგზაურო დოკუმენტებზე (პასპორტები) და პოლიციის განყოფილებაში

235 Swiss National Action Plan, p. 20.

236 Swiss National Action Plan, p. 20.

237 Swiss National Action Plan, p. 20.

238 Swiss National Action Plan, p. 17.

ანგარიშის წარდგენის ვალდებულება<sup>239</sup>.

ლონისძიება ყურადღებას ამახვილებს [ზემოქმედებისგან] გათავისუფლებისა და რეინტეგრაციის პროცესების ერთიან სამთავრობო ხასიათზე გაფართოებადი პასუხისმგებლობებისა და თანამშრომლობის პროცედურების კონკრეტიზაციის საშუალებით, რაც მოიცავს შემდეგს: პროკურატურასა და ციხის ხელმძღვანელობას; ფსიქიატრიული ექსპერტიზის კლინიკებს; ბავშვთა და ახალგაზრდების ექსპერტიზის სამსახურებს; პროფესიონალ მზრუნველებს, სპეციალიზებულ უწყებებს, კანტონების პოლიციას და ციხის პერსონალის ტრენინგის ცენტრს<sup>240</sup>.

„სამოქმედო გეგმის“ [ზემოქმედებისგან] გათავისუფლებისა და რეინტეგრაციის მეორე ღონისძიება აღწერს საპატიმრო სისტემისა და სისხლის სამართლის პროცესებს მიღმა რეინტეგრაციის ნებაყოფლობით ბუნებას და აკონკრეტებს რეგიონული მთავრობების მიერ რადიკალიზებულ ინდივიდებზე პასუხისმგებლობის მქონე უწყების შექმნის საჭიროებას - „სისხლის სამართლის პროცესისა და სასჯელაღსრულების მიღმა რადიკალიზებულ პირებთან ურთიერთობის კომპეტენტური უწყება“ (ლონისძიება 22). გეგმა აკონკრეტებს, რომ ყოველმა რეგიონულმა კანტონმა უნდა შექმნას „შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო“ ზემოთ მოცემულ ღონისძიება 21-ში მოცემული ფუნქციების შესასრულებლად. მაშინ, როცა იმავე უწყებას აქვს პასუხისმგებლობა უცხოელი ტერორისტი მებრძოლების სისხლის სამართლის სისტემიდან ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნების პროცესის მართვაზე, ძირითადი სამიზნე ჯგუფი მოიცავს „რადიკალიზებულ პირებს, რომელთა მიმართ მოქმედების უფლება არ აქვთ სასამართლო თუ სასჯელაღსრულებელ უწყებებს“<sup>241</sup>. თითოეულ რეგიონში სპეციალიზებული პასუხისმგებლობის მქონე უწყების შექმნის გარდა, ღონისძიება პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ანიჭებს სოციალურ სამსახურებს, კეთილდღეობის ორგანიზაციებს, სამოქალაქო უსაფრთხოების დირექტორებსა და კანტონების სასამართლო და საპოლიციო უწყებების ხელმძღვანელებს<sup>242</sup>.

ამის პარალელურად, რამდენადაც რეპატრიანტები არ არსებობენ ვაკუუმში, „სამოქმედო გეგმა“ აკონკრეტებს ღონისძიებას, რომელიც საჭიროა „რადიკალიზებული პირების ოჯახებისა და მათთან დაახლოებული პირებისთვის მხარდაჭერის“ (Measure 23)<sup>243</sup> უზრუნველსაყოფად. ეს ღონისძიება ზუსტად განწერს, რომ უნდა შემუშავდეს სახელმძღვანელო ინსტრუქციები კონკრეტულ საქმეებში ექსპერტების დასახმარებლად; ასევე, უნდა დაიგეგმოს ღონისძიებები რადიკალიზებული პირების ოჯახებისა და ნათესავების მხარდაჭერა-კონსულტაციის მიზნით<sup>244</sup>.

### ქალებისა და ბავშვების რეინტეგრაცია

რეინტეგრაციის წარმმართველი რეაბილიტაციის შვიდი გამოკვეთილი ფაზა, რომლებიც წინა ნაწილში იყო აღწერილი<sup>245</sup>, თანაბრად ეხება ქალ რეპატრიანტებსაც. ამისდა მიუხედავად, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ზომების მიღება იმ ქალებისა და ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც შეიძლება უშუალოდ არ მონაწილეობდნენ ტერორისტულ აქტებში. გამოდინარე იქიდან, რომ ქალებს შეიძლება მხარი დაეჭირათ ტერორისტული საქმიანობისთვის, მათ მიმართ განხორციელებული ზომები შეიძლება განსხვავდებოდეს ბავშვებისა და არასრულწლოვანების (ახალგაზრდების) მიმართ გამოყენებული ღონისძიებებისგან. ბავშვების შემთხვევაში, როგორც აღწერილი იყო სამართლებრივი გამონკვევების ნაწილში, რეინტეგრაცია მოიცავს პოლიტიკის იმ ფაქტორებსაც, რომლებიც სცდება ზრდასრულებზე მოქმედ ნორმებს. ყოველი ფაზა დამატებით პასუხისმგებლობას აკისრებს სამთავრობო ინსტიტუტებსა და პერსონალს.

დაბრუნებისთანავე ქალები და ბავშვები საჭიროებენ საოჯახო და პრევენციულ მხარდაჭერას, რაც მოიცავს სატელეფონო ცხელ ხაზს<sup>246</sup>, მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერას, შემოწმებას<sup>247</sup> და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პრაქტიკულ ღონისძიებებს, რაც მოიცავს საიდენტიფიკაციო მონაცემთა

239 Swiss National Action Plan, p. 17.  
240 Swiss National Action Plan, p. 20.  
241 Swiss National Action Plan, p. 21.  
242 Swiss National Action Plan, p. 21.  
243 Swiss National Action Plan, p. 21.  
244 Swiss National Action Plan, p. 21.  
245 RAN, 'Rehabilitation Manual – Rehabilitation of radicalised and terrorist offenders', pp. 6-7.  
246 Radicalisation Awareness Network, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', p. 59.  
247 Radicalisation Awareness Network, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', pp.63-64.

ბაზებში რეგისტრირებას, გადაუდებელ სამედიცინო მკურნალობას, წვდომას საცხოვრებელზე, ფინანსურ და სამართლებრივ მხარდაჭერაზე, დასაქმებისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე<sup>248</sup>.

რადიკალიზაციის ნებისმიერ კონტექსტში ოჯახებთან მუშაობის 10-ეტაპიანი მიდგომის აღწერის გარდა<sup>249</sup>, რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ქსელი გასცემს რეკომენდაციას რეპატრიანტებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით სამთავრობო უწყებების მხრიდან განსახორციელებელი რეაგირების ხუთი დამატებითი ზომის შესახებ:

- რეპატრიანტსა და მის ოჯახსა და სოციალურ ქსელს (გარემოს) შორის ურთიერთობის შეფასება;
- ინფორმაციის მოგროვებისა და შესაბამის ორგანოებთან მისი გაზიარების შესახებ გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- ოჯახის ინფორმირება მათი შვილების დახმარების სამართლებრივი შედეგების შესახებ;
- რეპატრიანტებისა და მათი ოჯახების წინაშე მდგარი დამატებითი რისკების ცოდნა;
- ფართო საზოგადოებაში (თემში) ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინება<sup>250</sup>.

ამის საფუძველზე, „ქსელი“ განსაზღვრავს სპეციალიზებული ღონისძიებების წყებას, რომელიც მიემართება არასრულწლოვან (ბავშვ) რეპატრიანტებს. განსაკუთრებულად საზგასმულია „ნორმალიზაცია“, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი:

- აქცენტი ადრეულ ინტერვენციასა და ნორმალიზაციაზე: სახელმწიფომ უნდა დაიწყოს ბავშვების ყოველდღიური ცხოვრების ნორმალიზაცია და მათი სოციალიზაცია შესაფერის სოციალურ ქსელში (გარემოში) მათი დაბრუნებიდან რაც შეიძლება მალე. ბავშვებისთვის სასარგებლო იქნება სტრუქტურირებული „ნორმალური“ და უსაფრთხო გარემო, რომელიც სკოლაში თანატოლებთან ურთიერთობის საშუალებას მისცემს.
- ჰოლისტური, მრავალუნეობიანი მიდგომა: მრავალუნეობიანი მიდგომა საჭიროა ბავშვის პირადი, საოჯახო და სოციალური საჭიროებების მოსაგვარებლად, რაც მოიცავს სამართალდამცავ უწყებებს, ბავშვზე ორიენტირებულ სამსახურებს, სოციალური ზრუნვის სამსახურებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, სკოლებს, ჯანდაცვის სამსახურებს, საპატიმრო და პრობაციულ დაწესებულებებს (მაგ., როცა მშობლები იმყოფებიან პატიმრობაში), დასაქმების მომსახურებებს, სპორტულ და გასართობ ორგანიზაციებს, რელიგიურ და საქველმოქმედო ორგანიზაციებს.
- ინდივიდუალური რისკისა და საჭიროების შეფასებაზე მორგებული მიდგომა: თითოეულ შემთხვევას აქვს თავისი ფონი, დინამიკა, რისკები და რეაბილიტაციის შესაძლებლობები, რომლებიც უნდა აისახოს რისკისა და საჭიროებების შეფასებაში<sup>251</sup>.

ამ მიზნების მისაღწევად საფრანგეთმა შექმნა პროცესის ამსახველი სქემა ბავშვის სამშობლოში დაბრუნების თითოეული ეტაპის აღწერის მიზნით, რაც მოიცავს ამომწურავ სახელმძღვანელო ინსტრუქციას იმის თაობაზე, თუ რომელი ინსტიტუტია პასუხისმგებელი თითოეულ ფაზასა თუ აქტივობაზე<sup>252</sup>.

ამ ზომების პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საუკეთესო პოლიტიკური და სამართლებრივი პრაქტიკის დაცვით, შვეიცარიის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის „ეროვნული სამოქმედო გეგმა“ მოიცავს დეტალურ სახელმძღვანელო ინსტრუქციებს იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია სხვადასხვა სამთავრობო უწყებასა და დაინტერესებულ მხარეს ამ პროცესისადმი ერთიანი სამთავრობო მიდგომების ხელშეწყობა. „ბავშვებისა და მოზარდების ჩამოშორების ღონისძიებების“ (ღონისძიება 21 ბ)<sup>253</sup> სამიზნე ჯგუფია „ნებისმიერი ბავშვი ან მოზარდი, რომელიც ითვლება (კლასიფიცირდება) რადიკალიზებულად, სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მათი ჩართულობისა თუ

248 Radicalisation Awareness Network, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', pp. 65-66.  
249 Radicalisation Awareness Network, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', p. 55.  
250 Radicalisation Awareness Network, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', pp. 57-59.  
251 Radicalisation Awareness Network, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', pp. 70-71.  
252 'Guidelines on the support to minors once they return from the Iraqi-Syrian zone', in: Radicalisation Awareness Network, 'Responses to returnees: Foreign terrorist fighters and their families', p. 72.  
253 Swiss National Action Plan, p. 21.

მათი რადიკალიზებულობის ხარისხის მიუხედავად<sup>254</sup>. პასუხისმგებლობა გადანაწილებულია კანტონების ფსიქიატრიული კლინიკების, სოციალური სამსახურებისა და განათლების სექტორის ბავშვთა და მოზარდთა (ახალგაზრდობის) სამსახურებზე.

---

254 Swiss National Action Plan, p. 20.



# მემვიდე თავი: კომუნიკაცია

## შესავალი

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ყოვლისმომცველი სტრატეგიის ფარგლებში მთავრობამ არ უნდა დაუშვას ტერორისტული და ექსტრემისტული კომუნიკაციის ამოცანების შესრულება; პარალელურად, ხელი უნდა შეეშალოს ტერორისტულ და ექსტრემისტულ (განსაკუთრებით, ტერორისტების რჩეული საკომუნიკაციო არხებით წარმართულ) აქტივობებს და არ მისცეს ასეთ ჯგუფებს სამიზნე აუდიტორიაზე წვდომის შესაძლებლობა.

ამ შედეგის მისაღწევად საჭიროა ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის საშუალებით ეფექტური კონტრნარატივების შემუშავება და გავრცელება ადგილობრივ თუ სახელმწიფოებრივ დონეზე. სამთავრობო ინსტიტუტების (როგორც ცალკეული უწყებების, ასევე, მთლიანი მთავრობის) კონტრტერორისტული პოლიტიკა უნდა იყოს საჯარო, ცხადი და არაორაზროვანი. ტერორისტული პროპაგანდის წინააღმდეგ ქმედითი ნარატივებისა და აუცილებელი შემხვედრი ღონისძიებების კონსტრუირება-გავრცელების მეთოდები შეიძლება ადაპტირდეს ყოველდღიური და დროში შეზღუდული კრიზისული კომუნიკაციების შესაფერისად. ეს მრავალმხრივი მიდგომა აფართოებს საკომუნიკაციო ამოცანების მიღწევის შესაძლებლობებს. თუმცა, ზემოხსენებულის გარდა, საზოგადოებას, ასევე, სჭირდება სანდო, ობიექტური და დამოუკიდებელი საინფორმაციო თუ მედია წყაროების არსებობა.

## დამოუკიდებელი მედია

ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ეროვნული მედიასექტორის დამოუკიდებლობის და მის მიერ სანდო ინფორმაციის გაზიარების უზრუნველყოფას. სათანადო კომპეტენციებისა და უნარების მქონე ეროვნული და ადგილობრივი მედია, რომლის რეპორტაჟებიც დაბალანსებული და სიღრმისეულია, აძლიერებს საზოგადოების ნდობას ახალი ამბების წყაროებისადმი.

ეფექტური მარეგულირებელი ჩარჩოს [გამართული] ფუნქციონირების უზრუნველყოფის საშუალებით მთავრობა გადამწყვეტ როლს თამაშობს დამოუკიდებელი მედიის ფართო სპექტრის (იქნება ეს აუდიო-ვიზუალური, რადიო, ბეჭდვითი თუ ონლაინმედია) არსებობაში. ჩარჩო უნდა იყოს გამოხატვის თავისუფლების და, იმავდროულად, თავისუფლებასა და იმ სხვადასხვა საკითხს შორის ბალანსის შენარჩუნების გარანტი, როგორცაა, მაგალითად უცხო ქვეყნის [ძალების] კუთვნილი [მედია] პლატფორმები. რეგულატორების დამოუკიდებლობა ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა<sup>255</sup>.

იმავდროულად, მედიამ უნდა განივითაროს მრავალფეროვან საკითხებზე რეპორტაჟების მომზადების, დაბალანსებული და მიუკერძოებელი მაუწყებლობის კომპეტენცია<sup>256</sup>. ტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხების გაშუქება, თავისი არსით, ჰგავს, ზოგადად, უსაფრთხოების პოლიტიკასა და პრაქტიკაზე მუშაობას (რეპორტაჟების მომზადებას)<sup>257</sup>. თუმცა, ტერორიზმის მიუკერძოებლად გაშუქებისას, მედიამ უნდა დახვეწოს კონკრეტული მიდგომები და უნარები, რომ ტერორისტული პროპაგანდის უნებლიე პლატფორმად არ იქცეს. არსებობს კონკრეტულად ამ მიზნით არსებული რესურსები, რომლებიც სიღრმისეულად აღწერს მედიის საუკეთესო პრაქტიკას, ეთიკიდან დაწყებული პროფესიული და უსაფრთხოების საკითხებით დამთავრებული<sup>258</sup>. მედიამ უნდა გაიაზროს

255 For best practice, იხილეთ, მაგალითად, Council of Europe, 'Media Regulatory Authorities', ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.coe.int/en/web/freedom-expression/media-regulatory-authorities> ; and, Council of Europe, 'The Independence of Media Regulatory Authorities in Europe', IRIS Special 2019-1, 2019, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rm.coe.int/the-independence-of-media-regulatory-authorities-in-europe/168097e504>.

256 იხილეთ, მაგალითად, OSCE, The Media Self-Regulation Guidebook, 2008, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.osce.org/fom/31497>.

257 იხილეთ, მაგალითად, Marina Caparini (ed.), Media in Security and Governance: The Role of the News Media in Security, Oversight, and Accountability, 2004, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://gsdrc.org/document-library/media-in-security-and-governance-the-role-of-the-news-media-in-security/>

258 იხილეთ, მაგალითად, UNESCO, Terrorism and the Media: A Handbook for Journalists, 2017, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://en.unesco.org/news/terrorism-and-media-handbook-journalists> and <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000247074>

პასუხისმგებლობა ფართო საზოგადოებისდამი, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და კავშირები სამთავრობო უწყებებთან, უზრუნველყოს ჟურნალისტური სამუშაოს ინკლუზიურობა, დაიცვას კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები<sup>259</sup>.

ამის მსგავსად, მთავრობამაც უნდა უზრუნველყოს მედიაში სანდო ინფორმაციის გავრცელება, რაც ძირეულად აუცილებელია მთავრობის პასუხისმგებელი პირების მიერ რუტინულად გავრცელებული ინფორმაციის დამაჯერებლობის უზრუნველსაყოფად: სხვაგვარად, მთავრობისადმი ნდობა ძალიან სწრაფად სუსტდება.

## მონიტორინგი

რადიკალიზაციის პროცესებისა და პლატფორმების გამოვლენის პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან კონკრეტული ინდივიდების, სოციალური ჯგუფებისა თუ სოციალური ქსელების მონიტორინგი. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეიძლება გაიწეროს მონიტორინგის პასუხისმგებლობები და სხვადასხვა ფორმატი, ასევე, შესაბამისი ინფორმაციისგაზიარების მექანიზმები. მონიტორინგის საერთო ეფექტურობა დამოკიდებულია მოქალაქეებისა და ინსტიტუტების პროაქტიურობის ხარისხზე რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენისა და მათ შესახებ ფართო საზოგადოების, მთავრობის წარმომადგენლებისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაზე / პრევენციაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირების თვალსაზრისით. ხშირად აუცილებელია [სათანადო] ტრენინგი იმისთვის, რომ დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრმა შეძლოს რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენა.

## მონიტორინგი სათემო დონეზე

სათემო დონეზე „ყოველდღიური“ მონიტორინგის პროცესის ფარგლებში სამართალდამცავი, საგანმანათლებლო და სათემო ჯგუფები უნდა აკვირდებოდნენ რადიკალიზაციის, ექსტრემისტული პროპაგანდის ან რადიკალიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტივობის ნიშნებს. ინდივიდის ან ჯგუფის ქცევის ცვლილების ან პროპაგანდის ახალი ტიპების გამოჩენის (იქნება ეს გრაფიტი, პამფლეტები, პოსტერები, სტიკერები, რომელთაგან ნებისმიერი შეიძლება მიუთითებდეს სოციალური მედიის კონკრეტულ არხებზე) მონიტორინგი ხელს შეუწყობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის რეაგირების სხვადასხვა ფორმატის განსაზღვრას (კომუნიკაციისა და გზავნილების გავრცელების ჩათვლით). შვეიცარიის „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმის“ ყოვლისმომცველი ღონისძიება 7 - „ადრეული გამოვლენის ინსტრუმენტების შესახებ“<sup>260</sup> - მოიცავს შემდეგს:

„ექსპერტებს, სპეციალიზებულ უწყებებს, ახალგაზრდობის კეთილდღეობის სამსახურებს, სოციალურ სამსახურებს, ბავშვისა და ზრდასრულის დაცვის ორგანოებს, ასევე, პოლიციას სისხლის სამართლით გათვალისწინებული სასჯელისა და ზომების აღსრულებისთვის.“

## მონიტორინგი ახალგაზრდობასა და განათლებაში

ბევრმა ქვეყანამ დანერგა მონიტორინგის პროგრამები განათლების სფეროში, თუმცა აუცილებელია მათი ადაპტირება [ადგილობრივ საჭიროებებთან]. ეს პროცესი მთლიანობაში ჰგავს სხვა ტიპის დისკრიმინაციული ან პოტენციურად ანტისოციალური თუ დანაშაულებრივი ქცევის მონიტორინგის რუტინას.

პირველ რიგში, აუცილებელია ტრენინგის უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობა რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენის საკითხებში არასამთავრობო (მთავრობის გარეთ) დაინტერესებული მხარეების ორიენტირებისთვის. შვეიცარიის „ეროვნული სამოქმედო გეგმის“ მიხედვით, ასეთი ტრენინგი ერთ-ერთი უპირველესი პრიორიტეტია. ღონისძიება 2 ფოკუსირდება „საბაზისო და უწყვეტი განათლებისა და ტრენინგის შეთავაზებაზე ექსპერტების ფართო სპექტრისთვის“, აზუსტებს რა, რომ საბაზისო და უწყვეტი განათლება-ტრენინგის კურსებში:

259 UNESCO, Terrorism and the Media: A Handbook for Journalists, 2017, pp. 28-39.

260 Swiss Security Network (Sicherheitsverbund Schweiz), Swiss National Action Plan to Prevent and Counter Radicalisation and Violent Extremism, 4<sup>th</sup> December 2017, p. 15, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.news.admin.ch/news/message/attachments/50703.pdf>

„ექსპერტები განიხილავენ რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხს და ეცნობიან ადრეულ ეტაპზე რადიკალიზაციის ნიშნებისა და რისკების ამოცნობისა და მზარდი რადიკალიზაციის პრევენციის მიზნით შესაფერისი ღონისძიებების გატარების გზებს. ექსპერტები, ასევე, სწავლობენ რადიკალიზებულ ადამიანებთან ურთიერთობას<sup>261</sup>.

მომდევნო ღონისძიებები იმავე პრიორიტეტის გარშემო ერთიანდება: „ცნობიერების ამაღლება წამყვანი პოზიციის ხალხს შორის“ (ღონისძიება 5) აცხადებს, რომ:

„აუცილებელია კულტურულ ასოციაციებში, სპორტულ და დასვენების კლუბებში მენეჯერებისა და წამყვანი პოზიციის მქონე პირების ცნობიერების ამაღლება ძალადობის პრევენციის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებთან დაკავშირებით და შესაბამისი ტრენინგის უზრუნველყოფა<sup>262</sup>.

ღონისძიება 7, რომელიც ეხება „ადრეული გამოვლენის ინსტრუმენტების გამოყენებას“<sup>263</sup>, ასევე, აღნიშნავს პრევენციაზე პასუხისმგებელი სპეციალიზებული სამთავრობო უწყებების დახმარების საჭიროებას რეალური ექსტრემისტული რისკების გამოვლენისა და მათთან გამკლავებისთვის დამატებითი ღონისძიებების წამოწყების პროცესში.

ამ ღონისძიებებში აღწერილი ყოველსომცველი მიდგომა გამიზნულია მრავალი დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის, კონკრეტულად, ღონისძიება 2-ისთვის:

„ახალგაზრდობისა და (სკოლის) სოციალური მუშაკების, პედაგოგიური პერსონალის, მასპინძელ კომპანიებში სტაჟირების ხელმძღვანელების, ციხის პერსონალის, პოლიციის, დაზვერვის სამსახურების, ზრდასრულთა და არასრულწლოვანთა გასამართლების სამსახურების, არასრულწლოვანთა სასამართლოების მოსამართლეების, თავშესაფრისა და მიგრაციის უწყებების, სასამართლოების, პროფესიონალი მზრუნველების, შეირაღებული ძალების პროფესიონალი პერსონალისა და სამოქალაქო დაცვის სამსახურებისთვის<sup>264</sup>.

ღონისძიება 5 ზემოთ მოცემულ ჩამონათვალს განავრცობს „სოციალური და ახალგაზრდობის ორგანიზაციებში დასაქმებულებზე, სპორტის, დასვენების კლუბებისა და კულტურულ ასოციაციების წამყვანი თანამდებობის პირებზე“<sup>265</sup>, ხოლო ღონისძიება 7 ითვალისწინებს დამატებით ტრენინგს წამყვანი დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც უკვე განხილულია ღონისძიება 2-ში (ძირითადად „უწყებები, ახალგაზრდობის კეთილდღეობის ოფისები, სოციალური სამსახურები, ბავშვისა და ზრდასრულის დაცვის ორგანოები, სისხლის სამართლით გათვალისწინებული სასჯელისა და ღონისძიებების აღმსრულებელი ორგანოები და პოლიცია“)<sup>266</sup>.

ამასთან, საჭიროა რადიკალიზაციის გამაფრთხილებელი ნიშნებისა და ქცევითი ინდიკატორების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ინსტრუქციები. განათლებისა და ახალგაზრდობის ჯგუფების პერსონალის ორიენტირების მიზნით, ზოგიერთმა ქვეყანამ შექმნა ფაქტების ფურცელი რადიკალიზაციის ახალი რისკებისა და დაკვირვების პროცესში ძირითადი გასათვალისწინებელი ინდიკატორების შესახებ. ზემოხსენებულმა საჭიროებამ [სხვადასხვა ქვეყნის] სამინისტროებს უკარნახა ერთობლივი სახელმძღვანელო ინსტრუქციების გამოქვეყნება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმის თანამშრომლობითი ხასიათიდან გამომდინარე. [მთავრობებმა] ეს შესაძლებლობები გამოიყენეს ინფორმაციის გამავრცელებელი საკონტაქტო პირების მონაცემების ხაზგასმის მიზნით.

განვიხილოთ გაერთიანებული სამეფოს შემთხვევა: 2015 წელს ბრიტანეთის მთავრობამ შექმნა მოკლე საინფორმაციო-სარეკომენდაციო ბროშურა სკოლებისა და აღმზრდელ-მასწავლებლებისთვის, რომლებშიც აღწერილი იყო ერაყსა და სირიაში მგზავრობის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით სოციალური მედიის გამოყენების გზები<sup>267</sup>. საშინაო საქმეთა ოფისისა (გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტრო) და

261 Swiss National Action Plan, p. 13.  
262 Swiss National Action Plan, p. 15.  
263 Swiss National Action Plan, p. 15.  
264 Swiss National Action Plan, pp. 13-14.  
265 Swiss National Action Plan, p. 14.  
266 Swiss National Action Plan, p. 14.  
267 Home Office and Department for Education, 'Briefing Note for Schools: How Social Media is used to encourage Travel to Syria and Iraq', July 2015, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/)

განათლების დეპარტამენტის მიერ ერთობლივად გამოცემული მოკლე საინფორმაციო ფურცელი (ფაქტების ფურცელი) მოიცავდა დაეშის თანამედროვე პროპაგანდისთვის დამახასიათებელი გამოსახულებებისა და თემების (მათ შორის წარმატების / სტატუსისა და მიკუთვნებულობის / პირადი მოვალეობის / სუნიტების დაცვის ამსახველი გამოსახულებები), ექსტრემისტული კომუნიკაციისა და პროპაგანდისთვის გამოყენებული სოციალური მედიაპლატფორმების (მათ შორის, Facebook-ს, Twitter-ს, YouTube-ს, Telegram-სა და მყისიერი გზავნილების სხვადასხვა სისტემას) და დაეშის მიერ რადიკალიზებულ დისკურსში გამოყენებული ლექსიკის მაგალითებს (მათ შორის, „დავლა“, „სახალიფო“, „უმმა“, და „მუჯაჰიდი“).

ამასთან, სარეკომენდაციო ბროშურა აკონკრეტებს სკოლებისა და მასწავლებლების მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, რაც მოიცავს “უსაფრთხოების დაცვაზე” პასუხისმგებელ პირებთან კომუნიკაციას, რომლებსაც შეუძლიათ დაუკავშირდნენ ექსტრემიზმის პრევენციის ოფიციალურ პროგრამებსა (გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში - ექსტრემისტული მონიტორინგის „Prevent“ და მასთან ასოცირებული დერადიკალიზაციის „Channel“ პროგრამები) და ადგილობრივ პოლიციას, ასევე, საკითხის პირდაპირ განხილვას “Channel” პროგრამასთან. ეს ამომწურავი მიდგომა ასახავს იმ გამოწვევის სიმწვავეს, რომლის წინაშეც გაერთიანებული სამეფო იდგა ბავშვებისა და ახალგაზრდების „ისლამურ სახელმწიფოში“ გაერთიანების პრევენციის თვალსაზრისით. სარეკომენდაციო ბროშურა, ასევე, აღწერს სტატუტურ (საკანონმდებლო) ბაზას ამ რეკომენდებული პროცედურების შესასრულებლად.

გამოცდილების საფუძველზე, გაერთიანებული სამეფოს განათლების დეპარტამენტმა, ასევე, მიიღო ზომები რადიკალიზაციის საკითხებზე ადგილობრივ ხელისუფლებებსა (ძირითადად, საშუალო / უფროსკლასელების განათლებაზე პასუხისმგებელი საბჭოები) და სკოლებს (ასევე, მასწავლებლებს) შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და გაძლიერების მხრივ, განსაზღვრა რა ეფექტური ინტერვენციის ექვსი პრიორიტეტი:

- უნდა მოხდეს შეთანხმება იმის თაობაზე, თუ ვის ეკისრება რადიკალიზაციაზე რეაგირების პასუხისმგებლობა;
- ადგილობრივი ხელისუფლება უნდა შეთანხმდეს რეაგირების [მათთვის] ყველაზე შესაფერისი ფორმების თაობაზე;
- საერთო სახელმძღვანელო-სარეკომენდაციო პროცესის განსაზღვრა;
- სამხილების ბაზის ფორმირება;
- შესაფერისი ინტერვენციების შესახებ ცოდნის გაზიარება;
- თემების ცხოვრებაში ჩართულობა ცნობიერებისა და ურთიერთგაგების ასამაღლებლად<sup>268</sup>.

ეს ძირითადი პრიორიტეტები ვრცელდება ევროპის სხვა სახელმწიფოებზეც.

ონლაინმონიტორინგი – მასობრივი დაკვირვება და მონიტორინგის ძირითადი არხები

სამთავრობო ინსტიტუტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა არაინვაზიური ონლაინმონიტორინგის ახალი ფორმები. ადამიანური რესურსები (მათ შორის, ექსპერტები, ახალგაზრდობის მუშაკები, აღმზრდელ-განმანათლებლები თუ სამართალდამცავები) კვლავ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ახალი ექსტრემისტული არხების შესახებ ინფორმაციის შეგროვების პროცესში, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ტერორისტები აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიაარხებს რეკრუტირებისთვის, არსებობს რადიკალიზაციის პროცესებში გამოყენებული „სიძულვილის ენის“ ავტომატურად გამოვლენის შესაძლებლობებიც, რომელთაგან ზოგიერთ მეთოდს უკვე აქვს 80%-იანი სიზუსტე<sup>269</sup>. „ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური ინტერნეტ ფორუმის“ „კონტენტის გაზიარების ალგორითმების, პროცესებისა და პოზიტიური ინტერვენციების სამუშაო ჯგუფი“ ავრცელებს რისკის შერბილებისა და პოზიტიური ინტერვენციის შესაძლებლობების გამოვლენისთვის საჭირო ალგორითმებსა და პროცესებს, [მომხმარებლის] ინტერესის გამომწვევი სპეციფიკური კონტენტის მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად<sup>270</sup>.

[file/440450/How\\_social\\_media\\_is\\_used\\_to\\_encourage\\_travel\\_to\\_Syria\\_and\\_Iraq.pdf](file/440450/How_social_media_is_used_to_encourage_travel_to_Syria_and_Iraq.pdf)

268 Thomas Chisholm and Alice Coulter, Kantar Public, ‘Safeguarding and radicalisation’, Department for Education, DoE Research Report, August 2017 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/635262/Safeguarding\\_and\\_Radicalisation.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/635262/Safeguarding_and_Radicalisation.pdf)

269 Tom De Smedt, Guy de Pauw, and Pieter Van Ostaeyen, ‘Automatic Detection of Online Jihadist Hate Speech’, Computational Linguistics & Psycholinguistics CliPS Technical Report Series, CTRS 007, February 2018, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://www.academia.edu/36127816/Automatic\\_Detection\\_of\\_Online\\_Jihadist\\_Hate\\_Speech](https://www.academia.edu/36127816/Automatic_Detection_of_Online_Jihadist_Hate_Speech)

270 GIFCT, ‘Working Group on Content-Sharing Algorithms, Processes, and Positive Interventions’, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://gifct.org/working-groups/>

სოციალური მედიაარხების მომრავლება ტერორისტულ ჯგუფებს სხვადასხვა მომწოდებელს შორის „გადანაცვლების“ შესაძლებლობას აძლევს. მომწოდებლებს ირჩევენ გზავნილის ფორმის შესაბამისად: ძალადობის ამსახველი ვიზუალური მასალა (გამოსახულებები), პროპაგანდაზე ფოკუსირებული ან ვრცელი (ნერილობითი) ტექსტები, რომელთაგან ყველა იძლევა პროპაგანდის გავრცელების საშუალებას სანამ თავად მომწოდებელი არ გააუქმებს ასეთ არხს.

სხვადასხვა დროს თითქმის ყველა სოციალური ქსელი - Facebook-ი, Twitter-ი, YouTube-ი და Telegram-ი - დიდი პოპულარობით სარგებლობდა ექსტრემისტებს შორის. Telegram-ი, ასევე, WhatsApp-ი, კოორდინაციის ფუნქციას ასრულებდა. Telegram-ი განსაკუთრებით პრაქტიკული აღმოჩნდა მათთვის, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ქსელი არ ბლოკავდა ექსტრემისტული არხების უმრავლესობას, ხოლო წამყვანი მნიშვნელობის არხებს, წაშლისგან თავდაცვის სახით, ასევე, ჰქონდათ დუბლირებული ასლები იმავე ქსელში. ზოგიერთი არხი მსგავს კონტენტს, ასევე, ავრცელებს Twitter-ში, Facebook-სა, და Instagram-ში<sup>271</sup>. ამ მოქნილი მიდგომებს არ იყენებს ნაკლებად ეფექტური ექსტრემისტული მოძრაობები. მაგალითად, Parler app-ით ისარგებლეს ჩრდილოეთ ამერიკელმა ექსტრემისტებმა 2021 წლის იანვარში აშშ-ის კაპიტოლიუმზე თავდასხმის დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ Parler app-ი გატეხეს და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა დიდი რაოდენობით და მრავალფეროვანი ინფორმაცია, რამაც ფედერალურ და შტატის სამართალდამცავებს საშუალება მისცა რუკაზე მოექებნათ Parler-ის ყველა მომხმარებელი, რომელიც კაპიტოლიუმის თავდასხმის დროს იქ იმყოფებოდა. ამ მოქმედებებმა საბოლოო ჯამში გამოიწვია Parler-ის დროებითი მოხსნა Android-ისა და Apple-ის პლატფორმებიდან, Amazon-ზე განთავსებული სერვერების ჩათვლით.

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდ ცნობილია შეირადებული ჯგუფების მიერ სოციალური მედიის გამოყენება საერთაშორისო აღიარების (ბრენდად ქცევის) და ყურადღების მოსაპოვებლად, შეირადებული ჯგუფების უმეტესობა კვლავ შეუფერხებლად იყენებს სოციალურ მედიას ადგილობრივ თუ რეგიონულ დონეზე და მოხერხებულად გაურბის სოციალური მედიაპლატფორმებისა და დასავლური სახელმწიფოების მონიტორინგს. სოციალური მედიის გამოყენების ფორმები მნიშვნელოვნად სხვაობს ერთსა და იმავე კონფლიქტში ჩართულ შეირადებულ ჯგუფებსა და სხვადასხვა კონფლიქტს შორის. ამას გარდა, შეირადებული ჯგუფის მიერ საკომუნიკაციო შერჩეული მედიაპლატფორმაც დამოკიდებულია კონკრეტულ კონფლიქტზე და ასახავს როგორც პრეკონფლიქტურ გარემოებებს, ასევე, სხვაობებს ცალკეული პლატფორმების პოლიტიკას შორის<sup>272</sup>. შედეგად, სახელმწიფო მზად უნდა იყოს სოციალური მედიაპლატფორმების მონიტორინგისთვის სხვადასხვა კონტექსტში.

ღია საგამოძიებო ორგანიზაციებისა და პროფესიონალების მომრავლება, რომლებიც თვალს ადევნებენ სხვადასხვა სოციალურ არხს კონფლიქტურ ზონებში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის შეგროვების მიზნით, შეიძლება დაეხმაროს კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სხვადასხვა სპეციალისტს ექსტრემისტული კომუნიკაციის მონიტორინგის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ორგანიზაციების უმრავლესობა ფოკუსირებულია მხოლოდ სახელმწიფოების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე<sup>273</sup>, ზოგიერთი ინდივიდი დეტალურად და რეალურ დროში აკვირდება რადიკალიზაციას და ექსტრემისტულ ქსელებს<sup>274</sup>. სირია / სირია-ერაყისთვის საერთაშორისო ტრიბუნალის არარსებობის პირობებში, ზოგიერთი ჟურნალისტი აქვეყნებს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ზედმინევიანთ აღწერს დაემის წევრობის ჩანაწერებს, ტელეფონებიდან და მეხსიერების ბარათებიდან აღდგენილ მონაცემებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას გასამართლებისა თუ კონტრნარატივების ფორმულირებისთვის<sup>275</sup>.

ონლაინმონიტორინგი – კომუნიკაციის მეთვალყურეობა, ინფორმაციის ფარული შეგროვება და მონაცემთა ავტომატური შეგროვება

271 იხილეთ, მაგალითად, Laura Smith, 'Messaging app Telegram centrepiece of IS social media strategy', BBC Monitoring, 5<sup>th</sup> June 2017, <https://www.bbc.com/news/technology-39743252>

272 Laura Courchesne and Brian McQuinn, 'After the Islamic State: Social Media and Armed Groups', War on the Rocks, 9<sup>th</sup> April 2021, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://warontherocks.com/2021/04/after-the-islamic-state-social-media-and-armed-groups/>

273 იხილეთ, მაგალითად, <https://www.bellingcat.com> and <https://www.atlanticcouncil.org/programs/digital-forensic-research-lab/>.

274 იხილეთ, მაგალითად, [https://twitter.com/p\\_vanostaeyen](https://twitter.com/p_vanostaeyen), <https://twitter.com/ajaltamimi>, და <https://www.twitter.com/lindseysnell>

275 იხილეთ, მაგალითად, Jenan Moussa's publication of the ISIS Files in November 2020, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://twitter.com/jenanmoussa/status/1329421535900291073?lang=en>; ასევე, იხილეთ Jenan Moussa's investigation into Omaina A., a German citizen who travelled to Syria, married a terrorist, and then returned to Germany after working as a recruiter for IS: 'Widow of prominent IS terrorist reportedly living quiet life in Germany', Deutsche Welle, 16<sup>th</sup> April 2019, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.dw.com/en/widow-of-prominent-is-terrorist-reportedly-living-quiet-life-in-germany/a-48357266>

მონიტორინგის უფრო ინვაზიური ფორმების თვალსაზრისით, რომლებიც უკავშირდება ინდივიდის ტერორისტულ აქტივობაში ჩართულობის ეჭვს, თვალთვალის ნებისმიერი კომპონენტი უნდა შეესაბამებოდეს მეორე თავის „პოლიტიკური და სამართლებრივი გამოწვევების“ ნაწილში აღწერილ საუკეთესო პრაქტიკას. არაკომერციული Stiftung Neue Verantwortung-ის ინიციატივა 'about:intel'-ში, როგორც უფრო ამომწურავ სახელმძღვანელოში, შეჯერებულია თვალთვალის შესახებ კანონებში მოცემული სხვადასხვა თანამედროვე ინსტრუქცია, რომლებიც უკავშირდება მონაცემთა ავტომატურ შეგროვებასა თუ საკომუნიკაციო ინფორმაციის ფარულ შეგროვებას<sup>276</sup>.

### ონლაინმონიტორინგი – მიდგომების კომბინირება

აშშ-ში ზემოქმედების ოპერაციების მომრავლების კვალდაკვალ, სხვადასხვა ტიპის ზემოქმედების ოპერაციის მონიტორინგის მიზნით მრავალმხრივი თემის ფორმირება მოიაზრება გადამწყვეტი მნიშვნელობის პირველ ნაბიჯად ანტიდემოკრატიული და ექსტრემისტული აქტივობების ხელშემწყობი დეზინფორმაციის და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ზემოქმედების ოპერაციები კომპანიებისგან მოითხოვს მონაცემების გაზიარებას, თანამშრომლობას მკვლევრებს შორის<sup>277</sup> და, ამასთან, პოლიტიკის შემქმნელების თანამონაწილეობას<sup>278</sup>. ეს მიდგომა წინასწარ განსაზღვრავს მრავალმხრივი (მრავალი მხარის მომცველი) კვლევისა და განვითარების ცენტრის, როგორც დამოუკიდებელი ცენტრის შექმნას (MRDC), სადაც ტექნოლოგიური სფერო და გარემკვლევრები საერთო სტრუქტურის მიზნით მონიტორინგისა და პროგრამირების საკითხებზე ხანგრძლივი თანამშრომლობისთვის ერთიანდებიან: დამფუძნებლის სიტყვებით, კვლევისა და განვითარების დამოუკიდებელი ცენტრი არის „უფრო მეტი, ვიდრე მონაცემთა გაზიარების საშუალება - მაკავშირებელი რგოლი, რომელსაც შეუძლია შეამოწმოს მკვლევრების სანდოობა, მოაგვაროს საკონტრაქტო საკითხები და ხელი შეუწყოს გრძელვადიანი კვლევითი პროექტების არსებობას“<sup>279</sup>.

### დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა

სოციალური მედიის ეპოქაში დეზინფორმაციასთან ბრძოლა საკმაოდ მასშტაბურ გამოწვევას წარმოადგენს, რომელსაც კიდევ უფრო ართულებს სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ მედიაპლატფორმებზე დეზინფორმაციის ხელშემწყობი „აქტიური ღონისძიებების“ განმეორებადობა<sup>280</sup>. მთავრობას უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების პოლიტიკის ამოცანების ცხადად და ნათლად გადაცემის კომპეტენცია (იქნება ეს საფრთხის დონის განსაზღვრელი პოლიტიკა თუ საჯარო უსაფრთხოების ძირითადი პრიორიტეტები, ისევე, როგორც ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის კამპანიის კონკრეტული ასპექტები).

მაშინაც კი, თუ განათლების ზოგადი დონე მოქალაქეებს ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გამორჩევის საშუალებას აძლევს, ხუთეტიპიან მიდგომას შეუძლია შეზღუდოს დეზინფორმაციის ზემოქმედება და ხელი შეუშალოს მის ეფექტურობას. ეს მიდგომა მოიცავს: სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; სამთავრობო პოლიტიკის ამოცანების სიცხადეს; არაწინააღმდეგობრივ ინსტიტუციურ პრაქტიკას; დეზინფორმაციული ნარატივების წინააღმდეგ აქტიურად ბრძოლას; და სანდო ინფორმაციის გამოყენებით კრიზისზე რეაგირებას.

როგორც პირველ ნაწილში იყო განხილული, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის უმთავრესი ელემენტია ეროვნული მედიასექტორის დამოუკიდებლობისა და მისი საშუალებით სანდო ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა. თუ მედიასაშუალება ნამდვილად ავრცელებს დაბალანსებულ ინფორმაციას, იზრდება

276 იხილეთ: <https://aboutintel.eu/>

277 a Kelly Born, 'Building a community to counter influence operations: Four questions for Alicia Wanless ', Hewlett Foundation, 29<sup>th</sup> March 2021, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://hewlett.org/building-a-community-to-counter-influence-operations-four-questions-for-alicia-wanless/>

278 იხილეთ, მაგალითად, Carnegie Endowment for International Peace, 'Partnership for Countering Influence Operations', ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://carnegieendowment.org/specialprojects/counteringinfluenceoperations>

279 Kelly Born, 'Building a community to counter influence operations', 29<sup>th</sup> March 2021.

280 რუსული დეზინფორმაციის მაგალითებისთვის, იხილეთ, მაგალითად: Reuters Staff, 'German Government Accuses Russian media of biased reporting', Reuters, 19<sup>th</sup> February 2016, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.reuters.com/article/germany-russia-media-idINL8N15Y3H3>; Stefan Meister, 'The "Lisa case": Germany as a target of Russian disinformation', NATO Review, 25<sup>th</sup> July 2016, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.nato.int/docu/review/articles/2016/07/25/the-lisa-case-germany-as-a-target-of-russian-disinformation/index.html>; Mark Galeotti, 'Controlling Chaos: How Russia Manages its Political War in Europe', ECFR Policy Brief, 1<sup>st</sup> September 2017, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://ecfr.eu/publication/controlling\\_chaos\\_how\\_russia\\_manages\\_its\\_political\\_war\\_in\\_europe/](https://ecfr.eu/publication/controlling_chaos_how_russia_manages_its_political_war_in_europe/); Jeffrey Man-koff, 'Russian Influence Operations and Germany and Their Effect', CSIS Commentary, 3<sup>rd</sup> February 2020, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.csis.org/analysis/russian-influence-operations-germany-and-their-effect>

საზოგადოების ნდობა და მის მიერ გაშუქებული ინფორმაციის დამაჯერებლობის ხარისხი.

მეორე, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ფართო საზოგადოებამ კარგად გაიაზროს, ხოლო ინსტიტუტებმა მკაცრად დაიცვან და განახორციელონ კონტრტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა. ამგვარი მიდგომა ზღუდავს ნებისმიერ გაუგებრობას სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება ბოროტად გამოიყენონ ექსტრემისტებმა. იგივე პრინციპი ასაზრდოებს მესამე ეტაპს, რომელიც გულისხმობს მთავრობის უსაფრთხოების სამსახურების მიერ საუკეთესო პრაქტიკის ერთგულებას ამ პოლიტიკის განხორციელებისას: ნებისმიერი აცდენილი ნაბიჯი ან წინააღმდეგობრივი მოქმედება შეიძლება საზოგადოებაში უკმაყოფილების გამწვავების მიზეზად იქცეს, რასაც ექსტრემისტები თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ.

მეოთხე, აუცილებელია დეზინფორმაციისა და პროპაგანდასთან აქტიურად ბრძოლა. ინსტიტუტებმა პროაქტიურად უნდა გამოავლინონ და გამოკვეთონ დეზინფორმაცია. დეზინფორმაციის ან რადიკალიზაციის ნარატივების წყაროების მონიტორინგი, განსაკუთრებით, სოციალური მედიის არხებში, მთავრობებს საჭარო რეაგირების ფორმულირების ადრეულ საშუალებას აძლევს, რაც ხელს უშლის პროპაგანდის ზემოქმედებას. მთავრობამ და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა შექმნან ნარატივები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ექსტრემისტული ნარატივის საზღაურზე, უკანონობასა და არადამაჯერებლობაზე. ამის პარალელურად მთავრობა უნდა ერიდოს ერთპიროვნული (უკანონო) ცენზურის ბრალდებასაც. შესაფერისი ბალანსის დაცვა შეიძლება რთული იყოს ექსტრემალურ გარემოებებში, თუმცა, ეს უჩვეულო სირთულე არაა კრიზისის მართვის სიტუაციებში. ზოგიერთი სამართლებრივი საშუალება - მაგალითად, „დროში შეზღუდული ინფორმაციის გაზიარების პროცესი“- შეიძლება საჭირო გახდეს განსაკუთრებულ გარემოებებში.

დაბოლოს, ისევე, როგორც ზოგადად ტერორისტულ აქტივობაზე რეაგირების შემთხვევაში, კრიზისულ სიტუაციებში გადამწყვეტია მთავრობის მიერ სანდო საინფორმაციო წყაროებისა და მედიასაშუალებების დამოწმება. არასანდო ინფორმაციამ შეიძლება ძირი გამოუთხაროს ექსტრემისტულ აქტივობებზე სხვა სტრატეგიული რეაგირებების დამაჯერებლობას. იმავდროულად, პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავრობა უნდა გაფრთხილდეს, რომ თავად არ დასდონ ბრალი პროპაგანდის შექმნა-გავრცელებაში<sup>281</sup>.

საერთო ჯამში, მთავრობამ უნდა იმოქმედოს პროაქტიურად კომუნიკაციის პროცესში, განსაკუთრებით, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის საკითხებზე სტრატეგიული კომუნიკაციის წარმოებისას. ტერორისტული საფრთხეების ბუნების გამოვლენას, რისკების ტიპების აღწერასა და ტერორიზმზე ეროვნული სტრატეგიული რეაგირების შემუშავებას შეუძლია გაზარდოს პრობლემისადმი ეროვნული მიდგომის სანდოობის ხარისხი. ორაზროვნება და კომუნიკაციის ნაკლებობა ქმნის საინფორმაციო ვაკუუმს, რომელშიც საზოგადოების ნდობა ადვილად სუსტდება.

### გზავნილები და დამაჯერებელი რადიკალიზაციის საწინააღმდეგო ნარატივები

ტერორისტების მიერ გავრცელებული გზავნილების, პროპაგანდისა და ნარატივების წინააღმდეგ მოქმედება ტერორისტული ჯგუფების შესუსტების საშუალებას წარმოადგენს როგორც მოკლე, ასევე, გრძელვადიანი პერსპექტივით. თუმცა, სანდო რადიკალიზაციის საწინააღმდეგო ნარატივის შექმნა საკმაოდ რთულია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კონტრნარატივებისა და გზავნილების დახვეწის ეფექტური ჩარჩოს სხვადასხვა შემთხვევა, ცუდი პრაქტიკის მაგალითები მაინც უფრო ხშირია. აუცილებელია გზავნილებისა და გზავნილის გამავრცელებლების დამაჯერებლობის უზრუნველყოფა. ეს საჭიროება ასევე მიემართება კრიზისულ კომუნიკაციებს, რაც მომდევნო ნაწილებში იქნება განხილული.

### არაეფექტური და უშედეგო კამპანიები

გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტი (Royal United Services Institute - RUSI) ყურადღებას ამახვილებს ისეთი მონაცემების ნაკლებობაზე, რომლებიც დოკუმენტურად დაასაბუთებდა კონტრნარატივების ეფექტურობასა და მიღწეულ [სასურველ] შედეგებს<sup>282</sup>. დასავლეთ ევროპაში ბოლოდროინდელი ცხრა

281 ჟიჰადისტური პროპაგანდისადმი წინააღმდეგობრივი მიდგომისთვის, იხილეთ: Piers Robinson, 'The British government has already forgotten the great dangers of propaganda', The Guardian, 3<sup>rd</sup> May 2016, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.theguardian.com/commentisfree/2016/may/03/british-government-propaganda-counter-terrorism-muslim-communities>

282 Michael Jones, 'Through the Looking Glass: Assessing the Evidence Base for P/CVE Communications', RUSI Occasional Papers,

კონტრნარატივის პროექტს შორის, მხოლოდ ერთმა მიაღწია სასურველ შედეგს და არც ერთი არ შეფასდა, როგორც წარმატებული<sup>283</sup>. ზოგიერთ კვლევაში ჩამოთვლილია რაოდენობრივი კვლევის შედეგები, თუმცა, როგორც წესი, ეს მხოლოდ „ფუჭი რიცხვებია“ და მოიცავს, მაგალითად, „წვდომის (დაფარვის), შეხედულებებისა და ჩართულობის“ ონლაინსტატისტიკას, რაც რეალურად სიღრმისეულ ინფორმაციას არ გვანვდის ინტერნეტსივრცის მიღმა ამ აუდიტორიის ქცევის, მათი კოგნიტური, დამოკიდებულებითი და ქცევითი ცვლილების შესახებ<sup>284</sup>. მიუხედავად იმისა, რომ წინსვლა შეიმჩნევა სოციალური მედიის ანალიტიკაში, ინტერვენციის ზემოქმედების სისტემური გაზომვის მეთოდები სუბიექტური, აბსტრაქტული ან მეტნილად დაუმონებელი რჩება<sup>285</sup>: ამგვარი კრიტიკა კიდევ უფრო ამყარებს კომუნიკაციის სიფრთხილით და დეტალურად დაგეგმვის, ასევე, გზავნილების დამაჯერებელი გამავრცელებლების იდენტიფიცირების საჭიროებას, რასაც შეუძლია ცხადად და თვალნათლივ შეცვალოს სამიზნე ჯგუფის ქცევა.

## არასწორი კომუნიკაციის რისკები

არაეფექტურობის გარდა ცუდად დაგეგმილ კამპანიას შეიძლება სრულიად გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს. GAMMMA+-ის მოდელის შემუშავების პროცესში, „რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ქსელმა“ გამოავლინა საკომუნიკაციო კამპანიის ხარვეზების რამდენიმე მაგალითი, მათ შორის: შეთქმულების თეორიების გამყარება; საკვლევი კითხვარების შეუფერებლობა (არასწორი ან არასაჭირო პასუხების შეგროვება); კამპანიის ჩაკარგვა [საინფორმაციო სივრცეში]; და არასწორი მედიუმის შერჩევა (კონკრეტულად, სოციალურ მედიის სივრცეში) სამიზნე ჯგუფების ჩასართავად<sup>286</sup>.

მუდმივად არსებობს რისკი, რომ საინფორმაციო კამპანია უკუშედეგებს გამოიღებს. როგორც წესი, არსებობს შესაძლებლობა, რომ ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინფორმირება ხელისუფლების პრიორიტეტების (მაგალითად, ნარკოტიკებთან ბრძოლის) შესახებ, საპირისპირო ინტერესს აღვივებს<sup>287</sup>. შედეგად, ალტერნატიული ნარატივები და კონტრნარატივები უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა კულტურულ, სოციალურ და თვისებრივ საკითხებს მინიმალური დამაჯერებლობის უზრუნველსაყოფად<sup>288</sup>.

## საუკეთესო პრაქტიკა - ზოგადი პრინციპები

ევროპარლამენტის პოლიტიკის რეკომენდაციები კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების / პრევენციის სტრატეგიის საკითხებზე აღწერს საუკეთესო პრაქტიკის ჩარჩოს, რომლის მთავარი მიზანია ხელი შეუშალოს ტერორისტების გზავნილების ამოცანების შესრულებას<sup>289</sup>, რაც, ასევე, ეხმარება GAMMMA+-ის მოდელს სპეციფიკური გზავნილების კამპანიების შემუშავებაში. ამ ჩარჩოს ძირითადი ელემენტები მოიცავს შემდეგს:

- ხელის შემშლელი აქტივობები. ხელის შემშლელი აქტივობები უნდა იყოს ყოვლისმომცველი და დაფაროს ყველა შესაძლო პლატფორმა, რაც საშუალებას არ მისცემს ტერორისტებს გზავნილები სხვა არხების გამოყენებით გაავრცელონ. ხელის შემშლელი აქტივობებით შექმნილი ვაკუუმი უნდა შეივსოს ისეთი გზავნილებით, რომლებიც კონსტრუირდება სამიზნე აუდიტორიის ინტერესების

17<sup>th</sup> July 2020, p. 6., ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://rusi.org/publication/occasional-papers/through-looking-glass-assessing-evidence-base-pcve-communications>

283 Michael Jones, 'Through the Looking Glass', RUSI Occasional Papers, p. 6.

284 Michael Jones, 'Through the Looking Glass', RUSI Occasional Papers, p. 6.

285 Michael Jones, 'Through the Looking Glass', RUSI Occasional Papers, p. 6.

286 Alexander Ritzmann, Lieke Wouterse and Merle Verdegaal, 'Effective Narratives: Updating the GAMMMA+ model – (Ex Post Paper from the RAN C&N Academy 'How to create, implement and evaluate an effective P/CVE communications campaign)', 14-15 November 2019, Brussels, Radicalisation Awareness Network, 19<sup>th</sup> December 2019, p. 3, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://ec.europa.eu/home-affairs/sites/home-affairs/files/what-we-do/networks/radicalisation\\_awareness\\_network/about-ran/ran-c-and-n/docs/ran\\_cn\\_academy\\_creating\\_implementing\\_effective\\_campaigns\\_brussels\\_14-15112019\\_en.pdf](https://ec.europa.eu/home-affairs/sites/home-affairs/files/what-we-do/networks/radicalisation_awareness_network/about-ran/ran-c-and-n/docs/ran_cn_academy_creating_implementing_effective_campaigns_brussels_14-15112019_en.pdf)

287 Ritzmann, Wouterse and Verdegaal, 'Effective Narratives: Updating the GAMMMA+ model', p. 13.

288 Ritzmann, Wouterse and Verdegaal, 'Effective Narratives: Updating the GAMMMA+ model', pp. 13-16.

289 European Parliament, 'Countering Terrorist Narratives', European Parliament LIBE Committee, Study PE 596.829, November 2017, pp. 39-42, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/596829/IPOL\\_STU\(2017\)596829\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/596829/IPOL_STU(2017)596829_EN.pdf)



შესაფერისად (გზავნილი, რომელსაც შესაფერისი გამოხმაურება ექნება).

- კამპანიებისა და გზავნილების სტრუქტურა (დიზაინი). თანმიმდევრული გზავნილების გავრცელების უზრუნველსაყოფად, კამპანიისა და გზავნილის კონსტრუირების პრინციპები უნდა სინქრონიზდეს ცხადი და ადვილად გასაგები ცენტრალური ნარატივის შექმნის საშუალებით, რომელსაც მხარს უჭერს გზავნილების თემატური მრავალფეროვნება.
- სამიზნე აუდიტორია. ნათლად განსაზღვრეთ სამიზნე აუდიტორია და გაითვალისწინეთ გზავნილების პოტენციური მომხმარებლების სპექტრი (გამიზნული, უნებლიე / გაუთვალისწინებელი, მხარდამჭერები, მონინაალმდეგეები და ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე პირები). პოტენციური აუდიტორიის ნიუანსური შესწავლა აუცილებელია დამოკიდებულებებისა და ქცევების ნებაყოფლობითი (თავისთავადი) ცვლილების მისაღწევად.
- მეტრიკა და შეფასება. სტრატეგიული ნიგნიერების შეფასება, სამიზნე აუდიტორიის ტექნიკური ნიგნიერების შეფასება იმ სასტარტო მაჩვენებლის დასადგენად, რომლის მიხედვითაც უნდა გაიზომოს გზავნილების გავრცელების ზემოქმედება. კამპანიის ეფექტურობის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ამ სასტარტო მაჩვენებლის მიხედვით.
- საქმიანობასთან თანხვედრა (სინქრონიზაცია). სამიზნე აუდიტორიის თვალში ნდობის, დამაჯერებლობის ან ლეგიტიმურობის მოსაპოვებლად აუცილებელია გზავნილების გავრცელებისა და რეალურად განხორციელებული ოპერატიული მოქმედებების სინქრონიზაცია, რათა შემცირდეს ნებისმიერი სახის შეუთავსებლობა მთავრობისა და ინსტიტუტების სიტყვასა და საქმეს შორის. ბუროკრატიულ სისტემებში გზავნილებისა და საქმიანობის სინქრონიზაციასთან დაკავშირებული ცენტრალური მოთხოვნა მეტწილად კულტურულ ხასიათს ატარებს.

### საუკეთესო პრაქტიკა - ორგანიზაციული დონე

საუკეთესო ორგანიზაციული პრაქტიკის თვალსაზრისით, „რადიკალიზაციის შესწავლის საერთაშორისო ცენტრის“ (ICSR) დიზაინსა და თემატურ შინაარსთან დაკავშირებულმა რეკომენდაციამ შესახებ შეიძლება კიდევ უფრო დახვეწოს ინსტიტუტების კოლექტიური და ინდივიდუალური გზავნილების სინქრონიზაციის ხარისხი.

- მონიტორინგისა და შეფასების საკითხები (M&E): მონიტორინგისა და შეფასების მეტრიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონტრენტორისტულ საქმიანობაში. აუცილებელია მონიტორინგისა და შეფასების სისტემატიზაცია და გადადგმული ნაბიჯების (ძალისხმევის) გასაჭაროება, როგორც გამჭვირვალობის გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯი.
- შემოქმედებითობა: პასუხისმგებელმა პირებმა და აქტივისტებმა უნდა გამოიყენონ წარმოსახვის უნარი კონტრნარატივების შემუშავებაზე ფიქრისას. უჩვეულო და ქვიანური კამპანიები ზრდის აუდიტორიის ჩართულობას და ინტერნეტში სწრაფად გავრცელების უფრო დიდი ტენდენცია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომა არ მოითხოვება ყველა სახის კამპანიაზე მუშაობისას, შემოქმედებითი ხედავს ყოველთვის აუქმობებს კამპანიის პოტენციალსა და ნვდომას.
- იფიქრეთ არასწორხაზოვნად: აქტივისტებმა ყოველთვის უნდა სცადონ განსხვავებულად აზროვნება. კონტრნარატივების აქტივიზმი ხშირად შემოიფარგლება ექსტრემისტულ პროპაგანდაში გაჟღერებულ მტკიცებებზე პირდაპირი პასუხებით. მიუხედავად იმისა, რომ ესეც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, მკაცრად რეაქციული კამპანიები იშვიათი და შეზღუდული ეფექტურობით ხასიათდება.
- მიზანზე ორიენტირება: კარგი კონტრნარატივი არის მიზნობრივი კონტრნარატივი. შეიძლება მაცდუნებელი ჩანდეს მაქსიმალურად ფართო ბადის გადაგდება (დიდი შედეგების ერთბაშად მიღწევის მცდელობა) კონკრეტული კამპანიის ფარგლებში, თუმცა ასე მოქცევა იშვიათად ამართლებს. ამის ნაცვლად აქტივისტებმა და ორგანიზაციებმა თანაბრად უნდა იმუშაონ იმაზე, რომ მათი საქმიანობა ზუსტ მიზნებს მიესადაგებოდეს.
- ზედმეტად არ გაართულოთ: კონტრნარატივის არც ერთ კამპანიას არ აქვს უნარი, დამოუკიდებლად გაუმკლავდეს ექსტრემიზმის მრავალმხრივ გამოწვევას. მარტივი სტრუქტურა და რეალისტური მიზნების დასახვა კონტრნარატივის გამავრცელებელ აქტივისტებსა და ორგანიზაციებს შეთანხმებულად და ჰარმონიულად მუშაობისა და ჰოლისტური რეაგირების მეთოდების შექმნის საშუალებას მისცემს, რაც აუცილებელია ექსტრემიზმის ნაირსახეობების წინააღმდეგ რეალური და სისტემატური ბრძოლისთვის<sup>290</sup>.

### საუკეთესო პრაქტიკა - გზავნილების გავრცელების დეტალიზებული ინსტრუქცია

ევროკავშირის „რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ქსელის“ GAMMMA+ აღწერს ეფექტური კამპანიების ფორმირების დეტალიზებულ მეთოდოლოგიას. GAMMMA+ მოდელი გამოიყენება მთელი ევროკავშირის

290 Charlie Winter & Johanna Fürst, Challenging Hate: Counter-speech Practices in Europe, ICSR, 2017, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://icsr.info/wp-content/uploads/2018/03/ICSR-Report-Challenging-Hate-Counter-speech-Practices-in-Europe.pdf>

მასშტაბით კომუნიკაციების კამპანიის დაგეგმვა-განხორციელებისას<sup>291</sup>. ამ მოდელში ჩაშლილია გზავნილის [ფორმირება-გავრცელების] მთელი ციკლის თითოეული ეტაპი, რაც მოიცავს სასურველი მიზნის; აუდიტორიის; გზავნილის; გზავნილის გამავრცელებლის; მედიუმის (საშუალების); მოქმედების იდენტიფიცირებას და მონიტორინგს. ეს ყოვლისმომცველი ეტაპობრივი მეთოდოლოგია აღწერს გავრცელებულ და გასათვალისწინებელ შეცდომებს<sup>292</sup>. „რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ქსელის“ „კომუნიკაციისა და ნარატივის სამუშაო ჯგუფმა“, ასევე, შეაჯერა გზავნილების მრავალი სხვადასხვა კამპანია თუ კონტრნარატივის ნიმუში და განსაზღვრა მიღებული გამოცდილება (ნასწავლი გაკვეთილები)<sup>293</sup>.

ეროვნულ დონეზე სანდო რადიკალიზაციის საწინააღმდეგო ნარატივის ქცევა ეროვნული პოლიტიკის წამყვან მიმართულებად მოითხოვს კოორდინირებულ ერთიან საზოგადოებრივ მიდგომას. ამ საერთო მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მაგალითია შვეიცარიის „ეროვნული სამოქმედო გეგმა“, რომელიც მოიცავს კონტრნარატივებისა და ალტერნატიული ნარატივებისათვის განკუთვნილ ღონისძიებას. ღონისძიება 20 მიემართება „რადიკალიზაციის (კონკრეტულად, ინტერნეტში გავრცელებული რადიკალიზებული შინაარსების) პრევენციას კონტრ- და ალტერნატიული ნარატივების საშუალებით“, ითვალისწინებს რა, რომ ხალხს, რომელიც ეძებს ან აწყდება ძალადობრივი ექსტრემიზმის პროპაგანდას ინტერნეტში უნდა შეეძლოს სხვა პერსპექტივებისა და კონტრარგუმენტების პოვნაც კრიტიკული დისტანციის შენარჩუნებისა და პოზიტიური იდენტობის განვითარებისთვის. ამ ღონისძიების თანახმად, მოცემული მიდგომა უნდა გასცდეს სამთავრობო ინსტიტუტებსა და უწყებებს:

„კონტრნარატივებისა და / ან ალტერნატიული ნარატივების შემუშავება და გავრცელება ინტერნეტში ან ავტომატურ ქსელში უნდა იყოს მხარდაჭერილი სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული ინიციატივებით და მოიცავდეს სამიზნე ჯგუფის მაქსიმალურად ბევრ წარმომადგენელს<sup>294</sup>.

ამ მხრივ, დამაჯერებელი კონტრნარატივების შემუშავება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისადმი / პრევენციისადმი ერთიანი ყოვლისმომცველი საზოგადოებრივი მიდგომის ნაწილია.

### კრიზისული კომუნიკაციები

ტერორისტული თავდასხმის დროს და მის შემდგომ პერიოდში კომუნიკაცია უნდა იყოს სანდო და დაარწმუნოს საზოგადოება უსაფრთხოებაში. ამ ორი ამოცანის მიღწევა ხელს უშლის ტერორისტების მიზანს, დათესონ შიში მოსახლეობაში.

არსებობს ძირითადი პრინციპები და წესები, რომლებიც მედიასაშუალებებმა და რეპორტიორებმა უნდა დაიცვან, რათა არ მოხდეს ტერორისტული საქმიანობის გაზვიადებულად წარმოჩენა. UNESCO-ს სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის - „ტერორიზმი და მედია“ - დეტალურად განმარტავს მედიისთვის შემუშავებულ სახელმძღვანელო ინსტრუქციებს შემდეგ პუნქტებად: თავად თავდასხმის ობიექტურად გაშუქება; თავდაპირველი დაბნეულობიდან გამორკვევა და სანდო ინფორმაციის მოძიება; ანგარიშების მომზადება; და შემთხვევის ადგილიდან პირდაპირი ჩართვის პროცესი<sup>295</sup>.

სახელმწიფომ უნდა განვიტაროს შესაფერისი კომპეტენცია (ან შექმნას შესაფერისი სტრუქტურა) ტერორისტულ თავდასხმებზე რეალურ დროში რეაგირების, ფართო საზოგადოებასთან მკაფიო კომუნიკაციისა და უსაფრთხოებაში მათი დაარწმუნების მიზნით. სახელმძღვანელო ინსტრუქციები მოიცავს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სახელმძღვანელოს კრიზისული კომუნიკაციების შესახებ („SAFE-COM-

291 Ritzmann, Wouterse and Verdegaal, 'Effective Narratives: Updating the GAMMMA+ model', Radicalisation Awareness Network, 19<sup>th</sup> December 2019, pp. 1-12.

292 Ritzmann, Wouterse and Verdegaal, 'Effective Narratives: Updating the GAMMMA+ model', Radicalisation Awareness Network, 19<sup>th</sup> December 2019, pp. 3-12.

293 Radicalisation Awareness Network, 'Preventing Radicalisation to Terrorism and Violent Extremism: Delivering counter- or alternative narratives', RAN Collection of Approaches and Practices, 2019, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://ec.europa.eu/home-affairs/sites/default/files/what-we-do/networks/radicalisation\\_awareness\\_network/ran-best-practices/docs/delivering\\_alternative\\_narratives\\_en.pdf](https://ec.europa.eu/home-affairs/sites/default/files/what-we-do/networks/radicalisation_awareness_network/ran-best-practices/docs/delivering_alternative_narratives_en.pdf)

294 Swiss National Action Plan, p. 20.

295 UNESCO, Terrorism and the Media: A Handbook for Journalists, pp. 71-74.

MS“ / „უსაფრთხო კომუნიკაციები“), რომელიც ტერორისტული თავდასხმების შემდგომ პერიოდში კრიზისული კომუნიკაციის შესახებ სასარგებლო რეკომენდაციებსაც ითვალისწინებს. (სტრუქტურას)<sup>296</sup>. „რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების ქსელის“ „კომუნიკაციებისა და ნარატივის სამუშაო ჯგუფი“ მუდმივად აახლებს საუკეთესო პრაქტიკას თავის ვებგვერდზე, რაც მოიცავს შესაბამის ვიდეომტკიცებულებებსაც<sup>297</sup>. ამას გარდა, „კონტრტერორიზმის საერთაშორისო ცენტრმა“ (ICCT) და „გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტმა“, გამოავლინეს ექვსი ძირითადი რეკომენდაცია („გაკვეთილი“), რომელიც წარმართავს ტერორისტული ინციდენტის შემდგომი საკომუნიკაციო ჩარჩოს შემუშავებას:

- ინციდენტის შემდგომი რეაგირება უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ შეძლოს მავნე აქტორების (მაგალითად, ტერორისტი პროპაგანდისტების) წინააღმდეგ ბრძოლა (მათთან „შეჭიბრი“), სამიზნე აუდიტორიებში მნიშვნელობების ფორმირების (meaning generation) პროცესების ხელშესაწყობად.
- შემთხვევის (ინციდენტის) შემდგომი მოქმედებების სახელმძღვანელო ინსტრუქციებმა უნდა გაითვალისწინოს და გამოიყენოს კრიზისული კომუნიკაციების ეკოლოგია, რომელშიც სოციალური მედია მნიშვნელოვანი, თუმცა არა ერთადერთი კომპონენტია. კომუნიკაციის არც ერთი საშუალება არ არის თვისებრივად დადებითი ან უარყოფითი. სტრატეგია უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ თავის სასარგებლოდ მიმართოს მისი პოტენციური დადებითი შედეგები.
- სოციალური მედიის პლატფორმებს შეუძლია გადაამწყვეტი როლი ითამაშოს გადაუდებელი დახმარების სამსახურების მუშაობაში. ტერორისტული თავდასხმის შემდგომ ამ მედიაპლატფორმების დახურვა-გაუქმების ნაცვლად, საჭიროა მათი გამოყენება მოსახლეობის ინფორმირების, მათთვის რჩევების მიცემისა და უსაფრთხოებაში მათი დარწმუნების მიზნით.
- სოციალური მედიის ორგანიზაციებმა უნდა ითანამშრომლონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინციდენტის შემდგომ რეპორტაჟების / გაშუქების ჩარჩოები ურთიერთშემავსებელი იქნება.
- სოციალური მედიის კომპანიები მზად უნდა იყვნენ ტერორისტული კონტენტის დროულად და შესაფერისი ფორმით წასაშლელად, განსაკუთრებით იმის, რომელიც სამიზნე აუდიტორიაში შიშის დათესვასა და გამწვავებას ემსახურება.
- სოციალური მედიის პლატფორმებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ინციდენტზე რეაგირების პროცესში ონლაინსივრცის, როგორც ტერორისტული თავდასხმის შემდგომ ხალხის (თემების) გაერთიანების, გლოვისა და გააზრების (sense-making) საერთო გარემოს მნიშვნელობის დაფასებასა და მხარდაჭერაში<sup>298</sup>.

ამ პრინციპების პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით, ბელგიის ფედერალური მთავრობის კრიზისული ცენტრის მყისიერი რეაგირება 2016 წლის მარტში ბრიუსელში განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმაზე წარმოადგენს კრიზისული კომუნიკაციების გუნდის მიერ დადებითი შედეგის მიღწევის სანიმუშო შემთხვევას. კონკრეტულად, ბელგიის მთავრობის კრიზისულმა ცენტრმა (FCC) გამოიყენა საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებული იყო ნდობის აღდგენაზე მსხვერპლებისა და სხვა ჩართული მხარეების შფოთვისა და სტრესის შემცირების საშუალებით<sup>299</sup>.

ამ ზემოქმედების მისაღწევად, ბელგიის მთავრობის კრიზისული ცენტრის „კომუნიკაციების მხარდაჭერის“ ოცდაათკაციანმა გუნდმა (რომელიც ცნობილია, როგორც „გუნდი D5“) გამოიყენა „კრიზისულ კომუნიკაციებზე მუშაობის პროცედურები“ (CCWP)<sup>300</sup> რომელიც შემუშავდა 2014 წელს (გუნდს გავლილი ჰქონდა შესაბამისი ტრენინგი) და რომლის სტრუქტურაშიც ინტეგრირებული იყო IBSE (ინფორმაცია, ქცევა, გააზრება [sense-making] და მოლოდინები) ჩარჩო - სტრუქტურა, რომელმაც ხელი შეუწყო გაურკვევლობის სტრესის შემცირებას თავად გუნდის შიგნით.

„კრიზისულ კომუნიკაციებზე მუშაობის პროცედურები“ ფოკუსირდება ოთხი გამონვევის მოგვარებაზე: კრიზისის კონტროლზე პასუხისმგებლობის აღება; შესაბამისი ინფორმაციით გაჯერებული სტრატეგიული კონსულტაციის უზრუნველყოფა; აუდიტორიის მენტალურ სტრუქტურასა და მოდელთან ადაპტირება; სხვაობა კომუნიკაციას, როგორც დამოუკიდებელ დისციპლინასა და კრიზისზე სხვა რეაგირების მეთოდებს

296 SAFE-COMMS Consortium, The Terrorism Crisis Communication Manual for Public Authorities, EU Seventh Framework Programme (FP7), 2011, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [https://faculty.biu.ac.il/~sshpiro/crisis\\_manual.html](https://faculty.biu.ac.il/~sshpiro/crisis_manual.html)

297 RAN Communication and Narratives Working Group (RAN C&N) [https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/networks/radicalisation\\_awareness\\_network/topics-and-working-groups/ran-c-and-n\\_en](https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/networks/radicalisation_awareness_network/topics-and-working-groups/ran-c-and-n_en)

298 Alastair Reed and Haroro J. Ingram, 'Towards a Framework for Post-Terrorist Incident Communications Strategies', ICCT & RUSI Global Research Network on Terrorism and Technology Paper, No. 12, 20<sup>th</sup> August 2019, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://icct.nl/publication/towards-a-framework-for-post-terrorist-incident-communications-strategies/>

299 Hugo Marynissen and Mike Lauder, 'Stakeholder-Focused Communication Strategy During Crisis: A Case Study Based on the Brussels Terror Attacks', International Journal of Business Communication, 2<sup>nd</sup> November 2019, pp. 176-177, ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/2329488419882736>

300 Marynissen and Lauder, 'Stakeholder-Focused Communication Strategy During Crisis', p. 179-180.

შორის<sup>301</sup>. „კრიზისულ კომუნიკაციებზე მუშაობის პროცედურები“ ითვალისწინებს საინფორმაციო ვაკუუმის არსებობას კრიზისის დასაწყისში და აუდიტორიის მიერ კრიზისის მიმდინარეობის აღქმას. „გუნდი D5“, ასევე, მოიცავდა გუნდის შიგნით და კრიზისში ჩართულ გარე პირებთან (კომუნიკატორებთან) ინტერაქციის ფუნქციის მქონე კოორდინატორს<sup>302</sup>, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა კრიზისული ცენტრის და სხვა ინსტიტუტების კომუნიკაციების გუნდებთან (მათ შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის კომპანიები, პროკურატურა) შემდეგ სამ დონეზე „კრიზისულ კომუნიკაციებზე მუშაობის პროცედურების“ გამოყენებით: კომუნიკაციის სტრატეგია, ტაქტიკა და ოპერაციები<sup>303</sup>.

თავდასხმების დღეს, D5-მა გამოიყენა ინფორმაციის, ქცევის, გააზრებისა (sense-making) და მოლოდინების (IBSE) ჩარჩო ინტერნეტში, სოციალურ მედიასა თუ სხვა საჯარო ფორუმებზე წარმართული საუბრების გასაანალიზებლად. ეს საუბრები კლასიფიცირდა განსახილველი თემების ოთხი ტიპის მიხედვით:

- ინფორმაცია: თემები, რომლებშიც ჩანს ინფორმაციის საჭიროება;
- ქცევა: თემები, რომლებიც ეხება დაინტერესებული მხარეების ქცევის ფორმებს - რა (რა არ) უნდა გააკეთო ან როგორ (როგორ არ) უნდა მოიქცე;
- გააზრება: თემები, სადაც ცხადია, რომ დაინტერესებული მხარეები ვერ იაზრებენ (ანიჭებენ მნიშვნელობას) მომხდარს, როგორც წესი, გამოხატულია, როგორც ემოციური (და არა რაციონალური) შეშფოთება / ინტერესის გამოხატვა;
- მოლოდინები: თემები, რომლებშიც მოითხოვება სიტუაციასთან დაკავშირებული სიახლეები, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას დაინტერესებული მხარეების მოლოდინების სამართავად<sup>304</sup>.

თავდასხმების დროს, D5-მა შექმნა მთელი გუნდისთვის ხელმისაწვდომი მიმოხილვითი დოკუმენტი, რომელშიც შემომავალი ინფორმაცია კლასიფიცირდა IBSE ჩარჩოს მიხედვით<sup>305</sup>. გუნდის რეაგირების შემდეგი აქცენტი იყო კომუნიკაციის სამი არხი:

- სოციალურ მედიისა და მათსავე ვებგვერდზე გამოქვეყნებული საჯარო გზავნილები;
- ინდივიდუალური პასუხები მოქალაქეების მიერ დასმულ კითხვებზე;
- გუნდის მიერ გამოყენებული კითხვებისა და პასუხების ჩამონათვალი.

„კრიზისულ კომუნიკაციებზე მუშაობის პროცედურების“ მეთოდის გამოყენებამ გუნდს სიტუაციაზე გარკვეული „კონტროლის“ განცდა შეუქმნა. როდესაც გუნდმა გამოავლინა მედიით გავრცელებული მცდარი ინფორმაცია, მათ მიიღეს შემდეგი ზომები: დაურეკეს ახალი ამბების წყაროს რედაქტორს და დაუკავშირდნენ Twitter-ისა და Facebook-ის ბელოგურ წარმომადგენლობებს, რათა კრიზისული ცენტრის სახელით სოციალური ქსელების ოფიციალურ გვერდებზე გამოქვეყნებულიყო შესაფერისი გამაფრთხილებელი შეტყობინებები<sup>306</sup>.

სხვადასხვა საკომუნიკაციო პლატფორმაზე D5-ის მუშაობის ზემოქმედების რეტროსპექტული ანალიზი ცხადყოფს, რომ გუნდმა ეფექტურად უპასუხა საზოგადოებაში წამოჭრილ კითხვებს. საზოგადოების მხრიდან გამოხატული შეშფოთება და მღელვარება განელდა IBSE ჩარჩოთი მართული შესაფერისი რეაგირების საშუალებით, რამაც აჩვენა, რომ კრიზისული კომუნიკაციების გუნდი:

„... ჯერ ისმენდა და შემდეგ საუბრობდა (წარმართავდა კომუნიკაციას) და ამგვარი მოქმედებით მოახერხა მოსახლეობაში სტრესის დონის შემცირება, ნდობისა და დამაჯერებლობის მოპოვება<sup>307</sup>.

301 Marynissen and Lauder, 'Stakeholder-Focused Communication Strategy During Crisis', p. 180.  
302 Marynissen and Lauder, 'Stakeholder-Focused Communication Strategy During Crisis', p. 180.  
303 Marynissen and Lauder, 'Stakeholder-Focused Communication Strategy During Crisis', p. 182.  
304 Marynissen and Lauder, 'Stakeholder-Focused Communication Strategy During Crisis', pp. 180-181.  
305 See, 'Figure 2. An IBSE overview developed by Team D5 on March 22, 2016' in Marynissen and Lauder, 'Stakeholder-Focused Communication Strategy During Crisis', p. 183.  
306 Marynissen and Lauder, 'Stakeholder-Focused Communication Strategy During Crisis', p. 187.  
307 Marynissen and Lauder, 'Stakeholder-Focused Communication Strategy During Crisis', p. 188-189.

საერთო ჯამში, კრიზისული ცენტრის კომუნიკაციების დირექტორმა განაცხადა, რომ:

...„კრიზისულ კომუნიკაციებზე მუშაობის პროცედურების“ გამოყენებამ D5-ს შემატა გუნდის მისიის სტრუქტურირებისა და ამ კომპლექსური კრიზისული სიტუაციის მართვის თავდაჯერება. ეს მეთოდოლოგიური მიდგომა გუნდს დაეხმარა ნარმატებით გაეგრძელებინა კოორდინირებული ინფორმაცია მოსახლეობაში, რომელიც აკმაყოფილებდა ინფორმაციულ საჭიროებებს და ეხმარებოდა იმ დროს არსებულ მძაფრ ადამიანურ ემოციებს“<sup>308</sup>.

ასე შეუშალა D5-მა ტერორისტებს ხელი ყველა ამოცანის შესრულებაში.

---

308 Marynissen and Lauder, 'Stakeholder-Focused Communication Strategy During Crisis', p. 189.

სახელმძღვანელო დაბეჭდილია პროექტის „ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში. პროექტი, GCSD - ის მიერ, საქართველოში ნორვეგიის სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

თბილისი, საქართველო

2021